

მეათეობი

114/2
1996



1-2

1996



ქართული
ენციკლოპედია

ენციკლოპედია

წიგნი 72-ე

№ 1-2

1996 წელი

საქართველოს მწიგნობართა კავშირის ორგანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

გიგლია, ძველი აღმშენ. გაგრძელება 3

პროზა, პოეზია

მეზარ კვიტიშვილი — ლექსები 15

ჯემალ ძირია — კიბე იაკობისი, რომანი, გაგრძელება 24

მარგან ჯგერაძე — ეკატერინე შავთავაძე — პოემა 48

არჩილ სულაბერი — თბილისური ჩანახატი 63

ლელა ბაგრაძე — ლექსები 77

თამარ მანანია — ლექსები 82

ლადო სულაბერი — ცხადნიშვანობა, ნაწილი მეორე, გაგრძელება 84

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

თეიმურაზ მინაშანი — აფხაზეთი — საქართველო 109

რევაზ კვიციანი — გვიმელი მწიგნობარი და მწიგნობრის მემორიანი 121

ალექსანდრე ლომიძე — მწიგნობრის პროზის კართული 139

მეცნიერება

ნინო მაცხოვრებელი — გიგლიური სიმბოლოები იაკობ ცურაველის „მეცნიერის წამებაში“ 150

მკა თაყაიშვილი — ლიტერატურული ზღაპრის შესახებ 162

წიგნების მიმოხილვა

გიორგი ნადარეჟიანი — ქართული სოფელი 168

მარგალ „მნათობი“ 1995 წ. ნომრების შენაარსი 173



მთავარი რედაქტორი არჩილ სულაკაური

სარედაქციო კოლეგია:

რუსო ავაუსუკელი, მერაბ ბერკენიშვილი, გურამ
გვერდწითელი, ალექსანდრე ბოშიაშვილი, გურამ
ღოჩანაშვილი, გენო კალანდია, შურგან ლუბანიძე,
ელგუჯა მაღრაძე, ლადო მრეღაშვილი, ბიორგი
ნატროშვილი, რამაზ პატარიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი,
ვაჟა ჩორდელი (პ/მგ. მდივანი), ნოდარ ფულეისკირი,
ოთარ ჭილაძე, გენიკ სარანაული (მთავარი რედაქტორის
მოადგილე), რეჰვან ჯაფარიძე.

ბ ი ბ ლ ი ა


პირველი აქტი

უნიკალური წიგნების კატალოგი

თავი მეთერთმეტი

1. ამიტაცა სულმა და მიმიყვანა უფლის სახლის აღმოსავლეთ კარიბჭესთან, რომელიც აღმოსავლეთისაკენ იჭურბა. და, აჰა, კარიბჭის შესასვლელთან ოცდახუთი კაცია და დავინახე მათ შორის იაზანია ყაზურის ძე და ფელატიაჰუ, სენაიაჰუს ძე—ხალხის მთაფრები. 2. მითხრა: ადამის ძე! ეს კაცები ავისმზრახველები არიან და ბოროტ რჩევას იძლევიან ამ ქალაქში. 3. ამბობენ: არ დამდგარა დრო სახლების შენებისა. ქვაბია ეს ქალაქი, ჩვენ კი ხორცი ვართო. 4. ამიტომ უწინასწარმეტყველე, ადამის ძე! 5. დამეცა უფლის სული და მითხრა: თქვი, ასე ამბობს-თქო უფალი: ასე და ასე ლაპარაკობთ, ისრაელის სახლო, და რაც ფიქრად მოგდით, ვიცი მე. 6. ბევრი გვაეთ დახოცილი ამ ქალაქში და ქუჩები ავსებული გაქვთ დახოცილებით. 7. ამიტომ ასე ამბობს უფალი ღმერთი: თქვენს დახოცილები, რომლებიც იქ დაიფრიათ, ხორცია, ქალაქი კი — ქვაბი. თქვენ კი გაგიყვანთ იქიდან. 8. მახვილის გეშინიათ და მახვილს მოგივლენ! ამბობს უფალი ღმერთი. 9. გაგიყვანთ იქიდან და უცხო თესლის ხელში ჩაგაგდებთ, და განუხვი თქვენს სამართალს. 10. მახვილით დაეცემით, ისრაელის საზღვარზე განგსჯით თქვენ და მიხვდებით, რომ უფალი ვარ 11. ქალაქი არ იქნება თქვენთვის ქვაბი

და თქვენც არ იქნებით მასში ხორცად. ისრაელის საზღვარზე განგსჯით თქვენ, 12. და მიხვდებით, რომ მე ვარ უფალი, ვის წესებზეც არ გივლიათ და ვის რჯულზეც არ მოქცეულხართ, იმ ხალხების რჯულზე იქცეოდით, თქვენს გარშემო რომ არიან! 13. როცა ეს ვიწინასწარმეტყველე, მოკვდა ფელატიაჰუ ბენიას ძე და მე პირქვე დავემხე. შევღაღადე მაღალი ხმით და ვთქვი: ვაგლახ, უფალი ღმერთო! ნუთუ ბოლო უნდა მოუღო ისრაელის ნატამალს? 14. იყო უფლის სიტყვა ჩემს მომართ ნათქვამი: 15. ადამის ძე! თქვენი ძმეები, ძმეები არიან ისინი, თქვენი სისხლით ნათესავნი და მთელი ისრაელის სახლი მთლიანად, რომელთაც უუბნეა ბიან იერუსალიმის მკვიდრნი: უფლისგან არიან განმდგარნი, ეს ქვეყანა ჩვენ მოგვეცა სამკვიდროდო! 16. ამიტომ უთხარი, ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: თუმცა გადაეკარგე ისინი ხალხთა შორის და თუმცა მიმოეფანტე ქვეყნებში, მაინც ვიქნები მათთვის საწმიდარი, თუნდაც მცირე, იმ ქვეყნებში სადაც წავიდნენ. 17. ამიტომ უთხარი, ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: შეგკრებთ ვეელას ხალხებიდან და შეგაგროვებთ ქვეყნებიდან, სადაც მიმოეფანტული მყავხართ, და თქვენ მოგვემთ ისრაელის მიწას. 18. შევლენ იქ და წარხოცავენ მისი ყველაფერი და





ბოლწეს და ყოველგვარ სისამაგლეს-
 19. მივეცმ მათ ერთ გულს და ახალ
 სულს ჩაგიდგამთ თქვენ, ამოვართმე
 მათ ქვის გულს სხეულიდან და ხორ-
 ცის გულს მივეცმ 20. რათა ჩემს წე-
 სებზე იარონ, ჩემი რჯული დაიცვან
 და შეასრულონ. მაშინ ჩემი ხალხი იქ-
 ნება ისინი და მე მათი ღმერთი ვიქ-
 ნები. 21. ხოლო ვისაც თავის სიბილ-
 წეებისაკენ და სისამაგლეებისაკენ მი-
 უღის გული, მათსავე საქმეებს დავატებ
 თავზე ამბობს უფალი ღმერთი. 22.
 გამალეს ქერუბიმებმა ფრთები და ბო-
 რბლებიც მათ გაუსწორდა, და ისრაე-
 ლის ღმერთის დიდება იყო მალდა,
 მათ ზემოთ. 23. აიმართა უფლის დი-
 დება ქალაქიდან და დაადგა მთას, ქა-
 ლაქის აღმოსავლეთით რომ არის. 24.
 სულმა ამიტაცა და ხილვაში, ღვთის
 სულით, მომიყვანა ქალღვაში გადასა-
 ხლებულებთან და გამშორდა ხილვა,
 რომელიც ვიხილე. 25. მერე უკამბე
 გადასახლებულებს ყველაფერი, რაც
 უფალმა მახილვინა მე.

თავი მეთორმეტე,

1. იყო ჩემს მომართ უფლის სიტყვა
 ნათქვამი: 2. ადამის ძევ, ურთა სახ-
 ლის შუაგულში ცხოვრობ შენ. თვა-
 ლები აქვთ და ვერ ხედავენ, ყრუები
 აქვთ სასმენლად და არ ესმით, რად-
 გან ურთა სახლია ისინი. 3. ამიტომ,
 ადამის ძევ, ყარობივით გამოუწვევ და
 გადი საფარიბოდ ღღისით, მათ თვალ-
 წინ. იფარიბე შენი ადგილიდან სხვა
 ადგილას მათ თვალწინ, ვინძლო დაი-
 ნახონ, რომ ურთა სახლი არიან. 4.
 გამოიტანე შენი ბარგი ყარობის ბარ-
 გივით ღღისათ, მათ თვალწინ, და გა-
 დი საღამოთი მათ თვალწინ საყარი-
 ბოდ გამსელელთა მსგავსად. 5. მათ
 თვალწინ გაანგრიე კედელი და ზერელ-
 ში გაიტანე. 6. მათ თვალწინ ზურგზე
 აიკილე შენი ტვირთი და ბნელში გაი-
 ტანე; სახე დაფარული გქონდეს, რომ
 არ უყურებდე მიწას, რადგან ნიშად და-
 მიდგენიხარ ისრაელის სახლისთვის.

7, ისე მოვიქეცი, როგორც მებრძანა:
 გამოვიტანე ჩემი ბარგი ყარობის ბარ-
 გივით ღღისით, საღამოთი კი ჩემი ხე-
 ლით გავანგრიე კედელი, ბნელში გა-
 ვიტანე ბარგა და ზურგზე მოვიკიდე
 მათ თვალწინ. 8. და იყო უფლის სიტყვა
 დილით ჩემს მომართ ნათქვამი: 9.
 ადამის ძევ! ხომ არ უკითხავს შენთვის
 ისრაელის სახლს, ურთა სახლს, ამას
 რას აკეთებთო? 10. უთხარი მათ, ასე
 ამბობს-თქო უფალი ღმერთი: ეს განა
 ჩენი ეხება მთავარს იერუსალიმში და
 მთელს ისრაელის სახლს, ვინც იქ
 არის. 11. უთხარი, ნიშად ვარ-თქო
 თქვენთვის, როგორც მე ვიქეცი, ისე
 დაუმართებათ მათ: ყარობობაში, ტყვე-
 ობაში წავლენ-თქო. 12. მთავარი, რო-
 მელიც მათ შორის არის, ტვირთს აი-
 კიდებს ზურგზე ბნელში და გავა. კე-
 დელს გაანგრევენ, რომ გაიყვანონ, სა-
 ხეს დაიფარავს, რომ ვეღარ იხილოს
 მისმა თვალმა ეს ქვეყანა. 13. მოვისე-
 რი მასზე ჩემს სათხვევლს და გაებმება
 ჩემს მახეში. წავეყვან ბაბილონში, ქა-
 ლღველთა ქვეყანაში, მაგრამ ვერ იხ-
 ილავს მას, თუმცა იქ მოკვდება. 14.
 ყველას, მის გარშემო მყოფს, მის შემ-
 წეს და მთელს ლაშქარს გაუფანტავ
 ყველა ქარის მიმართულებით და მახ-
 ვილს ვიშიშვლებ მათ კვალზე. 15. მი-
 ხედებიან, რომ უფალი ვარ, როცა გა-
 ვაბნევე ხალხებში მათ და ქვეყნებში მი-
 მოუფანტავ. 16. მაგრამ გადავარჩენ მა-
 თგან მცირე რიცხვს მახვილისგან, ში-
 მშილისაგან და ჭირისაგან, რათა იამ-
 ბონ თავიანთი სისამაგლეები იმ ხალ-
 ხში, ვისთანაც მივლენ. და მიხედებიან,
 რომ მე უფალი ვარ. 17. იყო უფლის
 სიტყვა ჩემს მომართ ნათქვამი: 18.
 ადამის ძევ! კანკალით ჭამე შენი პური
 და შიშით და ძრწოლით სვი შენი წყა-
 ლი! 19. უთხარი ამ ქვეყნის ხალხს, ასე
 ამბობს-თქო უფალი ღმერთი იერუსა-
 ლიმის მკვიდრთა გამო ისრაელის მი-
 წაზე: ძრწოლით შეჭამენ თავიანთ
 პურს და სასოწარკვეთაში შესვამენ
 წყალს, რადგან მიხი მიწა დაცარიელ-
 დება თავისი სისავისიგან მის მცხოვ-

რებთა ძალადობის გამო. 20. აოხრდება დასახლებული ქალაქები და გაუდაბურდება ქვეყანა. მაშინ მივხდებით, რომ უფალი ვარ. 21. იყო უფლის სიტყვა ჩემს მომართ ნათქვამი: 22. ადამის ძე! ეს რა ანდაზა გაქვთ ისრაელის მიწაზე, ვამი გაივლის და ყოველი ხილვა გაქარწყლდება? 23. ამიტომ უთხარი მათ, ასე ამბობს-თქო უფალი გაეაუქმებ ამ ანდაზას და აღარ იანდაზებს ის ისრაელში, არამედ უთხარი: ახლოა ვამი და ყოველი ხილვის აღსრულება-თქო, 24. რადგან არც ერთი ხილვა ფუჭად არ ჩაივლის და არც მაცთუნებელი მისნობა სახლში, 25. რადგან, მე, უფალი, ვილაპარაკებ. რაკაც ვილაპარაკებ, მოხდება, არ გადაიდება, რადგან თქვენს ფლებში, ურჩთა სახლო, ვილაპარაკებ, სიტყვას და ავახდენ, ამბობს უფალი ღმერთი. 26. იყო უფლის სიტყვა ჩემს მომართ ნათქვამი: 27. ადამის ძე! აჰა, ამბობს ისრაელის სახლო: ხილვა, რომელიც მან იხილა, მალე არ ახდებო, შორეული დროისთვის წინასწარმეტყველბო. 28. ამიტომ უთხარი მათ, ასე ამბობს-თქო უფალი, ღმერთი: არც-ერთი ჩემი სიტყვა მუტად აღარ გადაიდება, რა სიტყვაც არ უნდა ვთქვა, ახდება, ამბობს უფალი ღმერთი.

თავი მეცამეტე

1. იყო უფლის სიტყვა ჩემს მომართ ნათქვამი: 2. ადამის ძე! იწინასწარმეტყველე ისრაელის წინასწარმეტყველებზე და უთხარი საკუთარი გულით გაქადაგებულთ: ისმინეთ-თქო უფლის სიტყვა. 3. ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: ვაი ცრუ-წინასწარმეტყველთ, რომლებიც საკუთარ ხულს მიჰყვებიან და არაფერი უხილავთ! 4. ნაოხარ ადგილებში რომ მელიები არიან, იმათ გვანან შენი წინასწარმეტყველნი, ისრაელი! 5. ნუ გახვალთ ნანგრევებზე და ზღუდეს ნუ შემოავლებთ ისრაელის სახლს, რომ საბრძოლველად დადგეს უფლის დღეს. 6. მათი ხილვები ფუჭია

და მათი მისნობა სიცრუე. კი ამბობენ უფალმა თქვაო, მაგრამ უფალს არ მოუკლენია ისინი. ირწმუნებიან, ახდებო ჩვენი სიტყვა. 7. განა ფუჭ ხილვებს არ ხედავთ და ცრუ მისნობას არ წარმოთქვამთ, რომ ამბობთ, უფლის ნათქვამიაო, მე კი არაფერი მითქვამს? 8. ამიტომ ასე ამბობს უფალი ღმერთი: რაკი ფუჭს ლაპარაკობთ და სიცრუეს ხედავთ, ამიტომაც, აჰა, თქვენს წინააღმდეგ ვარ, ამბობს უფალი ღმერთი. 9. იქნება ჩემი ხელი ფუჭშიღველ წინასწარმეტყველთა და სიცრუის მისანთა წინააღმდეგ, ჩემი ერის საბჭოში არ იქნებიან ისინი, ისრაელის სახლის წიგნში არ ჩაიწერებიან და ისრაელის მიწაზე ვერ მივლენ, მაშინ მიხვდებიან, რომ უფალი ღმერთი ვარ. 10. სწორედ იმის გამო, რომ აცთუნებენ ჩემს ერს, რომ ეუბნებიან, მშვიდობააო და არ არის მშვიდობა. ჩემი ხალხი კედელს აშენებს და, აჰა, ესენი კირით ლესავენ. 11. უთხარი მლესავთ, ჩამოწვება-თქო თქვენი კედელი. წამოვა თავსხმა და, თქვენ, ყინულის ლოდებო, ჩამოცივლებით, და ქარიშხალი ამოვარდება. 12. აჰა, დაეცა კედელი: ხომ გეტყვიან, სად არის ბათქამი, რომლითაც შელესეთო? 13. ამიტომ ასე ამბობს უფალი ღმერთი: ავტებავ ქარიშხალს ჩემი რისხვით და თავსხმა წამოვა ჩემი წყრომით, და ყინულის ლოდები ჩემი გაცეცხლებით, გასანადგურებლად. 14. დავანგრევ კედელს, თქვენ რომ შელესეთ, მიწასთან გავასწორებ და გაშიშვლება მისი საძირკველი, დაეცემა და თქვენც მის ნანგრევებში დაიდუკებით. და მიხედვით, რომ უფალი ვარ. 15. კედელზე გადმოვანთებ ჩემს რისხვას და მის მლესავებზე, და გეტყვით თქვენ: აღარ არის კედელი და არც მისი შემლესავი. 16. აღარც ისრაელის წინასწარმეტყველნი, იერუსალიმზე რომ წინასწარმეტყველებდნენ და აღარც მისთვის მშვიდობისმხილველნი, როცა არ არის მშვიდობა, ამბობს უფალი ღმერთი. 17. შენ კი, ადამის ძე! სახე მიაბრუნე შენა ერის ასულებისკენ, საკუთარი გულით

რომ წინასწარმეტყველებენ, და იწინასწარმეტყველე მათზე. 18. უთხარი, ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: ვაი იმ დედაკაცებს, ბალიშებს მკლავის მთელს სივრძეზე რომ კერავენ და თავის დასაბურავს ყველა ზომაზე რომ აკეთებენ სულების მოსანადირებლად! ჩემი ერის სულებს მოინადირებთ, თქვენს სულებს კი გადაირჩენთ? 19. შეურაცხმყავით ჩემი ერის წინაშე, ერთი მუჭა ქერისა და პურის ნატეხისთვის რომ კლავთ სულებს, რომლებიც არ არიან მოსაკვდავი, და ცოცხლად ტოვებთ სულებს, რომლებიც არ არიან ხაცოცხლებელი, რომ ატყუებთ ჩემს ერს, ტყუილის გამგონეს. 20. ამიტომ ასე ამბობს უფალი ღმერთი: აჰა, აღვდგები თქვენი სასთუმლების წინააღმდეგ, რომლებითაც სულებს ინადირებთ თქვენთან მოსაფრენად, გამოვგლეჯთ მკლავებიდან მათ და გაუშვებ სულებს, რომლებსაც ინადირებთ, რომ თქვენთან მოფრინდნენ. 21. დაველეჯ მავ თქვენს დასაბურავებს და დავიხსნი ჩემს ერს თქვენი ხელიდან და აღარ იქნებიან თქვენს ხელში ნანადირევა და მიხედებიან, რომ უფალი ვარ. 22. რადგან ხელს უმწარებდით ტყუილით მართალს, მე კი არ შემინუხებია, ბოროტეულს ამხნეებდით, რომ არ მოქცეულიყო ბოროტი გზიდან და არ გადარჩენილიყო. 23. ამის გამო ვეღარ იხილავთ ფუჭ ხილვებს და მისნობას ვეღარ ვასწავთ, დავიხსნი ჩემს ერს თქვენი ხელიდან და მიხედებით, რომ უფალი ვარ!

თავი მეთოთხმეტი

1. მოვიდნენ კაცები ისრაელის უხუცესთაგან და დახვდნენ ჩემს წინ. 2. იყო უფლის სიტყვა ჩემს მომართ ნათქვამი: 3. ადამის ძვე! ამ კაცებმა კერპები აღმართეს თავიანთ გულებში და თავიანთი უკეთურება დაბრკოლებად დაიდეს წინ. როგორ შემოძლია მათი კითხული ვიყო? 4. ამიტომ ელაპარაკე მათ და უთხარი: ასე ამბობს-თქო უფა-

ლი ღმერთი: თუ კაცი ვინმე ისრაელის სახლიდან, რომელსაც კერპები აქვს აღმართული თავის გულში და უკეთურება დაბრკოლებად უდევს წინ, მივა წინასწარმეტყველთან, როგორ მიიღებს პასუხს ჩემგან, უფლისგან, როცა თავის კრპთა სიმრავლითურთ არის მოსული, 5. რომ დაჭერილი იყოს ისრაელის სახლის გულები, რომლებიც გამოუცხოვდნენ თავიანთი კერპების მიზეზით? 6. ამიტომ უთხარი ისრაელის სახლს: ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: მობრუნდით და განერიდეთ თქვენს კერპებს და ყველა თქვენს კერპებს და ყველა თქვენს სისაძაგლეს მორაიდეთ პირი, 7. რადგან, თუ კაცი ვინმე ისრაელის სახლიდან და მდგმურთაგან, რომელიც მდგმურობს ისრაელში, გამოუცხოვდება, აღმართავს კერპებს თავის გულში და უკეთურებას დაბრკოლებად დაიდებს წინ, წინასწარმეტყველთან მივა, რომ დამეკითხოს, მე, უფალმა, როგორ გავცე მას პასუხი! 8. პირს მივაქცევ ამ კაცის წინააღმდეგ, ნიშად და იგავად გავხდი მას და მოვკვეთავ ჩემი ერიდან. მაშინ მიხვდებით, რომ უფალი ვარ. 9. თუ წინასწარმეტყველი ჩაეარდა ცთუნებაში და ალაპარაკდა, მე, უფალი, ეიქნები ამ წინასწარმეტყველის მაცთუნებელი, ხელს მოუღუერებ და ჩემი ერიდან, ისრაელიდან, ამოვიძირკვავ მას. 10. პასუხს აგებენ თავიანთ დანაშაულზე, ერთი იქნება დანაშაული შემეკითხველისა და დანაშაული წინასწარმეტყველისა, 11. რომ ამიერიდან აღარ ვანმიდგვს ისრაელის სახლი და აღარ შესცოდოს თავისი შეცოდებებით, იყოს ჩემი ერი და მე მისი ღმერთი ვიყო, ამბობს უფალი ღმერთი. 12. იყო უფლის სიტყვა ჩემს მომართ ნათქვამი: 13. ადამის ძვე! თუ ქვეყანა შესცოდავს ჩემს წინაშე და ვანმიდგება, ხელს მოუღუერებ და პურის კვერთხს გადაუმტვრევ, მოვუღუენ შიმშილს და გაუწყვებ კაცს და საქონელს. 14. ეს სამი კაცი რომ აღმოჩნდეს მათ გარემოში — ნიუ, დანიუ-



ლი და იობი, თავიანთი სიმართლით გადარჩენდნენ თავს, ამბობს უფალი ღმერთი. 15. თუ სასტიკ მხეცებს მიუშვებდი ქვეყანაზე და გაატიალებდნენ, ისე გაუღებურდებოდა, რომ მხეცების შიშით ვერავინ გაივლიდა იქ, 16. ეს სამი კაციც (ცოცხალი ვარ, ამბობს უფალი) ვერ გადარჩენდა თავის ვაჟებს და ასულებს, მხოლოდ საკუთარ თავს გადარჩენდა, ქვეყანა კი გაუღებურდებოდა. 17. თუ მახვილს მოუუვლენდი იმ ქვეყანას და კეტოდი: მახვილო, ჩაიარე-მეთქი ქვეყანაში! და გაუწვევტლი კაცსა და საქონელს, 18. ეს სამი კაციც (ცოცხალი ვარ! ამბობს უფალი) ვერ გადარჩენდა თავის ვაჟებს და ასულებს მხოლოდ თვითონ გადარჩებოდნენ. 19. თუ ფაშს მოუუვლენდი იმ ქვეყანას და სისხლით გამოვანთხევედი მასზე ჩემს რისხვას კაცისა და საქონლის ამოსაწვევტად, 20. ვერც ნოე, ვერც დანიელი და ვერც იობი (ცოცხალი ვარ! ამბობს უფალი) ვერ გადარჩენდნენ ვაჟსა და ასულს, მხოლოდ საკუთარ თავს გადარჩენდნენ თავიანთი სიმართლით. 21. რადგან ასე ამბობს უფალი ღმერთი: ჩემი ოთხი მძიმე სასჯელიც რომ მოუუვლინო იერუსალიმს — მახვილი, შიშშილი, სასტიკი მხეცი და ფაში — ქვეყნად კაცისა და საქონლის გასაწვევტად, 22. აჰა, დარჩება თავდაღწეულ ვაჟთა და ასულთა ნატამალი! აჰა, გამოვლენ თქვენთან და თქვენ დაინახავთ მათ საქციელს და მათ საქმეებს, და გადაგვიწყლებათ ბიროტება, რომელიც იერუსალიმს დაეატებუ, ყველაფერი, რაც მას დაეატებუ. 23. დაგავიწყებენ ყველაფერს, როცა მათ საქციელს და საქმეებს დაინახავთ და მიხვდებით, ამოდ არ გამოკეთებია ყველაფერი, რაც იქ გვაკეთე, ამბობს უფალი ღმერთი.

თავი მეთხუთმეტი

1. იყო უფლის სიტყვა ჩემს მომართ ნათქვამი: 2. ადამის ძეგ! რითა სჯობს ვაზი რტოებიან ხეს, რომელიც ტყის ხეთა შორის იპოვება? 3. თუ გამოვლება ე

ხე რაიმე ნივთის გასაკეთებლად? ან თუ გამოვა მისგან კაუჭი რაიმე ჭურჭლის ჩამოსაკიდებლად? 4. აჰა, ცეცხლს მისცემ დასაწველად მის ორთავე ბოლოს დასწავებს ცეცხლი და შუაშიც დაიწვება. განა გამოვლება რამეში? 5. აჰა, მთელი იყო და არაფრად ვარგოდა. ცეცხლმა რომ დასწვა და გადაბუგა, რაღაში გამოვლება? 6. ამიტომ ასე ამბობს უფალი ღმერთი: როგორც ვაზი მივეცი ცეცხლს ტყის ხეთა შორის დასაწვევად, ასე მივეცი იერუსალიმის მკვიდრნიც. 7. მათ წინააღმდეგ მივაქციე ჩემს პირს; ცეცხლიდან გამოვლენ და მაინც ცეცხლი შეჭამთ. და მიხვდებიან, რომ უფალი ვარ, როცა პირს მივაქციე მათ წინააღმდეგ. 8. გავუკაცურებ ქვეყანას, რადგან გამდგარნი არიან, ამბობს უფალი ღმერთი.

თავი მეთექვსმეტი

1. იყო უფლის სიტყვა ჩემს მომართ ნათქვამი: 2. ადამის ძეგ! გააგებინე იერუსალიმს მისი სისაძაგლეები 3. და უთხარი, ასე ეუბნება-თქო უფალი ღმერთი იერუსალიმს: შენი დასაბამი და შენი სამშობლო ქანაანის ქვეყანაშია, მამაშენი ამორეველია, დედაშენი — ხეთელი. 4. შენი დაბადებისას, იმ დღეს, როცა დაიბადე, ჭიპლარი არ მოუჭრიათ შენთვის და წყალში არ განბანილხარ რომ განწმედილიყავი, მართლით არ გახეხილხარ და ჩერებში არ გახეუულხარ. 5. არავინ მოგვება რომ ამ საქმეთაგან ერთი მაინც გავკეთებინოს შენთვის სამადლოდ. ტრამალზე ეგდე შენი დაბადების დღეს, რადგან საბუღეველი იყავი. 6. ჩავიარე და დავინახე შენსავე სისხლში ამოთხერილი და გითხარი, შენს სისხლში იცოცხლე-მეთქი! ვითხარი შენს სისხლში იცოცხლე-მეთქი! 7. ველის ბაღახივით მოგამრავლე და გაიზარდე და გამაღლდი, მშვენებათა მშვენებაში შეხვედი, მკერდი დაგაჩნდა და თმა მოგეზარდა, მაგრამ შიშველ-ტიტველი იყავი. 8. ჩავიარე და დავინახე, აჰა,



სიყვარულის ასაკი დადგომოდა. გადმოვიშალე კალთა და სიშიშველე დაგიფარე. შემოვფიცე და აღთქმა დაგიდევ, ამბობს უფალი ღმერთი, და ჩემი გახდი. 9. წყალში ვაგებანე, სისხლი ჩამოვწმინდე და გცხე ზეთი. 10. მოქარგულით შევმოსე და თახაშის ტყავის ხამლები ჩაგაცვი, ზეზის სარტყელი შემოგარტყე და აბრეშუმი მოგახურე. 11. სამკაულებით მოგრთე, ხელზე სამაჯურები და ყელზე შიბები შეგაბი, 12. ცხვირზე ბეჭდები და ყურებზე საყურეები გაგიკეთე, მშვენიების ვვირგვინი დაგადგი თავზე. 13. ოქროთი და ვერცხლით იყავი მორთული, ზეზი, აბრეშუმი და ნაქარგი ხამოსელი გეცვა, გამტაცული ფქვილი, თაფლი და ზეთი გქონდა საზრდოდ. და გამშვენდი, დიდად გამშვენდი, და სადღეოფლო შეიქენი. 14. გავარდა შენი სილამაზის სახელი ხალხებში, რადგან სრულქმნილი ჩანდა ჩემი დიდების გამო, რომლითაც შევმოსე, ამბობს უფალი ღმერთი. 15. დაენდე შენს სილამაზეს და ვაგებოზა შენმა სახელმა, გაუფინე შენი ბოზობა ყოველ გამველს, ყველასი გახდი. 16. აილე შენს სამოსელთაგან და შეამკე შენი საკერპო, და მათზე დაიწვე ბოზობა, როგორც არ მომხდარა და არც მოხდება. 17. აილე შენი სამკაულები ჩემი ოქრო-ვერცხლისგან, რომლებიც მე მოგეცი, ვაიკეთე მამაკაცის გამოხახულება და ბოზობდი მასთან. 18. აილე შენი მოქარგული სამოსელი და მათ გადააფარე, და ჩემი ზეთი და საკმეველი წინ დაუწვეე. 19. ჩემი პური, მე რომ მოგეცი, წმიდა ფქვილი, ზეთი და თაფლი, რომლითაც გამოგზარდე, მათ მიართვი ამოსაყნოსელად, ამბობს უფალი ღმერთი. 20. წაიყვანე შენი ვაჟები და ასულები, რომლებიც შემძინე მე, და მათ დაუკალი შესაჭმელად. ვითომ შენი ბოზობა არ კმაროდა! 21. შენ დახოცე ჩემი ვაჟები და მათ მიეცი ცეცხლში გასატარებლად. 22. ამ შენს გარყვნილებაში და ბოზობაში არ ვაგხსენებია შენი სიშმაწილის დღეები, როცა შიშველ-

ტიტველი იყავი და საკუთარ სისხლში ითხერებოდი. 23. ყველა ამ ბოროტების შემდეგ იყო — ვაი, ვაი შენდა! ამბობს უფალი, ღმერთი, 24. რომ აიშენე სამეძაჲო და მოიწვეე სათაყვანო გორაკი ყოველ მოედანზე. 25. ყოველ გზაჯვარედინზე გამართე გორაკი და შელახე შენი მშვენიება, ფეხებს უწვედი ყოველ გამველს და გაახშირე შენი ბოზობა. 26. შენ ბოზობდი ევიატელებთან, შენს დიდბორციან მეზობლებთან, და უზომო ბოზობით მაჯავრებდი. 27. აჰა, ხელს მოვიღერებ და არჩივს შევიმციარებ. მიგცემ შენს მოძულეთა ფილისტიმელთა დიაცების ნებაზე, რომელთაც ერცხვინებათ შენი უზნეო საქციელი. 28. აშურელებთანაც ბოზობდი შენი გაუმაძღრობის გამო, ბოზობდი მათთანაც და ვერ ძღვებოდი. 29. ამრავლე შენი ბოზობა ქანაანის ქვეყნიდან ქალდეამდე და ამითაც კი ვერ გაძებია. 30. როგორ შევიღონდებოდა გული, ამბობს უფალი ღმერთი, როცა ყოველივე ამას სწადიოდი, თავგასული მებაჲი ქალის საქმე! 31. როცა სამეძაჲოებს აშენებდი ყოველ გზაჯვარედინზე და სათაყვანო გორაკებს აგებდი ყოველ მოედანზე, არ ჰგავდი საჩუქრებზე დახარბებულ მეძაჲს, 32. არამედ გარყვნილ დიაცს, ქმრის ნაცელად უცხოებს რომ ეძლევა. 33. ყველა ბოზ ქალს საჩუქრებს აძლევენ, შენ კი თავად საჩუქრებს შენს საყვარლებს და იქრთამავ მათ შენთან მოსახველად ყოველი მხრიდან საბოზაოდ. 34. შენ გამოირჩეოდი სხვა ქალებში შენი ბოზობით: შენ კი არ გდევდნენ საბოზაოდ, თავად შენ აძლევდი საჩუქრებს, შენ კი არ გაძლევდნენ, ასეთი გამორჩეული იყავი. 35. ამიტომ იხმინე, ბოზო დიაციო, უფლის სიტყვა, 36. ასე ამბობს უფალი ღმერთი: იმის გამო რომ გადმოღვრილია შენი ქვაბი და გამოჩნდა შენი სიშიშველე შენს საყვარლებთან და ყველა შენს საძაველ კრპთან ბოზობაში, და შენი შეილების სისხლის გამო, რომლებსაც მათ აძლევდი, 37. აჰა, შევკრებ ყველა შენს საყვარელს, რომლებ-

თანც ტკებობდი, და ყველას, ვინც გავჯარდა და ყველას, ვინც გძულდა, შემოვიკრებ მათ ყოველი მხრიდან და ვერჩვენებ მათ შენს სიშიშველეს და დანახვენ ისინი მთელს შენს სიშიშველეს. 38. დაგზიჯი გარყენილი და სისხლისმღვრელი დიაკების სასჯელით და მიგცემ სისხლს, რისხვასა და შურისგებას. 39. მიგცემ მათ ხელს და დაანგრევენ შენს სამეძაოებს და დააქცევენ შენს სათაფანო ვორაკებს, შემოვძარცავენ შესამოხელს, აგართმევენ სამკაულებს და შიშველ-ტიტველს დაგტოვებენ. 40. მოვიხევენ ბრბოს, რომ ქვებით ჩაგქოლონ და თავიანთი მახვილებით აგკუნონ. 41. ცეცხლში დაგიწვავენ სახლებს და გავასამართლებენ ბევრი დიაკის თვალწინ. შეგაწვევტინებენ ბოზობას და აღარ მოჰყვები საჩუქრების დარიებებს. 42. როგორ დაეცხრო შენზე რისხვა და როგორ ჩამიქრეს შურა ენდამი? როგორ დავშვიდდე, რომ აღარაფერი მაწუხებდეს? 43. რაკი აღარ ვაიხსენე შენი სიფაწვილის დღეები და განმარისხე ყოველივე ამით, მეც, ამა, შენს თავზე მოვაქცევ შენს საქმეებს, ამბობს უფალი ღმერთი, და აღარ ჩაიღენ ამ გარყენილებას ყველა შენს სისამაგლეხთან ერთად. 44. ამა, ყოველი შეიგავე იგავს გამოოთქვამს: რაც დედაა, ასულიც ის არისო. 45. დედაშენის შეილი ხარ შენ, ქმარ-შვილის მოძულე დიაკისა, და ხარ შენი დებისა, რომელთაც მოიძულეს თავიანთი ქმრები და შვილები. დედათქვენი ხეთელია, მამათქვენი — ამორეველი. 46. 'შენი უფროსი და სამარიელია და თავის ასულებთან ერთად შენს მარცხნივ ცხოვრობს. შენი უმცროსი და, შენს მარჯვნივ რომ ცხოვრობს, სოდომია თავის ასულებთან ერთად. 47. მათი გზით არ გივლია და მათი სისამაგლეები არ ჩაგიდენია, რადგან გეცოტაებოდა, და მათზე უარესად ვაირყვინი ყველა შენს საქმეში. 48. ცოცხალი ვარ, ამბობს უფალი ღმერთი, სოდომს, შენს დას, და მის ასულებს არ ჩაუდენიათ ის, რაც

შენ და შენმა ასულებმა ჩაიღინეს. 49.

ამა, ეს იყო შენი დის, სოდომის, დანაშაული: ამპარტავნობა, ღორმუცელობა და უდარდულობა მისი და მის ასულებისა. ღარიბ-ღატაკს ხელს არ უმართავდნენ. 50. გამედიდურდნენ და სისამაგლის კეთება დაიწყეს ჩემს წინაშე და მეც მოვიცილე ისინი, როცა დაეინახე. 51. სამარიას შენი ცოდვების ნახევიარც არ ჩაუდენია გადააჭარბე მათ შენი სისამაგლეებით და მართლებად გამოაჩინა შენი დები შენმა სისამაგლეებმა, რომლებიც შენ ჩაიღინე. 52. შენც იტვირთე სირცხვილი, შენი დების შეიცხველო, შენი ცოდვების გამო, რამაც მათზე უფრო სამაგელი გავგზავდა. შენზე მართლები არიან ისინი, შენ კი გრცხვენილდეს და იტვირთე შენი სირცხვილი, რომ გაამართლო შენი დები. 53. მე დავაბრუნებ მათ ტყვეებს, სოდომისა და მისი ასულების ტყვეებს, სამარიისა და მისი ასულების ტყვეებს და შენს ტყვეებსაც მათ შორის. 54. რათა იტვირთო შენი სირცხვილი ყველაფრის გამო, რაც ჩაგიდენია, როცა მათი ნუგეში იყავი. 55. შენი დები — სოდომი და მისი ასულები წინანდელს დაუბრუნდებიან, სამარია და მისი ასულები წინანდელს დაუბრუნდებიან, შენც და შენი ასულებიც წინანდელს დაუბრუნდებით. 56. ვანა შენს ყბაში არ იყო ჩავარდნილი შენი და — სოდომი შენი ამპარტავნობის დროს, 57. ვიდრე არ გამოაშკარავდა შენი სიბრძნე და ახლა შეიქენი საიციხველად არამის ასულთა, და მის გარეშემოთა, შენს მოძულე ფილისტიმელთა ასულთა, გარს რომ გეხვევიან. 58. შენვე იტვირთე შენი სიგლაზე და შენი სისამაგლეები, ამბობს უფალი. 59. რადგან ასე ამბობს უფალი ღმერთი: ისე მოგექეცი, როგორც შენ მოიქეცი, როცა შეიძულე ფიცი და გატეხე აღთქმა. 60. მაინც ვაეიხსენებ ჩემს აღქმას, შენი სიფაწვილის დღეებში, რომ დაგიდევნი, და აღვიდგენ საუკუნო აღქმას. რომელიც არასოდეს დაირღვევა ისრაელის მიერ. 61. ვავიხსენებ შენს საქციელს და შეგრცხვება, როცა შენს



უფროს და უმცროს დებს მიიღებ, ასუ-
ლებად მოგცემ მათ, მაგრამ არა შენი
აღიქმის საზღაურად. 62. აღიდგენ ჩემს
აღიქმას და, მიხედები, რომ უფალი ვარ.
63. რათა გახსოვდეს და გრცხვენიოდეს,
ველარ გაალო პირი სირცხვილისაგან,
როცა ვეველაფერს გაპატიებ, რაც ჩაიდი-
ნე, ამბობს უფალი.

თავი მეჩვიდმეტი

1. იყო უფლის სიტყვა ჩემს მომართ
ნათქვამი: 2. ადამის ძეგ! მიეცი გამო-
ცანა და შეუთხზე იგავი ისრაელის
სახლს: 3. უთხარი, ასე ამბობს-თქო
უფალი ღმერთი: დიდი არწივი, დიდ-
ფრთიანი და გრძელნაკრეტნიანი, ჭრე-
ლი ბუმბულით დაფარული, მოვიდა
ლიბანში და კნწერო მოაწვეიბა ნაძვს.
4. მოსტება ზემოთა ყლორტი, წაილო
ქანანის ქვეყნად და მოვაჭრეთა ქალა-
ქში დადო. 5. აილო იმ ქვეყნის თესლი
და ჩათესა ნაყოფიერ ყანაში, უხვ
წყლებთან დადო და დარგო ტირიფი-
ვით. 6. აღმოცენდა და შეიქნა რტო-
გაშლილი და ტანდაბალი ვაზი, რომ-
ლის ტოტები არწივისკენ იხრებოდა
და ფესვები მისი მის ქვეშ იყო. შეიქ-
ნა ვაზი, რქა გამოიღო და აუშვა ტოტე-
ბი. 7. იყო კიდევ ერთი დიდი არწივი,
დიდფრთიანი და უხვბუმბულიანი, და,
აჰა, ეს ვაზი თავისი კვალიდან, სადაც
დარგული იყო, ფესვებს იწვდიდა მის-
კენ და უშვერდა ტოტებს დასარწყუ-
ლებლად. 8. მაღლიან ველზე, უხვ
წყლებთან იყო დარგული, რომ გაეკე-
თებინა რტო და გამოეღო ნაყოფი, დი-
დებული ვაზი გამხდარიყო. 9. უთხა-
რი, ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი:
იღორძინებს თუ არა? არ ამომირკვა-
ვენ მის ფესვებს და არ მოგლეჯენ მის
ნაყოფს? გაუხმება ვეველა ამოყრილი
ყლორტი, გახმება, მაგარი მკლავი და
ბევრი ხალხი არ იქნება საჭირო, რომ
თავის ფესვს მოსწყვიტონ. 10. აჰა,
დარგულია, მაგრამ თუ იღორძინებს?
განა არ გახმება, როცა აღმოსავლეთის
ქარი ეშვერება? იმ კვალშივე გახმება,

სადაც აღმოცენდა. 11. იყო უფლის
სიტყვა ჩემს მომართ ნათქვამი: 12. უთ-
ხარი ურნ სახლს: ნუთუ ვერ ხედები,
რას მოახწევებს ესენი? უთხარი: აჰა,
მოვიდა ბაბილონის მეფე იერუსალიმს
წაიყვანა მისი მეფე და მთავრები და
მიიყვანა ისინი თავისთან ბაბილონში.
13. აიყვანა სამეფო მოდგმიდან სხვა
ვინმე და აღიქმა დაულო, ფიცში შე-
იყვანა და წაასხა ძლიერნი ქვეყნისა, 14.
რომ დამდაბლებულიყო სამეფო და არ
გამაყებულიყო, რომ დაეცვა მისი აღ-
იქმა და გადარჩენილიყო. 15. ის კი
აუჯანყდა მას და მოციქულები გაგზა-
ვნა ეგვიპტეში, რომ ცხენები და ბვერი
ხალხი მოეცათ მისთვის, განა იღორ-
ძინებს და გადარჩება ამის ჩამდენი?
აღიქმას დაარღვევს და გადარჩება?
16. ვფიცავ, ამბობს უფალი ღმერთი,
თუ თავისი გამამეფებელი მეფის ქვეყ-
ნაში, ბაბილონში, არ მოკვდეს ის,
ვინც შეიძულა ფიცი და აღიქმა დაა-
რღვია! 17. ვერაფერს უშველის ბრძო-
ლაში ფარაონი დიდძალი ლაშქრითა
და ურიცხვი ხალხით, როცა აღიმარ-
თება მიწაყრილები და აიგება გოდლე-
ბი მრავალი სულის გასაწყვეტად. 18.
შეიძულა ფიცი აღიქმის დასარღვევად
და, აჰა, მისცა თავისი ხელი და ყოვე-
ლივე ეს ჩაიღინა, ამიტომაც არ გადა-
რჩება. 19. ამიტომ ასე ამბობს უფალი
ღმერთი: ვფიცავ, თუ მის თავზე არ
მოვაქციე ჩემი ფიცი, რომელიც შეი-
ძულა, და ჩემი აღიქმა, რომელიც და-
არღვია! 20. მოვისერი მასზე ჩემს სა-
თხვეულს და გაუხვევა ჩემს ბადეში.
წაიყვან ბაბილონში და იქ მოკითხავ
მას მისი ვერაგობის გამო, რაც მივე-
რაგა. 21. მაზელით დაეცემა ვინც კი
გაიქცევა მისა რაზმიდან, დარჩენილე-
ბი კი ვეველა ქარის მიმართ გაიფანტე-
ბიან. მაშინ მიხედებით, რომ მე, უფა-
ლი, ვლაპარაკობდი. 22. ასე ამბობს
უფალი ღმერთი: ავიღებ ტოტს მაღალი
ნაძვიდან და დავრგავ, ზემოთა ყლორ-
ტებიდან მოწვევტ ვეველაზე ნაზს და
მაღალ და ასვეტილ მთაზე დავრგავ.
23. ისრაელის მაღალ მთაზე დავრგავ



მას და აუშვებს ტოტებს და ნაყოფს გამოიღებს, გახდება დიდებული ნაძვი და დასახლება მის ქვეშ ყოველგვარი ფრინველი და მისი რტოების ჩრდილში ყოველი ფრთოსანი დაიბუდება. 24. მიხედობიან მინდვრის ხეები, რომ მე, უფალი, ვამდაბლებ აღზევებულ ზეს და აღეზავებ დამდაბლებულ ზეს, ვახშობ ნელ ზეს და ვაყვავებ გამხმარ ზეს. მე, უფალი, ვთქვი და აღვასრულებ.

თავი მეთრამეტა

1. იყო უფლის სიტყვა ჩემს მომართ ნათქვამი: 2. ეს რა ანდაზა ვაქვით, ისრაელის მიწაზე რომ ამბობთ, მამებმა ისრიში შექამეს და შვილებს კბილები მოეკვეთათო? 3. ვფიცავ, ამბობს უფალი ღმერთი, თუ ვინმე თქვას ამერიდან ეს ანდაზა თქვენს შორის ისრაელში! 4. აჰა, ჩემი ვეველა სული: როგორც მამის სული, ისე შვილის სული მეკუთვინის, ეღონდ ცოდეილი სული უნდა მოკვდეს. 5. თუ კაცი მართალია და სამართლიანად და სიმართლით იქცევა, 6. არ ჭამს მთებზე შეწირულს და ისრაელის კერპებს თვალს არ აყვრობს, მოყვასის ცოლს არ უპატიოყოფს და თავის მირულ ცოლს არ ეკარება, 7. არავის ჩაგრავეს, მევალეს ვალს უბრუნებს, არ მტაცებლობს, მშიერს თავის პურს უყოფს და შიშველს სამოსელით მოხავს, 8. სარგებელში არ გასცემს და ვახშობს არ იღებს, ხელს არიდებს უკეთურებას და მართალ სამართალს აჩენს კაცსა და კაცს შორის. 9. ჩემი წესებით იქცევა, ჩემს სამართალს იცავს და მტკიცედ ასრულებს, ის არის მართალი კაცი და ჭეშმარიტად იცოცხლებს, ამბობს უფალი ღმერთი. 10. რომ ეყოლოს მოძალადე შვილი, სისხლისმღვრელი, ან მსგავსი რამის ჩამდენი, 11. არა საქმეში არ ბაძავდეს თავის მამას: ჭამდეს მთებზე შეწირულს, უპატიოყოფდეს თავისი მოყვასის ცოლს, 21. ჩაგრავედეს ღარიბ-ღატაკს, მტაცებლობდეს, ვალს არ

აბრუნებდეს, კერპებს თვალს აბრუნებდეს, სისაძაგლეს სწადიოდეს, 18. სარგებელში გასცემდეს და ვახშობს იღებდეს, და ცოცხლობდეს? არ უნდა ცოცხლობდეს! ვეველა ამ სისაძაგლის ჩამდენი სიკვდილით მოკვდეს. მის თავზე იყოს მისი სისხლი. 14. აჰა, ეყოლა შვილი, რომელიც ხედავს მამის ვეველა ცოდევას, რაც ჩაუდენია, ხედავს და ასე არ იქცევა. 15. არ ჭამს მთებზე შეწირულს, ისრაელის სახლის კერპებს თვალს არ აყვრობს, თავისი მოყვასის ცოლს არ უპატიოყოფს, 16. კრავის ჩაგრავეს, გირაოს არ იხუთავს, არ მტაცებლობს, მშიერს თავის პურს უყოფს და შიშველს სამოსელით მოხავს. 17. ხელს არიდებს უკეთურებას, ვახშობსა და სარგებელს არ იღებს, ჩემს სამართალს ასრულებს, ჩემი წესებით იქცევა, ეს არ მოკვდება თავისი მამის დანაშაულის გამო, ჭეშმარიტად იცოცხლებს! 18. მამა თუ მძლავრობს, ძარცვავს მოძმეს და უკეთურს სწადის თავის ხალხში, აჰა, მოკვდება თავის დანაშაულში, 19. თქვენ იტყვიით: რატომ არ იხეება შვილა მამის დანაშაულისთვისო? თუ შვილი სამართლიანად და სიმართლით იქცევა, იცავს ჩემს წესებს და ასრულებს მათ, ჭეშმარიტად იცოცხლებს! 20. ცოდეილი სული უნდა მოკვდეს, შვილი მამის დანაშაულის გამო არ უნდა დაიხაჯოს და მამა შვილის დანაშაულის გამო არ უნდა დაიხაჯოს. მართლის სიმართლე მასზე იქნება, ბოროტეულის სიბოროტე მასზე იქნება. 21. თუ ბოროტეული განუდგება ვეველა თავის ცოდევას, რაც ჩაუდენია, დაიცავს ვეველა ჩემს წესს და სამართლიანად და სიმართლით მოიქცევა, ჭეშმარიტად იცოცხლებს, არ მოკვდება, 22. არც ერთი შეცოდება, რაც ჩაუდენია, არ გაუხსენდება. თავისი სიმართლით, როგორც იქცეოდა, იცოცხლებს. 23. განა მსურს ბოროტეულის სიკვდილი, ამბობს უფალი ღმერთი, არამედ რომ მოიქცეს თავისი გზებიდან და იცოცხლოს. 24.



თუ მართალი მიიქცევა თავისი სიმართლისაგან და ჩაიდენს უკეთურებას, ჩაიდენს ყველა ხისამკლეს, რასაც ბოროტეული სწადის, იცოცხლებს განა? ყოველი სიკეთე, რაც გაუკეთებია, არ გაუხსენდება. ვერაგობის გამო, რაც ივერავა, და თავისი ცოდვის გამო, რაც შესცოდა — ამათ გამო მოკვდება. 25. თქვენ იტყვით, არ არის სწორი გზა უფლისა. ისმინე, ისრაელის სახლო! ჩემი გზა არ არის სწორი? ეს თქვენი გზებია, სწორი რომ არ არის! 26. თუ მართალი მიიქცევა თავისი სიმართლისაგან და უკეთურებას ჩაიდენს, ამის გამო მოკვდება. იმ უკეთურების გამო მოკვდება, რასაც სწადის. 27. თუ ბოროტეული განუდგება თავის ბოროტებას, რაც ჩაუდენია, და სამართლიანად და სიმართლით მოქცევა, თავად გაიციოცხლებს სულს. 28. თუ შეიგნებს და შეინანებს თავის ყველა შეცოდებას, რაც ჩაუდენია, ჭეშმარიტად იცოცხლებს; არ მოკვდება. 29. ამბობს ისრაელის სახლი, არ არის სწორიო გზა უფლისა ჩემი გზა არ არის სწორი, ისრაელის სახლო? ეს თქვენი გზებია, სწორი რომ არ არის! 30. ამიტომ ყველას თავისი ჭზისამებრ განვხვით, ისრაელის სახლო, ამბობს უფალი ღმერთი. შეცოდებისაგან და აღარ გექცევა დაბრკოლებად უკეთურება. 31. მოიშორეთ ყველა თქვენი შეცოდება, რაც ჩაიგდენიათ, შეიქმნით ახალი გული და ახალი სული. რისთვის უნდა ამოწყდეთ, ისრაელის სახლო? 32. რადგან მე არ მახარებს მოსაკვლევის სიკვდილი, ამბობს უფალი ღმერთი, აბა, მოიქეციოთ და იცოცხლებოთ.

თავი მესრამეტი

1. შენ კი, უნდა გამართო გოდება ისრაელის მთაერებზე 2. და თქვა: რა იყო ღედაშენი? ძუ ლომი ლომებში? იწვა ბოკვერთა შორის და ზრდიდა თავის ლეკვებს. 3. გამოზარდა ერთი ლეკვი, შეიქნა ბოკვერი და ისწავლა ნადავლის გლეჯა, ჭამდა ადამიანს. 4.

ესმათ ხალხებს მისი ამბავი, ჩაუარდა მათ ორმოში და ეგვიპტეს გაუყენეს ცხვირში ორგოლგაყრილი. 5. დაინახა ძუ ლომმა, რომ გაცრუვდა მოლოდინი, რომ დაილუპა მისი იმედი, მაშინ აიყვანა, ერთი ლეკვთაგანი და ბოკვერად დაისვა. 6. დაიარებოდა ლომთა შორის, შეიქმნა ლომი და ისწავლა ნადავლის გლეჯა, ჭამდა ადამიანს. 7. ისწავლა მიგდებულები ქვეყნები და აჩანავებდა მათ ქალაქებს. და შეძრწუნდა ქვეყანა და მისი სისახესვე მისი ბრძღვინის ხმაზე. 8. შემოადგნენ ხალხები ირველივ, იმ მიდამოებიდან, მოუსროლეს თავიანთი სათხვეული და შეიპყრეს ორმოში. 9. ცხვირში ორგოლგაყრილი გალიამი შეაგდეს და ბაბილონის მეფეს მიუყვანეს. შეიყვანეს ციხე-სიმაგრეში, რომ აღარ გაგონილიყო მისი ხმა ისრაელის მთებზე. 10. ღედაშენი ვაზს ჰგავდა შენსავით, წყლის პირას დარგულს. ნაყოფიერი და რტომრავალი იყო უხვი წყლის გამო. 11. გაუზნდა ძლიერი ტოტები ხელმწიფეთა საკვერთხოდ და ღრუბლებამდე აიყარა ტანი. ასე ჩანდა აზიდული და რტომრავალი. 12. მაგრამ რისხვით ამოიძირკვა და მიწაზე იქნა დაგდებული. აღმოსავლეთის ქარმა გაახმო მისი ნაყოფი, მოემტვრა და გაუზნა ძლიერი ტოტები, ცეცხლმა შეჭამა. 13. ახლა უდაბნოშია დარგული, უწყლო და გვალვიან მიწაზე. 14. გამოვიდა ცეცხლი მისი ზროდან და შეჭამა მისი ნაყოფი, აღარ შერჩა ძლიერი ტოტი ხელმწიფის კვერთხად, ეს არის გოდება და დარჩება გოდება!

თავი მეორე

1. მეშვიდე წელს, მეხუთე თვისათში, მოვიდნენ კაცები ისრაელის უხუცესთაგან, რომ შეკითხოდნენ უფალს, და დასხდნენ ჩემს წინაშე. 2. იყო უფლის სიტყვა ჩემს მომართ ნათქვამი: 3. ადამის ძე! ელაპარაკე ისრაელის უხუცესებს და უთხარი მათ, ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: ჩემს შესაკითხად არ მოხვედით? ვფიცავ, თუ

შეგვიტოვებინოთ, ამბობს უფალი ღმერთი 4. განსჯი მათ, განსჯი, ადამის ძევ? ვერ გაავებინე მათი მამების სისამაჯლენი. 5. და უთხარი, ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: იმ დღეს, როცა ავირნიე ისრაელი და ხელი აღმართე იაკობის სახლის მოდგმისათვის, გამოვეცხადე ეგვიპტის ქვეყანაში და ხელი აღმართე მათთვის და ვთქვი: მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი-მეთქი, 6. იმ დღეს აღმართე მათთვის ხელი, რომ წამეყვანა ისინი ეგვიპტის ქვეყნიდან ქვეყანაში, რომელიც შევიგულე მათთვის, სადაც მოედინება რძე და თაფლი, და ყოველი ქვეყნის მშვენებაა 7. ვუთხარი მათ: მოიშოროს თითოეულმა თქვენგანმა სიბილწენი, თვალწინ რომ აქვს, და ეგვიპტის კერპებით ნუ გაიუწმიდურებს თავს! მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი-მეთქი. 8. მაგრამ ამიჯანყდნენ და არ უნდოდათ ჩემი მოსმენა, არაეის მოუშორებია სიბილწენი, თვალწინ რომ ჰქონდათ, და არ მიუტოვებიათ ეგვიპტის კერპები. ვთქვი, რისხვას გადმოვანთებე მათზე, რომ მოვიკლა-მეთქი ჩემი ბრაზი ეგვიპტის ქვეყანაში. 9. მაგრამ ჩემი სახელის გულიათვის, რომ არ შელახულიყო იმ ხალხის თვალში, რომლის შორისაც იყვნენ ისინი და რომლის თვალწინაც გაუცხადე მათ ჩემი თავი, ისე მოვიქეცი, რომ ეგვიპტის ქვეყნიდან გამომეყვანა ისინი. 10. გამოვიყვანე ეგვიპტის ქვეყნიდან და უდაბნოში მივიყვანე. 11. მივეცი ჩემი წესები და გამოვეცხადე ჩემი სამართალი, რომელიც უნდა შეასრულოს ადამიანმა, რომ იცოცხლოს მათი. 12. მივეცი შაბათებიც, რომ ჰქონდათ ნიშნად ჩემსა და თავიანთ შორის, რომ სცოდნოდათ, რომ უფალი ვარ, მათი განწმენდელი. 13. მაგრამ ამიჯანყდა ისრაელის სახელი უდაბნოში, არ მიჰყვებოდა, ჩემს წესებს და შეიძულა ჩემი სამართალი, რომელიც უნდა შეესრულებინა, რომ იცოცხლა, და შელახა მეტისმეტად ჩემი შაბათები. ვთქვი, გადმოვანთებე-მეთქი მათზე რისხვას უდაბნოში მათ

დასალუპად. 14. მაგრამ ჩემი სახელის გულიათვის ვმოქმედებდი, რომ არ შელახულიყო იმ ხალხის თვალში, რომელთა თვალწინ გამოვიყვანე ისინი. 15. მაინც აღმართე ხელი უდაბნოში მათ წინააღმდეგ, რომ არ მიმეყვანა იმ ქვეყანაში, სადაც მოედინება რძე და თაფლი, და ყოველი ქვეყნის მშვენებაა, 16. რაკი შეიძულეს ჩემი სამართალი და ჩემს წესებს არ მიჰყვებოდნენ, და შელახეს ჩემი შაბათები, რადგან კერპებისაკენ მიუწევდათ გული. 17. მაგრამ ვერ გაიმეტა ისინი ჩემმა თვალმა დასალუპავად და ვერ გაწვივებულა ისინი უდაბნოში. 18. ვუთხარი მათ შეილეს უდაბნოში: თქვენი მამების წესებს ნუ მიჰყვებით, მათ სამართალს ნუ იცავთ, მათი კერპებით თავს ნუ იუწმიდურებთ-მეთქი. 19. მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი, ჩემს წესებს მიჰყვებით, ჩემი სამართალი დაიცავით და შეასრულეთ-მეთქი. 20. წმიდად შეინახეთ ჩემი შაბათები, რომ გქონდეთ ნიშნად ჩემსა და თქვენს შორის, და იცოდეთ, რომ მე უფალი ვარ, თქვენი ღმერთი. 21. მაგრამ ამიჯანყდნენ შეილები, ჩემს წესებს არ მიჰყვებოდნენ, არ იცავდნენ და არ ასრულებდნენ ჩემს სამართალს, რომელიც უნდა შეასრულოს ადამიანმა, რომ იცოცხლოს, მათით და შელახეს ჩემი შაბათები. ვთქვი, გადმოვანთებე მათზე ჩემს რისხვას და მათზე მოვიკლა-მეთქი ჩემს ბრაზს უდაბნოში, 22. მაგრამ უკან შევებრუნე ხელი და ვმოქმედებდი ჩემი სახელის გულიათვის, რომ არ შელახულიყო იმ ხალხის თვალში, რომელთა თვალწინ გამოვიყვანე ისინი. 23. მაინც აღმართე ხელი მათ წინააღმდეგ უდაბნოში, რომ გამოეფანტა ისინი ხალხებში და სხვადასხვა ქვეყნებში გამეხნია, 24. რაკი ჩემს სამართალს არ ასრულებდნენ და ჩემი წესები შეიძულეს, ჩემი შაბათები შელახეს და თავიანთი მამების კერპებისაკენ ეჭირათ თვალი, 25. მეც მივეცი მათ უვარგისი წესები და სამართალი, რომლითაც ვერ იცოცხლებდნენ. 26. გაუაუწმიდურე ისინი შესაწირავე-



ბით, ყოველი პირველშობილის გატარებით ცეცხლში, რომ გამენანაგებინა ისინი, რომ მიმხვდარიყვნენ, რომ უფალი ვარ. 27. ამიტომ ელაპარაკე ისრაელის სახლს, აღამის ძევ, და უთხარი: ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: კიდევ ამით შემბლალეს თქვენმა მამებმა, ვერაგულად რომ იქცეოდნენ ჩემს მომართ. 28. მივიყვანე იმ ქვეყანაში, რომლის მიცემას ხელის აღმართვით დაუპირდი მათ მათ კი მონახეს ყველა მაღალი გორაკი და ყველა ხემზვივანი და სწირავდნენ იქ თავიანთ მსხვერპლს, მიჰქონდათ იქ თავიანთი შესაწირავი ჩემს კასაჯავრებლად, აკმევდნენ იქ ამოდსაყნოსელს და ღვრიდნენ იქ თავიანთ საღვრულს. 29. ვუთხარი, ეს რა გორაკია, სადაც დადიხართ-მეთქი? და დღევანდლამდე გორაკი ეწოდება სახელად. 30. ამიტომ უთხარი ისრაელის სახლს, ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: ხომ იუწმიდურებთ თავს თქვენი მამა-პაპის გჯერ? ხომ ირყვებით მათი სიბილწეების კვალზე? 31. როცა მივაქვთ თქვენი შესაწირავი, როცა ცეცხლში ატარებთ თქვენს შვილებს, თავს იუწმიდურებთ ყველა თქვენი კერპით დღევანდლამდე, და კიდევ გინდათ, რომ შეგვეკითხვინოთ, ისრაელის სახლო? ვფიცავ, ამბობს უფალი ღმერთი. თუ შეგვეკითხვინოთ. 32. არ ახდება, რაც ფიქრში მოვლით, რომ ამბობთ: ვიქნებით, როგორც სხვა ხალხები არიან, როგორც სხვა ქვეყნების ტომები არიან, რომ ზესა და ქვას ვმსახუროთ. 33. ვფიცავ, ამბობს უფალი ღმერთი, თუ მაგარი ხელით და გაშლილი მკლავით, რისხვის გადმონთხევით არ ვიმეფო თქვენზე! 34. გამოვიყვანო ხალხებიდან და შეგკრებთ ქვეყნებიდან, სადაც გაფანტული ხართ, მაგარი ხელით და გაშლილი მკლავით, რისხვის გადმონთხევით, 35. და მივიყვანო ხალხთა უდაბნოში და იქ პირისპირ მოვიწ-

ვობთ განკითხვას. 36. როგორც თქვენს მამა-პაპას ვანვიკითხავდი ეგვიპტის ქვეყნის უდაბნოში, ისევე ვანვიკითხავთ თქვენც, ამბობს უფალი ღმერთი. 37. კვერთხის ქვეშ ვაგატარებთ და აღთქმის ბორკილებში ქმევიყვანოთ. 38. გამოვიყოფ თქვენგან მოჯანყებებს და ჩემს ურჩებს, და მათი მღვდურობის ქვეყნიდან გამოვიყვან მათ, მაგრამ ისრაელის მიწაზე ვერ მივლენ და მიხედვით, რომ უფალი ვარ. 39. თქვენ კი, ისრაელის სახლო, ასე ამბობს უფალი ღმერთი: წადით, ემსახურეთ თქვენ-თქვენ კრპებს და ამიერიდან თუ არ მომისმენთ, მეტად მაინც ნუღარ შელახავთ ჩემს წმიდა სახელს თქვენი შესაწირავებით და თქვენი კერპებით. 40. რადგან ჩემს წმიდა მთაზე, ისრაელის მაღალ მთაზე, ამბობს უფალი ღმერთი, უნდა შემსახუროს მთელი ისრაელის სახლი, ყველა ერთობლივ, ვინც კი არის ქვეყანაზე. იქ შევიტკობო მათ, იქ მოვიკითხავ თქვენს შესაწირავებს და თქვენი ძღვენის ნათავარებს თქვენს სიწმიდეებთან ერთად. 41. კეთილსურნელებად შევიტკობოთ, როცა გამოვიყვანო ხალხებიდან და შეგკრებთ ქვეყნებიდან, სადაც ხართ გაფანტული, და ჩემს სიწმიდეს გამოვანჩენ თქვენში ხალხების თვალწინ. 42. და მიხედვით, რომ უფალი ვარ, როცა მივიყვანო ისრაელის მიწაზე, ქვეყანაში, რომლის მიცემასაც შევპირდი ხელის აღმართვით თქვენს მამა-პაპას. 43. იქ გაიხსენებთ თქვენს საქციელს და ნამოქმედარს, რითაც უწმიდურდებოდით, და შეგზარავთ თქვენი თავი იმ სიკვითა გამო, რასაც სწადიოდით. 44. და მიხედვით, რომ უფალი ვარ, როცა ჩემი სახელის გულისთვის მოგვეკციეთ, არა თქვენი ბოროტი გზებისა და უზნეო საქციელის მიხედვით, ისრაელის სახლო, ამბობს უფალი ღმერთი.

მეზარ კვიტიავაძე

წიგნების ოთახი

სქელშუშთან, დაბრეცილ კარს შეაღებ თუ არა,
შემოგეფეთება ოთახი შენი, მღვრიე, მორღვეული —
უთაროებოდ დარჩენილი წიგნების მალარო.
ამალამ არ იცი, რომელ ფენას გამოანგრევ,
რა ზოდები დაშეავდება მტკიან, დაძარღულ ფეხებთან.
ვის გადაშლი, ვის გააცოცხლებ მცირე ხნით,
ვისი ტვინის წებოვან, შემჭვარტლულ ხეულებში გაივლი...
მიიწევ, რაგინდ ძნელი იფოს დაბინდულ წიაღიდან გამოღწევა...
მიილტვი, სალტვდ შემოგჭურია ხმელ, მზხინავ ფერდობზე
მომანძალე, ტყავშემოკრული, ჩაშავებული იარუსები...
სისხლისგან, ხორცისგან გვარ-სახელი დარჩენილა მხოლოდ;
ველა იმათგანი ბნელ მიწაშია სათითაოდ ჩამდნარ-ჩატკეპნილი...
იღლები... წებოამძერალი, კიდეშემოღლეტილი ტომებიდაა მალდა,
ევაილოვანი ოქროს ვარაფი რომ დაყვებათ აფცქნილ ყუაზე,
უყურებ, რამდენჯერ მოგივლია თვალი ამ მოუვლელ ყორღანისთვის;
წრიალებ, როგორ გინდა გააწვდინო ეს ფურცლები დარჩენილ დღეებს —
თვითეულს, ჩამოძონძილ კალთაზე, თითო შემზუთავი ღამე ჰკიდა.
ამ კედელს, გრიალით უეცრად ჩამოქცეულს, სანამდე გაქცევი?!..

საჯარო ბიბლიოთეკის ფილიალი (სტილი „მოდერნი“)

ძველი, მონუმენტური შენობა,
საუკუნის წინ აშენებული.
თეი რი, მზეზე გაფიცებული ქვის წვივები
(ცხადია, მკვიდრად დაბჯენილ სვეტებს ვგულისხმობ)
ფარავს შიგ მომუშავე გაუთხოვარ ქალებს,
მუხის კატალოგებს რომ დასტრიალებენ
და ბროლივით ჩათლილი წვივები უხურთ...
ანელებს გულის ბავუნს გახამებული ხალათის სიგრილე,
რუხი ქვის პერანგში გამოიკეტა მათი ცხოვრება —
გაუხარელი, დღიდან დღემდე მიწუმათებული.
ეს ჩუმი კვლომა ერთი მთავარი ჭირია,
ერთი მოუშუშებელი სატკივარია
ჩემი გამორჩეულად უიღბლო სამშობლოსი.

კიბიდან ღაბრუნება

ბავშვის სიკვდილი (თანაც მარცხიანი) იგივეა —
უეცრად გაქრეს ნაირფერი ჩიტებით დახუნძლული,
ათას ხმაზე აერიამულელებული მწვანე ტყე...
ძირიანად ამოითხაროს დიდი, ტანდაოქროვილი ფიჭვები,
რომელთა კენწეროებში ბრჭყვიალა სხივებია ჩამოპარული,
გათენებისთანავე დაბნელდეს წითლად ალანძული დილა,
ელვად დატრიალებული სამყარო დაიხუროს, გაქვეადეს...
გვირაბში ჩარჩეს ცეცხლოვანი, გაქანებული მატარებელი...
არ არსებობს საშინელება, ბავშვის სიკვდილს შეედაროს.

მწარედ მახსენდება

გამომეცლებოდა, აბა, რა იქნებოდა —
ფეხქვეშ ახრჭიალებული სანაპიროს სილა,
პირსის რკინის ბოძზე გატყვლამუნებული ტალღა,
ყურყუმა სიბნელეში თეთრი ტანით გადახრილი,
ბიჭვინთის დაკორძილი, ხორკლიანი ბზები,
გრძელფეხება, აბეზარი კოლოები რომ ახვევია,
თბილ ქარზე წაწვენილი, შებუმბლული ლერწმოვანი...
ღამით, ზღვის ფოსფორიან ტალღებში დაყვინთული,
ესტონელი ქალის გლუვი, მომრგვალებული მხრები...
ისლა დამრჩენია, ყველაფერი სიზმრად ჩავთვალო.

განმარტოება

ველარ გიფარავს ზალათი მუხლებს.
შენი ქმრის ტყავით მოფენილია
სქელი კედლები — გიცავს, ვიცელებს.
ღამფრთხალი გულის ისმის შუილი,
ხმა დახშულია. თვალს ვავლებ ნიეთებს...
კარგია, ვინვა არ თოშავს ჰაერს,
გამოთიშული აღარ შეგვაწუხებს ტელეფონი.
დინებაე უწყვეტო, მაცალე ორიოდ საათი,
ვიდრე გამაცილებ — ცარიელს, დაცლილს...
ჩინურ ვაზაზე გაკლაკნილა დრაკონის კლანჭი;
ემიშობ, ღოფა არ ჩამომაცალოს.
ქრუნ, პირდაღებულ, დაჭოროფილ ნივარაში
გუბდება ჩუმი, დასამარხად დარხეული ბგერები.
დაუწინწყლავს აბაჟურის დაწურულ შუქს —
დიღზურგა ტახტი, გაბარჯღული სავარძელი.
მატყუარაა, დროებითია სიმდიდრე შენი —
რძისფერი ველი, ქათკათა, სწორი მკერდი,
თმა მოქნეული, ზურგსუკან გადაყრილი.
ქვედაწელს იხდი, იცი, ვიხდება — თრთოლვა, კანკალი;
გრცხვენოდეს თითქოს, ფარდას მოქარგულს ამოუფარე...
დაფლითავს ვარდის ფურცლებს უფლება ფლიდი,
ნახი, სიფრიფანა პერანგი შეგამრება ტანზე,
გაპობილ ნაპრალში მალე ჩაეფლობა

პრიალა, ოფლიანი გორგალი გიშრის.
ვიცი, თითებშუა უნდა გაკურდეს, გაიწუროს —
ბუბუების კრილი მტყუნები, დაკეცილი.
ყველაზე მეტად შავი რგოლებით შემობურულ
თვალთა შესუბუბულ უბეებში გეტყობა შებერება.
ამიტომ, რკინის სარკეში ჩახედვა უფრო გაფეთებს,
ვიდრე ზარის ხმა, ზრიალით რომ დაუვლის ფანჯრებს.
ათიოდ წელი დაგინახავ — თმაგაფქვილულს,
ხელუბნამომკნარს და შევწუხდები...
მაგ თვალბეზით წაბლისფერი გეცმევა ქურჭი,
ბეწვი ძვირფასი, კმრისგან ნაყიდი,
რომ დაგიფაროს ყელი მაღალი და დაღარული.
უადგილოა, უხერხულია ამაზე ფიქრი ახლა,
მოუღლეო, მუხლებმოკეცილი რძეს სითეთრეში ეცილები.
ვაცალოთ სიცოცხლეს — დაუმცხრალ, უცნაურ საქანელას,
რას ვაქნევ, უგუნური, რა იქნება... ათი წლის მერე.

მასხანდობა წყნარი რკინის სასაპირო

ასე გვახსოვს, იქ ზამთარშიც
სამებნია ჩერო,
სილას ლოღნის ტალღები და
ფშვინავს ვარადერო.
მოშრიალე აბრეშუმო,
ცაჲ სამოთხის დარო,
შენი მზის ქვეშ ველარასდროს
ველარ ვინეტარო.
მიღის, მიღის ეს ცხოვრება
გამალებით, ჩქარა; —

რასაც შენატროდა თვალი,
გახსლტა, გაიპარა...
ყველაფერი წლებმა როგორ
უნდა გადათქეროს...
არ ვიცი, რამ გამახსენა
თეთრი ვარადერო.
თქვან, არსებობს სიყვარულზე
უფრო მარადი რა;
სხვამ რომელმა გამახარა,
ანდა — ამატირა.

საზნადისი

ამოქარგული მდელი
დაემგვანება ქვიშრობს,
აწივლებული ქარი
ძვლებს და გულმუცელს გვიშრობს.
მოუღლეღს, მოუღუნველს,
რკინას მადგამენ უღლაღ,
ამღენმა ზარმა, მოთქმამ —
დამამხო, დამამწუხრა.

ყამი — გამქცევი, დამქცევი —
რამდენიც არ ვეცაღო,
მანიშნებს, მილაგ-მოლაგდი,
უნდა წახვიდე ცაღო.
ცვარგადაყრილი დილისა
ადრეც ეიცოდი ფასი;
ცახცახებს, მივლის გარშემო
მე ლასო ტოროლასი.

ნისში მოქცეული

ადრე, უწინ რომ იცოდა,
ისე ვერ წვიმს, ვერ თოვს,
რა კენა, რისი თქმაც მე მინდა,
არ ესწრება, ღმერთო,
ისე გამორთულიც არ ვარ,
2. „მნათობი“ № 1-2

თავი რომ გამერთო,
ჩიტის, კაცის მოსაკლავად
თითს ვერ დაეაჭერ თოფს,
მოცელილი, მეც ავივლი
ერთ მწუხარე ფერდობს





იანას შვიცოლა

ერყენული
გონიროთქა

მცდის სიკვდილი: აქ რა ხარ და
ვერ ივარგებ ჯერ იქაცო,
რამდენს უძლებ, გულ და კბილებ —
ჩაღეწილო ბერიკაცო.

შენთვის უფრო სხვა ვიქნები,
სხვა სამოსში გამოგაწყო...
დამაცადე, გადავაბა
შენი წარსული და აწყო.

არაფერს გაკითხაბი

არც იფიქრო, ეწვევი,
რამეს სამართლიანს,
საწუთროსთან მთრეველთან,
რა დროს კამათია,
დაჭმუჭნული, ნაოჭში
ჩამსვა, ჩამატია.

ვარდის დამჭკნარ ფურცლებად
ლობეს მისაშლელი,
შენ რა უნდა მიჩნო
ანდა მისაშველო.

ისევ შექმნარაი კეკელას სიკვდილს

ქუნის ფანჯარა პირველად ენახე
ხოჭოსნაირი შავი ჰეპელა...
დაუნერებოდი ხავერდის ნახევს,
უფალს რტო მისი გადაებულა

ბანვის მაგიერ რად ერგო შხამი,
ყინულის ნემსი ვინ გაუყარა.

დაშრა, დაშორდა თვისტომებს
ფრთაჭრელს,
არ ცდილა, მქონდეს ჰერი, ბინაო...
არც უფიქრია, საქროლად გაჭირის,
რა საოცრებამ გამაჩინაო.

გაწვართულია. აღარას გრძნობენ
ფეხები — ვიწრო, შავი ლასტები...
ვთქვი: უკვე წიაღს ჩაბარდი, მშობელს,
ახლა თანდათან გაღამაზდები.

ფეთქავდა მტვერში ნამცეცი ღამის...
გულმოსაკლავად და საწუხარად,

მიკვროდა ფრთები განიერ კისერს,
სიამე სოფლის ექცა ხიფათად;
ავვისტოს მზეში კვდებოდა ისე,
აღარც ახსოვდა, თუ დაიბადა.

შუალამისას გაოღვიკვებული

ოქრონაელები ბურთი მთვარისა
საცა დაუტოვე, დამხუდა იქ არა,
თრიალეთისკენ, ბაკების მხარეს,
გაღაწვა ღამით და გაღიხარა,
ღღეს რო მე რამე მალადებს ანდა

მახარებს, ისე მტერმა იხარა,
უბედურების, ჩვენის, შემყურე,
დაიწვა გული, ამოიღარა,
აბოლებული მიწა ყვრება,
ჯავრი ვერაფრის ამოიყარა.

ვისვავლე მოხარის პზა

დაგაქვს რძით სავსე ჯიქნები,
მულამი შენი მიგნების
ზეპირად ვიცი — სად, რა დროს,
ანდა რამხელა იქნები.

სტუმარო სახურავების,
ამ სახლის, ფარღალღალისი.

გაბოვი, სულ არ მჭირდება
თვალთვალი, ხელის ცეცება,
შუალამისას, რიერაჟზე —
ცის რომელ მხარეს გემებო.

შენი ვარ, გავიჩენივარ —
სატანჯად, ღამის სათევად;
ვეჭვ, სიყვარულის, ჩემდენის,
შეიძლოს ვინმემ დატევა...
ვინ იცის, თავსაც გაბეზრებ,
ჩემგან ნაფერებს, ნადევარს.

გადმომაბნიე რამდენჯერ
ოქრო და ვერცხლი ხალასი,



შიში გაღარჩნის

ფორად გადაბურული,
ზოვა ერთი ღამეც და...
ერთხელ, მთვარის ბილიკზე,
ვაძუ, ფეხი ამიცდა.
ღაფოფრილი ღრუბელი
ღამეზევა ძაძებდა;

ვინ მიხილავს უფსკრულში
ღანთქმულს, ძნელად საძებარს.
ოქროს შიბი გაწყდება,
ხელმეორედ ვიშობი,
გამახსენებს დასაბამს
შიში მარადისობის.

შიში გაღარჩნის

ვერეს ხევში შემოდგომის
ოქრო ყრია ჩეჩქად,
მეც ხომ ეამმა, კაკალივით,
თავი გამინჩქვა.

სამოთხეა ქანაობა
წაფერდებულ მზეში,
მომენვენა, აცეცხლებულ
ტბისკენ გადავეუვი,
ვემალეები ქარს, უცერად
ამოვარდნილს, შემლილს.

ბიკში

ჯერ მოვინჯავს, დაგაჯერებს,
უნაური რთა ბგერა,
არც უკითხავს, ამ დილითაც
სული ისე აამღერა.
ბერო ბაღლო, რას მიხვდები,
რა ბაღლამი გელის ზვალამ;

ვერას იზამ, შხამ-ცოფისამ
გადაგლეკოს ეგებ ტალღამ.
გამახელებს ხილვა შენი,
შემოდგომის, უხვის, ფრიზო,
შემახსენებს ყურძნის ქარვა, —
ღამღევაა სექტემბრისო.

ღაკარბული ხალისი

რაც მიყვარდა, წავიდა,
რაც არა და — ღარჩა,
გულში ისარგარჭობილს,
რალად მინდა ხარჭა,

რისთვის ველაციცები
ქარვასა და მარჯანს,
ვის მზესაც ვიფიცავდი,
მისი კვალიც არ ჩანს.

სიბერის სუსხი

ვაზის ფოთლები ყვითელი,
გატრუნულ ჰეპლებს გვანანს;
ბრიალა ნოემბრისაგან
სხვას რას ელოდი, განა?!

მალე მოდგება ზამთარიც —
უფმური, ბებრუხანა...
აჩაღულია, სხვას ღარჩა
შენი ეზო და ყანა.

ნახვინჯი სილაგაჲ

შემოდგომის ყვავილებს
 სხვანაირს ვცემ პატივს;
 სხვა სიამეს მაგემებს
 მე დანახვა მათი...

ღურჯი, წითელ-ყვითელი —
 მკვეთრი და ხასხასა...

თუკი დააკვირდები,
 სხვა ფერი აქვს ცასაც.

თოვლს შეშურდეს, რა სითეთრეც
 ქრიზანთემებს დასთრევს,

რა ლაქვარდიც, სხივებგაშლილს,
 აფენიათ ასტრებს.

რამდენს მიეგებები
 მზეს, მომთენთავს, თუ ქარს,
 სად გაჰყვები ბილიკებს,
 მთვარის დანაშუქარს.

ამ დროს ფსკერი — ცივი, მუქი,
 ეწმინდება წყაროს,
 დაგშენდება, ეს ფოთლებიც
 გულზე დაგეყაროს.

პიანა...

სახით ღვთიურს, სახილველს,
 თვალით ვჭკრი და ვზომავ,
 გაქვავებულ ღრუბლებზე
 ვიცან შემოდგომა.

აღეას შემოაცრიცა
 სამოსელი, გარსი,

ჩუმაღ იცის მოპარვა,
 კიდევ ვიცან ქარზე.

მამცნეს ფეხისგულეზმა,
 გაგრილდაო მიწა;
 ჩემი ამტირებელი
 სხვა რამეზეც ვიცან.

განმორკების ვუნდი

ყელი წითლად ჩამეხა და
 გული ჩამიხმა;
 ერთადერთი, ჩამესმოლეს
 ჭრიჭინების ხმა.

წრეში ჩამდგარს, აუწერულ
 ნეტარებას მგერის, —

ყურმენივით შემღვრული
 ღამე სექტემბრის.

გადასარკულს, სად აქვს ფსკერი
 ცის ვეება გობს...
 ამ ხასწაულს კაცის გული
 რანაირად თმობს?!

ნოსლიანი ღამე პიანო

(უპირესი მოგონებებიდან)

წოწოლა ბუხრის ქუდები,
 შავ-შავი, ზურავთ მწვემსებს —
 სულ მახსოვს, დღემდე მოქმედებს
 ერთხელ ნანახი ჩემზე,
 არ მავიწყდება ის დღია,
 მთაში რომ წაეიხემსე.

ჯობებგაყრილი გულები
 კრათ, გადაელეს ბექი,
 სიზმრისხას გავდა ის ნისლი,
 მეც ჩემს გზას დავაღექი.

სსოვნაში ჩარჩენილი სურათი

ნაწეიმარზე ღრუბელი
 შავად გაწელილა;
 უძირო ცის, კამკამას,
 წაშლილია ღილა.

ელავს შექარვებული
 ვაშლი, გასაკრუფი,
 ყელში დნება შაქარი,
 შენც ასევე დნები.

დედღე, ნაცარმოყრილი,
ჩაქრა, ჩაიფშუკა,
მელნისფერში ნელნელა
იძირება შუკა.

მრავალძარღვას, სამყურას —
ენვეთება ნამი,
სოფლის თავზე, ფარფატა,
დაფრუნს ტვისქათამი.

წვილიანება

მოყინულა ქუჩები,
გარეთ დეკემბრის სუსხია,
რამდენი ვიცი, ზის თბილად,
ჭიქამი ღვინო უსხია...

გაითოშება თავშივე,
ტანი თუ დარჩა რუს ღია,
რამდენი რამე (ვერც მოვთვლი)
საფიქრე, აღსანუსხია.

კვირვასი აღამიანების სამარსთიან

ქარი სტვენდა აღარ იყო
საქებარი მზვარე;
გაყინულმა გაყინული

მიწა მოვაფარე...
მეხსომება ეს წუთები,
სიკვდილივით მწარე,

დეკემბრის ღილა

დაბზარული ვიტრინები
ჭირხლმა თეთრად მოხატა,
ვინდ პეიზაჟს მიამგვანე,
ვინდ ჩათვალე ნოხადა.

მსხმოიარე ზაფხულს სუსხმა
სესხი გადაუხადა —
დააშიშვლა ხეები და
ჩაამწკრივა რუხადა.

შიში

რა გაქვს გულში, რას მიპირებ,
ახალი წლის დამდეგო?
ახლა რომ ვარ, იმის მეტად
რალა უნდა დამდაგო?!

საითკენ გაქვთ, ნეტავ, გეზი,
შოსევ და ღიანდაგო,
სადაცაა სულ დაღვები,
ცხენო ჩემო, ჯანდაგო.

ტანში სიციხვა გაგადარი

გაწოლილ ღრუბელს არ ახლავს
ბრჭყვიალი სადაფისა...
წყალი, შადრევნის დაღვრილი,
ყინულმა გადაფისა;

რა ნუგეშია, არ ვათბობს
ნათება თეთრი მზისა,
იმან რალა თქვას, დღის შუქი
სულ ჩაქრობია ვისაც...

კოცონი შუა ჯოჯობი

უნდა ემსგავსო ქვასა და ლითონს,
ცეცხლს ვანთებ დაბლა, ვრია ჯოჯობი;
ზედ მივეფიცხე. საწუთროვ ფლიდო,
არც გემღურები, არც გემოყვრები,
გვიღვას ფინჯანი, ჩვენ, თითოს —
თითო,
თავიც არა მაქვს ჩაის მოზერების,

თავი ბურუსი ზამთრის ღამეში

ირწევა ბაღე ციური რუკის,
მთვარე უძველესს ქსელავს გზასავალს,
გადაადვარა რძისფერი შუქი
ჰაერს ნამიანს და განაზავა.

მნუსხავს ქათქათა მუცელი მისი,
მივწვდები, ვერცხლის თოკი გავიბი,
ლამის ხელები დაეუსვა, ისე
გადაათეთრა სახურავები.

სოკრატეს სახი

ვიცი, ვველაფერს თავის წესი აქვს,
ბევრჯერ დავრწმუნდით, ძმაო ტარია,
ასეც და ისეც, რომ პოეზია

ირონიასთან წილნაგარია...
ვერ ვაიგებენ იოლად სხვები,
ჩვენ რაც ვვაწუხებს და ვვიხარია.

ოზიანი ფლავის კოვჩაში

იყო ხალხი, ჰქონდათ გრძნობა —
ფორმის, სინატიფის,
ხშირად ლექსებს შენც ვიძღვნიდნენ,
კარგო ძაღლო ჩიბის...
მე ვერაფერს შევთავაზებ,

ფულიც არ მაქვს ჯიბის,
ჩანს, საშველი არ იქნება
ჩემნაირი ტიპის,
მიმქრალ შუქზე ლიფლიფისა,
შეხსნა მიყვარს ლიფის...

მივძივარ კმისა და დედ-მამის საფლავზე

აქ წვანან, ნუთუ ეს არი
ცხოვრების ჩვენი ჯამი,
რამდენთან ნასაუბრი ვარ,
რამდენთან — პურნაჭამი...
თქვენც აქ ხართ, წმინდა სამყოფელს

ვერ მოეუარე, მამი,
ზოგჯერ მზე გადავთ, ზოგჯერაც
ცის ვეპკურებათ ნამი,
თვალი ვერ ზედავს, სამ ხეზე
ზის ანგელოზი სამი.

ერთ სურავზე პავლიკოვსკი

არ გაგვახარეს, გვეხურა
ხან ბუხრის ქუდი, ხან — ჩალმა,
შენი ხმა-სახე მომცა და
მერე ამჩეხოს ხანჯალმა.

მინდოდა მეთქვა: „ლომკაცო,
აღსდექ, მახვილი შეიბი! —
ისე ვიხდება სიმღერა,
ისე ვიხდება ქეიფი.

პირს ნათელგადაფენილი,
მოხველი, გაგვახალისე,
„ჩაკრულო“, „მრავალყამიერ“ —
ავარდნას გავდა აღისა.

დაგვირდეს, შენი ხელები
მშვილდსაც, ისარსაც გათლიან;
დაჩოქილს წამოაყენებ,
ესეც ქართული მადლია.

ჩასაქალღებელი

არ ჩანს კაცი, სახე რო
ლერწმოვანში ჩაბატა,
არ გამოჩნდა, ეს გვეყოფა
სირცხვილადაც, დაღადაც,
არ ჩანს კაცი, იყვიროს,
მე მოვკალო ჩაღატა.

გაღიწურა იმედი,
გულსაკლავედ დაღამდა,
კაცი გვინდა, იყვიროს —
მე მოვკალო ჩაღატა.

ვინც სამშობლოს გაუნდა
მკვლელად და გამგუდავად,
არ დავმალავ — იმის მკვლელს
დავლოცავდი უდავოდ.

მერალი სული გავარდეს
სულძაღლს ფიცხლად, ფიცხადო,
მთელი საქართველოს ნატერა,
დრო არი, ამიცხადო.

თხილვა

ველის აზიდვა იცით არჩევებმა,
გაწვევი ქელი გიხდება, ზაქო,
თავს ვატყობ, უფრო ის მემარჯვება,
სხვათა შნო, სხვათა ლაზათი ვაქო.

მიყვარს რაინდთა გერბი და დამლა,
ცის ხატვა, ფერის ფერში შერევა;
თუ რამეს ნიშნავს, ეს ნიჭი დამყვა —
სხვათა გმირობის მოსიმღერე ვარ.

მივტირი ღაპარბულს

სულო, ნათლით განბანილო,
მზის სხივზედაც მსუბუქო,
დაუძრახველს გეძახი,
უნაღარო, უბუკო...

ღმერთო, იმ ტრედს უსასრულო
გზა არსად გაუბუქო...
სულო, წმინდად ჩასახულო,
ლაფვარდზედაც მსუბუქო.

პარსკვლავები — ღამისმთევლები

რა დამღლეღია, მთიებო,
უაზროდ ღამის თევა,
თქვენგნით მოჭედლილ ჩარდახში
ღღეს ვისი სული შევა...
ვინ ნახა თქვენი ზარდაშხა,
ვისი ტან-ფეხი იწვის...
საით გაქროლდა, რას ფიქრობს
დამტოვებელი მიწის.
ხანჩახებს „ირმის ნახტომი“,
ყოფნავ — სატიკო ომო,

ცაშია გამოკიდული
სიმდიდრე უსაზომო.
ბუერის კვალს დანთქავ, დაფარავ
კვლავაც, ხანძარო, ფერფლო...
ბრუნავს წრე მარადიული —
უმიზნო, უსარგებლო.
რამდენ გალაყანს გათქერავს
ცეცხლის თქრიალი, ნთქერევა,
თქვენს საუფლოში ამაღამ,
თქვით, ვისი სული შევა...

• • •

ერთხელ, ყრმობისას, მახსოვს —
ბროლის ღარნაკში ჩამსვეს;
აღარც მგონია როსმე
თუ ველირსები ამ სვეს...
თვალის წამერთვა ჩინი
სხივთა გვირგვინით მოხილს,

ჩვილ ველზე ბროლისავე
მეკადა ავგაროზი...
ჭურჭლის წახნავი რვავე,
ენთო, ბრწყინავდა მზეზე...
გარს ეუტრიალებ, მას შერე
იმ კოშკის კარებს ვეძებ.

გაუჩინარება

წავალ, ასე ნიავე
იკარგება ფანაში...
ვის დააკლებს გაქრობა,
ჭაცრა ჩემისთანასი.

ვბრაზობ, მომბეზრებია
ცრუ ზრიალი ბაზრული,
წავალ, სადაც არ იქნება
ბოლო და დასასრული.

ჯეჯალ ქირია

ქიბე იაკობისი

რომანო

10

ბოტანიკურს ჰადრის ხეივანი კვეთს. ბილიკზე ჰრელი ჩრდილი აფენია. სამნი გარბიან თვალეზი უჰრელდებათ.

— სად მივრბივართ? — ჰოშინებს დურუ გეგია.

— ამ ბოლოდან იმ ბოლოსაკენ! — ძლივს ამოთქვამს არიქა ძაძუა.

— იციო, თოლორაია ახლა რას აკეთებს? — კითხულობს მართალი. — ლესტამბეს ცხვირი ალბათ ძალივით წაუგრძელებია და ნაკვალევს სუნავს!

წინ ბზა გადაწოლილა, დაგრაგნილ ურჩხულსა ჰგავს... იქნებ მართლაც ურჩხულია, მუზეუმის კედლიდან გადმოსახლებულა ბოტანიკურში... თუმცა რა უნდა მანცხვარკარში ურჩხულს! ასეთი საოკრებები მანცხვარკარში არ ხდება. აქ ცხოვრება აწყობილია. რაც ადრე მოხდა — მუზეუმშია. ახლა დიდი დიდი მტრის აგენტი შემოიპაროს და წყალი დაწამლოს... ეს აგენტიც ალბათ ვაგა ზარქუას მონაგონია... იმიტომ თუ დასჰირდა, ჰვეყანას გააგებინოს, უქმად კი არ ვზივართ, აგე, უცხოურ აგენტებს ვიჰერთო... რაც საინტერესოა, ყველაფერი მოხდა! ამ ქალაქში ურჩხულიც კი არ იჩეკება... მოსაწყენია ცხოვრება, როცა ყველაფერი უკვე მოხდა...

— რატომ? — ჩაეკითხა ერთხელ ისტორიის მასწავლებელი, გამხდარი და

მაღალი აქლემი, პარმენ სიგუა. — რატომ არ ხდება?.. მანცხვარკარში ისტორია იტედება! — თითი ასწია, ვილაც უზილავს დაემუქრა. — ჩვენ მსოფლიოში ყველაზე მოწინავე, ყველაზე პროგრესულ, ყველაზე დემოკრატიულ და ბენდიერ საზოგადოებას ვაშენებთ!

„სხვები ძან ჩამოგვრჩენ, — ფიქრობს მართალი, — აგერ თურქები, თურმე შიმშილით იხოცებიან... გადავიპარები და წითელ დროშას ავაფრიალებ!“

— იმიტომაც მტერი ბევრი გვყავს! — გაფარჩხულ თითებს მუშტად შეკრავს აქლემა-პარმენი. — ის აშკარად როდი გვებრძვის, კუთხე-კუნძულში მიმალულა. — ამ სიტყვისას ჯოხით საკლასო ოთახის „კუთხე-კუნძულს“ ჩხევრავს. — რაც უფრო მეტად გავიმარჯვებთ, მტერი მით უფრო გააფთრებით შემოგვიტევენ... ამას გვასწავლის დიდი ბელადი!

„მტერი ბრიყვია! — ასკენის მართალი. — მისთვის მთავარია, ოქრო მოიხვეჭოს, მუცელი ამოიყოროს, ღივი დაიყენოს. — ერთი ღორმუცელი ბიჭი, ბოჩია ცინტორია ახსენდებოდა. ლუარსაბივით მსუქანი იყო ბოჩია ცინტორია, მოუთმენლად, თქველფა-თქველფით ჰამდა. ლუქმას პირში რომ იტენიდა, სალოკავს, და შუათითს ახმარდა. — რა თქმა უნდა, ბურჯუა და პარაზიტი სწორედ ასე ჰამს!“

— ფხიზლად იყავით, ბაღნებო! — უფრო ცხარდებოდა აქლემა-პარმენი. — მტერი ყოველ ნაბიჯზეა, მთელი მანცხვარკარი აგენტებითა და ტროცკისტებითა სავსე!

„ნეტა აგენტი და შპიონი დამაჭერიანა, — გულისფანცქალით ოცნებობს მართალი. — უფრო კი — ხალხის მტერი ტროცკისტი...“

ტროცკისტი მტერია, მტერს ბიკენტი თილორიაა ებრძვის, ლესტამზე ბიკენტის შვილია, ლესტამბეს რატომღაც მართალი ეზიზღება, მართალი კი ლესტამბეს გალახვიოთაც კი ვერ გალახავს... თავში დომხალია, ყველაფერი ერთმანეთში აირია.

— სად მივრბივართ? — კვლავ კითხულობს ღურუ.

— სადაც ურჩხული იჩიკება! — პასუხობს მართალი.

— რა გვინდა იქ? — არიქაც ყოუნდება.

— უცხოვს კვალს ავიღებთ! — დარწმუნებულა მართალი.

— მართლაც რომ შეგხვდეს? — ეშინია არიქას.

— თუ შეგვხვდა და ფეხებს ქარი დაეატანოთ! ამბობს ღურუ.

აქ უკვე ბოტანიკური ბაღი თავდება, ჩვეულებრივი უბნები იწყება. მოსაწყენი ორღობეები კვეთენ ერთმანეთს. ზოგი მოხრეშილიც არაა, აქა-იქ გუბურა ღვას. გუბურის პირას მოწყენილი ბაყაყი თვლემს, ვიყინი ეზარება... ნესტიით ჩაშავებული მესერი, წყნელის ნაღობი, ტრიფოლიატი — ზოგან ლარზე გადაკაფული, უფრო კი უშნოდ აძემიელი. ოღბეებს მიღმა მოსაწყენ ეზოებში მოსაწყენი ქათმები იქექებიაან... კამჭი წამოწოლილა და იცობნება... ტალახში ამე განგლულ უღლიან ღორებს ერთიერთმანეთზე სძინავთ... თხამ კიკინით მოიხედა, ტურებს აპარბალებს, თითქოს რადაცას ჩქარ-ჩქარა ამბობს.

ყველაფერი ნაცნობი და ჩვეულებრივია, ახალს ვერაფერს აღმოაჩენს!

— ვითომ რატომია? — კითხულობს გეოგრაფიის მასწავლებელი გრიშა ყო-

ლბაია, ხის ფეხს ეყრდნობა, სადაც ამ ოშში კი არა, წინა, პატარ-პატარა ოშებში დაუკარგავს, რომლისა არავის არაფერი სმენია, დაჭრილ-დახოცილთა რაოდენობა კი მანცხვარკარსაც დაეტყო.

— ამერიკის აღმოჩენა როდი კმარა! — ხის ფეხზე რეზინის ქუსლია აჭედელი, მაგრამ გრიშა მასწავლებლის ნაბიჯს ისეთი ბრაზუნე გააქვს, ალბათ ეზოშიც ისმის. — აბა, რომელი ყოფილხართ ჩხერიის სათავეზე?.. არავინ?.. ჩხერიის სათავეც გეოგრაფიაა, ჩხერია სადაც იწყება და აქ, ჩვენს ქალაქში ჩამოვიღის...

ორღობის ბოლო მოტიტვლებულ მიწოდორში გადის. ადრე ეს ადგილი უღრანით იქნებოდა დაფარული, შემად გაიხმარეს. მერე საქონელი მიესია, მდელის თავის აწვევა არ აცალა. ბაღახსაც რა ექნა, მიწისპირს მიეტმანა.

— სათავე სულ ახლოსაა, ხუთ-ექვს კილომეტრზეო, ბაბამ მითხრა! — არიქას ბაბა არ შეცდებოდა. სიმთვრალესა და სიმთვრალეს შორის, თუ შვილს ქამრით არა სცემდა, უფროსი ძაძუა ჩხერიაზე ფაცრით დაძვრებოდა აღმადაღმა.

მიწოდორი დაბლდება ჯერ ხრეშია, მერე მსხვილ-მსხვილი ლოდები. ჭოროშში ჩხერიას გამჭვირვალე წყალი მიედინება ჩუმი, მონოტონური შხუილით.

— ჩუ, უსმინეთ, ჩხერია ყვება! — მართალი თითს მალლა აიშვერს.

ჩხერია მოშხუის პატარა ჭორომებში, ლოდებს, გვერდებს უბანს, თავზე გადასდის. ნაპირიდან ნაპირს ეხლება, თავიქვე მიგორავს, სწორზე ტბორდება, მერე ისევ მიგორავს, თან მიაქვს წყლის ხეში და გრილი სუნთქვა.

— უტუს ჯარმა ჩამოიარა თურმე ჩხერიის ჭალებში, უტუ თოდუასი, მართალიად წოდებულისა. აი, აქ, მაცხოვრისგორის ძირას შედგა... მანცხვარკარი მამინ ჯერაც არ დაბადებულიყო... ღვას უტუ თოდუა, გაკყურებს ჩხერიის

სანახებს, უღვევი ჯარი კი მოდის და მოდის, მდინარესავით მოედინება... „უტუში ჯარიში ვოლუფირო, ვო-პო-პოიაო-ლო!“ — მღერიან მოლაშქრე-ნი..

ჩხერიის გასწვრივ ვიწრო ბილიკი მიიკლაკნება. გაღმა-გაძოღმა მინდვრის ვიწრო ზოლებია. აქა-იქ თხმელა წამო-მართულა, ტოტები ეკალას და მყვალს დაუძენძია... ოდა-სახლები და ეზოები მოშორებით ჩამწკრივებულია. მშვიდმა ჩხერიამ ზანდახან გადარევა იცის, ადიდ-დება, აქაფდება, აღრიადდება, ნაპირებს გადმოლახავს... მოსახლენიც კრიდეზიან ეკრძალვიან, მოშორებით სახლდები-ან ახლა უწყინარია ჩხერია, — მოშხუ-ის, მობუტბუტებს, მოლუკლუკებს, მა-რთალს უგდებს ყურს.

— ისე ყვები, თითქოს შენც იქ იყავი! — უკვირს ღურუს.

— მამ, იქვე ვიყავი! — თავს უქნევს მარა აღი. — ლოდს უკან მივიმალე, მართალია თოდუამ ბაკანში ხელი ჩა-მაგლო, ამიწია და თვალბში ჩამხედა! — ბაკანში? — პირი დაალო არიქამ.

— ჰო, მე ხომ მაშინ მდინარის კუ ვიყავი!

გიჯია ეს მართალი!

ჩხერია ყვებო!.. ჩხერია რას უნდა ყვებოდეს, მოჩქრიალებს, მოლუვენრობს და ეგაა.. რაც გუშინ იყო, იმ წყალმა ჩაიარა, ახალს ახალი ამბები მოაქვს ალბათ. ჩხერია თუ რამეს ყვება, მაშინ ნიაიცი ყვება რამეს...

ნიაიცი მოფარფატებს ჩხერიის სანახე-ბში, წყლის სიგრილეს აიტაცებს, ნა-პირის ბუნქნარებში შესისინდება, ხე-თა ტოტებს შეარხვეს.

აქ, ამ ადგილას მანცხვარკარი თავ-დება. ეს უკვე ქალაქი არაა, სოფელია. ნაპირი უსწორმასწორო ხდება, აღმა-დაღმა არბი-ჩამორბის, ზან მწვანედ მოიქოჩრება, ზან ფანვიან პირს მოა-ლებს მორღვეული ფლატე, ბალახის ფესვსაც რომ არ იჭერს.

— ბაბაია აქ თევზაობს, — ამბობს არიქა. — ფაცრით იჭერს!

ხმაში სიხარული არ ეტყობა. მაშის

გახსენება კბილის ტკივილივითაა, იგი ღვინის სუნს და ქამრის სიმწარეს აგო-ნებს.

ღურუ არაფერს ამბობს. მას მამა სულაც არა ჰყავს. ისიც არ იცის, ჰყა-ვდა თუ არა ოდესმე. დედა ერთი ჩუმი, მოანგარიშე ქალია, კოდალასა ჰყავს. გრძელი ცხვირი საანგარიშოზე დაუხ-რია და ჩხინკა თითუბით ჩქარ-ჩქარა აჩხაკუნებს. რასაც ანგარიშობს, ხომ სულ სხვისია, შინ მოტანილი კაპი-კები ხელისგულზე ადნება... ამაზე ფი-ქრობს ღურუ გეგია და ჩუმიად ოხრავს.

— ჰეი!

შემკრთალი ბიჭები მალლა იყურები-ან. ბეკობზე ცხენოსნები დგანან, ბი-კენტი თოლორიაა, ვავა ზარქუა და ორიც სხვა. ბიკენტის ფრენნი აცვია, ფეხებზე აზიური ჩექმები. ერთი ხელით ლაგამი უჭირავს, მეორეში მათარხი-

— ჰეი, ყაჩაღებო, აქეთ საით გავიწე-ვიათ?

ვავა ზარქუა პატრონის ლანდივითაა, იმასავით აცვია. ჩუმიად, უთქმელად დახარსალებს ქალაქში, დიდებსაც ამი-ნებს და პატარებსაც.

ბიჭები თავდახრილები დგანან. ელოდე-ბიან, როდის ამოილებს ხმას ვავა ზა-რქუა, დავალება ამათ მე მივეცი და იმ-იტომ თუ დაუხეტებიანო, მაგრამ იგი ღუმს.

— რაკი ხმას არ იღებთ, ესე იგი სა-ყაჩალოდ მიდიხართ! — ბიკენტი წინ გადმოიწია, თითქმის ცხენის კისერ-ზე გაწვა, ცდილობს კარგად შეათვალი-ეროს გაყურული ბიჭები.

მარლაცდარისი უნდა ემინოდეთ? ბი-კენტი ლესტამბებს მამაა, ლესტამბეს, კი, როცა მოეპირანებათ, მაშინ ამო-კრავენ ჭიტლაფს... ქალაქში გა-მორჩეული კაცი იყო ბიკენტი, ეს თუ ამინებდა მანცხვარკარელებს. მუ-დამ ერთნაირად ჩაცმული გამოეცხადე-ბოდა თანამოქალაქეებს: ზაკისფერი ფრენნი და ქუდი, გალიფე, აზიური ჩექმები, რომელზეც უამინდობაში კა-ლოშს წამოიცვამდა.. სხვები თუ ეტ-ლით, ღროვით, ურმით, მოგვიანებით

„პალტარატონკით“ დადიონენ, ბიკენტის „ვილისი“ ემსახურებოდა, — ერთადერთი მთელ მანცხვარკარში. გამონდებოდა ქუჩის ბოლოს ის „ვილისი“ და უბანში შიშიანი სიწყნარე ჩამოეფინებოდა. წავიღოდა და ჰაერში თითქოს ისევ ეკიდა პირფერული „ამხანაგო ბიკენტი!“ უფრო ბებიასდა არ აკრთობდა ბიკენტის ხსენება, აქილიკება რაღაცნაირი, თითქოსდა უშიზეზო გაბორტებით: „ბიკენტი ძღვიბიევიჩი!“ ცაცანა გადმოკარკლავდა უმაღლეს: „როგორ გეკადრება, ქალბატონო ეფრო, მეფის მთაერობისაგან დაჩაგრულ გლეხს რომ ძღვიბი ერქვას, დასაციანია?“ ახლა ესეც მეფეს დააბრალებთ! — ბუზუნება ეფრო. — ძან კი ეცოდინებოდა ნიკოლოზას, ბიკენტის მამას ძღვიბი და ქოსა რომ ერქვა!“ მართლისაგ არ მოსწონდა ბებიის ეს ახილება, შიში გაკენწლავდა: „უინემე თუ გაუგო, დაიჭერე ბებიას და სწორსაც იზამენ!“

— კვალს დავექებთ! — მართალი შეეცადა რიხით ეთქვა.

— ფონად, თქვენი იმედითდა დავრჩით! — დიმილის გარეშე თქვა ბიკენტიმ. — ლესტამბე რა უყავით?

— სხვა მხარეს წავიდა! — ხმა გაეგზარა მართლის. გული ხშირ-ხშირად უცემდა, ვერ მიმზედარიყო, რატომ აფრთხოვდა ეს კაცი, რა ისეთ ძალას ფლობდა ბიკენტი თოლორაია, მიხი რომ უნდა სშინებოდათ.

— ფრთხილად იფავით, ძალიან შორს ნუ წახვალთ! — დაარიგა ბიკენტიმ. — საეჭვო ვინმე როგორც კი შეგზულებათ, შემატყობინეთ! ხომ იცით, პიონერები ხართ!

ცხენი შეაბრუნა და აღმართს შეუფვა. მხლებლებიც მიჰყვნენ, ვერ ვავა ზარქვა, მერე ორი სხვაც პირისპირ მზისდასავალისაკენ მიდიოდნენ. ცხენმზედართა ჩრდილი დავრძელებდა, დავრძელებდა და ჩხერიის ზეობაზე გაწვა... კვლავაც ნათელი, ლურჯი ცა გადმოშობოდა სანახებს, მაგრამ იმ ჩრდილმა თითქოს უფერული გახადა, ქუფრი მო-

ეფინა გარემოს... გორაკის თავზე შევონდა ექვიანი ბიკენტი თოლორაია, გადმოჰყურებდა შემოვარენს ფხიზელი თვალით... არაფერი ამ მხერას არ დემალებოდა, ფიქრშიც ვერ გაექცეოდი, იქაც ჩაგწვდებოდა და სააშკარაოზე გამოეგყვანდა.

— დავბრუნდეთ? — ყოყმანით იკითხა არიქამ.

დურუმ უსიტყვოდ შეხედა მართლის.

— სათავემდე თითქმის მივედიოთ! — ხმამაღლა გამოუვიდა მართლის. ამ შეძახილით სულის კუნჭულში მიმალული შიში დააფრთხო.

კარგა ხანს მიდიოდნენ. გორაკები ერთი ერთმანეთზე მიბობდავდნენ. ჩხერი ცდილობდა მათ შორის გზა გაეკვლია და აბნეული მიიკლაკნებოდა.

წინ მალალი ფლატე წამოიძარა. სველი, წვრილი ბუწით მოფენილი შუბლი გადმოაყუდა, თვალბმილულულ გიგანტსა ჰკავდა... იქ, სადაც პირი უნდა ჰქონოდა, უზარმაზარმა გამოქვაბულმა დაიღრინა და სივრილე ამოისუნთქა.

ბიჭები შეჩქეფდნენ, ერთმანეთს აეკრნენ. დამფრთხალნი შეჰყურებდნენ პირფართო გამოქვაბულს, რომლის ჩაბნელებული სტომაქიდან გველესაპის ენასავით გადმოვარდნილიყო თეთრად აჭაფებული ჩხერია... სველ ჭერს ხავსი მოსდებოდა, ხავსზე წვეთები ეკიდა და კაპაკუბი გაქქონდა... გამოქვაბულის ფსკერზე კამკამა წყალი ქათქათებდა და გარეთ გადმონთხეულ ჩხერიას სინათლეზე სიღრმისეული თოში ამოქქონდა.

იღგნენ ბიჭები და ვერაფერი გადაეწვევიათ.

მართალიმ იგრძნო — ვილაც უთვალთვალებდა... მოიხედა, არავინ იყო. დურუმ და არიქამაც სწრაფად მიმოიხედეს, ალბათ ამთაც იგრძნეს უცხო მხერა, ან მართლის ფიქურმა მოძრაობამ შიშს შიში წაამატა.

მართლის შესცივდა. არავინ ჩანდა, მაგრამ საფრთხე თვით ჰაერში ეკიდა.

ვინ უმზერდა ასე დაჟინებით?

იქნებ კლდე უყურებდა? ან ურჩხული გამოქვაბულის სიღრმიდან... ან ვიღაც უჩინარი გაყურულა გუბურის ფსკერზე!.. ან შორიახლო ბუნქნარიდან... ან ფერდობზე შეფენილი შავი ტყიდან..

— წავიდეთ, ბიჭებო! — წასწურულა მართალიმ.

თვალეგაცეცებულებმა დაიხიეს უკან-უკან, მერე ქარივით მოწყდნენ ადგილს და ელვისუსწრაფესად — თვითონ ეგონათ ასე — ქალაქის შემოგარენში აღმოჩნდნენ.

— ვიღაცა გვითვალთვალებდა! — ქოშინი ძლივს შეიკავა არიქამ.

— ჰო, ვიღაცა იყო! — დაუდასტურა ღურუმ.

ნათელი დღე იდგა. ქალაქმა სწრაფად შეიფარა თავისი დამფრთხალი შეილები და მართალიმ ჩაიცინა:

— მოგვეჩვენა!

— ალბათ მოგვეჩვენა! — ფოყმანით ამოღერღეს ღურუმ და არიქამ.

გამოქვაბულში ნიანდარტალელი იჯდა, მუზეუმის კედლიდან რომ იყურებოდა ისეთი!.. აბა, რა გეგონათ! წარსული არ ქრება, იგი ჩვენს გვერდითაა...

ვერ გებულობდნენ ღურუ და არიქა, როდის ხუმრობდა მათი ამზანავი და როდის — არა!

11

ქალაქის საპატიო დაფაზე სამი მანკვარკარელი რევოლუციონერის სურათი ჰქონდა. გვერდიგვერდ დგას ჩოხაახალუხიანი, ყაბალახშემოხვეული სამი ვაჟკაცი... ნაბიჯი წინ გადმოუდგიათ, უტეხად გაყურებენ სივრცეს. ხელში წითელი აღმები უპყრიათ. ძღვები თოლორაიას ხელი თვალზე მოუწრდილებია, დაჟინებით აკვირდება დროის შორეულ სამანებს... ასეთებად დახატა ისინი ადგილობრივმა მხატვარმა ჩინუამ, ასეც ურჩია მას ყოვლისმცოდნე ბერი ზაქარაიამ.

— როგორ მიდის საქმე? — ჰკითხა ბიკენტი თოლორაიამ ბერის. საპატიო დაფასთან იდგნენ და ბიკენტიმ რევოლუციონერთა სურათისაკენ მიახედა — ჩვენთვის ტრადიციულია სამი ვაჟკაცის გმირობა! ხომ გახსოვს, შოთასთან, „მათ სამთა გმირთა მნათობთა...“

ბერის, რა თქმა უნდა, ახსოვდა! კანონიკურ ისტორიოგრაფიაში ასე ეწერა და ტექსტში წერტილ-ძმომის გადასმასაც ვერავინ გაბედავდა. თვითონაც ასე წერდა ხოლმე, — ჩვეულებრივი მეღვინით, სასკოლო რვეულის ფურცლებზე... პალიმფსესტი კი სულ სხვა რამეს ინახავდა... იქ ისიც ეწერა, ჯერ თებერვალმა, მერე ოქტომბერმა გაჰყარაო სამთა გზები...

— ვინ ჩიქვან-მოხელეა დაჭერას რომ მიხედავს?! — იკითხა ნესტორ თოდუამ.

იდგა შინდისფერი რესპუბლიკის გაზაფხული... თავისუფლების მოედნიდან დაძრულ ეტლში ნოე ჟორდანიას იჯდა, თეთრი, სპეტაკი წვერი მკერდზე ჩამოჰფენოდა... სასახლესთან გვარდიელები იდგნენ... ქუჩები სავესე იყო მოსწავლეებით, ოფიცრებით, ბანოვანებით... ისმოდა ბაბილონის ათასი ენა... თბილისიდან დასავლეთისაკენ მიმავალ მატარებელზე სამფეროვანი ალამი ფრიალებდა და სასულე ორკესტრი „მარსელიზას“ უკრავდა... მწვანე საყარებს გლუბობა შეჰფენოდა, მიწას იზომავდნენ... მანცხვარკარიც გამოცოცხლდა და სიცოცხლის ძალა წამით წამზე ემატება.

ნესტორ თოდუას თვალეზზე თითქოს ბინდი ჩამოწვავო, ბურანიდან ვერა და ვერ გამოსულიყო, სინათლეს ვერ ხედავდა.

— ვინ ჩიქვან-მოხელეა.

— მე ვარ, ნესტორ! — მაგიდიდან გერა კვარაცხელია წამოდგა, შემოეგება.

— გაეგე, ჩემო გერა, ახალ ხელისუფლებას მხრები შეაგებე! — გულდრძოდ თქვა ნესტორმა. — შენ რომ კიბის ამწეება გადაწვიტე, მაშინ მივხვდი, ჩვენს გზას განუღვიქო!.. თხუთმეტი

წლის წინ მაცხოვრისგორაზე წითელი ალამი შენ ააფრიალე, ახლა კი ამ სახლის სახურავზე შინდისფერი დროშა ჰკიდია... დალატის ხუნი უდის ამას, იცოდე...

— მტრობა და სიძულვილი ვალაპარაკებს, ჩემო ნესტორ, თორემ საკუთარი ქვეყნის სამსახური კაცს დალატად როგორ ჩაეთვლება!

— რომელია შენი ქვეყანა?.. მანცხვარკარი?.. ადრე ჩვენ სხვა ფიცე ვფიცეთ, ვამბობდით, ჩვენი ქვეყანაა მსოფლიო პროლეტარიატი!

— ჩემი ქვეყანა საქართველოა! — მბრუბი აინუნა გერამ. — ახლა აქ შედარებით სიმშვიდეა, ირგვლივ კი სისხლის წვიმები მოდის. რა ვერ გამშვიდებს, ვერ გამოვივა. ჩვენი მთავრობაც ზომ სოციალისტურია. თუ საქართველოს სიკეთეს მოუუტანთ, ამით მსოფლიო პროლეტარიატსაც ვარგებთ!

— ჩვენი საუბარი ორი ყურნაკლულის საუბარს ემსგავსება. ადრე ერთი გზით მივდიოდით, მე, ძღვიბი და შენ... — ნესტორის ხმაში გულწრფელი წყენა ისმოდა. — ახლა ჩვენ მტრები ვართ!.. იცოდე, გერა კვარაცხელია, არც მსურს და არც ველი შენგან შეწყალება!

გერა აუღელვებლად უსმენდა, მერე წყნარად ჰკითხა:

— ეფრო როგორაა?

ნესტორმა მზერა აარიდა. ქალები ადრე სულ ერთად იყვნენ. რაც ქმრები გაიყარნენ, ისინიც, თითქოს უბრად არიანო, თავთავიანთ სახლებში გამოიკეტნენ. ამიტომაც გაუკვირდა ეს უბრალო კითხვა ნესტორს, სიფიცხე შეუნელა.

— რა უშავს!

— ტატანი?

— ფეხი აიღვა!

— მართაც დიდია უკვე! — გერამ სარტყელზე რეკოლვერის ბუდე შეისწორა და უცებ მოწყვეტით თქვა: — წავიდეთ!

ნესტორი გაფითრდა, იხტიბარი მაინც არ გაიტეხა, მღელვარება დაიოკა:

— ახლა ისეთი დრო არაა, წახანობოთლო კომედიები ვითამაშოთ! შენს ადგილას მეც ასე მოვიქცეოდი!

— წავიდეთ, წავიდეთ! — გააწყვეტინა გერამ, მკლავზე ხელი გამოსდო.

კიბესთან მდგარმა გუშავმა განზე გაიწია. გერას არაფერი დაუბარებია.

მზე დაქნათოდა მანცხვარკარს. ხასხასა მწვანე ფერი ჩამოეღვარა გაზაფხულს. მოქალაქეებმა ძილქუში ჩამოიგდესო. ბულვარზე, ტროტუარებზე, ლუქნების მწკრივებთან გამოფენილიყვნენ. ზამთრის ტანისამოსი უკვე გადაეხანათ, კაცები ბლუზებით, მანდილოსნები თეთრი კაბებით იწონებდნენ თავს. სიღარიბის ნიშანი ეტყობოდა მოსიერიწყებს, მაგრამ პირზე კეთილგანწყობა და სიცოცხლის სიხარული იკითხებოდა და ნესტორ თოდუას შეებრალა თავი... დაენანა თავისი ახალგაზრდა სიცოცხლე... „მე ამათი ბედნიერება მინდა, — ფიქრობდა გულმომხამული, — ესენი კი ასე იოლად მიმეტებენ!“ სურდა ალაპარაკებულიყო, ყურადღება მიეპყრო: „ხალხო, ნუთუ ვერ ხედავთ, ყოფილმა მეგობარმა გამოიტტა, მივეყარ, რათა თავში ტყვია დამახალოს!.. მერე და რისთვის?.. მხოლოდ იმტომ, რომ სიყმაწვილიდან დატაკათა საქმე გავითავისე...“

ჩუმად მიდიოდნენ ყოფილი მეგობრები. არაფერ იცოდა, რა ფიქრი ედო გულში გერას და რა ფორიაქს აეტანა ნესტორი.

ასე გადაკვეთეს ქალაქის ბულვარი. ნესტორმა ნაბიჯი შეანელა.

— რა ჩაიფიქრე?

გერამ კფა მოიქექა, მაცხოვრისგორისაკენ გაიხედა.

— ეფროს არ გამოემშვიდობებები?

— მაღლობელი ვარ წყალობისათვის!

— უხეშად, ბრაზით წარმოთქვა ნესტორმა.

გერამ ამოიხუნეშა, დავა არ დაუწყია. თოდუების სახლამდე მეტი არა თქმულა რა.

ეფრო ისე შეხვდა გერას, თითქოს აგერ, გუშინდა ზედავადო, მკერდზე აკოცა, ცაცანა და მართა მოიკითხა.

ტატაჩი ხელში ეჭირა ქალს. ლაპარაკი უკვე შექმლო პატარას, ენას იჩლექდა, „ბაბა, ბაბაიაო“, — ღულუნებდა, ფუნჩულა ხელით ღილაკილოზე ეპოტივნებოდა მამას.

ხული აემღვრა ნესტორს, ბავშვი გამორთვა, ჩაიხუტა.

— შინ შემოდით, გარეთ რატომ ედგევართ! — შემოიპატიჟა ეფრომ.

— გვეჩქარება! — თავი გააქნია გერამ. — შედით, ერთმანეთს გამოეშვიდობეთ, მე აქ დაგელოდებით!

ნესტორმა თავისუფალი მარჯვენა გადახვია ეფროს, შინ შევიდნენ.

— რა ხდება ჩვენს თავს? — ჰკითხა ეფრომ, პასუხს არც დალოდებია, ხელი უკანა კარისაკენ გაიშვირა. — გზა აქეთაცაა, თოლივე!

— რას ამბობს, ოსურ-პატონი! — წარბი შეჰყარა ნესტორმა — მე რომ გავიქცი, გერამ რა პასუხი გასცეს მთავრობას?

ეფრომ ხმა გაკმინდა, დაფაცურდა, სახელდახელო საგზალი გაუზაზირა ქმარს. უნდოდა ეთქვა ნესტორს, აღარ დამჭირდება აწი საგზალიო, მაგრამ გარეშეა, არ ისურვა დედაკაცის შეშინება.

ზღურბლზე დარჩა ეფრო, ხელში ტატაჩი ეჭირა და კაცებს გაჰყურებდა.

— ბაბა, ბაბა! — აჭყლობინდა ტატაჩი.

კვლავ ჩუმად მიდიოდნენ გერა და ტყვექმნილი, ორღობეთა ზღარით არ ილეოდა.

აწრიალდა ნესტორი, შეეჭვიანდა.

— ახლა საით? — ყრუდ იკითხა.

— ცაცანასთანაც შევიართო!

რალა ეთქმოდა, გაუჩუმდა ნესტორი ველარ ამოუხსნა გერას ჩანაფიქრი.

აგერ კვარაცხელიების ჯარგვალცი ცაცანა წამოფრინდა, ქმარს კისერზე ჩამოეკადა. ნესტორს ხელი გაუწოდა, რად დაგვივიწყე, ჩვენი დამძობის პირობა სად გაქრალ.

მართა ფეხებში ებლანდებოდა ღილებს, ყოწალად დაბაჯბაჯებდა.

ნესტორმა ხელი დასტაცა, კისერზე უღვაში მოუცაცუნა, ააზითხითა.

— ამ წუთას სადილს მოგართმევ! — დაფაცურდა ცაცანა.

— გვეჩქარება! — აღმაცერად გახედა ნესტორმა გერას.

ხიზარული გაუქრა უცებ ცაცანას, კაცებს დააკვირდა.

— ნესტორ, გერა წინა კარიდან გავა, შენ უკანა კარით გადი! თქვენს ჯიბრს დრო გაარკვევს!

გერამ არაფერი თქვა, წვერზე ჩამოიხვია ხელი. ნესტორმაც არაფერი თქვა, მართას ლოყაზე უჩქიბტა, გერას ანიშნა და ორივენი წინა კარით გავიდნენ.

ცაცანამ ბავშვი აიტაცა, აივანზე გაედევნა.

— გერა, კაცო!.. ნესტორ!

იმით არ მოუხედავთ, ორღობეს დაუყვანენ, ჩხერიაზე გავიდნენ. კაკლებთან რომ ზიდა, ის გადაიარეს.

ზიდის თავზეც სამფეროვანი დროშა ეკიდა — შინდისფერი, შავით და თეთრით კუთხეში.

— თავისუფლებისაა ეს დროშა! — თითი ასწია გერამ.

— ბურჟუებისაა ეს დროშა! — უკმეხად შეეპასუხა ნესტორი.

კამათს აზრი არა ჰქონდა.

ორღობე მაცხოვრისგორასთან თავდებოდა. აქ იწყებოდა კიბის თეთრი საფეხურები.

შეჩერდა გერა, თვალი აადევნა.

შეჩერდა ნესტორიც, გუნებაში გადაითვალა. ცხრა საფეხური ახსივდა, მეორე ცხრა და შესამეც დამატებოდა.

— როდისღა მოასწარი?

— თებერვლიდან ოქტომბრამდე, — ამოიხვნეშა გერამ. ახლა მოცლა არა მაქვს. რესპუბლიკას დაცვა სჭირდება. დამშვიდდება ქვეყანა და ამ საქმესაც ეშველება რამე!

— მაგ ხიმძიმე საფეხურებს ზურგიით მოათრევ?

— უფალი ხელს მამველებს და არ მეძმძმება!



— მერედა ვის სჭირდება ეს?
 — საქართველოს! — დაბეჯითებით თქვა გერამ. — სიმშვიდე და უფლის გზა, აი, რა სჭირდება საქართველოს!

ნესტორს ბრაზი შეუბრუნდა.
 — აქ რატომ მომიყვანე? ამ თეთრ ქვეს ჩემი სისხლი სჭირდება?

— რესპუბლიკას არ სჭირდება შენი სისხლი, ნესტორ თოდუაე! — მშვიდად, აუღელვებლად წარმოსთქვა გერამ. — იარე შენი გზით! ოღონდ, ძველი მეგობრის პირობაზე, თხოვნა შემისრულე — ერთი წლით მაინც გადაიკარგე მანცხე-რკარიდან... ცოტა დრო მაინც მოგვეცით, თქვე ღედამამიშვილნო, სული მოგვათქმევიანე და მერე ვნახოთ!

ნესტორმა უნდობლად შეზღადა:
 — კეთილები ხართ, ხომ? მტერიც გეცოდებათ! ქაშარზე კი მაუზური ვიკი-ლია!

გერამ მაუზურის ბუდე გაიხსნა, შიგრიკინის ნაჭრები ეწყო.

— რა არის ეს?
 — სატეხებია, დროს რომ მოვიხელ-თებ, ქვებსა ვთლი, საფეხურებად! ნესტორს ყბა მოექცა.

— უხერხემლონი, ლანრებო!.. ვის რაში სჭირდება თქვენი სიკეთე! ქვეყანა ლამისაა სისხლმა წალეკოს!. ჩემი სიტყვა დაიმახსოვრე, დიდი ხანი არ გიწერიათ!

შებრუნდა და მთისძირა ბილიკს გაქყა.

გერამ თითქოს მძიმე ტვირთი მოიხსნაო, ამოიხენეშა, კიბეზე ჩამოჯდა, საფეხურის გლუვ ზედაპირს ზელი გაოუსეკა...

ბედი სწყალობდა ძღვიბი თოლორაი-ას, თეთრებთან თეთრობდა, წითლებთან წითლობდა. ამათთან თუ მუშურ-გლებურ ზელისუფლებაზე იფიცებოდა, იმათთან ღენიკინის სახელზე იწერდა პირველად. სამოქალაქო ომის სისხლიანმა მორევმა ჩაითრია ის და ჩო-

რნა... ჩაითრია და აბურთავა, აღმაღ-ღმა ატარა. ვერ გაეგო, საითკენ მიჰქონდა დინებას, რა მიმართულებით, ცდილობდა ზედაპირზე ეტივტივა და გადარჩენის ხრიკებს იმდენაიარად ხრიკავდა, რომ მტერსა და მოძულეს ოინი უყო... ჩორნასაც კი, ვისაც ეგონა, პატრონის ოინბაზობისა ვველაფერი ვიციო, არაერთგზის გაკვირვებისაგან დააფჩენინა პირი.

ჩორნას მთლად აებნა გზა-კვალი. ამიტომაც არ სცილდებოდა ქოსას, ძუნძულითა და ქოშინ-ქოშინით მისდევდა, ეშინოდა, ორომტრიალში ჩაეიკარგები და შინისაკენ გზას ვერ გავიგნებო. ამიტომაც ერთგულება, ამიტომაც ეფიცებოდა ჩეკას, ძღვიბი თოლორაია ჩემი პარტიული ამხანაგიაო, ვითომც თვითონ დიდი ვინმე მოღვაწე იყო, ამიტომაც გამოქყავდა ტყვიის წვიმიდან, არიდებდა შამშილის მახეს. ქოსა ძღვიბია ის ტივტივა იყო, რომლის იმედით ჩორნაც არ ჩაიძირებოდა...

დაბოლოს, ტალღამ კაკასიის მთებზე მიაგლო ორივე. გამოღმა სისხლის წვიმები წვიმდა, გაღმა, საქართველოში სიმშვიდე სუფევდა, თუმცა ამ სიმშვიდის მოჩვენებითობაც საფრთხეს შეიცავდა. იქ რატომ უნდა ყოფილიყო სიმშვიდე როცა აქ ყალფზე შემდგარი უქონელი სასტიკად უსწორდებოდა ყოველ მქონებელს.

— ბურჟუის ხარჭებია! — ასე აუხსნა რკინის კომისარმა ქოსას — ამ მთებს მიღმა პროლეტარული თავისუფლების სიოს ჯერ არ დაუბერავს. ხალხი გმინავს მსოფლიო იმპერიალიზმის უღელქვეშ. მენშევიკები მიეყიდნენ გერმანელებს... იმპერიალიზმის დაქირავებული აგენტები, ინტელიგენტიკები... დიახ, ხალხი გმინავს და თავისუფლებას ნატრულობს. ჩვენ უნდა მივეშველოთ... თუ საჭიროა, დანით გამოვეშვიგოთ გულ-მუცელი...

ძღვიბი და ჩორნა გარიჟრაჟზე შეუღნენ აღმართს. მსუბუქი ტვირთი იქმარეს. ქოსას მაუზური მიჰქონდა, ჩორნას „ლიმონკა“, ზურგანთაში შავი

პური და ღორის ნაჭერი. მალევე მიდიოდნენ. უცხო მთის ხალხსაც არიდებდნენ თავს და ახალი რესპუბლიკის სასაზღვრე კორდონსაც.

ნაშუადღევს ადღწივს უღელტეხილამდე. ქურუშ კლდეებზე გადმოკიდებული ფიწულის ენები ტბათა ნაპირებს ღოკავდა. თეთრად მოელვარე მთებს შვიდან უღურჯავსი ცა გადმოშობოდა. ზღაპრული სანახაობა წარმოუდგათ თვალწინ, მაგრამ ძღვიბის და ჩორნას სამყაროს მშვენიერებისა არა გავგებოდათ რა, მათი ტვინი სულ სხვა რამეებით იყო გამოტენილი.

— არაფერი ვესმის, ჩორნა, შენ! — გულდინჯად მოძღვრავდა ქოსა თანამგზავს. — მგლის თავზე სახარების კითხვაა შენთან საუბარი. რაც ვინდა უჩინანე მგელს, ის მაინც ტყვისკენ იყურება. თუმცა რა შენი ბრალია!.. ექსპლოატატორთა კლასია დამნაშავე, შენ რომ მკვლელად და ყაჩაღად გაგზავრდა. სოციალიზმის დროს არც ბანდიტი იქნება, არც მკვლელი. რკინის ცოცხით გამოვევით ყველაფერ ბურჟუაზიულს და მაშინ გვექნება კაი ცხოვრება... აი, გაიმარჯვებს მსოფლიო რევოლუცია, ბურჟუებს ქათმებივით წვაკლავთ ერთმანეთს და მთელი დოვლათი ჩვენ დაგვკრება. ვიცხოვროთ მერე მშურადრატომ ვინხუბებთ, რა გვექნება გასაყოფი?.. ერთად ვჭამთ, ერთად უსკათ. სახლიც ერთად ავაშენოთ, დიდზე დიდი, უთვალავი, ოთახებით. შენი ჩემი იქნება, ჩემი — შენი...

— ქალიც საერთო გვეყოლება? — ჩაიხეიხეინა ჩორნამ.

— ქალიც, რა თქმა უნდა, თუ ის პარტიული ამხანაგი არაა! — ჩაფიქრდა ძღვიბი. — პარტიული ამხანაგი რაღა ქალია!

ნუთუ მართლაც ასე საუბრობდნენ უღელტეხილიდან გადმოპარული ძღვიბი და ჩორნა?... ყოველივე ეს ბერი ზაქარაიას პალიმფსესტში წერია, მაგრამ ბერი იქ არ იყო, მან მხოლოდ ის იცოდა, რომ ორნი გადმოვიდნენ ქლუხორის უღელტეხილზე რკინის კომისრის

დაკალებით, ფრთხილად ჩამოკვეთენ კოდორის ხეობას, იქიდან საკენისაკენ გადაუხეივს, სოფელს ტყე-ტყე აუარეს, კვლავ ფერდობზე აფოფხდნენ მოტიტვლებული სერი გადაკვეთეს და ჭუბურის ხეობაში აღმოჩნდნენ... კარგა ხანს მოდიოდნენ ასე. ფერდიდან ფერდზე ეშვებოდნენ, უღრანი ტყეები ჩაათავეს. საგზალი გამოეღიათ და კენკრით იყუჩებდნენ შიმშილს... უფრთხოდნენ კაცსა და ნადირს... ჭუბერში, სახლის თავზე პირველად დაინახეს უცნაური დროშა — შინდისფერი, შავი და თეთრი ზოლით კუთხეში და ქოსამ ბოლმინად შეიგინა:

— უ-უ, თქვენი, ბურჟუეზო!

ჩაუყვან ნენსკრას ქაფიანი ნენსკრა ღრიალებდა ვიწრო ხეობაში. დაღლილ-დაქანცულნი საცალფეხო ბილიკზე ძლივს მიცოცავდნენ. იქ, სადაც ნენსკრა ენგურში ჩაიხრჩო, ჩალანდრებს გადაეყარნეთ, ჯორ-ცხენით თაფლი და ყველი ჩაქონდათ მანცხვარკარის ბაზრობაზე. ეჭვით შეხედეს უცხო კაცებს, მაგრამ კითხვით არაფერი უკითხავთ, პურზე დაჰპატიყვეს... თითო ყვანიტური გადაკრეს ძღვიბიმ და ჩორნამ. ქოსას ძეგლები გაუთბა, ტვინში შეულიტანა და ტყუილების ბაღე გააბა:

— საკენში მაშიდა მყავდა გათხოვილი, იმის სატირალში ვიყავით. კოდორის ხეობაში ყაჩაღები დაძრწიანო, ზალხს მარცვაენო და გვირჩიეს, ჭუბერით დაბრუნდითო. აქეთ რა ისმის, ბოლშევიკები ხომ არ გადმოსულან?

ჩალანდრებმა მხრები აიწინეს, ბოლშევიკებზე ყურმოკვრით გაგვიგონია რაღაცაო.

— როგორ, ლენინიც არ გაგიგონიათ? — გაუკვირდა ძღვიბის.

— რუსია?... სვანები მთებზე რუსს არ გადმოუშვებენ! — გულდაჯერებით მოქრა ერთმა ახმახმა.

გზა ერთად განაგრძეს. ქვევით, ღრმა ხეობაში ენგური გუგუგუნებდა, ქარავანი კი ვიწრო და საშიში ბილიკებით თავბრუდამხვევ ფერდობებზე მიცოცავდა. გამოცდილი ჩალანდრები და მთის მორ-

ჩლი ცხენები უსიტყვოდ უგებდნენ ერთმანეთს. ძღვიები ჩიტის წონისა იყო და მიწას მიხი სიმძიმე რას დაეტყობოდა, მაგრამ ჩორნა მოლაყუნებდა მძიმედ, მის ქვეშ მიწა იზნიქებოდა და უუსკრულში გადაჩეხვას უპირებდა.

ხანდახან ერთერთს შეუძახებდნენ ხალანდრები, მოკლე წინადადებებს ესროდნენ. შღვიები ვერაფერს ვებულობდა, მით უფრო ჩორნაც, ეგონათ ჩვენზე ლაპარაკობენო და გულს ასკდებოდნენ, ზოდმა აესებდათ. ენის ქაველი აუტყდა ძღვიების, პირზე კლიტე ვერ დაიღო, როგორც კი ქარავენი წასახემსებლად მოხერხებულ ტაფობზე შეყოვნდა, სიტყვა ითხოვა.

— აი, თქვენ ლენინი არ გავიგონიათ რევოლუცია რომ მოხდა, იმას თუ მოკპართ ვერი?

— მეფე რომ ჩამოაგდეს? — იკითხა ახმახმა. — ეს ამავეი ვიცით, მაგრამ ჩვენ მაგას ვინ გვკითხავს...

— რუსეთში რევოლუცია მოხდა, მთელი ძალაუფლება მუშებსა და გლეხებს გადაეცათ, ბურჟუებს დედა უტირეს, დიდი ომი გაიმართა...

— მაგი რა ჩვენი საქმეა, — ხელი ჩაიქნია ახმახმა, — ჩვენს სოფელში ათასი წელია, ბურჟუა არ გვინახავს!

— როგორ თუ ბურჟუა არ გინახავთ?

— გაიცნობდა ძღვიები. — გაიხედ-გამოიხედეთ, ყურები გამოიბერტყეთ! ვერა ხედავთ აქ, საქართველოში იმპერიალისტების აგენტები კისერზე დაგაჯდათ. ეს ყორდანიები და რამიშვილები სულ ბურჟუები არ არიან? დაგვიდიან ნემსებზე ერთადაც და ცალცალკე, მაშინდა მიხვდებით, ვინაა ბურჟუა და ვინ პროლეტარი...

— შენ რაღაც სხვანაირად ჭიკჭიკებ, — მოიღუშა ახმახმა, — ჩვენ ვინც ავირჩიეთ, ისაა, ჩვენი მთავრობა, ბურჟუა არ ვიცი მე!

— ეს ისე უქცევს, საკვნიდან კი არა, უფრო ზემოდან ჩამოსულსა ჰგავს! — ჩურთო შეორემ.

— ესენი მანცხვარკარში ჩაიყვანათ

და მთავრობას ჩაეპარათ! — თქვა მუხამემ.

— საბუთები შევემოწმეთ, ახლა მეოთხე ჩაერია, — გაქვთ საბუთები?

ჩორნამ უბიდან „ლიმონკა“ ამოიღო, ხელში შეათამაშა და დაიღრეჯა:

— აი, საბუთი! ჩალანდრებმა ერთმანეთს ჭოჭმანით გადახედეს.

ჩორნამ წინ უბიძგა ძღვიების, თავისი ფართო ზურგით დაფარა მოსალოდნელი თავდასხმისაგან.

ფეხს აურქარეს რათა ქარავენი კვალზე მოეწვიტათ. საღამოს ჩააღწიეს ბარში. სოფლებს გარე-გარე უელიდნენ. დღისით მანცხვარკარი გამოჩნდა.

დიდად არ შეცვლილიყო ძღვიები თოლორაიას მშობლიური ქალაქი. ისევ ისეთი მტკრიანი ორლობები გარუუნებში, შორი-შორ მდგარი ჯარგვლები, პატარა, მაგრამ ლამაზი ცენტრი — ქვაფენილი, ბულვარი, სასახლე, ორი-სამი ქვეთკირის შენობა... მაცხოვრისგორის თავზე თეთრად აღმართული ტაძარი...

— ქვეყნიერება ინგრევა, ეს კი ისევე დგას, მაგისი ღღინი... — ბოლმით შეაგინა, გაუგებარი იყო, ტაძარს თუ მთელ მანცხვარკარს.

მართლაცდა, მსოფლიოს გრიალით უვლიდა რევოლუციის ქარიშხალი, აქ კი ერთი პატარა ქალაქი მყუდროდ გაწოლილიყო ჩხერიის სუფთა წყლის პირას, მაცხოვრისგორის მწვანე კალთასთან და უღარდელად თვლემდა.

შეყოვნდნენ, სანამ კარგად დახედლებოდა. ძღვიები გაუძღვა ჩორნას. თითქოს სწორად მიდიოდა, თითქოს ნაცნობი ორლობები გაიარა, მაგრამ როცა ეგონა, აგე, შინამდე მივაღწიეო, აღვილი ვეღარ იცნო.

ვინმეს შევეკითხებო, ყოფმანობდა.

— უკაცრავად, პატონი, ვერ შეტყვით, სად ცხოვრობს ძღვიები თოლორაია?

ბნელში გამვლელს ძლივს არჩევდა.

— სად ცხოვრობს და ციმბირში! — ბერიკატული ხრინწით შეპასუხა უცნ-

ობი. — ამბობენ, იქ ჩაკვდაო. თქვენ ვინა ხართ, ასეთ კაცს რომ კითხულობთ.

— ძღვიბის პასუხი არ მოეწონა, თუმცა გასაკვირიც იყო, ათი წლის შემდეგ ვიღაცას რომ მისი სახელი ახსოვდა.

— ვიცი, მოუსაველეთში რომ გადაიკარგა, მაგრამ აქ ხომ ჯარგვალი დარჩა და ცოლ-შვილი!

— ჯარგვალი დაიწვა, — თქვა კაცმა, ეანდარმებმა ქნეს ეს საქმე. ძღვიბი რომ დაიჭირეს, მაშინ... ჩათაც დაჭირეს და ცემეს. დაჭლებდაო, ამბობენ. ცხოვრობს სადღაც გარეუბანში, გათხოვდაო, ისიც თქვეს... იქნებ ჭორია, თუმცა იმ ქოსას ხომ არ დაელოდებოდა სულ...

— ძღვიბიმ ხელი ატაკა კაცს და გვერდზე მიაგდო. ჩორნამაც წიხლი მიახილა. უადგილოდ ატიკტიკებულს ენა ეტყობა, მუცელში ჩაუვარდა. ძღვიბი კი წინ გავარდა, გზაჯვარედინამდე ირბინა. ჩორნა ქოშინით წამოეწია.

— პა, რა დაგემართა? — ხელი თანაგრძნობით შეახო. — ცოცხლები ხომ არიან, მოეწახავით!

— მომწყდი, ჩორნა! — აფეთქდა ძღვიბი და კვლავ წაეიდა, ამჯერად ჩქარი ნაბიჯით.

— ჭიშკართან გაჩერდა. სიღრმეში სახლი ჩაბნელებულიყო.

— ნესტორ! — ხმადაბლა დაუძახა ძღვიბიმ.

— სახლიდან ჩქამი არ ისმოდა.

— ნესტორ, კაცო, ნესტორ! — ხმას აუწია.

— პასუხი არ იყო.

— შინ არ არიან! — დაასკვნა ჩორნამ. შებრუნდნენ კარგა ხანს იარეს და ძღვიბი კვლავ გაჩერდა.

— ეზოში სახლი ითვა რა მოლაპარაკებულნი კარიდან ჭრაქის ხინათლე გამოდიოდა.

— ძღვიბიმ მოხლის სისუსტე იგრძნო. სული მოითქვა და შეცვლილი ხმით გასძახა:

— გერა პა, გერა!

— ქალმა გამოიხედა.

— ვინ ბრძანდებით?

— ძღვიბიმ ცაცანა მცნო, თავის გულს ვლავნება არ ისურვა.

— გერა შინაა?

— არ გახლავთ, პატონი!.. შემობრძანდით, სტუმარი ღვთისაა!

— დიდი უკაცრავად, მაგრამ არ გვკალბა! — ძღვიბი სიბნელეში იდგა და ისე პასუხობდა.

— კარიდან ბავშვებმა გამოიხედეს. ორნი იყვნენ. ძღვიბი მათ სახეებს ვერ არჩევდა „უკვე ორი ყოლია!“ — შურმა გაქნწლა. თვითონ ხეტილს გადაეყვა, ძმაცაცები კი თბილ ლოგინს ვერ შორდებიან და ბავშვებს აცხობენ.

— დიდი უკაცრავად, მაგრამ ჩათმა სახლი უნდა მიმასწავლოთ!

— ცაცანა მთლად აივნიდან გადმოვიდა ხელს იჩრდილადა, რათა სიბნელეში რამე გაერკვია მაგრამ კაცებს ვერა ხედავდა და ხმაში შიში შეეპარა:

— ამ ორღობეს გაეყვით, პატონი, სულ ბოლო სახლი იქნება!.. შემობრძანებულიყავით, გერაც საცაა გამოჩნდება!

— ძღვიბიმ ხმა გაკმინდა სიბნელეს შეერია. ჩორნაც შავი ღანდევით მიეღივნა.

— სიციხიანივით შირბოდა... ეგონა, ჩათა დახვებოდა, ათი წლის უნახავი ცოლი ჩათბუნდებოდა თავის ლოგინში. ჩათასთან... მაგრამ ქალი ეშმაკისაა...

— ძღვიბი ცხოვრებამ ტანჯვის ზღვაში ათრია, მისი ცოლი კი კარგა ხანია სხვა კაცს ჩახუტებია, სხვასთან ნებიერობს... ქოსას გული ამის გაფიქრებაზე ღვარძლსა და ბოლმში ცურავდა. მთელი ქვეყნიერების მიერ გათვლილს ამ ქალის დანდობის იმედიღა რჩებოდა და არც ამან დაინდო...

— ორღობის ბოლოს სახლები შეთხელდა. ბნელში გაყურულიყვნენ და აქა-იქ თუ ჭიატობდა სუსტი ჭრაქი.

— ძღვიბი უცებ შეჩერდა ჩორნა ზედ გადააწყდა, კინალამ წააქცია.

— აი, აქ! — თქვა ძღვიბიმ.

— ლოხუნულთან იდგნენ. ბნელში ჭიშკრის ძეხნა არ დაუწყიათ, ლობეს აუყენეს ლაწალუწი.

დაბალი, ორთვალისანი ოდიდან სუსტი შუქი გამოკრთოდა.

— რომელი ხარ? — იკითხა მასპინძელმა.

— სტუმრები ვართ, კეთილთა კაცო, გზა აგვებნა!

— მობრძანდით, სტუმარი ღვთისაა! — შიშთანად შეეხმინა მასპინძელი.

კობე არც უგრძნინა ძღვების, ასე ეგონა, რაღაც ძალამ ეზოდან პირდაპირ აივანზე შეაგდო.

კაცუნას დანახვამ მასპინძელი დაამშვიდა, მაგრამ სიბნელიდან ჩორნა რომ წამოიშარათა, უნებლიედ ხმა დაუტკბა:

— მობრძანდით, მობრძანდით! — თან უწინარ დიასახლისს გასძახა: — ჩათა, სტუმრებია!

ქალი ალბათ აქამდე ტახტზე იჯდა, კაცის ხმამ წამოაგდო.

— მობრძანდით, ბატონო!

იგი არ ჰგავდა იმ გამწვლეულ, თამაშ-თამაშა გოგონას. ათ წელიწადს ისე შეეცვალა, საღმე, ქუჩაში რომ შეხვედროდა, ძღვები ალბათ ვერ იცნობდა. ადამიანს თვალები ეცვლება გვილაზე გვიან, თვალებით იცნო თავისი ჩათა და გული შეუხტა.

— აქეთ, აქეთ, ჭირიმე, აქ დაბრძანდით! — ფაციფუციობდა მასპინძელი, თავგზააბნეულმა არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო.

ღარიბულ ოთახში მაგიდა და სადა ტახტი იდგა, ოთხი ტაბურეტი. ღამა ბუხრის თავზე შემოეთავით და ოთახს მოწითალო შუქი ეფინა.

„ღატაკს გაკყოლია!“ — ნიშნისმოგებით დაასკვნა ძღვებში გული ბოღმაში იძირებოდა და მასში პატიების გრძნობა არ გაფანჯნებულა.

ტაბურეტი ფეხით გამოხსნა, დაჯდა და ჩორნასაღ ანიშნა, დაეჭიო.

დიასახლისი დაბნეული იდგა, თითქმის წინსაფარს აწვალებდა და ქმარმა შეუძახა:

— ჩათა რამ დაგაბნია, ღატრიალდი ახლა შენებურად, არ შემარცხენი!

— ნუ წუზდებით! — ყასილად ითავ-პატივა ძღვებში.

იგუმანა, ქალმა მიცნო და მისი დაბნეულობით ტკებოდა.

— ჩემი სიკვდილი, მთლად გამოვშტერი! — ხელები გაასავსავა ჩათამ.

— კაცო, ღვინო ამოიტანე!

„იქნება შენი სიკვდილიც!“ — განაჩენი გამოუტანა ძღვებში.

მასპინძელმა, თითქოს გამოსავალი იპოვაო, მოზრდილ, სიმინდის ნაქუნით თავდაცობილ კოკას დაავლო ხელი.

— უკაცრავად ვარ, მაგრამ ა, ამ წუთას გეახლებით! ღვინო შემოგვაკლდა, სარდაფი ორ ნაბიჯზეა...

სტუმრებმა ერთმანეთს გადახედეს.

„გაგვეცხს!“ — უსიტყვოდ იკითხებოდა ჩორნას სიფათზე.

„საპოლიციო უბანი შორსაა ვერ გაბედავს!“ — გაიფიქრა ძღვებში და მზერა მიაყინა შუა ოთახში გაუბედავად შეყოვნებულ ქალს.

— ჩათა! — ხმამაღლა გასძახა, ხმაზე გაღიზიანება ეტყობოდა.

ქალს თავით ტერფამდე ცაბცახმა დაუარა, საწყლად გაუღიმა.

— ჩემი სიკვდილი, ძღვები, უმალ გიტანი, მაგრამ რა ვქნა, მე დასამიწებელმა!

— ესაა შენი ქალობა? — ბოროტი შურისგებით იკითხა ძღვებში. — ასე უერთგულე ვაციმბირებულ ქმარს, ზომ!

— ტაბურეტიდან წამოხტა. პირისპირ აიტუზა. ქალი ამ ათ წელიწადში ხორცილთ აესებულიყო. სიმაღლე მომატებოდა და ძღვები ქვევიდან ამწურებდა. — მე იქ, სიცივეში, შიმშილით ვიღუპებოდი, შენ კი იმას ცდილობდი ლოვინი არ მოგეცდინა, ზომ?

— შენ რომ დავიჭირეს, ულუკმაპუროდ დაერჩით, ბავშვი კინაღამ გამითავდა... ისიდორემ გაგვიმართა ხელი. — თავის მართლებას შეეცადა ჩათა. — ბიჭი უკვე დიდია, დღეს ცაცანასთან დავტოვე...

ძღვები კბილატკივებულებით დაიჯღანა, თითქოს მუცელში ამოარტყესო,

უცნაურად მოიკაცვა, მაიმუნს დაემსგავსა. რაღაც საშინელის თქმას აპირებდა, მაგრამ პირიდან სისინი ამოსდიოდა და ზარდაცემული ქალი გაბრუნებული იდგა.

ჩორნამ ვერაფერი გაიგო ამითი ლაპარაკისა, იჯდა, ტაბურეტს აჭრაჭუნებდა და ხან ერთს მიაჩერდებოდა, ხან მეორეს.

ძღვიბის უხსენებლის პაწია თვალეში დაუეწიროვდა. მის აღზნებულ ტვინში მხოლოდ ერთი აზრი ტრიალებდა: აქვე, ახლავე, რამენაირად ეძია შური!.. სასჯელი უნდა ყოფილიყო სასტიკი და შეუბრალებელი. „წავაქციე ტახტზე და ჩორნას თვალწინ ავხდი ნამუსს!..“ — გულღრმოდ გაიფიქრა, მაგრამ ამ წამიერმა აზრმა უფრო გააბოროტა... ვერ შეძლებდა, კაცობა არ ეყოფოდა.. სისხლიან ორომტრიალში დაკარგა ძღვიბიმ მამაკაცური ძალა. პირველად ამას რომ მიხვდა, კინალამ ტყვია დაიხალა. თავი ვერ გაიმეტა, მაგრამ ქალის სინსილა შეზიზღდა. დარჩენილ სიცოცხლის მისცემდა ახლა, ოღონდ ის ძალა მობრუნებოდა. იმისთვისღა ჰირდებოდა, მოღალატე ქალი ტალახში ჩაეზიზღა და შურისძიებით დამტკბარიყო.

ჩათა გუმანით მიხვდა, ძღვიბის სუბში საშინილი რამ მზადდებოდა, შიშისაგან მუხლები მოწყდა. ძირს დაეშვა და ხმანაჯარდნილმა ძლივს შესთხოვა.

— მაპატიე, ძღვიბი, მე უბედურს!

— მე ვინ მაპატიე! — თითქოს უკბინესო. შეხტა ძღვიბი. საკოთარმა უძღურებამ გაამწვარა. თხელი პირიდან სისინით გამოოსცრა. — ბოზო, უკაცოდ ვერ ვამბე, ხომ? აგერ მოგიყვანე შენი სადარი ახვარი!.. ჩორნა, მიდი!

ჩათამ ვერ გაიგო, რას უპირებდნენ. თითქოს დაყრუვდაო, სიტყვათა აზრმა მის ცნობიერებაში ვერ ჩააღწია, ოღონდ უზარმაზარი, ნიწაბივით სახე მოქცეული ჩორნა რომ წამოვიდა, ძღვიბის მუხლებზე მოეხვია:

— არა, არა!

ძღვიბიმ ცივად მოიშორა.

— არა, არა! — იწვილა ქალმა, მაგრამ ჩორნა უკვე თავზე ადგა. პირზე ხელი ააფარა, იატაკს მოწყდა და ტახტზე დაავდო. ქალი ასხმარტალდა, გიჟივით გაუწია წინააღმდეგობა. ოღონდ ბაყბაყდევის ღონიერ ხელებს ვეღარ უსხლტებოდა, — ჩორნა ზეიზივებდა და კაბას ახვედა.

ძღვიბი კართან წამით შეეყოვნდა. არ უნდოდა მოეხედა, მაგრამ უნებლიედ მხერა გააპარა და ქალის შიშველ ბარძაყებს ჩორნას ბინძური ლეში გადაჰყოფრებოდა.

გულისრევა მოაწვა. იქვე, კიბესთან ანთხია.

ოთახიდან ფხაკენი და ორთაბრძოლის ხმა გამოდიოდა და ძღვიბი თანდათან ჭკუაზე აიწია.

წაკუზული იყო და ვერა და ვერ იოკებდა ღებინებას.

მერე სინუმე ჩამოვარდა. ცოტა ხანში ზღურბლზე ჩორნა გამოჩნდა.

ძღვიბი თავს ძლივს მოერია. პირი შხამით ჰქონდა სავსე. ხმა დაიმორჩილა და ნაძალადევი გულგრილობით ჰკითხა:

— რა ჰქენი, ჩორნა?

— მე არ მინდოდა... — ენა დაება ჩორნას. — არ იკელოს-მეთქი და მოეუჭირე... ეტყობა, მეტი მომივიდა!

— გაგულე?

ჩორნამ სუსტად ჩაისლუკუნა.

— წაიდე! — დაუგლო ძღვიბიმ და სიბნელეს შეერია.

ჩორნა ფეხდაფეხ მიჰყვა. შიშისაგან კრუსუნებდა, თავს აცოლებდა.

წინიდან ფეხის ხმა მოისმა, ვიღაცა აჩქარებით მოდიოდა.

— მისმინე, ჩორნა! — ჩასწურწულა ძღვიბიმ. — ქმარი ბრუნდება. შინ რომ მოვა, განგაშს ატეხს და ვეღარ გაგასწრებთ. მიდი, გააწუმე, ხანამ ვერაფერს მიმხვდარა!

ჩორნა უსიტყვოდ გაეკარდა. ძღვიბი ღობის ჩრდილს აეკრა. თვითონ არ ჩანდა, ორ ლანდს კი შესანიშნავად ზედავდა.

ჩია კაცს მხარზე რომ შემოედგა, ცხადია, ღვინის კოკა იყო.

გზაზე შავ კლდესავით წამოიშართა ჩორნა და კაცი ზედ გადააწყდა.

— ა! — ერთი ბგერაღა აღმოხდა. ტაკანის გაისმა. ეს ჩორნას მძიმე მუშტი დაეშვა ჩია კაცის თავზე. ძირს დავარდნილი დოქი გასკდა და პაერს ღვინის სუნი შეერია.

— გავიქცეთ! — ჩაუქროლა ძღვებიძი. ორივენი კარგა ხანს ვარბოდნენ. მერეც დიდხანს იხეტიალეს აღმადამა.

გარიჟრაჟე ენგურის პირას გააღწიეს, იქ, სადაც მღვრიე ენგურს ჩხვრია უერთდებოდა.

აღმოსავლეთით მზე ამოიწვერა და თანვისფერი სხივები გადმოაფინა.

დაღლილი ძღვები ხაბოზე ჩამოჯდა. მდინარე ფართოდ მიაკანებდა ტალღებს, ნესტი და სიცივე ამოდიოდა და ძღვების აცხცაბებდა.

იჯდა და თავისი უბედური გზების უნებლიე თანამგზავრს გაკყურებდა.

ჩორნა ნაპირზე ჩაიკეცქდა, ხელები დაიბანა, წყალი პირზე შეისხა.

— ჩორნა! — ხმადაბლა დაუძახა ძღვებიძი.

ჩორნამ უხმოდ ამოხედა. არ მოეწონა ეს ხმადაბალი შეძახილი. ძღვების ხელში მაუხერი ეჭირა და არც ეს მოეწონა ჩორნას.

— შენ დღეს საკუთარ თავს გადააჭარბე, ჩორნა! — შემპარავი ალერსით თქვა ქოსა ძღვებიძამ. — ის ქალი ჩემა ცოლი იყო და ეს შენ იცოდი, ჩორნა... ჩემი შეილის დედა... ჩათა ერქვა... მე ის მიყვარდა...

ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკობდა, თითოს ყოველ სიტყვას სასწორზე წონიდა.

გაჩუმდა და მაუხერი ასწია.

— რას შევბი, ხომ არ გავიჟდი! — შეუძახა ჩორნამ, მაგრამ უკვე გვიან იყო.

ძღვებიძი სასხლეტს თითი გამოჰკრა. ტყვიამ ბაგბაყდევს გულმკერდი შეუნგრია, ენგურის მღვრიე ტალღებმა მის

წიაღში გადავარდნილი ჩორნა ტატი წაიღო...

მანცხვარკარი ემზადება სადღესასწაულოდ. მთელი ქალაქი გადაწითლებულა. დროშები, ყველგან დროშები... ელნათურების ბოქებზე, აივნებზე, დაწესებულებებზე... ქუჩების გარდივარდმო ვეებერთელა ტრანსპარანტები გაჭიმულა. რუსულ და ქართულ ენებზე უსასრულოდ მეორდება ერთი და იგივე: — გაუმარჯოს... გაუმარჯოს... გაუმარჯოს!..“ სურათები... სურათები... მარქს-ენგელს-ლენინს-სტალინი, ან ლენინს-სტალინი, ან სტალინი და მისი თანამებრძოლები... მოლოტოვი სათვალღიდან ბეკად იყურება... ბერიას პენსე უკვითა... ვიშინსკი — იმპერიალისტებს ანადგურებს... ყველგან კვლავ სტალინი, სტალინი, სტალინი...

ბერი ზაქარაიას სულში უხერხულობის შეგრძნება იბადებოდა. არ მოსწონდა ეს სიჭრელე და აურზაური. თავის ტკივილი ეწყებოდა. სურდა გარიდებოდა ყოველივეს, მაგრამ ეს იყო არსებობის ერთადერთი ფორმა და მოცემულ განზომილებას ვერსად გაექცეოდა. პირიქით, ჩვეულებრივ, ყველა მსგავს საზარხეიმო ღონისძიებაში უნდა ჩაბმულიყო, ქალაქში გამორჩეული პიროვნება ამ პატივს ვერსად გაექცეოდა.

ჩვეულებრივ კოლონის თავში დაყენებდნენ ხოლმე. ეს მისი მუღმევი ადგილი იყო საშეიდნოემბრო თუ საპირველმასისო მსველელობისას. კულტურის ფრონტის მუშაკები ცალკე კოლონად ეწვობოდნენ. ყოველთვის ერთი და იგივე ლოზუნგი მიჰქონდათ: „კულტურა პარტიის ერთგული მსახურია!“ „პირისფარეშია!“ ზიხლით გაიფიქრებდა ბერი. ამისი ხმამაღლა გაცხადება კი არა, იცოდა, გაიფიქრებაც საშიში იყო. „ლაქიაა!“ — მაინც არ ეშვებოდა ასეთ ფიქრს, აკრძალულის სიტკბობება წამ-

ლადა. ისე კი, სასულე ორკესტრის გრილში დემონსტრანტთა ნაკარჯიშვე „კამასი“ მისი სუსტი ხმაც აღბათ თავისას აკეთებდა. სხვანაირად არც გამოუვიდოდა. იმიტომაც იყო გამორჩეული, იმიტომაც მიაბიჯებდა სხვაზე წინ, ქვეყანას ცოდნოდა, ვინ ვის უწყობს ნაბიჯს, ვინ უფრო გამოხატავს ენთუზიაზმსა და ერთგულებას. ტრიბუნაზე ჩამწკრივებული ხელმძღვანელი ამხანაგები ნაცრისფერ სილუეტებად აღიქმებოდნენ. ბერიმ იცოდა, რა ძალაც იძალავებოდა ერთ თარგში გამოჭრილ ამ სილუეტებში და ხელს უქნევდა, ნიშნად იმისა, თქვენი ვარ, ეჭვიც ნუ შეგეპარებათო... გასცდებოდა მოედანს და დაღლილი, მოთავებული ბერი გაიფიქრებდა: როდემდე?.. ნუთუ მთელი ცხოვრება ასე „კამას“ მახილით უნდა გაველიოთ... იქნებ ჯობებს, ტყვია დავიხლო და ამით მოთავდება ყველაფერი... მაგრამ ეს იქნებოდა გამოწვევა, ამბოხი, ბერი კი შეიმბოხებდნენ არ იყო განიხილი... ამბოხის წილ ისღა შეეძლო, ფეხჩქარებით გასცლოდა ხალხმრავლობას, უკან მიეტოვებინა უმეცართათვის მოგონილი საზეიმო რიათია..

მიადწევდა მაცხოვრისგორის ძირს, აყვებოდა კიბის საფეხურებს, ფეხს მანამ უჩქარებდა, სანამ ქოშინი აუტყვლებოდა. ღონე არ ყოფნიდა, ას მეერთე, ბოლო საფეხურამდე ასასვლელად. შეჩერდებოდა სულის მოსათქმელად, ამ დროს გულზე ხელი ჰქონდა მიღებული. შემობრუნდებოდა ქალაქისაკენ, გახედავდა.

ეულად, მარტოსულად ცხოვრობდა ბერი ზაქარაია. დედამიწის ზურგზე არაიენ და არაფერი გააჩნდა ამ ქალაქის გარდა. ქალაქი კი, თბილი, ნაზი, მოსიფარულე, ხანდახან ურჩხულს ემსგავსებოდა, მზად რომ იყო, თავისი უგუნურობით გაესრისა ბერის შეობა.

დღესაც აქ, ამ კიბეზე ამოიბრინა, შემობრუნდა. გახედა ფერხით გაშლილ მანცხვარკარს, შემოდგომის ვეითელ-ვარდისფრად შეღებილ ბულვარს,

ყავრიან-კრამიტთან ოღანახლებს უსასრულო რიგს. საფეხურზე გახეთი დაიფინა, დაჯდა და გაყუნდა.

მაცხოვრისგორის ფერდობზე გრილი ნიავი დაფანტობდა, მყუდროება და სიწყნარე სუფევდა. ღურჯი ცა ახლოს იყო, ქალაქის არეული ხმები კი ციდან ექოდ ეფინებოდა, ნელდებოდა, რბილდებოდა...

სადაც ცის ტატნობზე გაბერილი ბუშტი ტივტივებდა, კუდად წარწერიანი წითელი ნაკერი გამოხმოდა. წარწერა აქედან არ იკათხებოდა, მაგრამ ისედაც იცოდა ბერიმ, რაც ზედ ეწერა.

„ნუთუ ოცდაათი გავიდა?“ — ამოიბრია.

ღიამ, თითქმის ოცდაათი წელი გავიდა იმ დღიდან, როცა თორმეტი წლის ბერი მაცხოვრისგორასთან მიიმედ დატვირთულ კაცს წააწყდა.

წელზევით შიშველს მხრებზე ქვის საფეხური შემოედო და ჩხერიისპირა ბილიკით ამოდიოდა.

კუნთები ემაგრებოდა, ბურთულებით ასხდა ტანზე. ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა თავ-კისერზე.

„ღამაში კაცი იყო ცხონებული! — სევდამ შეიპყრო ბერი. — ახალგაზრდული, ჩამოსხმული ტანი ჰქონდა, სული კი ბერიკაცივით ბრძენი. მიხვდა, რომ დრო-ეამმა კალიბანს გაუხსნა ასპარეზი, არიელი კი დააკნინა, პარმონული წონასწორობა დაირღვა... თავისი ამ ახირებულობით შეეცადა დარღვეული წონასწორობის აღგენას...“

მართლაც ახირებული კაცი იყო გერაკარაცხელია. შეამბოხებდნენ დაბადებული, ვეღარ ეგუებოდა ხელმწიფეთა ხელმწიფობას, თავს მხოლოდ უფალს უბრიადა. ეს იყო მესამე გზა, რაკი იმ დროს ერთი გზა ხელმწიფის მსახურება იყო, მეორე — მისი სრული უარყოფა.

„ხერხემალს გადიტყვს საცაა!“ — შეშინდა ბერი. უნდოდა, წამკვლევებოდა, მაგრამ რაღაცამ შეაკრთო, ღონე წაართვა, ისე მიმოიხედა, თითქოს სამრახის საქმეზე წაასწრებოდა. შემდგომ, უკ-

ვე ასაკში შესული, იხსენებდა იმ გავგონარ შიშს. მიზანს ვერ მიუვხვდი და იმან შემამინაო, ფიქრობდა. იქნებ შერევილი იყო გერა კვარაცხელია! მაშინ მისი მოქმედება იოლად აიხსნებოდა მაგრამ თუ შერევილი არ იყო, თუ ის უზენაეს ნებას ემორჩილებოდა?..

ასეთ კითხვებზე პასუხს თორმეტი წლის ბერი ვერ დაძებნიდა, მონუსხული უთვალთვალეობა უცნაურ კაცს აგი ნელა მოაბიჯებდა, ფეხს მყარად ადგამდა. ასე მიადგინა პირველ საფეხურამდე, მოსინჯა, ხეწმით აიწია. ახლა ბერო მოსინჯა, ასე თანდათან მიიწევეს ერთი საფეხურიდან მეორეზე... მაღლა და მაღლა, ბოლო საფეხურამდე... იქ ჩაიკუნტა, ტვირთს ადგილი მოუძენა, რათა დარტყმისაგან თლილი კიბე არ გააბობილეო. მერე წინასწარ გამზალებული ფეძე შეასწორა, აუჩქარებლად პოზილა დულაბი, გადაუსვა ლოდი გაზოანა, ჩასვა როგორც საჭირო იყო... ხელ ჩამოფდა და ქალაქს გახედა...

— რაო, ვიკვირს? — ჰკითხა ბერის, უღვაშებში ჩაღვიძა.

ყმაწვილი გაწითლდა, ეგონა, ვერ ამჩნევდნენ.

— ეს თეთრი კიბე აი, იმ ტაძარზე გვიყვანს! — აუხსნა კაცმა.

ტაძარი ისე მაღლა იდგა, ასი წელი დასჭირდებოდა კიბის იქამდე აყვანას.

„მოცლილი უნდა იყო!“ — გაიფიქრა ბერმა.

გერა კვარაცხელია მოცლილი არ იყო.

ჟამი იდგა მოუცლელობის... რევოლუციამ შვა რესპუბლიკა, რესპუბლიკას ახალი ფორმა და ახალი სული სჭირდებოდა. ჰქონდა კი რესპუბლიკის დრო ისეთი ფორმის ჩამოსასხმელად, იმედროულად ჭეშმარიტი სულიერების ჭურჭელიც რომ იქნებოდა!

ერთხელ კაცი ვინმე მოვიდა, გვარდიელის კიტელი ეცვა. მტკიცე მიმოხრა ჰქონდა, ხელი რევოლვერის ბუდეზე ედო.

ახედა გერას ნამუშევარს და თქვა:

— კიბე მარადისობისაა, ჩვენ კი ახ-

ლა გვიჭირს!.. რა არის უზენაესი მიზანი?.. ხამშობლო! მისი აღმენება! ხამშობლო აგერაა! — კაცმა ხელით პაერი შემოხაზა, თითქოს მთელ მაცხვარკარს შემოაელო. — უნდა ავაშენოთ, საკუთარი ფორმა მიეცეთ. მას კიბე კი არა, მაუზერი და ახალი კანონები სჭირდება!

გერამ ხელსაწყოები ჩანთაში ჩაილაგა, შინ წამოვიდა. დამით ცაცანას ხამფერი დროშა შეაკერინა. დილით ბულვარზე ფრიალ-ფრიალით ჩამოატარა, მაზრის სამმართველოს შენობამდე მიიტანა, იქ აივანზე გადმოკიდა და კბინეტში მაგიდას მიუჯდა.

— ვინ ჩიქვან-მოხელეა, დაჭერას რომ მიბედავს! — გაიგონა რიხიანი შემახილი და ნესტორ თოდუა შემოუყვანეს...

„სიკეთით უნდოდა რესპუბლიკის დაცვა. — ნაღვლიანად ფიქრობდა ბერი. — ნუთუ ბოროტება უფრო ძლიერია? სიკეთე ვერ გაუმკლავდა ბოროტებას!“

ოცდაათი წელი ვერ განიკურნა ბერი ზაქარაია იმ სიმთვრალისაგან. ვინმეს რომ გაეგო, მუხეუმის დირექტორი კიბეზე იმიტომ ჩამოხვდარა, მეხსიერებაში ყველასაგან მივიწყებულ და წაშლილ შინდისფერ რესპუბლიკას აცოცხლებსო, ოპო-პო!.. ფიქრიც ხომ სამიში იყო, ოღონდ სად გაეცეოდა საკუთარ წარსულს. სიმთვრალის ჟამს ადამიანს რეალობის გრძნობა ეკარგება. იქნებ იმიტომაც ეჩვენებოდა ის შორეული წლები მარად გაზაფხულად... გერა კვარაცხელია კი იმ გაზაფხულის მეკვლედ... „ხალხი ჩვეს მხარესა!“ — იტყოდა გერა და მართალიც იყო. ხალხი მის მხარეზე იდგა, თუმცა ბევრმა არც იცოდა რატომ... ზოგს შინდისფერი დროშის ფრიალი მოსწონდა ალბათ, ზოგს რესპუბლიკა, ზოგს თვით გერა კვარაცხელია...

მერე მოვარდა ჭეჭეიანი ზეაფი ქვაფენილზე ფლოქვები არაკუნდა, ჩექმეები აბრაზუნდა, ზარბაზნისა და ოთხთვალეების რკინისხალტიანი ბორბლები ავრიადდა... საიდანაც ჩამოიღვა-

რა ხაკისფერი ტალღა დაუბანელი სა-
 ლდათებისა ვზა-ვზა ტილი რომ ცვი-
 ოლათ... ნაკვალევზე უბნის ქათმები
 კენკაედნენ, თან ფრთხილობდნენ, მანდ
 არ დაგვიჭირონ და ცოცხლად არ გა-
 ვაპუტონო...

ამ უთავბოლოდ და უსაშველოდ გაჭი-
 მულ არმიას, ვინ იცის სად ნაომარს,
 ახლა კი აღქმულ ქვეყანაში ჩამოღწე-
 ულს, წინ, დახეთ, თეთრ ცხენზე ამზე-
 დრებული ქოსა ძღვიბია მოუძღვის, ვერ
 გაიგებ სარდლად, თუ უცხო ძალის მე-
 გზურად საკუთარ სამშობლოში. პირი-
 სახე მაიმუნის ნიდაბივით უცინის, გა-
 მარჯვების სიხარულს ველარა მალავს...
 ქოსას გვერდი-გვერდ შავცხენოსანი
 ნესტორ თოდუა ასდევნებია, გაუღიმა-
 რი და მკაცრი, ბედისწერასავით უცხო
 და გაუგებარი.

მოდინ თავიანთ ქვეყანაში, ხელთ
 წითელი დროშები უპყრიათ, ზედ არა-
 ქართული წარწერებია, მანცხვარკარში
 ორი კაცი ძღვივს რომ ამოიკითხავს...

გერა კვარაცხელია კაბინეტიდან გა-
 მოდის. აიენიდან სამფეროვან დროშას
 ჩამოხსნის, დაკვავს, გულის უბეში
 ჩაიდებს... მერე კიბეზე ჩამოიბრუნს და
 ტროტუარზე ჩერდება.

აგერ ხაკისფერმა ტალღამაც მოად-
 წია. ცხენები შეაჩერეს ძღვიბი და ნე-
 სტორმა-

— გერას გაუმარჯოს, გერას! — იმა-
 ხის ძღვიბი. დავბრუნდი, გერა, გავყა-
 რეთ ეს ბურჟუები და თავისუფლება
 მოვიტანეთ!

გერას პირი მოუკუშია, დგას, სადღ-
 აც სივრცეში, ძღვიბის მიღმა იყურე-
 ბა.

ახლოს მოაგდო ნესტორმა ცხენი,
 გადმოიხარა, უთხრა:

— ნუ გვიწყენ, გერა, უსაქმოდ დაგვი-
 რჩები, შენი ხელისუფლება ჩაბარდა
 წარსულს! შენმა მთავრობამ ოქრო-ვე-
 რცხლი მიიტაცა და ვემით მოუსვა!..
 წინ ბევრი დრო გაქვს შევიძლია ქვები
 ათრიო და კიბე აშენო! ძალიანაც კარ-
 გი იქნება კიბის თავზე ამ წითელ
 დროშას რომ ავაფრიალებთ!

— რა კიბე? — იკითხა ძღვიბი.

— ნახავ, რა კიბესაც გვიშენებს ეს
 ყმაწვილი! — ნესტორის ხმაში მუქა-
 რის სიმი გაერთა.

გერა უტეხად უსმენდა პასუხი არ
 მიუცია.

ძღვიბი და ნესტორმა ცხენები და-
 ძრეს. ბულვარის ბოლოს, მოედანზე
 მცირერიცხოვანი ბრბო შეყრილიყო,
 კრებული ადამიანთა, ყოველ ახალ ზე-
 ლისუფალთ ფიანდაზად რომ დაეკება.

14

იგი იმ კიბეზე დაიდუბა, ახ მვერთ
 საფეხურზე... ოფიციალური ისტორიო-
 გრაფია წვეთ ცრემლს დააკურება
 ხოლმე მის ხსოვნას. სასკოლო საზე-
 ლმძღვანელოში ეს ამბავი ერთი წინა-
 დღებით იყო მოხსენიებული, ხელის-
 უფლების მტრებმა სიციცხლე მოუსწ-
 რაფესო... ამ მთავარ წინადადებას ზედ
 დამოკიდებული ეკიდა, ახალი ხელის-
 უფლებისადმი მისი ერთგულების გა-
 მოა.

— სწორია ეს! — ტუტუნება ცაცანა.
 — თავის ძმებს, ძღვიბის და ნესტორს
 ზომ არ შეეებრძობოდა... თვითონაც
 სოციალისტი იყო, მენშევიკებმა არ
 აპატიეს ვანდგომა..

— მგონი ოცდასამში მოხდა ეს ამბა-
 ვი! — ჩაფიქრდა ბერი.

— შენ არ ვახსოვს? — უფროს მიუ-
 ბრუნდა ცაცანა. ოცდაორი იყო თუ ოც-
 დასამი!

— ნეტავი ამ გამოჩენილებულ დე-
 დაბრებს არ უსმენდეთ! — გაბრაზდა
 უცებ ეფრო, პირი მკაცრად მოუკმა და
 მეტი სიტყვა ვერ დააცდინინეს.

რისი ვაგება სურდა ბერი ზაქარაი-
 ას? რა უფლება ჰქონდა დაერღვია
 მწყობრი მითი სამი ძმადნაფიცის შე-
 სახებ. შენობა ლეგენდა ზელმუევალი
 იყო, აგურს თუ გამოაცლიდი, დაინგრე-
 ოდა.

იმ დღეს ძღვიბი თოლორიაიმ და ნე-
 სტორ თოდუამ ახლადგამოჩევილი კო-

მკავშირელები მიუსიხინეს მაცხოვრის გორის ტაძარს. ნესტორი ჩუმი იჯდა კრებაზე, კუმტად იყურებოდა. ძღვიბი კი ტრიბუნაზე იდგა, წითელი ლოზუნვის ქვეშ — „რელიგია ზალხის ოპიუმია!“ იდგა და გულზე ხელს იბრაგუნებდა:

— ღმერთი?.. აბა სად არის ღმერთი?.. თურმე ნუ იტყვი, შეიდ დღეში შეუქმნია მთელი სამყარო. ზის ოქროს ტახტზე, იტყვის, იყავნ ნათელი და განწყობა სინათლე ჩვენ, ბოლშევიკებს, ამისთვის ღმერთი არ გეჭირდება, ელექტრონათურით გაკანთებთ არემარეს... ისე აჩახჩახდება, შენი მოწონებული, ღამეს სულაც გააქრობთ!.. ღმერთი კეთილიაო! კეთილი თუ არის, ის თავისი ოქროს ტახტი გადაადგოს და გაჭირებულ პროლეტარიატს წაახმაროს... ამას ის არ გააკეთებს! ან რა ნაირად გააკეთებს, როცა არ არსებობს!.. ეს მღვდლები გვატყუებენ, ღმერთი არისო. რისთვის დასჭირდათ მღვდლებს ეს სიცრუე! ჯერ ერთი, იმისთვის, რომ თვითონ უშრომლად იცხოვრონ, ტკიპასავით მიეკრან ღარიბ გლეხობას და პროლეტარიატს, სისხლი გამოსწოვონ... მეორედა, ეს სიცრუე იმისთვის სჭირდებათ, რომ დაგვაბრძოვონ და ჭეშმარიტებას აგვაცდინონ... ნუ იჭურდებო, ნუ წაგლეჯო, მტერს აპატიეო!.. ცარიელი, რახარუხა სიტყვით მწელია ჩვენი მოტყუება. ჩვენივე ხარჯით ღამაზ-ღამაზ ეკლესიებს აშენებენ, ოქრო-ვერცხლით მორთავენ და ამით გონებას გვაბნელებენ!.. აგერ, მაცხოვრიგორისაკენ გაიზედე! საიდანაც არ მიბრუნდები, თვალში გვეჩხირება და ღმერთით გვაშინებს!.. ჩვენ უნდა ეს ტაძარი, მოვსპოთ, ავაფუთქოთ, გავაცამტვეროთ და იმის ნანგრევებზე პროლეტარიატის ძლევა მოხდეს დროშა აღეშარათო!.. ის დროშა იქნება ჩვენი ღმერთი!

— ასე რომ, ამხანაგებო, — აღაპარაკდა ნესტორი, — მაცხოვრისგორის ტაძარი ქარქაშიდან ამოღებული ხმალია,

ოღონდ მტრის ხელში! ამიტომ მტერს იგი ხელიდან უნდა გავაგდებინოთ!.. დღესვე წითელი დროშებით და დინამიტით ლაშქრობა მოვაწყოთ!.. მობრძანდი, ამხანაგო ბერი აქ დაჯექი! შენ კაი ხელი გაქვს! აი, ამ ქალღმერთს დაწერე მანცხვარკარის კომკავშირელთა მტკიცე გადაწყვეტილება!.. კენჭი უყაროთ, ამხანაგო, ვინ არის მომხრე, დღესვე დაინგრეს მაცხოვარგორის ტაძარი?.. ხელი მიჩვენეთ, ამხანაგებო, ხელი, ნუ ჭოკმანობთ!

ბერი იჯდა წითელი ნაჭრით გადაფარებულ მკვიდარსთან, თავისი ღამაზი კალიგრაფიით გამოკაყავდა კომკავშირული დადგენილების ტექსტი, მარცხენა ხელი კი ზვეით აეწია თანხმობის ნიშნად.

— ერთხმად! — კმაყოფილებით თქვა ნესტორმა.

— ერთხმად! — ბეჭედი დაადო ძღვიბიმაც.

კრება აიშალა, ახალგაზრდები ქუჩაში გამოცვივდნენ, ოთხრიგად დაეწყვნენ. წინ უზარმაზარი ალაში წაიშდებარეს, ლოზუნგები ზე ასწიეს — „რელიგია ზალხის ოპიუმია!“ ძირს ბნელების მოციქულები! ტახტიდან ნიკოლოზი ჩამოვადგეთ, კერენსკი ჩამოვადგეთ, ღმერთსაც ჩამოვადგებთ!

ნესტორი და ძღვიბი დადგნენ გვერდიგვერდ, წამოუძღვნენ.

ბერის გული კრთოდა შიშინად. დიანაც, ღმერთი არ იყო, მაგრამ იქნებ იყო კიდევ! იქნებ ახლაც ზის ოქროს ტახტზე ცათა შინა, დაკურებს თავის ბეც, დაბრძალებულ შეილებს და სინანულით თავს აქნებს... ნუთუ გაჯავრდება და ციდან მახვილს სტყორცნის, აღგვის პირისაგან მიწისა... ოღონდაც, ღმერთი ღმობიერია, რა თქმა უნდა, თუ არსებობს... ღვთის უარყოფელი ყველა რომ მოესრა, ქვეყანაზე სისხლის ტბები ვეღარ დაშრებოდა... შვილები ხშირად ზურგს აქცევენ მშობლებს, მაგრამ რომელი მშობელი სჯის ამის გამო მახვილით შვილს.

ბერიმ მოკრძალებით ახედა ზეცას-
ლურჯ სარკვეში თითქოს დაღანდა რა-
ღაც თეთრი და სპეტაკი... სხვებთან
ერთად პირი დაეღო, სხვებსავით ვვი-
როდა — „ძირს!“ გუნებაში კი ფიქრო-
ბდა: „ღმერთო მაღალო, რომელი ზარ-
ცათა შინა, შემინდე!“ დიახ, მამამის-
მა სოლომონმა შეუნდო ბერის, კედლი-
საკენ შებრუნდა და ჩუმად მოკვდა...
ღმერთიც მამასავითაა, შემწყნარებელი,
შემნდობი, მპატიებელი...

სწორედ ამ დროს გერა კვარაცხელია
ჩხერიისპირა ჭალაში ასმეერთე საფე-
ხურს ეჭიდებოდა... ბოლოთი მიწას მო-
სწვევითა, ააყენა და ბეჭზე დაკვიცილ
პერანგს იფარებდა, რათა კანი არ გადა-
ხეხილიყო.

წამით აირინდა.

თხმელის ფოთლები შრიალებდა ხუ-
სტად. ჩხერია მოლუკლუკებდა თავის-
თვის. ფოთოლთა შრიალი წყლის ღუ-
კულუკში გადადიოდა და ამ მონოტონ-
ურ, დამამშვიდებელ ხმებში ჩაიწნა რა-
ღაც შემამშვიდებელი, ულოგიკო...
ჩხერიაას ვაღმა, ოდებსა და ეზოებს
იქით რაღაცა ხდებოდა...

გერა წაიხარა, ლოდს შუაზე უსწო-
რა, აპქანა ტვირთი მეტად მძიმე იყო.
კუნთები დაებერა, ძარღვები დასკლო-
მაზე ქქონდა. წელში ჩუმმა ტკივილმა გა-
ჰკრა... ბოლო დროს უფრო უჭირდა. ადრე
ჩიტივით მიჰქონდა ეს მძიმე ტვირთი.
მერე სხეულში ტკივილი გაჩნდა და ხა-
ნდახან შეახსენებდა თავს, თუ უხერხუ-
ლად გაიმართებოდა წელში, ან დაღლი-
ლობა დაუგროვებოდა, ან სულის სი-
მტიციე წამით დააღალატებდა.

ნაბიჯი წარსდგა. კვლავ ჩხვლეტა
იგრძნო. ლოდი უჩვეულოდ მძიმედ
აწვა, თითქოს ამჯერად უფალი არ ამ-
ველებდა ხელს. წუწუნე და ოხერა მაინც
არ შეიძლებოდა, დათქმულს ვეღარ გა-
დათქვამდა.

ფიქრი ტკივილს აფურცებს და ამი-
ტომ გონებით მანცხვარკარს გადასწე-
და ახლა უფრო აშკარად მოესმა ხმე-
ბი, ბრბოს მოძრაობით რომაა გამოწვე-
ული. ნესტორი და ძღვიბი ერთობიან

აღმათ, აღმა-ღაღმა დაარბენსებენ
ახალი თაობის ბიჭ-ბუჭებს... რა სწრა-
ფად იცვლება უამი ოხერი! განა გუშინ
არ იყო, გერა, ძღვიბი და ნესტორი პი-
რველ პროკლამაციას რომ დაჰკანკაღე-
ბდნენ, მომავალს ვარდისფერებში ხე-
დავდნენ, მათ გულებს ავი ზრახვა არ
ეკარებოდა, თავს სიკეთისათვის მო-
წოდებულად რაცხდნენ. ნესტორის გუ-
ლში დრომ სისასტიკე ჩააბუღა, ძღვიბი
კი, ქოსა ძღვიბია რევოლუციას ისე
მოერგო, როგორც ლურჯა ცხენს პი-
რუტევის ტიპა...

ლოდი უფრო დამძიმდა თითქოს, წე-
ლში მოხნიქა გერა კვარაცხელია. ტკი-
ვილი მოქალა, გაძლება გაუჭირდა...
თავიდან ამოიგდო ნესტორზე და ძღვი-
ბიზე ფიქრი, ცაცანას მისწერა...

ცაცანა ჩუმად წუწუნებდა ხოლმე.
ქმრის არჩევანი აღარ მოსწონდა. წით-
ელ სამკითხველოში დადიოდა. იქ თხე-
ლყდიან, ჩაყვითლებულ პროშურებს
უკითხავდნენ. შინ დაბრუნდებოდა და
ცდილობდა იმ დღეს შეძენილი მწირი
ცოდნა გერას ტვინშიც ჩაეჭვებოდა. გერა
ჩუმად უსმენდა, არც ეპაექრებოდა, არც
თანხმდებოდა. პატარა მართალი დაბა-
ჯბაჯობდა უკვე, საცვალი მუზღამდე
მოსთარედა. „ოსური, მიხედე ბავშვს!“
— იტყოდა გერა მტკიცედ და ცაცანა
გაჩერდებოდა, გაიბუსებოდა. სწყინდა,
ნესტორი და ძღვიბი წითელ აღმებს
რომ დააფრიალებდნენ, გერა კი თავისი
უჭკუობით, ლოდებს დაათრევდა...

ვიწრო, ხვირჭკიანი ბილიკი მიზო-
და ჩხერიის გასწვრივ. გერას ხან კე-
ნჭები უსხლტებოდა ფეხქვეშ, ხან მა-
გუიას თხელ ლანჩაში ატანდა და ფეხი-
სგულს მტკივნეულად უხერავდა. მერე
ბილიკმა ნაპირიდან ნაკენახარზე გადა-
ირბინა და ქალაქიდან მიმავალ შარაზე
გავიდა. ამ ადგილიდან კაკლებიც ჩან-
და და ხიდიც, მაგრამ მძიმე ტვირთქვეშ
მოხრილ გერას თავის აწვევა არ შეეძ-
ლო. ოფლის წვეთები ცხვირის წვერზე
უგროვებოდა და, რაკი ხელები დაკა-
ვებული ქქონდა, მოწმენდაც არ შეეძ-
ლო.

ხმები წამოეწია, თითქოს უთვალავი ადამიანი მოაბიჯებდა ფეხანქარებით, მტვრიან შარაზე ლანჩებს ბათქუნი ვაქქონდა. ხმები თანდათან ძლიერდებოდა გერა მიხვდა, ხიღბე გადმოდიოდნენ. და უცბად ბრაგაბრუვში გადაიხარდა შებრუნდა და მძიმედ დაუფვა მაცხოვრისგორის შარას, პირველ საფეხურს ბევრი არ უკლდა.

„ვინ მოდის? — ფიქრობდა თავისთვის. — უცხო ჯარებით გაივსო ქვეყანა!.. ბოდიან და მოდიან!.. თავიანთ ქვეყანაში ვერ დაეტიენ!“

სიყმაწვილიდან მეამბოხის ჭია გაუნდა, ბოროტების ძლევაზე და სიკეთის აღზევებაზე ფიქრობდა, მაგრამ შავი ბრბოს ყოვლისდამთრგუნველ ძალმომრეობას შეესწრო და უკვე არ იცოდა, რისთვის იღუაწა აქამომდე — ბოროტებისთვის თუ სიკეთისთვის.

ერთადერთი, რაც არ ეჭვქვეშაობდა, იყო თუხა: „ კიბე სიკეთე!“ ის მალდა მიმართებოდა, თეთრი ტამრისკენ!

აგერ პირველა საფეხურიც! მავანს მცირე მინდორი მოეტკეპნა მთისძირას, მოესწორებინა. აქედან არბოდა თეთრი კიბე ფერდობზე, მოხრილი ისარივით იწეა მწვანე ვარაყში.

გერამ ფეხი შედგა საფეხურზე, აიწია, რათა მეორე ფეხიც აეზიდა... ბეჭზე ჩამოდებული ღოღი უფრო დააწვა. ხმლია სიმძიმეს და საფეხურზე მყარად დადგა. კვლავ მძაფრად გაჰკრა ტკივილმა, უკვე არ იცოდა რა სტიკიოდა, ხერხემლის ძალა დაუზიანდა ალბათ, ან თირკმელი, ან გული... ყოველივე ღუთის ნაბოძები იყო და მისთვისვე ემეტებოდა.

ფეხის ჩქარი ხმა ახლოვდებოდა. თითქოს ადამიანთა ნიაღვარი მოედინებოდა, რალაც ნებას აყოლილი სწრაფად მოიწვევდა, საცაა ფერდობს შეეხლებოდა და გერასაც გადაუვლიდა.

გერა უკვე რამდენიმე საფეხურზე ავიდა და ქვეშიდან რომ გამოიხედა, ოფლის ნისლში ძლივს გაარჩია რუხი ნიაღვარი, რომელსაც ორნი მოუძლოდნენ — ნესტორი და ძღვიბი.

სასიკეთოდ არ მოდიოდნენ, ცხადია! იქნებ მთლად გერას ეტბდნენ, მისი ხულის წასაწყემნდად მოიჩქაროდნენ. ძალა მოიკრიბა გერამ, ხორციელი ტკივილი დათრგუნა, ხულს მიენდო და კიბეს ღონივრად, თავისუფლად შეუყვავა... დიხაბა! კაცთა თვალს არ უნდა ეხილა გერას სისუსტე, კაცთა ყურს არ უნდა სმენოდა მისი ოხერა და კვნესა... წინ, აღმართის თავზე გიმნაზიელის გამჭვირვალე ლანდი მიფარფატებდა და იხმობდა, ძალას მატებდა...

უცბად მოეწია ტალღა! ერთი მხრიდან ნესტორმა შემოუარა, მეორე მხრიდან ძღვიბი. საფეხურებზე თითქმის წაწვენენ, რათა ქვევდან ამოეხედათ, შხერა გაეწირობინათ.

— შრომობ, გერა? — ჰკითხა ნესტორმა. მის ხმაში ამჯერად არც ღვარძლი იგრძნობოდა, არც სიფიცხე, უფრო სიბრალული, როგორც იბრალებენ უგუნურ ბავშვებს, ვისაც ჭეშმარიტებას ვერ შეასმენენ.

— აუპ, რა ტვირთის თრაქვა შეძლებია! — დაიჯღანა ქოსა, უკბილო პირიდან ბოროტი ზითხითი გამოსცა.

გერა არ შეჩერებულა, გადააბიჯა ნესტორის თანაგრძნობას, ქოსა ძღვიბიას დაცივნას და მომღვეწო საფეხურზე აინაცვლა.

ნესტორმა და ძღვიბიმ გადაასწრეს. მსუბუქად, ღონივრად მიიჩქაროდნენ. ზურგიდან კი ახალგაზრდები მოადგნენ, ზოგი მხიარული ყყანით, ზოგი ჩუმიად, ზოგი თანაგრძნობით, ზოგი ქილიკით, — გვერდს უკლიდნენ გერას, უსწრებდნენ და მეწინავეებს მისდევდნენ.

რას იმშენავდა ყოველივე ეს? რისთვის აჰყავდათ ნესტორსა და ძღვიბის მაცხოვრისგორაზე ქალაქის კომკავშირლები. ამ კითხვაზე გერას პასუხი არ გააჩნდა.

ის დაილალა, საშინლად დაილალა! მუხლები ბამბასავით უგრძნობელი გაუხდა, ზურგი ერთ მთლიან ტკივილად გადაექცა.

„ღმერთო, ღმერთო!“ — გუნებაში შესთხოვა გერამ. ბოლო კომკავშირლე-

ბის ფეხის ზმაც მიწვდა და პასუხად სიწყინარე ჩამოიღვარა, რომელშიც მსუბუქად ფოფინებდა რაღაც უხმო და გამჭვირვალე, ალბათ გიმნაზიელის წმინდა სული.

კიბე კი არ იღვოდა, საფეხურთა რიცხვი აერია... ნუთუ ამდენი მოასწრო გერამ, რომ დათვლა უჭირს?... თუმცა ბევრიც ცოტაა, რადგან უფლის თეთრი ტაძარი ძალიან მაღლა დგას და იქამდე კიბის აფვანას ერთი სიცოცხლე არც ეყოფა!

შეასე საფეხურს მოულოდნელად წაადგა. ჯერაც შორი ეგონა, კიბე კი უცებ გათავდა. ასმეერთეს ჩათხრილი ფუძე შზად იყო. გერა შეტორტმანდა, გაუჭირდა ტვირთის ჩამოღება. ბოლოთი ფერდს მიაყრდნო, შეამაგრა, ზედ მიეკრა, გაუსაძლისი ტკივილის გაყუჩებას დაელოდა... დუღაბისათვის ძალა არ ეყო, ისღა მოახერხა, ლოდი ფუძეში ჩააწვინა, წელში უნდა გამართულიყო და სწორედ მაშინ იფუტქა.

მატხოვრისგორის თავზე, იქ, სადაც თეთრი ტაძარი იდგა, ცად აღიმართა მირიადი ნამსხრევნი, უზარმაზარ ნაცრისფერ ყვავილად გადაიშალა, გარემოს გადაეფოფრა, ფერდობზე აბრაგუნდა უთვალავი ქვა და ღორღი, ზვეით კი ატივტივდა თეთრი ღრუბელი, მაღლა ავიდა და იქ დაეკიდა, რათა თანდათან გამჭრალიყო, მსუბუქ ზღვაურს მთებისკენ წაეღო...

— უფალო, ნუთუ ვერ ზედავ?! — ჩაიბროტინა გერამ და ასმეერთე საფეხურზე დაემხო...

15

კარზე მოკლედ, მორიდებით დააკაკუნეს. ბერიმ ყური მიუგდო. ალბათ მოეჩვენა. იქნებ ნიაემა ტოტი შეარხია და კედელს მოხვდა, ან იქნებ მეზობლებთან დააკაკუნეს...

საკუთარი სახლი ბერის არ ჰქონდა. იმ საშინელ ოცდაოთხში, სახლი რომ გადაუწვეს, ძღვიბი თოლორაიამ აქ,

ამ „ბარაკში“ გამოუყო ოთახი. ოდესღაც სალდათების ფაზარმა, წითლების დროს იავარქმინილი, ახალმა ხელისუფლებამ შეაკეთა და გრძელი დერეფნის ორივე მხარეს ჩამწკრივებული ოთახები თავის უსახლკარო და უქონელ მომხრეებს ჩამოურიგა, თან იმის იმედიც დაუტოვა, დროებითი თავშესაფარია, თორემ ხელისუფლება ზვალ-ზვგსრა სასახლეებს ავიშენებთო. თავდაპირველად ბერიც ამ იმედით ცხოვრობდა. უმთავრესი, რა თქმა უნდა, მსოფლიო რევოლუცია და პროლეტარიატის დიქტატურა იყო, შემდგომ ამის ახალი ცხოვრების ამწენება მოჰყვებოდა. სიტყვა „ამწენება“ წარმოსახვაში სწორედ რომ ლამაზი სახლების აგებად აღიქმებოდა. ამიტომაც არ უზრუნია, რომ თავის დროზე მოეწყო საკუთარი ყოფა, დაცოლშვილებულიყო, სპარტანულად ცხოვრობდა და საბოლოოდ ამას მიეჩვია კიდეც. ამისობაში სოლომონ ძღვდლის ნასახლარს სხვები დაეპატრონენ და შერჩა ბერი ზაქარია ამ „საერთო საცხოვრებელს“. ამით იგი უკმაყოფილო არ ყოფილა. მარტოკას მეტი არც სჭირდებოდა — ტახტი, საწერი მაგიდა, ტანისამოსისა და ჭურჭლის კარადები, ოთხი ტაბურეტი, კუთხის ბუზარში ნათქურა... ეს იყო და ეს! მოულოდნელი და იშვიათი სტუმარი თუ ეწვეოდა, იმისთვის ტახტის ქვეშ გასაშლელ საწოლს ინახავდა.

... მაშინ, ოცდაოთხში შავმა კატამ გაირბინა ნესტორსა და ქოსას შორის. თითქმის სამი წელი ერთად მართავდნენ ქალაქს. ძღვიბი თოლორაიას პარტიის საჭე ეპყრა, ნესტორს — საბჭოსი. გუმინდელი ძმაკაცები თავდადებით ამწენდნენ ბოლშევიკურ ციხესიმაგრეს, ოღონდ ორი ვეშაპი ვერ ჩაეტია ერთ პატარა მანცხვარკარში. ერთი უნდა ყოფილიყო სრული გამგებელი, მეორეს კი თავი უნდა წაეხარა. ამჟამად იყო ნესტორ თოდუა და ამან დაღუპა,

გულდრო და შურიანი იყო ძღვიები თოლორაია და ამან გაამარჯვებინა. სისხლს თუ არ გამოუშვებ, წნევას იხვევრ დასწევო, იტყოდა ძღვიები... ოსტატი იყო სისხლის გამოშვებისა, ასეთი იყო მაღალი ნებაც და ქოსა ძღვიბია სიხარულით გადაეშვა მორევში.

— ამბოხების სუნი ტრიალებს, დროზე უნდა შევიპყრათ მოთავენი! — მჯიღი მაგიდას დაკრა ნესტორმა.

— ბეცი ხარ შენ! — დაუსიინა ძღვიბიმ. — ამბოხება უნდა მოხდეს! საბაბი გვინდა ჩვენ! დავესვით ერთბაშად, არ დაეტოვებთ თავადსა და ჟინოსქუას, მღვდელსა და ბერს, მენშევიკსა და ფედერალისტს... ერთი ხელის მოხმით გადავხნავთ და გადავფარცხავთ! სარეველას რომ მოესპობთ, მაშინ დავიწყებთ ახლის შენებას!

მიხვდა ნესტორ თოდუა, რა ჟინიც სჭირდა ქოსას, წინ აღუდგა. არც თვითონ შინებია აქამდე სისხლისა, მაგრამ წინასწარგანჭვრიტა მოხალოდნელი კალღ და თაუხარი დაეცა. ამიტომაც შეეცადა ლოკიკის ბარიერი აღეშრთა ძღვიბის წინ, მაგრამ სიტყვა არ იყო ის იარაღი, სისხლის მდინარეებს რომ გააჩერებდა.

— მოლაღატე ყოფილხარ შენც! — ასე ბრძანა ძღვიბიმ. — სიტყვის ბადეში გინდა გამხვიო, ამით მტრის გადარჩენას ცდილობ!.. მოლაღატიხათვის ტყვია მაქვს. აი, ამ მაუხერში, იცოდე! ეს მხოლოდ სიტყვა იყო, მუქარით წაცდენილი, მაგრამ ნესტორი მიხვდა საშიშროებას, განერიდა, სიფრთხილედ იქცა. ირგვლივ მიმოიხედა, საყრდენს ეძებდა და ბერის მიენღო, ზაქარაიას.

— ცუდი დღეები გველის ბერო! — უთხრა. — წერილი უნდა მიწეროთ მთავრობას, შენ უნდა გაგატანო, აქაური ამბები უნდა გაგავებინოთ დროზე, თორემ ზღვა სისხლი დაიქცევა და საბჭოთა ხელისუფლება შერცხვება!.. გვიდაღატა, მგონია, ძღვიები თოლორაიამ, მტრის წისქვილზე ასხამს წყალს!

ოლონდაც, ძღვიები თოლორაია უკვე არ იყო ის ქოსა, სტოლიპინის ვაგონში

წორნას რომ ფეხისგულეს უფხანდა. რაც ჩანდა, ათი იმდენი იყო. სანამ ნესტორი თავის უსტარს შეთხზავდა და ბერის თბილის-ქალაქს გაატანდა, ძღვიბის წერილებმა უკვე მოსკოვს უწიეს.

ბერი ზაქარაიამაც ვერ შეძლო დროულად თბილისს გამგზავრება. ახალგაზრდა კაცის სულში ქარიშხალი ტრიალებდა, ვერა და ვერ გაერწია მტყუნმართალი. იქნებ ძღვიები თოლორაია იყო რევოლუციის საქმის მოლაღატე, მაგრამ იქნებ მოლაღატე თვით ნესტორ თოდუა იყო. რა იმალებოდა ამ ორი კაცის ქიშპობაში? ვანა ორივე გვერდივერდ არ შემოუძღვა წითელ არმიას სამი წლის წინ? ორივენი ერთი და იგივე სიტყვებით მეტყველებდნენ, ორივენი ერთი პარტიის წევრობით ამყობდნენ, ერთიც და მეორეც დიდ ლენინზე ლოცულობდა, ცხარე ცრემლით მისტიროდნენ მის უდროო გარდაცვალებას, ერთიც და მეორეც ადიდებდა დიდ ბელადს ტროცკის... მისმა მანქანამ მანცხვარკარი რომ გაიარა, ძღვიები თოლორაია თეთრ ცხენზე იჯდა, ნესტორ თოდუა — შავზე. აქედან და იქედან აედევნენ სამხედრო კომისრის მანქანას და ლევ ტროცკი განაცვიფრეს ერთმა ვაჟკაცობით, მეორემ სიტყვაპასუხით. მოედანზე, ხალხის წინაშე გამოსულმა ტროცკიმ მაშინ ბრძანა: „ბოდიშს ვიხდი, რომ ვერ გესაუბრებოთ იმ კეთილშობილ ენაზე, რომლის ბევრათა ფლერადობა ჩემს სმენას ატკბობს!“ მერე ილაპარაკა რუმინელ შემამულეებზე, იმპერიალისტ ლოიდ-ჯორჯზე და დასძინა: „ჩვენ უძლეველნი ვართ, რაკი ბოლშევიკთა დროშის ქვეშ იბრძვიან ისეთი ვაჟკაცები, როგორიცაა მანცხვარკარელი ძღვიები თოლორაია და ნესტორ თოდუა“. ახლა კი ვველაფერი ვირაზება, ნესტორი ძღვიბის მოლაღატედ ნათლავს, ძღვიები — ნესტორს... თავზაბანულ ბერის კი უსტარი ჯიბეში უდევს და ვერ გადაუწყვეტია, ვის ემსახუროს, ვისი დროშის ქვეშ დადგეს.

შინსახკომის ეზოში წითელი დროშა ფრიალებს. ზედ ოქროსფერი ნამგალი და ურო ახატია. ოქროსფერივე ასოებით აწერია „რკპ (ბ)“. გასწვრივ ჩამწკრივებულან პარტიული ამხანაგები, კომკავშირლები და, რა თქმა უნდა, — შინსახკომელები. ძღვიბი თოლორაია აივანზე გადმომდგარა და ქადაგებს:

— კონტრრევოლუციის პიდრამ წამოყო თავე! საქართველოში! ამხანაგებო! იმპერიალისტების ლაქიებს რკინის ჩექმებით უნდა გაუუჭკეპოთ თავები, მენშევიკ ღორებს ყელეები გამოვლადროთ, მემამულეებსა და ბურჟუებს, თავადებსა და აზნაურებს ცხელი უთოთი გადაუვაროთ... დიდი ბელადი ლენინი მოგვიკვდა, მაგრამ მტერს ეს ნუ გაახარებს. ის მუღამ ჩეჩინანაა! მისი ერთგული მოწაფეები ტროცკი და სტალინი გვითვლიან პროლეტარულ საღამს და მოგვიწოდებენ, რომ მედგრად ვიდგეთ, სისხლში ჩავახშოთ საბჭოთა ხელისუფლების მტრები, რომლებიც ცდილობენ მშრომელ ხალხს წაგლიჯონ რევოლუციის ძვირფასი მონაპოვრები...

ენა უჭრიდა ძღვიბი თოლორაიას, კი არ ლაპარაკობდა, ბუჭედს არტყამდა.

— ვაშა!.. ვაშა!.. — აღრიალდნენ ეზოში თავმოყრილები.

— გაუუჭკეპოთ თავები! — აკნავლდა ბერიც, სიტყვათა ქსელში გახვეულს მოეჩვენა, რომ მიაგნო ჭეშმარიტებას, პასუხი გასცა ძნელად გადასაწვევტ კითხვაზე, ვინაა მტერი და ვინ მოყვარე.

„ბრიყვი ვიყავი და რეგვინი!“ — ხეველით ფიქრობდა შემდგომ სიჭარბაგეშიშესული ბერი. „მოტყუებული და დაბნეული!“ — თავის გასამართლებლად ამატებდა, მაგრამ თავის მართლება შვებას ვერ გვრიადა.

— ყოჩაღ! — ძღვიბიმ ლოყაზე მოუთათუნა თითები. — შენი იმედი ყოველთვის მქონდა!.. ახლავე მიუუხტეთ მაგ გველის წიწილას, ბურჟუების ლაქიანსა და კონტრას!

ცხენს შეაფრინდა ძღვიბი, ნიტანს წონისა თუ იქნებოდა. მოხალისენი, ბარე ათიოდე, ფეხდაფეხ მიჰყვებოდნენ ხარბილით.

თოდუებს მიუყარდნენ შინ.

ეფრო გამოოგება, კუშტად, უშიშრად შეხედა. ბერი თითქოს გამოფხიზლდა, თვალი აარიდა. შემდგომ ხშირად ფიქრობდა, დამიმახსოვრა თუ არა ეფრომ, ვაიგო თუ არა, რა როლი ვითამაშე მისი ქმრის ბედშიო.

ძღვიბიმ ცხენი დაავლო. კრთომა ვერ დაფარა და განკებ ფაფხურობდა. ქალის წინ აიტუზა, ქვემოდან ასცქეროდა, თან ხელში რევოლვერს ათამაშებდა.

პირველმა ეფრომ ამოიღო ხმა, უტეხად უთხრა:

— ბავშვი არ დამიშინო, ძღვიბი თოლორაიავე!

აკვანში ეძინა ტატანის, გაზრდილიყო, მთელ აკვანს ავსებდა, მაგრამ შეჩვეულს ალბათ ვერ ელეოდა.

— გველის წიწილი აკვანშივე უნდა ჩაჭკეპო! — წაისისინა ქოსამ და რევოლვერი შემართა.

იქვე, გვერდით მდგომმა ჩეკისტმა, — ბერიმ ვერ დაინახა ვინც იყო, — ხელი აუკრა.

მეზივით გაყარდა. ტყვიამ ნაფოტი აატება აკვნის თავს.

დააჭყეიტა ბავშვმა თვალეები, ელდისაკან ხმა ვერ ამოიღო. ეფრო გადაეფოფრა შეილს.

ჩეკისტს მძულვარედ შეხედა ძღვიბიმ (იქნებ თამაშობდა კიდეც, უნდოდა აეცდინა და ააცდინა), რევოლვერი მკერდზე მიაბჯინა, იმან კი ენის ბორძიკით უთხრა:

—ბა-ავშემა რა დაამავა? იქნება იმისკან ლენინზე უკეთესი კაცი გაიზარდოს!

შემოტრიალდა ძღვიბი, კვლავ ცხენს მოახტა, შინსახკომში შებრუნდა.

წუთებს ითვლიდა, იმდენი საქმე ჰქონდა, ვერა და ვერ ჩაეტეოდა ამ ბნელსა და უსამველოდ გაჭიანურებულ ღამეში. როგორ თავსდება ვველა ეს მოგონება გვერდიგვერდ? იქნებ ბერის მეხსი-

ერებაში აირ-ღაირა ვველაფერი, მიხეზ-შედევობრივი კავშირები გადაადგილდა, ან მთლად გაწყდა... თოდუების კარზე მივარდნა და აკენისათვის ნახროლი ტყვია, სისხლიანი ორგია, ვველაზე ფანტასტიკური წარმოსახვითაც რომ ვერ წარმოიდგენდა, ნესტორ თოდუაზე გამართული ნადირობა და დეპეშა ცენტრიდან, გვეყოფა, ნუ გადავაჭარბებთო.

ასე დაამახსოვრდა ბერის: სულაც არ თენდებოდა იმ ჟამს. ღამეს ღამე გადაეხა, ბნელს — ბნელი, რაკი ამოდენა ბოროტების ცქერა მზესაც არ ძალუძდა.

მანტევარკარის დახლართული ორლობებიდან, ახლო და შორეული სოფლებიდან მოჰყავდათ და მოჰყავდათ ხელეგაკრული ქალი და კაცი, ბერი და ახალგაზრდა, გლეხი და მუშა, მცოდნე და უციცი... არაეინ იცოდა, რა ხდებოდა, რისთვის ერეკებოდნენ შინსახკომის ფართო ეზოსაკენ. ვინაც იცოდა და საშუალებაც ჰქონდა, ნაცნობს და სახსარს დაეძებდა ახლობლის გადასარჩენად, თუ გადაარჩენდა, სხვას, უსახსროს და უპატრონოს ჩაამატებდნენ.

— ამხანაგებო, ჩემი დაჭერა არ შეიძლება, ჩემი ძმა კრემლის დაცვაში მუშაობს! — ირწმუნებოდა ერთი ახალგაზრდა.

— ნუ გეშინიათ, ძმებო და დებო, ეს ხომ ჩვენი მუშური-გლეხური მთავრობაა! დაგვიტოხავენ და ვინც უდანაშაულონი ვართ, გამოგვიშვებენ! — იმედს არ კარგავდა მეორე.

— რაღაცა ხდება, მგონია! — თავგზა აბნეოდა მესამეს.

ძღვები თოლორაია საქმიანად აფრიავლებდა ქაღალდებს, სიებს აკოწიწებდა, საანგარიშოზე აჩხაკუნებდა, შემოსავალ-გასავალს ითვლიდა. შემოსავლად სიკვდილს თუ მოითვლიდა, გასავ-

ლად — პატიებას, მაგრამ მუნწის გულმოდგინებით ცდილობდა ხელიდან არ გაეშვა, ვისაც კი მოიხელთებდა.

— ეს რა ხალხია? — იკითხა.

ოცდაათოდე კაცი იდგა განზე, სვანური ქულები ჩაფხუტებად ეხურათ, ბარწერაქვი ძირს დაეწყოთ.

— სენები არიან მიწის მთხრელები!

— კიდეკ კაი! — დაიღმიჭა ძღვები. —

ბოტანიკურთან, ხომ იცი, დი-დი არხი უნდა გავთხაროთ!

— ანაზღაურებას ითხოვენ, უფროსო!

— აუნაზღაურებთ, აბა რას ეუზამთ, ჩვენ ხომ ღარიბთა და მიწისმთხრელთა ხელისუფლება ვართ!

მიწისმთხრელებმა წამოკრიფეს თავიანთი სამუშაო იარაღი, მომცრო ტოპრაკები, და კმაყოფილი თავის ქნევით სამუშაოდ გაემართნენ.

ეზოში ბლომად მოგროვდა ხალხი. შეშინებულნი, გასუსულნი ელოდნენ განაჩენს.

ერთი დედაკაცი იჯდა მიწაზე, წინ და უკან ქანაობდა და ხმამაღლა მოთქვამდა:

— ვაჟა, ბაბა, ამდღა დოპილუნა, ბაბა!..* ვაჟა, ბაბა!..

მოვარდა გუშაგი, წიხლი ჩააჩილა, გააჩუმა.

დედაკაცს არაეინ გამოეხარწლა, იმან კი ცოტა ხანში კვლავ ქანაობა და მოთქმა განაგრძო:

— ვაჟა, ბაბა, ამდღა დოპილუნა, ბაბა!..

კვლავ და კვლავ მოჰყავდათ ხელფეხშეკრულნი, ნაწიხლარნი, ნაცემნი. იმედიანნი და იმედდაკარგულნი.

სდუმდნენ, ნაცნობნი თუ გადაუნურილებდნენ ერთმანეთს შიშინანად:

— რატომ?.. რისთვის?..

არაეინ არაფერი იცოდა.

საათი საათს მისდევდა, დრო კი მოულოდნელად დადგა.

— დაეიწყოთ! — ბრძანა ძღვებიმ.

* ვაიმე, მამა, დღეს მომკლავენ, მამა...

მურმან ჯგუჯურია

მკატერინე ჭავჭავაძე

პოემა

ვით გაზაფხული უკვე ჩაელილი,
ვით მოყოლილი თოვლქვეშ ყვავილი,
გაქრა სიტურფე მისი მწყაზარი...
დადგა ზამთარი.

შ მ ს ა შ ა ლ ი

გარდაიცვალა დავითი. ნიკო იმხანად მცირეწლოვანი იყო. „ლეკვი სწორია“, გვასწავლის შოთა და მითქმა-მოთქმა თუმცაღა მოჰყვა, ქალმა იკისრა სამთავროს მართვა, გაეხსნა ღარი ჭორსა და მართალს, ჩიქვანი – იქით, გრიგოლი – აქეთ და აირია ამრიგად საქმე. აზნაურს მისცა უაზნომ მზარი, „თავზე დავისვით, ბატონო, ქალი“, მაგრამ იმძლავრა თამარის სისხლმა და აღადგინა მან მისხალ-მისხალ სუფევა წყნარი სამთავროს შინა, დანრდილა ძოწი დროებით რკინამ, ასე გაზაფხულს მოხდება ზოლმე, მზე რომ ანათებს ქვეყანას ყოვლით, ღრუბელი კუმტი დანდება ცაზე, ვით უტყუარი გრიგალის მაცნე, ჩამობნელდება ზეკარი უცებ და ბნელი ჯავრი გაწევა გულზე? ქუხს მთებში, ძრწიან ლერწამნი წვრი-
ლნი და აწევს მუხას საქვეყნო წილი და მწყემსავს იგი ოდიშურ სანახს და ერთფრთად იცავს ხესა და ბალახს...

მთავრინა ლოცვად შევიდა ტაძრად, ევედრა უფალს, რამეთუ კაცთა არა უწყიან, სწაღიან თუ რას, ასე გამზრდელი მეტადრე ზრუნავს ხეიბარ შეილზე, მღვდელს უყვარს მრევლი, – და ტურფა ღაწვებს უსველებს ცრემლი; „ოზერა არს შუება!“ – წაიღო ფიქრმა, ნუთუ ყოველდ ეს მიტომ ითქვა, რომ უწინ იგრძნო მან ჩემი ბედი, – და გამოვიდა ტაძრიდან. ხელი განათდა ყოვლით, და მიხვდა იგი, რომ არ დათმობდა ამ ტანჯვის გვირგვინს, რაიც არგუნა საწუთრომ, რაიც ართმევდა ბეჩავს სიცოცხლის ხალისს, არა დავითის, არამედ ტატოს ერთგული იყო აწ ქვეყნად მართო, გულს ჩაიმარხა სიმართლე ესე და მიჰყვა სოფლის ადათს და წესებს და კმაყოფილი ეგონათ ბედით, თუმც ხმის გამცემიც არ ჰყავდა გვერდით.

სოფელი კოკი (ნალიზა)

- და მოადინა უცებ ზღართანი,
 მიწას გაეკრა ზურგიით თათარი,
 შეიკრა რკალი, არე შენივთდა,
 კიდა მან თვალი გადრჩენილთა,
 რომელნიც ჯერაც მგერულთ
 ებრძოდნენ,
 და მწუხარება იგრძნო ესოდენ.

ვინ დარჩებოდა, ვინ თქვას ცოცხალი,
 წითლად ღვიოდა სერზე მოცხარი,

ხოლო ენგური ჰგავდა გველშაპს,
 იგრაგნებოდა ესრეთ ველებში,

იძაბდა ვილაც, საშველს ითხოვდა,
 აბრძოდნენ კიდე თითო-თითოდა,

მაგრამ ჩქარობდა მწუხრი მღუმარი,
 და როგორც წყვეა და სამღურავი,

თავს ემზობოდა მას ვიამეთი
 და უცხო იყო სივრცე-განედი.

- ალლა! - აღმოხდა, ხმალი
 ფხიანს

შეღვა ჰაერში და ჯავრიანი
 ზეცა, ვით მუშტი, ისე შეიკრა,
 და ხმალია სისხლში გაიჭიქოფა!

სულთნის სასახლე

ხოლო ამ წუთას სულთნის სასახლეს
 არ ეკარება ჭმუნვის ნასახიც.
 დარბაზში ღზინი ჩქეფს უჩვეულო,
 დღე გადიკეცა... ღამის რვეული
 გადაიშალა ფარდის შრიალში
 და სიზმარულ იდილიაში
 ჩნდება დარბაზი ჭერმოხატული
 და ათორმეტი ტურფა ხათუნი
 თქმითა რხევით წრეს რომ უვლიან,
 მუსიკაც თითქო აბრეშუმი,
 ისმის დაფის ხმა, ზურნის ჭვეტიანი
 და ჰაწაწინა კარის ჭვრიტინით
 შიგ იყურება მონა-მსახური,
 ხოლო კოშკს ზედა დგას მაძახური.
 მიმოღის შიშველ ქალთა წყებანი,
 ასული ერთი, გაუბედავი,

როგორც ქურციკი, ტვის განაპირას
 წყლის დაწაფებას რომ დააპირებს
 და ეშინია მაშინ ნადირის
 და ვეღარ ძალუძს მოკვლა წადილის,
 ისეა თითქოს, და ხილბანდით
 ვერ გაუხედავს კარგად აქამდის,
 მაგრამ სულთანი მას აკვირდება,
 იგი ხან ღალად გადაბერიდება,
 ხან გაისწორებს ისევე მუთაქას,
 ენა კი ჯერაც არ მოუთაფლავს,
 არ უთქვამს ჯერაც, რომელს აირჩევს,
 იმ შეწინავეს თუ იმ ქალიშვილს,
 ვინაც სუფთაა, როგორც ბუმბული
 და ციციქნა პირში ორი კუმპალი
 ვერ ჩაეტევა ერთად, - ისეთი
 ნობათი უძღვენს მას ევრისეთით.
 ცეკვავს თორმეტი ნახი ფერია
 და ოცდაოთხი მკლავნი მღერიათ,
 და ოცდაოთხი ფეხის კარებით
 იხსნება სიზმრის მნატე კარები,
 ეხვევა ხონთქარს ბოლი თრიაქის
 და ხათუნები ნელი ცრიატით
 გარე უვლიან სვეტებს ფეროვანს,
 შორს კი ძვირფასი სამეგრელოა...

ისკანდერ-ფაშა

ისკანდერ-ფაშა ზუგდიდს დაბრძანდა
 და დობორედან უმხერს ზარბაზანს.
 შორს ვიხვიზებენ ცეცხლის ენები
 და ჭიხვინებენ ჟამ-ჟამ ცხენები.
 ღრეობენ თურქნი გამარჯვებულნი
 და ღრიანცული თავაშეებულნი
 ესმის დადიას კობტა ეზო-კარს,
 უკვე მოურალია უმრავლესობა;
 ხოლო საკარო ეკლესიაში
 ყურის წამლები ისმის ვნიახი,
 გამარჯვებული ხარობს სარდალი,
 მისია კვერთხი და სამართალი.

ანაკლიის ციხის დარაჯის ოსან-ოღლი მელიქურთის ბარათი მუჟისადმი

ყოვლის მეუფეე და ცის ნაწილო,
 მიწაზე - ღომო, ცაში - არწივო,
 ამით მიემართავ თქვენს მეუფებას,
 გული კარგს მიგრძნობს და მეუბნება:

სამურზაშასწი

რომ არ გადავა სიტყვას მეგრული,
თუმცა ძალიან გვეყავს დაბეკრილი,
არ მოგვკლდებოდა, ალბათ, სურსათი,
თუმცა მზარს უჭერს ოდიშს რუსეთი.
თავზე საყრელი გვაქვს აქ სიმინდი
და მარად გვეჯერა, თქვენი იმედით
რომ განიერცობა კელაფაც ხარაჯა,
წერს ამას მონა თქვენი, დარაჯი
და ანაკლიის ციხისა მცველი,
დიდების თქვენი და ლოცვის
მთქმელი.

ომარ-ფაშას წერილი
პაატარიძეს დადიანისადმი

მე, ბანოვანო თქვენს ბრწყინვალეებას
ვთხოვდი, ამ მძიმე დღეთა ცვალებას
შეხედოს, როგორც შენის დედოფალს,
და მტრად ნუ შერაცხს თავის
მგობარს;
და რაკი სულთანს მოაქვს სიკეთე
თქვენი ქვეყნისთვის, ნუ მოიფიქვით,
უცებ ნუ განსჯით ჯარის საქციელს
და თქვენს სამთავროს, რაც დაეწიეთ,
მერწმუნეთ, ისევ თქვენი ბრალია,
ხოლო მთავარი რაკი ქალია,
კიდევაც მართებს ზრუნვა ქალური
და შეინახოს უნდა მამული,
რადგანაც დღავის ხახა მშვიერი
(მოწამე არის თავად ციერი)
თქვენ გემუქრებათ ჩასაფლაპაჟად,
რას მიეწიერთ თქვენი გაპარვა,
როცა ოდიშში ცაცხლი ბრიალებს,
რა პასუხს აძლევთ ოზურ-ტიბალებს,
რომელთ სწურიათ ქვეყნად მშვიდობა,
თანაც წყეული ეს წყალდიდობაც
ზედ წაემატა იმათ ვაებას;
ო, დედოფალო, რა მწუნხარება
სუფევს ოდიშში, ოდეს მთავარი
არ ფიქრობს, პოვოს გამოსავალი
და შეუერთოს ბედი ოსმალეთს,
ვიდრე უწყალოდ ამოხოცავენ
და გადაწვივენ ოდიშს სრულებით;
ეწერ ამას სულთნის განკარგულებით
მე, ომარ-ფაშა, ცამდე მართალი,
ოსმალთა ჯარის მთავარსარდალი.

დაღონებულა კაც მარღანია
(რომელს ენდობა თემი ძალიან),
მიემხროს ომერს, თუ რუს-ყაზახებს,
თუ დაუჭიროს მზარი აფხაზეთს,
რომელიც უკვე ომერს დანებდა
და უბრძოლველად გახსნა კარები?
აგაშენებთო, ბრძანა ომერმა,
და თუმცა ჰამუდ-ბეის ლომებმა
დიდი გამართეს კბილთა ღრჭიალი,
დაემორჩილნენ მტერს ქრისტიანნი
აფხაზს უბიხმა მზარი აუბა
და მიჰყვნენ ომერს, და ზღვად
დაეუბლა
მეგრელთა სიხხლი... რჩეულ
ქალ-ვაჟებს
ჰყიდლნენ ტყვეებად და ღვთის
განაჩენს
ელოდა ხალხი გაწამებული...
ომერს მიემხრო თითქო ენგურიც.
სულ გაილია და დაიწრიტა
და ომერ-ფაშამ თავზე იტვირთა
კაც მარღანიათ ჯაგრი შეიბა,
გადაელახა წყალი ქვეითად...
არ გახსნა პირი, წარბი შეჰყარა
და ჩამოშორდა ასე ქვეყანას,
რაც ხელს აძლევდა მაშინ ოსმალეთს...

გორდი

იღვა კნეინა იმხანად გორდში,
თან ახლდა მაშინ შვილები ნორნი,
დააფოფინებდა მათ, ვით არწივი,
და რუს-ხელმწიფის იყო ნაწყენი,
რომ არ ახმარდა დროულად ჯარებს
და თურქს უთმობდა ოდიშის მზარეს,
იწვია გორდში მრჩეველი სწრაფად,
მაგრამ უმეტეს თვით ჭრა და ჰკაფა,
და გადაწვიტა, რომ ომარ-ფაშას
აღარ მისწერდა პასუხს და დარჩა
იქ, ხადაც იყო და ხადაც იღვა,
არ მოუცვლია ნაბიჯი დიდხანს,
გულში სწონიდა სხვადასხვა ამბებს,
აღარ იცვლიდა მეტადრე კაბებს,
არც ყურს უგდებდა არავის მეტად,
არა მთავარი, არამედ ღელა
იყო ის მხოლოდ, იცავდა შვილებს,



უსმენდა გაბმულ ოდიშის წვიმებს.
 ხან იხსენებდა უბედურ დავითს
 და ერთმანეთში კარგი და ავი
 გადიხლართა, ახსოვდა ტატო,
 ებრალებოდა ქვეყნად ის მარტო
 ლხინს ივონებდა წინანდლის ბაღში,
 ო, რა სულელი ყოფილა მაშინ!
 გაიღვებდა ფიქრში ლევანი,
 ხან ალექსანდრე, ხან ვარსევანი,
 ხან ქუთაისის გუბერნატორი
 და მუქდებოდა ცის კაბადონი,
 შალს მოიხვევდა ის, შემციფნული,
 ხელები პქონდა, როგორც ფინული,
 თან თოვლა მთებში, კარგა ხანია,
 გზას გასცქეროდა სარკმლით ღამიერს,
 მაგრამ თუ გულში ედო რა ფიქრი,
 არეინ იცოდა და იმას იქით
 უბედურება სუფევდა ყოვლით
 და დიდის ამბით ცვიოდა თოვლი...

ივანე მუხრან-ბატონი

ხოლო ივანე მუხრან-ბატონმა
 დამარცხებული კოკი დატოვა,
 ექვსჯიხის სწონიდა მტერი რადგანაც,
 გასცა ბრძანება, ჯარი აყვარა
 და გზას გაუდგა ის ხეთისაკენ,
 რა უკეთესი ვერ მოიხაზრა,
 ხოლო სახაზო ბატალიონი,
 რომელმაც მტერთან ბეჭი იიმა,
 შერჩა ბრძოლის ველს თავგანწირული,
 ჯერ ზეანბაია მოკვდა გმირულად,
 იოსელიანს მიჰყვა ივანი
 და კობლევი... ტყვიის წივილით
 წაიღო ყური ცხარე კვეთებამ,
 აქ შერვაშიძე მტერს ეკვეთება
 მაგრამ მტკიცეა სარდლის ბრძანება,
 სარდალს ცხადია, რომ ენანება
 ჯარი... თუმცაღა, ისიც ცხადია,
 ვისაც მამული გულს ახატია,
 მტერს არ დაუთმობს მიწის
 მტკაველსაც,
 არ გაახარებს იგი ვარეწარს,
 არ მისცემს ზუგდიდს, ქალაქს
 სამთავროს,
 თუმც ცოდა თვისი ყველას აკმაროს,
 და სწორი იყო იქნებ თავადი,
 თუმც მიაწერა ხალხმა ღალატია...

**ანაკლიის ციხის ღარაჯის
 ოსმან-ოღლი მაღიჯურთის
 ბარათი მუჰთისაღში, მორა**

ყოვლის მეუფე და ცის ნაწილო,
 მიწაზე - ღომო, ცაში - არწივო,
 ამით მიემართავ თქვენს მეუფებას,
 გული ავს მიგრძნობს და მეუბნება:
 ვერ შეინახავს სიტყვას მგერული,
 თუმც სათანადოდ გვყავს დაბევრილი,
 ამოგვეწურა თითქმის სურხათი,
 თან ზურგს უმაგრებს ამთ რუსეთი,
 სულ ორი კოდი დაგერჩა სიმიანი,
 არც ღობიო გვაქვს, აღარც - იმედი.
 თან აწვიმს ციხეს, შესაკეთები
 არის ჭერი და ჩრდილო კედელი,
 ღამ-ღამ თოფის ხმა მოდის შორიდან
 და ერთი არის ალბათ ორიდან,
 გლეხნი საომრად ემზადებიან.
 თანაც არ ვიცი, რა ამბებია
 ღვთისგან საყვარელ ღელაქალაქში,
 წერს ამას მონა თქვენი, ღარაჯი
 და ანაკლიის ციხისა მცველი,
 რომელიც თქვენგან წყალობას ელის!

**ოზარ შაშას წერილი
 კაბატრიძე ღალიანისაღში,
 მორა**

მე, ბანივანო, თქვენს ბრწყინვალეებას,
 ვთხოვდი, ამ შიძიე ღლეთა ცვალებას
 შეხედოს, როგორც შეენის ღედოფალს,
 და მტრად ნუ შერაცხს თავის
 მეგობარს;
 ექვს განგებრაზოთ ქვეყნის ღალატი,
 თუმცა არ მომდის თქვენი ბარათი,
 ვიფიქრე ერთხანს თუ დაიკარგა,
 ბარათი გზაში (ესევითართა
 ფიქრის აღმძვრელი არის ამინდი),
 თუმცა არა ვარ მე შიამიტი,
 და შეგახსენებთ კვლავ, ღედოფალო,
 რომ აღრუნილი არის პოვანო
 და არ მოვლის თქვენგან წყალობას.
 ხოლო სულთანის სიტყვის კვალობას
 აღარ გადავა, ცხადზე ცხადია,
 და მხოლოდ თქვენი შველა სწადია,
 რუსის ზელმწიფეს უჭირს თვითონაც
 და ვერ გაშველებთ ჯარს ამიტომაც,
 რა ფიქრი უნდა, ანდა რა განსჯა,



მარბი

ჩვენია უკვე წარსიც და განჯაც
 და თუკი ზონთქარს აქციეთ ზურგი,
 ვერ მობრუნდებით ვერასდროს
 ზუგდიდს.
 დავტოვებ ხრიოკს, დაეწევა სასახლეს,
 ავერი მეგრულს და თურქს
 დავასახლებ.
 და თუმცა ჯერაც თქვენზე ჰკილია
 ამ კუთხის ბედი, ვერ გაიმივია,
 რაზე ოცნებობთ გორდში ამჯერად,
 როს თქვენი სიტყვა არის საჭირო,
 რას ემართლებით შვილებს ნეტავი,
 იყავით მტკიცე და გამბედავი,
 ბედი თქვენს ხელში არის სრულებით,
 ეწერ ამას სულთნის განკარგულებით
 მე, ომარ-ფაშა, ცამდე მართალი,
 ოსმალთა ჯარის მთავარსარდალი.

**ივანე მურმან-ბატონის ბარათი
 მიწერილი ცოლისადმი**

ძვირფასო ნინო! მე გწერთ ხეთიდან,
 გამოსავალი ახლა ერთი გვაქვს:
 ხამს, აიყაროთ უმაღ გორდიდან,
 ჩვენ მეგრელების გვწამდა ოდიტგან,
 მაგრამ გრიგოლმა აწ გვიდალატა
 და მხარს არ გვიჭერს მეტად... არადა,
 ექვსგზის მეტია ჯარი ომერის
 და ამოგეწვევტდნენ, თუ ვიომებდით.
 არქვი დედოფალს ჩემი ნუგეში
 და ფეხს ნუ ჩაჰყოფს სისხლის გუბეში,
 თან წაიყვანოს, თხოვე, შვილები,
 მე ზონს ამოვალ დანამდვილებით
 და ვიდრე მოხვალთ, დაგლოდებით...
 ოსმალთან ომის არ ვართ მომგები, —
 დაიმახსოვრეთ გვედრით, ძალიან,
 ომერი მელა და მზაკვარია
 და ნუ ენდობა მას დედოფალი,
 თორემ გაგეწირავს წუთისოფელი!

შორით სულს დაფავს კარნუ —
 ქალაქი,
 და არა რჩება გოჯი-ალავი,
 არ დაეწვეთა სისხლი რომელსაც,
 მაგრამ ივანეს გული მოეცა,
 რუსს შეეწიენ აქ ქართველებიც
 და კარის ციხის მისასვლელები
 ამოიგმანა საგულდაგულოდ.
 თურქი სულს დაფავს, თურქი
 ფაფხურობს,
 ვერ მიეხმარა იმით ომერი,
 ვერ განელო სწრაფად სისხლის
 მორევი,
 ვერ გააღწია მან ოდიშიდან
 და თუმცა ზონთქრის დიდი შიში აქვს,
 კვლავ მოუწია ომმა ინგირთან,
 შემდეგ ხეთასთან, სად დედოფალი
 იბრძოდა თავად და ბოლოქარი
 ავემა რისხვა, — თუმც გაიმარჯვა,
 კარგა ხანს წელში ვერ გაიმართა;
 თან გატკბა ლხინი სრა-სახახლემში,
 სერობა ვრძელი, თრობა, აღერსი,
 წერილს მიეწერო კვლავაც დედოფალს,
 თუმც არ ელოდა მისგან შენდობას,
 მაინც ფიქრობდა: ქალი ქალია
 და ქმარი მისი რადგან მკვდარია,
 არ შეიძლება არ დამორჩილდეს,
 ხოლო დადიანს გრიგოლს
 (კოლზიდელს),
 არცა ჯარი ჰყავს, არცა — მამშველი,
 ვერ დაამყარა რუსთან კავშირი,
 ვერც იმერელთან, ვერც გურიელთან,
 ვერც აფხაზეთთან, შურს იძიებდა
 გრიგოლი, მაგრამ დარჩა უჯაროდ
 სამეგრელოში თურქი ბუჯარობს...

სიზმარი

კვლავ დაუნამა ცრემლმა თვალები,
 კვლავ დაეხიზმრა მას ტვე ქალები,
 მოდის ზმანება აუტანელი
 და ვით ფოცხვერი, კლდიდან შამილი
 ჯარს უთვალთვალებს ხევეში მიმავალს,
 ხოლო გრიგოლი სახეს იმაღავს.
 აქ თითქო სუნი ეცა ნადირის,
 ცხენმა წაართვა მხედარს აღვირი

და გაექანა, მაგრამ ფოცხვერმაც
 ჭკე-ჭკე განაგრძო პარვით ცოცვბა
 და დაუარა თავით გენერალს
 და როცა უნდა ესკუპა, კლდიდან,
 იქ გენერალი უკვე არ იდგა.
 ჯარი კი ვლიდა, ვით ჭიანჭველის
 უშტი ლაშქარი, მაგრამ ამჯერად
 გაკრთა კუნაქეტ ტყეში ფაფახი
 და სხვა გამონჩნდა შორით ყაბახი...
 გათენდა თეთრად დილა ცისმარი,
 თოვლა ჩვეულად, ხოლო სიზმარი
 ვერ გაიხსენა ვერასდღებოთ
 და დედოფალმა ამის მიზეზად
 თუმცაღა ბევრი იანგარიშა,
 ვლარა ჰპოვა, გარდა ბალიშის,
 - ცუდად შეძინა, - დაასკვნა გულში
 და მოაგონდა გლეხუჭა ურჩი,
 ვინც აუჯანყა სამთავრო მთელი
 და ჩაიქნა ნაწვენად ხელი...

ხანძარი

და შეასრულა თურქმა ნაძრახი:
 ახვერა ბალის ხეებს ნაჯახი,
 დასწვა სასახლე, ვახი აკაფა,
 დასცხო ჭყვიტინი ზურნა-დაფდაფთა,
 მოაპარტახა ასე მამული,
 ახარა ეშმა გზად მოარული,
 და ერთი კვირა ენთო ხანძარი,
 გამაყრუები იდგა ხანზარი,
 ზეცას ლოკავდა ალი ძლიერი,
 დაბურსალობდა გადამთიელი,
 ენარცხებოდა მუხა ჭრიალით,
 პირჯვარს იწერდა ადამიანი
 და მუორ-მოსულას ჰგავდა ყოველი,
 ბლოდა ვაბმით და საქონელი
 ერჩოლებოდა ნისლს და ყიამეთს,
 მაგრამ გათენდა დილა მზიანი
 და ომარ-ფაშა გაკვირვებული
 გასცქერდა მხარეს, სადაც მეფური
 ბრწყინავდა მზეში კაკკასიონი
 და მაგიური ის ალიონი
 გულს ჩაებეჭდა მომხედურს მარადის.
 არ მოდიოდა გორდით ბარათი,
 არ დაიცადა, ჯარი აპყარა,
 კვლავ ააფეფა ზურნა-ნაღარა
 და გზას გაუდგა ყულევისაკენ,
 რომ დამალუოდა იმ მთების სარკეს...

**ანაკლიის ციხის ღვრავის
 ოსმან-ოღლი პლიჟურითის
 წარიღი მეუფისადმი, მესამე**

ყოვლის მეუფე და ცის ნაწილო,
 ზღვაში - ხომალდო, ცაში - არწივო,
 დღისით - მზეო და ღამით - მთვარეო,
 ერთგული მონა შემინწყარეო.
 ამით მიემართავ თქვენს მეუფებას,
 მალე აქ ყველა დავიღუპებით,
 თუ არ განივრცო თქვენი სიკეთე,
 მეგრულმა კარი გამოგვიკეტა,
 ამოგვეწურა უკვე სურსათი,
 თან ზურგს უმაგრებს ამით რუსეთი;
 დაეცა ყარსი, როგორც გაივეთ,
 წელიწადი და კიდე ხამი თვე
 მიდის, რაც აქ ვართ, ციხეს

ვღარაჯობოთ,
 უკვე არ მოგვიდის არსით ხარაჯა;
 თუმც შევაკეთოთ ციხის კედელი,
 გული ნადევლით გეაქვს გახვეტილი,
 თევზსაც ვერ ვიჭვრთ, პონტო
 მძეინეარებს,
 იქ, სადაც ზღვაში შედის მდინარე,
 უქმად ყურუტებს ჩვენი ფელუკა,
 ყარს ანაკლია და წვიმს დღემუდამ
 და სათოფურით ავად სანახი
 ჩანს მდინარეთა დედაქალაქი,
 თითქო მთებია შავი ტალღები,
 არც ამ ბარათის არ გეყავს წამლები,
 მაგრამ ეწერ მაინც, სხვა რაა ღონე,
 მე, ფეხის მტკერი, მორჩილი მონა
 და ანაკლიის ციხისა მცველი,
 რომელიც თქვენგან წყალობას ელის!

ბორღი.

**დედოფლის საკრახული
 თათბირი**

ეკატერინე:

რას შირჩევთ განა, თქვენ გეკითხებით,
 უერთმანეთოდ როგორ ვიქნებით,
 ან კი მამული როგორ გავეწიროთ,
 იქნება სჯობდეს გავინაწილოთ
 ბედი ჩაგრულთა და უღონოთა,
 იქნებ სიკვდილი სჯობდეს მონობას...

კონსტანტინე დადიანი:

მართალი გახლავთ, ომი წავაგეთ, მაგრამ ცხოვრებას ჩვენ ვერ ავაგებთ მართო ამ ომზე, ომი-ომია, მოიგებს, ვისაც მეტი ღონე აქვს, ან ომში ვინ არ დამარცხებულა, მუხრან-ბატონი ვერ ვარგებულა, რომ დაუფრია უკვე ფარ-ხმალი, მაგრამ ხალხია ჩვენი სახსარი, ჩვენ ჩვენი გვიცავს სარწმუნოება, ჩვენ უარესიც გვახსოვს დროება და ვიდრე სული გვიდგას, დედოფალს დავიცავეთ ჩვენვე და ღმერთს — შენდობა!

ფარნაოზ ველოვანი:

ჩვენ დედოფალი, მთები დაგვიცავს, ნუ მივგატოვებთ, მთავარს გაფიცებთ, მოვუვლით ნიკოს, როგორც წესია, თუმცა ოსმალთა შემოგვესია, ლეჩხუმში იგი გზას ვერ გაიგნებს, მუხრან-ბატონმა ჩვენ იმთავითვე გაგვწირა ალბათ, რაც სათქმელია, მტერი, ცხადია, მარად მტერია, მაგრამ ჩვენ ჩვენი მოვლევამს კაცობა და ლეჩხუმელებს ნუ ვააცოფებთ, არ გაგატანენ მთავარს ისინი და გთხოვთ განსაჯოთ, რაც მოისმინეთ!

ხალხი:

ნუმც, ნუმც გავატანო მთავარს
ნურავის,
დიდიც რომ გვერგოს ჩვენ სამღურავი!
აქ ფარნაოზმა ხელი ასწია
და ჯვართ ხელში განნდა ყმაწვილი
და სახარება, და აქ თავადმა
მუხლდადგენილმა ცას შეკლალადა,
ხოხოვა სიმართლე ნორჩი მთავარის,
ხოხოვა მამულის გამოხავალი;

მიჰბაძეს თავად-აზნაურებმა
და სასოება იყო ყურება

იმ წმინდა ლოცვა-ფიცის-მუდარის,
მოეც, უფალო, შენ საკუთარი

მამული ყველას რამ სანატრელი...
ბრწყინავდა დიდხანს წმინდა სანთელი,

და ღამე ჰგავდა აწ კვლეხიას
და იგრძნობოდა ირგვლივ მესიის

სუფევა ვრცელი და მშვენიერი
და დედოფალი კვლავ ბედნიერი

უმზერდა საემოს, ახრნობდა ცრემლი
და თავს ერჩია მას ქრისტე მრუელი.

სალომე

ზან ივონებდა ლევან დადიანს,
დგებოდა ფეხზე დილაადრიან,
წარბს იწიწქნიდა პირმშვენიერი
და ჰქონდა მაშინ რაღაც იერი
პრიგამეზებით მწოლი ვეფხისა.
ბუნება ვისიც სულს შეეფთისა,
რადგან ერთია ქართველთა ბუნება
(თუმცა სხვაგვარი საუკუნეა),
გუმანით გრძნობდა რაღაც სიმართლეს,
რაიც დღეის-დღეს ჰფენდა სინათლეს,
და წუხდა გულით, რომ განნდა ქალად,
დიდი ემართა საქვეყნო ვალი
და არ იცოდა კვლავ, რა ეღონა,
და თითქოს საღმად გულს მოეფინა,
ოდეს აიღო ხელში ლოცვანი,
რისთვის იბრძვიან, რისთვის ზოცავენ
აღამის შეილნი ასე ერთმანეთს?
დილის ცა ჰგავდა ახლა პერგამენტს
და უფლის სიტყვას ჯერ არ გაგონილს,
მწირს ჰგავდა კინჩხა და სარაქონი,
როგორც ურჩხული რამ დაგრეხილი
იწვა და ედგა თავზე მეხვიით
წმინდა გიორგი სპეტაკი რაშით,
ასე ეძებდა ის დროთა კავშირს,
შორს მიდიოდა მწვავე ფიქრებით,
ვიფავით რანი, რანი ვიქნებთი,
რანი ვართ ახლა, სამყაროს შუქზე,
რატომ შეერწყნენ ქართველნი რუსებს,
რას წერდა ტატოს ნორჩი გენია,
რას გულისხმობდა, ანთუ დღე მიაქვს

მკვარად ქართველს, რა იქნა ხატი,
 ეა, რა საწუხად ცხოვრება გადის;
 ან კი რა არის ჩვენი ცხოვრება,
 მარტო წარსული და მახსოვრება,
 თითქოს წინ გედვას ძვირფასი
 შკვდარი,
 არა, ხაშველი აღარსით არი;
 და მოაგონდა ამბავი ძველი,
 როცა სალომეს ტკიოდა ველი
 და თავზე ედვა წყნარი გადია,
 ცდილობდა იგი, რათა აღვილად
 გადაეფლავა პაწიას ღუკმა, —

ნაწილ-ნაწილად ჰყოფდა ულუფას...
 არა! მე ველში გაგენზირები! —
 თქვა და დასძინა: დანამდვილებით!
 წამოდგა ზეზე, კაბა აკრიფა,
 ერთიც გაახედა არეს სარკმლიდან
 და შეაქცია ზურგი ხეობას,
 რომელიც ჰგვრიდა ადრე მხნეობას,
 და საძინებლის შუაღო კარი,
 და იჯდა მარტოდ. ვინემდის ზარი
 არ გაიგონა მცირე ხენაკის,
 რამაც აუწყა სხვა ფათურაკი...

**კოლუბიაკი60.
 აკოფოვი.
 პრისთავი.
 ბოროზდინი60**

... და სათამაშო მაგიდასთან ზის ოთხი კაცი,
 დულს პრეფერანსი, წაგებაზე არ ფიქრობს აწი
 არცერთი, მაგრამ აკოფოვი მოიგებს მაინც,
 რადგან ბუნებით მუდამ სხვისკენ გაურბის თვალი,
 „ჯერ სხვის ქაღალდში ჩაიხედე, შენს მაინც ნახავ“
 და რაფიელი უხერხულად რომ იჭერს ქაღალდს —
 სარგებლობს იგი, — სათამაშო მცირეა თანხა,
 მაგრამ წაგებას მოგება სჯობს, თამაშობ რახან.
 კოლუბიაკინს ბოროზდინი მიაპყრობს შხერას,
 ამან კი იცის მოზერხებით ქაღალდის ჭერა,
 მაგრამ საფიქრალს გუბერნატორს დაუდევს რაღა,
 აქ აკოფოვი თვალს შეასწრებს საფიდელ ქაღალდს
 და ევაჭრება გუბერნატორს იმდენი ხანი,
 რომ მოსვას იგი არა ერთით, არამედ სამით...
 თამაშობს მიზერს და ამართლებს, გაუსწრებს ვეელას,
 ხითხითებს ჩუმად, მეგობრებსაც ხომ უნდა შეველა,
 და ეხმარება ის რაფიელს, ბოროზდინს, შერე
 კოლუბიაკინს და დაიბანს კიდევაც ხელებს.
 მაგრამ უეცრდ აქ ვისმა წკრიალი ზარის,
 შეწყდა თამაში... შემოიღო დარბაზის კარი
 და შემოვიდა მამაკაცი, ხალამი წარსთქვა
 და მოახსენა გუბერნატორს, ვინ იყო, რადგან
 მალენამგზავრს და ამოგანგლულს ტალახში ფრიად
 ეს ოთხეული, რა თქმა უნდა, იცნობდა შეირად,
 „ეკატერინემ... დამავალა...“ — ეს თქვა და მყისვე
 კოლუბიაკინს მიაწოდა ბარათი მისი.
 მან წაიკითხა, წააკითხა აგრეთვე ვეელას,
 შერე წამოდგა, ბოლითის ცემას შეუდგა ნელა,
 გვერდით გაიხმო მაწვიერი, რაღაცა ჰკითხა,
 ხოლო ბარათში ამდაგვარი ეწერა სიტყვა:

„რასაც ამ სოფლად არ ველოდი, ალბათ ეს იყო, გადართია სამეგრელო, ბატონო, თითქოს, და იარაღში ჩაჯდა გლეხი, ჯანყია ირგვლივ, ვთხოვთ, ყურადღებით წაიკითხოთ ეს ჩემი წიგნი. და ნუ დატოვებთ გულის გარე სახვეწარს ჩემსას, მომეშველენით, თუ ღმერთი გწამთ, მოწმეთა ზეცა, მე რომ არ ძალმიძს გამკლავება ასეთი წარღვნის, გლეხთა აღყის ქვეშ იმყოფება აწ ჩემი სახლი...“

გუბერნატორმა დაასვენა დაღლილი კაცი და შეინახეთ ჰკითხა შემდგომ ცალცალკე აზრი. თქვა აკოფოვმა: „ აბა ერთი, რა ვესაქმებათ, ნუ წახვალთ ოდიშს, ასეთია ჩემი გაგება“. ბოროზდინმა და ერისთავმა ბჭობა გამართეს, წასვლა არჩიეს, მოითხოვნენ ასეთ სამართალს; გუბერნატორმა აქ საჩქაროდ გასცა ბრძანება: „რადგან ქალია, კაცებს გეშარტებს აწ დახმარება“. და გზას გაუდგა ყაზახ-რუსთა ასეულეები, მიდიან ღამე... და ჰკვირებენ სერზე ტურები, ისმის რუსული, იშვიათად ენა ხოხოლის, მიდის ივანე, მიდის გრიშკა, მიდის პროხორი, ძილს ებრძვის ჯარი, მიმავალი წელი ღიღინით, გაკვირებული ბაყაყების ისმის ყიყინი.

ყვეფენ ძაღლები, არის ერთი გადაძახილი, ფხიზლობს ნაგაზი შუალამით ამ ყაზახივით, ვისაც ფიქრებში ელანდება შორი ოჯახი, გუბერნატორი აქ მოითხოვს მალალ მოძახილს? ახე სიმღერით მათ სენაკში დასცეს ბანაკი, მიეგდნენ ძილად, დაღლილები და ლაპარაკი მიწყდა წელი-წელ გა გაისმა ხვრინვა და ფშვინვა, და ის-ის იყო, ცის ტატნობმაც დაიწყო ბრწყინვა...

უტუს ლაშქარი

თურქის გულივით ბნელი ღამეა... მიქაეა, კონა და მართალია კოცონს უსხედან ახლა გარშემო და იზომება მათი არშინით გლეხის ცხოვრება სვედამრეტილი, და ღამისაა მძლავრი კედელი. ისმის ცხენისწყლის წელი ღუღუნო, გაიცემივებს ცეცხლი თუთუნის და ხეტიალით გზად დამამურალი ყრია მინდორში უტუს ლაშქარი. ისვენებს ჯარი, მაგრამ წამი-წამ, კაცი კი არა, თვით დედამიწა კენესოდეს თითქოს, ისმის ჩივილი და უტუ იტყვის გულის ტკივილით: — შემოგვეღალა საწყალი გლეხი, შემოვატარეთ ქვეყანა ფეხით,

ცოლი არ ახსოვს იმას და შვილი, ცნელი შეიქნა საჩვენო წილი, ეგების შევცდი, მე ვამბობ, ჯიმა, და ვალად გვაწევს ეს სისხლის წვიმა, ან რაკი მოგვეცა უფალმა თოხი, ჩვენ ამხანაგი ვერ გავხდით თოფის.

მართალია თოფა:

— მაგრამ გავხდებით, დრო მოვა, უტუ, მიზანი ჩვენი ეგ იყო, ნუთუ, წუწუნი რალას გვიშველის, ბენა!

უტუ მიქაეა:

— ვერ მოვერეთ, მახარე, ვეშაპს!

კონა თოდუა:

- ვერც მოვერევით ვერასდროს,
ვწამდეთ!

ვის დაეკარგივართ მიწიდან ცამდე,
დიდი დავიდეუთ, პატენი, ცოდვა!

უბუ შიქავა:

- მაგრამ, მითხარი, ნეტა რა გეკონდა,
რომ დაგვეკარგა. გავაანდა რაღა?

კონა თოდუა:

- ველრ ისწავლის გლეხუჭა ქაღალდს,
სისხლია ჩვენი სხვადასხვა რადვან...
და მორჩილებაც ღვთისაგან დაგვევა...

მართალია თოდუა:

- იქნება აღარც ღმერთია ცაზე?

უბუ შიქავა:

- მაშინ ცხოვრების სადაა აზრი,
რა მიზანი აქვს განენილს ტიტვლად,
ან მახარობლის რას ნიშნავს სიტყვა?
კაცს არ სჭირდება ბატონად კაცი,
და როგორც გსურდეთ, განსაჯეთ აწი!
ღამეა ბნელი თურქის გულივით,
ზის სამი კაცი და გატრუნული
გულს და შინამოს ეპოტინება,
მდინარე მდორედ მოედინება
და ხეტიალით გზად დამამურალი
ყრია მინდორში უტუს ლაშქარი...

პორდი

მოსაწყენია წვიმები გორდის,
წვიმდა წინა დღეს, წვიმდა ამ ორ
დღეს...
„რასა იქმს, ნეტა ვიცოდე, ყარსი,
არა, საშველი არაა. არსით,
ჯერ კიდევ ათის არაა ნიკო,
ნეტავე იგი მთავარი იყოს,
არ შემარჩინა ბედმა თამარი,
არა, არ არი გამოსავალი.
(გაშვეტილ ტოტზე დასკუბდა ჩხართვი),
რა გამოვლის აქედან სარფი?
ღმერთო, მიაგე თავისი უშმას

და მიმიხედე სალომეს ჩემსას,
როგორ ჩაყრუვდა ხეობა გრძელი,
გავიდა თვე და გავიდა წელი,
რაც არ მინახავს ჩემი ანდრია,
როგორ დაღამდა... დავწევები ახლა,
შენ მე მდარაჯობ? შენც წადი, მახა,
უსურვე მშვიდი ძილი დედოფალს,
უფალი ღმერთი მოგცემს შენდობას,
თავად გავიხდი, დამტოვე, შეილო“.
იქ ცაზე თითქოს გამოსვლას ცდილობს
მწუხრის ვარსკვლავი, მაგრამ

წკვარამი

ღამეა ირგვლივ და ვით ალაში
ძლეული ჯარის (რა სიმშვიდეა!)
აქა-იქ სერზე ძონძად ჰკივია.

მაატპრინე და უბუ შიქავა

ეკატერინე:

- რად ამიჯანყდი, შეილო, მითხარი,
გახსენი შენი გულის ჭიშკარი,
რამ ჩაგაგონა ქვეყნის ღალატი,
რად შეიკერე ჯავრის ხალაით,
იქნებ მიზეზი გქონდა რაიმე...

უბუ შიქავა:

- გლეხის სალონარს თქვენ ვერ
გაიგებთ...

ეკატერინე:

- პასუხი გამეც, რომ გეკითხები,
რამ ავიშალა ავი ფიქრები,
შენც ხომ იბრძოდი, შეილო, ნალიმას,
მითხარი რამე, შენს გაზარებას.

უბუ შიქავა:

- ომი ომია, კი, დედოფალო,
ომში შემწეა თქვენი ბოგანო,
მაგრამ ამ ომმა რა მოგვიტანა,
ჩვენთვის ავდარმა არ გაიღარა.
დავდვარეთ სისხლი, სისხლი გლეხური,
და ჩვენვე დავრჩით კვლავ უბედური.

ეკატერინე:

- მაგრამ მამულის დაცვა მითხარი,
განა მამული ჩვენი რით არი,
თუ არ გავიდეუთ სისხლი კაცური,
იქნებ არ მომცე, შეილო, დასტური.

უბუ მიქაეა:

პორდი

— დასტური ჩემი გახლავთ ამგვარი: გლეხიკაცს ერგო ღვთისგან ნამგალი, ერგო ჩაქუნი, თოხი, სახნისი, მაგრამ რად ერგო მამასახლისი, ეგ კი არ ვიცი მე, დედოფალო, თავადი რაღად უნდა ბოგანოს?

ეკატერინე:

— მამ, ვიღამ მართოს, შეილო, სამთავრო, ან კი, იმხანად, როცა თათარი ძლივს აიბარგა ჩვენი მიწიდან, ძლივს გაიტანა ფეხი ბილწი და ძლივს მოვიშორეთ მძიმე ბეგარა, ძლივს არ დაიქცა მთელი ქვეყანა, რად ამიჯანყდით, რა ღროს ეგ იყო, იქნება სჯობდა, ცოტა გეფიქრათ, ხელს დაავლებდით ვიდრე იარაღს, მოსულიყავით, ჩვენთან კი არა, თუნდაც ჩიქვანთან, თუნდაც — გრივოლთან, და წერილად გეთქვათ, რას მოითხოვდით, და ჩვენც იქნება ყური გვეთხოვა. იქნება-მეთქი, რადგან ეტყობა, მარტო შენ არ ხარ ჯანყის მოთავე, რამ შეგაძულათ სულით ხორცამდე სამთავრო თქვენი და დედოფალი? ახლა ხომ მშრალზე დაერჩით ორთავე. სათვალისი, ხმელი მწერალი ხაუბარს იწყებს და გენერალი უმზერს დედოფალს... კოლუბაიკის ეკატერინე ქალაღდს მიახლის, თითქო ყოველი გახდა სათელი, ვის დაკარგვია ქვეყნად ქართველი, თვალს მიეფარნენ ძალე ცხენები, მცირე ხანს კიდევ დაწნდა სერებით დედოფლის ეტლი, მისი ამაღა, კიდევ ნათობდა მზე დამავალი, მაგრამ თანდათან მწუხრი გამოჟდა და მოწვენილთა იმა არეთა ვადეფარა შავი ზეწარი, ვალეწა ღამემ გასალეწავი...

ის ქანდაკებას ჰგავდა... მოახლემ იხანა, კარი რომ შემოაღო, წინ გადაშლილი ელო რვეული და კითხულობდა ის ქვადქვეული, არ აუღია თავი ღამაზი, არ გაუხდია ჯერაც სამოსი, თუმცა დაეპყრო ქვეყნის სამანი ოდიშურ ღამეს, ცივს და წესტიანს, იხანა კიდევ, რატომ იწვია დედოფალს ახე გვიან ღამეში და ფეხაქრუფით პირისფარეში, როგორც ნიაფი, კარში გავიდა...

პრიგოლ ორაგლიანის წერილი
ეკატერინე დედოფლისადმი

განათლებულო ჩემო კნეინავ, მოწყალე დაო, ეკატერინავ, გილოცავთ ვაფის ჩამობრძანებას, ვისთვისაც თავი არ მენანება; დაელოცავ ნიკოს ზედაზენითა, და გაიხაროს ღ-თის შეწვენითა — და გაიფურჩქნოს თვისის ნიჭითა, ცოლით და შეილით, ცით და მიწითა; დროა მომხედოს მამულის პაიხას, ნართავს და ნაქსოვს ოქროს ძაფითა, მშვენივრად მკობილს მღებარეობით, ზღვითა და მინდვრით, ტყით და ხეობით, ზაფხულად — გორდით, ზამთრად — სასახლით, კრძ-მოკეთით, არ დასაძრახით; მან უნდა დაკერას აწ ბარი მკვიდრად და ააშენოს მამული დიდად, რომ გაიხაროს სიბერის ფამსა, ოღეს ჭალარა მოურთავს თავსა, დარდს ნუ დაუთმობს სატახტო გულსა, „ზუგდიდი ერჩინოს პეტერბურდსა“. ახლა აქაურს მოგიბრბობთ ამბავს, თუმცაღა დიდად საწუხი გახლავსთ. ვითა ღრუბელი, მოდის კალია ვარაბაღიდან გორამდე ვიდრე, აწ ანანურიც მოუჭამია და კახეთის გზას მიჰყვება კიდევ დიდი მოგველის ჩვენ შიმშილობა, ხვალესთვის არა ზრუნავს ქართველი, სადღაა ძველი მამა-შეილობა, დამრეტელ იქმნა ხელში საწთელი,

მეც დედოფალო, გაეჭადარავედი
 და სულის გზაზე ჩუმად შემდგარი
 კეთილხულო ფსალმუნს და ღ-თის
 კარამდი
 მივდივართ ჩოქვით ძველი მხედარი.

6060

ტიროდა შორით კვლავ პიანინო...
 და ვერს უგდებდა პაწია ნინო
 ჩიტების სტვენას, წკარუნს წვიმიხას
 და იზიდავდა, როგორც თილისძა,
 პანგი უცნობი და შორეული.
 ტიროდა ხოლმე ცრემლმორეული
 და როცა კეთილეს, რატომ ტიროდა,
 მან ჩამოართვა მშობლებს პირობა,
 რომ ასწავლიდნენ დაკვრას, არადა...
 გამოჩნდა კიდეც უცხო თავადი
 და მიაბარეს კიდეც ასული,
 თავადმა რაკი ბრძანა დასტური.
 და შეიჩვია იგი მაესტრომ
 და ნინოს კონცერტს როცა დაესწრო,
 თქვა საკრებულ-ომ ხოტბა უწვევი
 და გადიშალა ერთი ფურცელიც.
 თუმცე პარტნიორად აღარ შეკფერის,
 უყვარს მოწაფეს მასწავლებელი.
 ამგვარად უყვართ ჩიტებს ბუნება
 და წყარო მინდვრებს ეღუღუნება
 და როს ითხოვეს ხელი ასულის,
 დასხდნენ მშობლები ფიქრში წასული
 და გადაწყვიტეს, ეთქვათ უარი
 და თხოვნას შორით თუმცე მოუარეს,
 ეს ნინოს უნდა გადაეწყვიტა...
 და ხატრფოს ყელზე ჩამოეკიდა.
 მაესტროს, ოსტატს, მოძღვარს, რაც
 გინდა

დავარქვათ აწი... ხანი გავიდა
 და დაიწერეს ჯვარი კიდევაც,
 აჰ, რა თქმა უნდა, ქორწილს სჭირდება
 აღწერა, წერილი, როგორც წესია,
 მაგრამ მივიდნენ რა ეკლესიას,
 საქმრომ დაჰკარგა ფერი რატომღაც
 და მღვდელმა ლოცვაც კი მიატოვა,
 მაგრამ გადურჩა იგი ციებას,
 თუმცე იგონებდა, ინანიებდა
 ამ ამბებს მერეც. ფიქრი მეჭველი
 განძო თურმე და ჰა, ბეჭედი
 უნდა მოარგოს თითზე ფერისას,
 მაგრამ თუმცე ძნიად დასაჯერია,

მას გაუვარდა უცებ ბეჭედი,
 თითქოს ამბობდეს ბედი: შეჩერდი
 და ერთხელ კიდეც ასწონ-დასწონე,
 მაგრამ ვით თქმულა, ძალად მაცხოვე
 არის სოფელი ხოლმე წვეული
 და გადიშალა კვლავაც რვეული.
 გრიბოედოვი როდესაც მოკვლეს,
 რომ არ ეთქვა ბეკრი და ვითხრათ
 მოკვლედ,

ასეთი ხმები ისმოდა ირგვლივ,
 უბელო იყო, ცხადია, იგი.
 გახსოვთ ბეჭედი? ციება გახსოვთ?
 ჩვენ ხოლმე კაცის ცხოვრებას ვაკისოვთ,
 ყოვლად უჩინო ნიშანში, რითაც
 ჩვენი მიხედვრის შექება გვინდ,
 თითქოს წინდაწინ ვიცოდეთ, რაიც
 მოჰყვება ამ დღეს, ვითარცა მაისს
 მოხდევს ივნისი, ან აუდარს – დარი,
 თუმცა ყოველი ეს ცაში არის
 გადაწყვეტილი. გათავდა, მორჩა,
 წაიღო დარდმა ასული ნორჩი,
 შევიდა სენაკს, ჩაკეტა კარი,
 არ გაიკარა ახლოსაც არვინ,
 სტკიცა უარი მთხოვნელებს მტკიცე
 და დაემდურა მამიდებს, ბიძებს,
 სცვლიდა მშობლებთან ხანდახან
 სიტყვას,

თუმცა სიტყვებით ვით უნდა ითქვას,
 რასაც ის გრძნობდა, ფიქრობდა რასაც,
 აღარ მიანდა აწ კაცი კაცად,
 სწერდა ხანდახან დაიას წერილს
 იყო წერილი კვლავ სევედის ფერი
 და სული მხოლოდ იმიტომ ედგა,
 რომ მანდილოსნებს შევერძნოთ მეტად,
 რა ერთგულება სჭირდება გვირგვინს,
 როცა ქართველ ქალს ედგება იგი.

**ფერილი ივანისის
 საპოლიტიკო აპენის
 ლოგოპორტისა, პაპუნაპენილი
 პაპტპრინესაღმი**

ამით ვაახლებ თქვენს ბრწყინვალეობას,
 ჩემი დედოფლის მე მაქვს ბრძანება,
 რომ სამეგრელოს თვალი ვადგვნი
 და მტრად შევრაცხო მოლალატენი
 თქვენი ქვეყნისა ომი გათავდა
 და შეგარიგით უნდა მარშალიან
 და დაუბრუნდეთ რეზიდენციას,

რათა ქვეშევრდომთ კვლავ შეეწიოთ, მართლთა ქვეყანა თქვენი ნებისად და შიში ნუ გაქვთ ოსმალებისა, არ ემდურება ომერს მეგრული, რადგან არა ჰყავს ის დაბეგრილი, მაგრამ არ ჩანხართ, რაც მიზეზია, რომ მეზობლები თავზე გესხმიან, აწიოკებენ ასე სამთავროს, ქვეყანას თქვენსას ღმერთმა აკმაროს, რაც დაატეხა თავზე დროებამ და საშინაო თქვენი ცხოვრება თუკი ამრიგად აწიწილია, აქ ღომის წილი თქვენი წილია და ნუ იქმთ, გავხდეთ იძულებული, რომ აქ განიერცოს კანონთ კრებული ოსმალებისა... შვილებს მიხედეთ და რაკი მათთვის გნებათ სიკეთე, უნდა მოზრუნდეთ ზუგდიდს, არადა შეიარაცხებით თქვენ მოღალატედ. ამავე აზრის გახლავთ ბატონი ფრანგი აგენტი — შამპუაზონი. იქნებ გეახლოთ, ოდეს ინებებთ, აღვიჭურვები მე მოთმინებით და გზას გავყვები შეუფერხებელივ, თუ არაფერი არ შემემთხვევის.

სურამან კოლონიელის ბრავ მეგრას წერილი მაკაბრინესადმი

საკვირველია, სხვა რა ვთქვა მეტი, თქვენს ხელში არის თუმცაღა ბედი, ყოყმანობთ ძლიერ და ტკეპნით მიწას, როს თქვენს სამთავროს მომხდური იცავს. თუმც მანდილოსანს ყოყმანი მსგავსი გეპატიებათ, მაგრამ თუ ასე გავრძელდა კიდევ დუმილი თქვენი, უკვე ივსება ფიალა თმენის, რუსების, იციოთ, ცხადია, ალბათ, ძალი და ღონე თოვლივით გაღვება, ყირიშში ძლიერს, ინგურზე ძლიერს, რუსები ყველგან დამარცხდნენ ძლიერ, ვერ ინარჩუნებენ დაპყრობილ ქვეყნებს, და კავკასიას, ღმერთთა შემწე. ან კი რით? აბა, განსაჯეთ თავად, უცხოა მათთვის კავკასიის ჰაეა, ვერ ვგუება ის მთიან კალთებს, იერიშს იგი თავს უელარ ართმევს

და დღე-ღღე იხვეს უკან და ვარბის, ველარა ნახა აქ რუსმა სარფი. მხოცვენ საქონელს და სწვავენ სურათს, შიშის ზარი აქვს გამჯდარი რუსეთს, მან საუკუნეს იომოს უნდა, რომ იქ გამაგრდეს, საცა დგას, თუნდაც, მაგრამ ვაი, რომ ველარც იქ გასძლებს, განწირულია რუსეთი აწვე. ხოლო ევროპა სხვაგვარად ფიქრობს, ის, როგორც რუსი, ხელს კი არ ითბობს, არამედ უნდა შეწვევა თქვენი და განათლება მოაქვს, ვით ძღვენი, თავისუფლება მოაქვს მას ლაღი, თუმც შედარება რუსებთან არ ღირს, თქვენ კი ყოყმანობთ! მიბოძეთ ნება, რომ შეგახსენოთ თუმც ხოლმე ქებას ჩალის ფასი აქვს, რაც ყველამ იცის, დედოფალი ხართ და თქვენი ნიჭი ხამს, მოახმაროთ სამთავროს თქვენსას, მით რომ ყოველი თავის ცხვარს მწყემსავს,

ნუ დაეჭვებთ საფრანგეთს იმით, რომ არ პასუხობთ და სდუმხართ მძიმედ, თორემ ოსმალო აქ თავის წესებს განაერცობს მალე, რაც კარგად გესმით, მაგრამ თქვენ გაწევთ შვილების ბედი და რა გირჩიოთ, არ ვიცი, მეტი!

კონსტანტინე დაღუპილიანი

ის ლოცვად იღვა ტამარსა შინა, კრთოდა მამული მის თვალთა წინა, ყვინთადნენ ნისლში სვანეთის მთები და თავზე მეტად ახსოვდა ძმები. ის ლოცულობდა მხურვალედ, როცა აუწყეს რუსის ყაზახის მოსვლა; გუბერნატორი მურზაყანს სთხოვდა, სწვეოდა ჩქარა... რა საქმე ჰქონდა არ აბარებდა იგი... მთავარმა წყენა, ცხადია, ველარ დამალა, ლოცვად ვღვავარო, უთხრა, მაწვიერს, და არც აცხელეს, აღარც აციეს, გამოუგზავნეს ხელახლა კაცი, აქ მურზაყანი წამოღვა ბრახთი, შეიბა ტანზე ვეება ხმალი და გაგარინთან მივიდა მალე.



გაგარინი:

- თქვენ გაემგზავროთ უნდა ერივანს, ნუ კი იფიქრებთ, თქვენი მტერი ვარ, მაქვს მითითება მეფის ნაცვალის, ერივანს მე კი აღარ გავზავნით, არამედ ასე ინებებს თვითონ...

დადეშქელიანი:

- მე ვიცი სიტყვას არ იტყვიოთ ლიტონს მაგრამ მამული მაქვს აწეწილი და ვთხოვთ, მაცალოთ, თუნდაც ეს წელი.

გაგარინი:

- ამ წელს კი არა, თვესაც ვერ გაცლით. (აქ გაგარინი შეიქნა მკაცრი)

დადეშქელიანი:

- თუნდაც სამი თვე მაცალეთ, გვერდით, რათა გავიგო სამთავროს ხვედრი, დაეხედო ცოლ-შვილს და ნათესაებებს.

გაგარინი:

- არა მცალიან, თანაც ეს არის, რომ მეფისნაცვლის მე მაქვს ბრძანება, ოჯახი თქვენი თუმც მენანება, არ შემძლიან, რომ შინ გავიშვათ, (აქ მურზაყანმა წადგა ნაბიჯი) და უცებ შეკრთა წყება მსახურთა, დარბაზი თითქოს გაუღაბურდა, - მე ვთხოვთ ძალიან, - თქვა მურზაყანმა, ცოტა მაცალოთ, არ გაახაროთ მტერი ჩემზედა...

- არ შემძლიან, -

თქვა გაგარინმა... კვლავ წაიწია მთავარმა წინა...

-მე ვთხოვთ ძალიან!

(აქ ყველაფერი ბედმა არია), ამოიწვართა ზმალი ქარქაშით, გადაირია სვანი ვაჰკაცი,

და განიგმირა გუბერნატორი, გამუქდა მისი ცის კაბადონი, ერთი ეჩვენა შორით ტრამალი, საღამო ცივი, მზე დამავალი, და მოენატრა ზატა მშობელი, გათავდა მისი წუთისოფელი, ვინც მიეშველნენ, წახლნენ ისინიც, დაუყვა კიბეს ლიწინ-ლიწინით, გავარდა დევი ქუჩაში მარტო, და იყო თუმცა ქვეყანა ფართო, ის ვლიდა სადღაც, ცხოვრების გარეთ და სინანული ახრჩობდა მწარე...

მურზაყან დადეშქელიანის ლექსი

რაც მურზაყანს გაუბედეს, ვოი, მას არ ეკადრებოდაო, ვოი, ცეცხლს აფრქვევდა მურზაყანი, ვოი, მტერი ეგრაგნებოდაო, ვოი, მურზაყანი - კარგი კაცი, ვოი, რუსებს ეომებოდაო, ვოი, დედამიწა ზანზარებდა, ვოი, მურზაყანი კვდებოდაო, ვოი!

ბარიატინსკის ვერილი პაატაბრინა დალიანისადმი

მე, დედოფალო, მოგმართავთ თხოვნით, შეწყვიტოთ მწარე ფიქრებთან ოში, წუთისოფელი მოკლეა რადგან, არსებობს კანონ-სამართლის გარდა რაღაც ისეთი, რაც ითქმის ბედად, ზართ დედოფალი, მაგრამ ზართ დედაც, ზამს. გაემგზავროთ სატახტო ქალაქს (თაიზეით რაკი არაა ძალა), იმპერატორი მიგიღებთ ღზენით, და ნუ გასინჯავთ ამ ბართის წყენით, ზამს, შეეჩვიოთ გარემოს ნელა, უკვე გაუქმდა სამთავრო ყველა, ოდიშის მოვლაც ძნელია, ატყობთ, თავს ვერ გაიტანს სამთავრო მარტო; დაეაჟაკება ეუსურვით ნიკოს, ის შემკვიდრეა, რაც უნდა იყოს, და სასახლეში შეიმენს ჩვევებს, გამოადგება რომელიც მერე; ასე ინება პატარა კახმა და რომ განესაჯოთ ყოველი ახლა რა ბედენაა! აწინდელ ქართველს

გონიერება მეტადრე მართებს და უნდა აყვეს მოვლენებს, ვითარ ლერწამი სუსტი, დავით და წვითა, რომ შევინახოთ ხატება ჩვენი არის უძღური ცოდვილი ენა და სიტყვა ჩვენი არაა სრული, რათა ნათესავს ვანახოთ გული, მაგრამ მით უფრო მტკიცდება რწმენა, რამდენად უფრო ვაკობებთ წყენას, ჩვენ შორით მოგვაქვს მაცხოვრის

ჯვარი

და კვლავ მოვეითბრობს სიონის ზარი, რომ აღვასრულოთ საქმენი დიდი, ხოლო რუსეთთან გაბმული ხიდი ემშენება ქრისტეს სჯულსა და მცნებას, ჩვენ ვერ მოვეიტანს რუსეთი ვნებას, თუ თავად აღარ შეუდგა ბოროტს, ხოლო ამჯერად ამას ვთხოვთ მხოლოდ, აწონ-დაწონით ყოველი მშვიდად, რადგან ჩვენ კაცთა მუდამ ის გვინდა, რაც უკეთესი გვეონია ჩვენთვის და... მარად გექმნეთ მოწყალედ

დმერთი...

1983

გვიანდელი მიწაწერი

მამინე რაცა ამ პოემას ვწერდი, არ ვსვამდი მიძიქს, არ ვსვამდი წერტილს,

ჩქარობდა გული, ჩქარობდა სიტყვა, ზედ მოდიოდა რითმაზე რითმა, წყალს დაგრაგინილი მიჰქონდა წელი და ხშირდებოდა ოდიშში ბნელი, ისმოდა ავი ყიპყიბი თურქთა, ჰკიოდა კოკი, ჰკიოდა ურთა. და საითაც არ მიგვეპყრო თვალი, ჩანდა მწუხარე ქართველი ქალი, დაფიქრებული სამთავროს ბედზე.

პატარონი

მან აიკრიფა მდიდარი კაბა და როცა ფეხზე წამოდგა სწრაფად, თან აიყოლა ოდიშიც თითქოს, ასე ხანდახან ნადირი ფიქრობს. როცა საშველი არა ჩანს არსით და გარს მღვეარი ეხვევა მკაცრი და ისმის ყეფა მწვეართა მძაფრი, პატარავდება თანდათან ძაბრი

და ხედავს ირემს ქვეყანა მოელი და მშობლიური ეს მინდორ-ველი უუცხოება დანამულ თვალებს და შეთქმულია თითქოს ის მხარეც ვერნია რაიც საკუთარ თავსაც და გასაქცევი არაა არსად, ოდენ შივ, სულში ხანთელი ბეჭტავს, იმედი რამე, რაც სულთა-მხუთავს, აღარ ნებდება ჯერხნობით კიდეც და ვიდრე სული ამოვა, ვიდრე დამგვანება ყოველი წერტილს, აქ ირემის აღავს განდება გელი, რადგან მკითხველსაც ის შიაკვს

გულთან,

რაზედაც ფიქრობს ავტორი მუდამ. გელი მიფრინავს... გაუბედით სურათს, ვით ცაზე ღრუბლის სპეტაკი ქულა მიფარება ის მალე თვალებს და გამოტირილ პოემის დამღვევს ჩვენ უნდა დავერჩეს თვალები

ცისკენ, -

უფალო გვიხსენ!

ვისაც არავინ არ ჰყავდა შემწედ, იწურებოდა გული იმისი, მხოლოდ ხანდახან შორით თბილისი გაბრწყინდებოდა კოჯრის ხედებით, ხად ვმანვილ-ქალნი, როგორც გედები, დახვირნობდნენ მყუდრო საღამოს და ხელში ეყრა ხელის მალამოდ რეული ძველი და გატრეცილი, ხად წუხდა სული გადახვეწილი, ჩნდებოდა წამით ბალი წინანდლის და შუქით მიხით, მოციმციმებით, სულს იბრუნებდა თითქო, მწუხარი, თუმც ხდედა ბელი მას გაუხარი... შენ კო, მიქავა, რას შერები ამ დროს, შენ უმხედრდები ქვეყანას სამტროდ, შენ უჯანყდები დედოფალს შენსას, ვინც გაჭირვებით სამთავროს მწყემსავს, შენ ეს იქნება არ იცი, მახა, მაგრამ წყალს თურქის წისქვილზე

ასხამ,

რა დროს ჯანყია, გოლუა, როცა ციცხლი ჭამს დღვაბას, კოცხა და თორხას, ვერ გამოჩანებ შენ კარგი რამი, მაგრამ უფალმა შევინდოს, ამინ!..

1985.

თბილისური ჩანახატები

კირილე ზდანევიჩი

ორმოცდაათიანი წლები იწურება, შემოდგომაა.

კარგად მახსოვს, სამუშაო დღე დამთავრდა და შინ წახვლას ვაპირებ. ის დღე რადიკალიზაციის მართომ გავატარებ. არც სიმონ ჩიქოვანი მოსულა და არც ვია მარგველაშვილი. დილით რედაქციაში შალვა აღმაშენებელი დამხვდა და ისიც სულ მალე სადღაც გაქრა. რაც მთავარია, ავტორებიც არ გამოჩენილან. დღის ბოლოს შოთა ძიძიგურმა შემოიარა, სიმონს თხოვეს, რომელი წუთი დაელოდა მერმე შინ წაქოთხული მახალბეები დამიტოვა და წაიდა. მეც წამოვდექი, წასასვლელად მოვემზადებულე. შარმა შემაჩერა. ვია მარგველაშვილი რეკავდა, სიმონმა შემოვიკითხა. ერთად ვის: დილით, შოთაც თუ მანდ არის. ახლავე ამოდიოთ. მაშინვე შოთა ძიძიგურს დავედგენე. გმართა მოედანი ამაოდ მოვირბინე.

სიმონ ჩიქოვანი მექექსე ხართულზე ცხოვრობდა იმავე სახლში, რომელშიც „მნათობის“ რედაქცია იყო განლაგებული. კარი ვიამ გაშიღო. შესასვლელიდან დავინახე: გაშლილ მაგიდას ბატონი სიმონი და ვიღაც უცხო. გამელოტებული. სიმპათიური ბერაკი უხსდნენ. მოხუცს „ბუკებს“ ნატრისფერი პიჯაკი ეცვა და ცისფერი პერანგის საველო ახალგაზრდულად ჰქონდა გადაღებული ვიას კვითხე. ეგ მოხუცი ვინ არის მეთქი. კირილე ზდანევიჩიო, როგორღაც უმნიშვნელოდ მიპასუხა და თაბში შეხვლა დააპირა. გაეაჩერე. ვაიცი ბისკავან „თავზარდაცემული“ ისევე ვე-

კითხები, რომელი კირილე ზდანევიჩი-მეთქი. სწორედ ის, შენ რომ გაიფიქრე და მაინც არ დაიჯერო, — გაიცინა კმაყოფილმა — ზუსტად ასევე დაემართა თამაზ ჩხენკელსაც, როცა ჩემს სახლში მოულოდნელად კირილე ზდანევიჩი იხილა, ოღონდ უფრო ემოციურად გამოხატა თავისი აღტაცება: სკამზე შემდგარმა აღლევრქმელა.

კირილე ზდანევიჩის სახელს ყოველთვის ეუკავშირები იმ ადამიანებს, რომლებიც ცოცხლები აღარ იყვნენ. ცხადია, პირველ რიგში ფიროსმანს, მერმე „ცისფერ ვანწელებს“ — „ქიშერიონის“ ღაბრესებისა და გახსნის ინიციატორებს და ამ კაფეს მომხატველ მხატვრებს. მხედველობიდან სრულიად გამოიშრა, რომ „ქიშერიონის“ ერთერთი მომხატველი ლადო გუდიაშვილი ცოცხალი იყო. რატომ არ შეიძლება ასევე ცოცხალი ყოფილიყო მისი თავისი სხვა მხატვარიც?

კირილე ზდანევიჩის ჩემი თავი სიმონ ჩიქოვანმა წარუდგინა. ფეხზე წამომდგარმა ვამომიწოდა ხელი. უფრო ტანდაბალი აღმოჩნდა, ვიდრე მე წყდან წარმოვიდგინე. სუფთა და ბუნწულა მოხუცის შთაბეჭდილება დატოვა.

ეცოცა, ჩემს მოხელამდე ბატონი სიმონი რადიკალიზაციის პეკეზი. მაგიდას მიუჯექი თუ არა, საუბარი გააგრძელა. ვაიცი, ვრიგოლ რობაქიძესთან შეხვედრებს იხსენებდა. განსაკუთრებით ერთი შესვედრა დამამახსოვრდა: იციანი წლების ბოლოს თუ ოცდაათი-

ნი წლების დასაწყისში რაღვენ გვეტაძე ბელინსკის ქუჩაზე ცხოვრობდა თურმე. მის ბინაში ხშირად თავს იყრიდნენ მწერლები, უმეტესად — ახალგაზრდები. ერთ საღამოს, როცა რაღვენ გვეტაძესთან ახალგაზრდა მწერლები ყოფილან თავშეყრილნი, მოსულა გრიგოლ რობაქიძე. როგორც ბატონი სიმონი ამბობდა, ასე აღელვებულსა და შემფოთებულ გრიგოლს პირველად ხედავდა. ყოველთვის რწმენით აღსავსე, მშვიდი, დახვეწილი — მჯერად ლამის კედლებზე დადიოდა. გრიგოლ რობაქიძეს არასოდეს ავიწყებებოდა, რომ ის იყო მეტრი, მაესტრო, მოძღვარი. იმ საღამოს კი დაბნეული და ნირწამხდარი ლაპარაკობდა: — ყმაწვილებო, შემზარავი ამბის მოწმე ვარ, ბერია და მიზარა და დღეს ტიტ-ატეტ შევხვდი. თვალეში შევხვდი და საშინელება დავეინახე... ყმაწვილებო, თქვენ ხომ იცით ჩემი გამჭოლი მზერის ძალა, აქამდე თვალს ვერაფერ მისწორებდა. დღეს ბერიას გამოხედვას ვერ გაუძელი, თვალი ავარიდე. მისმა მზერამ ჩემს მზერას სძლია და დათრგუნა. მისი თვალეზიდან აპოკალიფსური ცეცხლი გამოკრთოდა... აქ აღარ დამეღვომა, მე საქართველო უნდა დავტოვო.

ახალგაზრდა მწერლებს გრიგოლ რობაქიძის აღელვება გადაჭარბებულად მოსჩვენებიათ, მაგრამ დამშვიდება მაინც დაუწყიათ. ამოდ, შემფოთებულსა და აფორიაქებულს მალე დაუტოვებია იქაურობა.

ბატონი სიმონი ემოციურად ჰყვებოდა, მონაყოლმა მძაფრი შთაბეჭდილება დატოვა და რატომღაც მეგონა, კირილე ზდანევიჩსაც მოეძალებოდა მოგონებები. ჩუმად იჯდა, დაფიქრებულს დროდადრო მკრთალი გაურკვეველი ღიმილი გადაურბენდა სახეზე. მხოლოდ ეს წამოცდა:

— Я нигде ни в Европе, ни в России, такого прирожденного эстета не встречал.

სიმონს თუ აჰყევით, უსადილოდ დარჩებით, გაკვაფრთხილა ქალბატონმა მარიკამ.

კირილე ზდანევიჩმა რამდენიმე ჭიქა ღვინო რომ დალია, მერმე ამოიღო ზმა. თითქოს თავისთვის ლაპარაკობდა, იფიქრებდი, სულაც არ აინტერესებდა, უსმენდი თუ არ უსმენდი. მისი ნათქვამის ზუსტად განმეორება გამიჭირდება, დაახლოებით ასეთი რამ თქვა: კაცობრიობის ისტორია ბლუფია, რადგან ადამიანთა ურთიერთობანი, მათი ნამდვილი ვნებათა ღელვანი ძირითადად დამახინჯებულია ან შელამაზებული, გარკვეული მიზეზების გამო მიჩქმალული, ანდა სულაც უგულუბელყოფილი. უმთავრესი უკვალოდ ქრება. მნიშვნელოვანი მოვლენები ადამიანთა ნამდვილ ურთიერთობებთან ერთად თავის დროზე უნდა დაფიქსირდეს, რათა მომავალმა თაობამ გაანალიზოს, გაიხაროს და წარსული მიახლოვებით აღადგინოს.

ჩიქოვანების ოჯახიდან ლამის ათ საათზე წამოვივდი. კირილე ზდანევიჩი მე გაეცაღლე. ფეხით ინდომა წასვლა. ვერაზე ვცხოვრობო, მითხრა. წარმოდგენით ვიცოდი ძველი ზდანევიჩების სახლი, მაგრამ თუ ახლაც იქვე ცხოვრობდნენ, არ მეგონა.

სიმონ ჩიქოვანის ნაამბობითა და ღვინით გაბრუნებულები მივიდიოდით. სამიოდე საათის მანძილზე იმდენი საინტერესო რამ გაიხსენა, ყველაფრის დამახსოვრება ალბათ, არაფის შეეძლო. უცნური კაცია სიმონი, სულ ვუხუნები, მოგონებები დაწერე, დააფიქსირე, რადგან მაგ ამბებს შენსავით ვერაფერს გაანალიზებს-მეთქი. ვერ ადრეა, მეშუარების წერის ფაში ვერ არ დამდგომიაო იცინის. არადა დღითი დღე ბრძანდება, თვალში სინათლეს ჰკარგავს, ცოტაც და ვერაფერს დაინახავსო, გულწრფელად წუხდა კირილე ზდანევიჩი, მოგონებათა ფიქრვერკი თანდათან დაჰკარგავს ელვარებას, ყველაფერი დაიწყებას მიეცემაო.

მივუკვებდი გვერდით და რადაცნაირი გრძნობა მეუფლებოდა, ვერგანუცდელი, რომლის გადმოცემა ახლა თითქმის შეუძლებელია. ალბათ, ეს იყო ვერ კიდევ გაუცნობიერებული მაღლი-

ერებით გაჯერებული სიხარული თუ სიამაფე. იმ საღამოს ერთი რამ აღმოვაჩინე: მიუხედავად იმისა, რომ წარმოშობით პოლონელი იყო და მხოლოდ რუსულად მეტყველებდა, თავს ქართველად თვლიდა. ერთხელ თქვა: „სხვაგან ვერსად ნახავ ჩვენსავით დაუღვეარ ხალხსო“. მეორედ: „ჩვენ ხომ ერთმანეთის გატანა არ ვიცითო.“ ცხადია, „ჩვენში“ ქართველობას გულისხმობდა და ამას ნაღდი გულისტკივილით ამბობდა როგორც ქართველი, რომელსაც აქვს ამის თქმის უფლება.

მე ვიცოდი, მას დიდი ცხოვრება ჰქონდა გავლილი. მარტო ფიროსმანის აღმოჩენა, მიკვლევა და გადარჩენა რად ღირს! ასამდე სურათის ქვეყნისათვის უსასყიდლოდ ვადაცემა! ეს იყო უდიდესი მამულიშვილური აქტი. მეოცე საუკუნეში ასეთი დიდი კულტურული მოვლენა სხვა არ შეგულება. საქართველო სულიერად თითქოს ამაღლდა, გამდიდრდა და გაბრწყინდა, თითქოს უფრო მნიშვნელოვანი კულტურული იერი მიიღო. მე ვიცოდი მისი მეკობრეული ურთიერთობა ქართველ მხატვრებთან, პოეტებთან და არა მარტო ქართველ მოღვაწეებთან... სიმონ ჩიქოვანი მოგონებებს თუ არ წერდა, ჩვეულებრივ საუბრებში იხსენებდა მაინც ძველ შეხვედრებს. კირილე ზდანევიჩი კი სდუმდა. იგი რამდენიმე წლის შემდეგ გამოაქვეყნებს ფიროსმანზე დაწერილ შესანიშნავ მონოგრაფიას, მაგრამ ამ წიგნში ცოტა იქნება ის, რასაც თვითონ სიმონ ჩიქოვანს საყვედურობდა. მე ვიცოდი, მას დავით კაკაბაძესთან, ლადო გუდიაშვილთან, ზიგმუნდ ვალიშევსკისთან და სერგეი სუდეიკინთან ერთად მოხატული ჰქონდა კაფე „ქიმიერიონის“ კედლები. მოაწყო საკუთარი სურათების გამოფენები პარიზსა და თბილისში. მაგრამ ეს დიდი ხნის წინათ იყო. რა იქნა, სად გაქრა მხატვარი კირილე ზდანევიჩი? თუ ხატავდა, გამოფენებზე რატომ არ გამოქჷონდა თავისი ნახატები?

ათასი კითხვა მაწუხებდა. თქმა ვერ გაუუბედ. რახან ვიგრძენი, თბილად მიმიღო და ჩვენი ურთიერთობა ამ საღამოს არ გასრულდებოდა, შეკითხვები სამომავლოდ გადავდე.

მერმე ვაი მარგველაშვილის ბინის კედლებზე იმ დროისათვის უჩვეულო ნახატები გაჩნდა. ვისია-მეთქი, ვაის კვითხე. კირილეხიაო, მიპასუხა. ნახატები ქალაღდის ფურცლებზე გუაშით იყო შესრულებული და თვალშისაცემად განსხვავდებოდა იმისაგან, რაც აქამდე ჩვენს საგამოფენო დარბაზებსა და მხატვართა სახელოსნოებში მენახა. ეტყობოდა, კირილე ზდანევიჩი ცოტა სხვანაირად აზროვნებდა, სხვაგვარად ხედავდა საგნებს და ფერის დანიშნულებაც სხვაგვარად ესმოდა.

მთავარი მაინც ის იყო, რომ კირილე ზდანევიჩი ხატავდა. ვაი მარგველაშვილის ბინის კედლები თანდათან ივსებოდა მისი ნახატებით. საგამოფენო დარბაზებს მონატრებულ კირილე ზდანევიჩს როგორც ჩანს, პატარა სიხარულს მაინც ანიჭებდა და გამოფენის ერთგვარილუწიას უქმნიდა ვაის ოთახის კედლებზე გაკრული ნახატები, რომელთაგან რამდენიმე ნამღვილი შედეკვი იყო.

ვაი მარგველაშვილის ოჯახში კირილე ზდანევიჩს ორჯერ თუ სამჯერ შეეხვდი. მაშინ ჯერ კიდევ არ იყო კედლებზე ამღენი სურათი გაკრული. ამ ნახატებზე მე ჩემი აზრი გამოვთქვი, განსაკუთრებით ერთი ნატურ-მორტი მომეწონა და ესეც აღენიშნე. მეორე შეხვედრისას ვაიმ სახელდახელო სუფრის გაშლა თვითონ დააპირა, რადგან მეუღლე და ქალიშვილი ბათუმში ჰყავდა გავზავნილი. დღეს კირილეს დაბადების დღეა და მივულოცოთ. აქ ჩვენს წვალეზასა და ჯახირს, სადმე რესტორანში წახვლა ხომ არ აჯობებდამეთქი, კვითხე. თანაც ორივეს იმდენი ფული აღმოვაჩინდა, სამ კაცს თავზე გადაგვდიოდა – ორმოცდაათ მანეთამდე!

გარეთ ნოემბრის მზიანი დღე დაგვხდა, თბილი, ოქროსფერი. რესტორან „თბილისამდე“ ტაქსით მივედი. კი-

ეროვნული

რილე ზდანევიჩი ჩვენს ნებას იყო აყოლილი, თუკი ვერცოდით, ქვეყნის კიდემდე გამოგვეყვებოდა. ვერც კმაყოფილებას ვატყობდი, ვერც უკმაყოფილებას, განუმებული მოგვეყვებოდა, მოწყენილი და სევდიანი. თითქოს მისთვის სულერთი იყო სად დალევდა თავის ერთ ბოთლ ღვინოს.

იმ დღეს შევიტყვე, კირილე ზდანევიჩი თბილისში კი არა, როგორც მანამდე მეგონა, ქუთაისში დაბადებულა, ოღონდ მათი ოჯახი იმავე წელს გადმოსახლებულა დედაქალაქში. სხვათა შორის ხუმრობით ვუთხარი, ბავშვობა ქუთაისში რომ გაგეტარებინათ, დარწმუნებული ვარ, ქართული გეოციდინებოდათ-მეთქი. დამეთანხმა, ყველა ქუთაისელი პოლონელი ქართულად მეტყველებსო, მიპასუხა. იმ დღეს შევიტყვე, კირილე ზდანევიჩის მეუღლე ყოფილა ზიგმუნდ ვალიშევსკის დაი. რომელიც შემდეგ ცნობილ რუს მწერალს — კონსტანტინ პაუსტოვსკის გაჰყოლია ცოლად. ასეთი შედეგით დამთავრებულა მწერლის ვიზიტები საქართველოში და ზდანევიჩობის ოჯახში ცხოვრება. ჩემზე ამ ამბავმა მძიმე შთაბეჭდილება დატოვა. თუთონ კირილე ზდანევიჩს, ეტყობოდა, დიდი ხნის წინათ ჰქონდა ეს ძველი და ბნელი ისტორია მონელებული. ყველაფერი, რაც იქ ითქვა, თითქოს მას კი არა, სხვა პიროვნებას ეხებოდა.

ჩვენ კაფე „თბილისში“ ვისხედით. კაფეში ჯდომა უფრო გვიზიდავდა და გვიყვარდა, ვიდრე რესტორანში. თავდაპირველად ამ მიზიდულობას განსაზღვრავდა ჩვენი ფინანსიური შესაძლებლობანი. მერმე კი „თბილისის“ კაფეში ყოფნა უკვე ყოველდღიურ მოთხოვნილებად გადაგვექცა, აქ თავს ვიყრიდით ახალგაზრდა მწერლები, მხატვრები, არქიტექტორები, ვმსჯელობდით, ვკამათობდით. შევექცეოდით ყავას და ვწრუპავდით კონიაკს. ერთი სიტყვით, თბილისური პატარა „როტონდა“ მოვიწყეთ. შეიძლება ითქვას, სწორედ ამ საუბრების გზით ჩაკატა-

რეთ ესთეტიკისა და ხელოვნების ცხოვრებები.

კირილე ზდანევიჩს იმ დღეს სამოცდაცხრა წელი შეუსრულდა. მე და გაიამ ფეხზე ამდგრებმა ვადღევრძელებო. კაფეში ხალამოდე დავრჩით და ყველა სადღევრძელოს კირილეს ვუკავშირებდით: ვუხსენეთ ფიროსმანი, მხატვარი და პოეტი მეგობრები, რომლებიც უკვე ცოცხლები აღარ იყვნენ. შემდეგ გაიამ ვიღაც მოსკოველი ბალერინა გამოჩეულად ადღევრძელებო. კირილე ზდანევიჩი გაიტრუნა, მგონი დაიმორცხე კიდეც.

ბალერინა, რომლის სახელი და გვარი გაიამ არ გაამხილა, კირილეს მეგობარი აღმოჩნდა. ეს ქალი მას მთელი არსებით, პირველქმნილი, დიდი სიყვარულით უყვარდა. ამაში მერმე დავრწმუნდი, როცა კირილე რამდენიმე კვირით ზოგჯერ მთელი თვითაც იკარგებოდა ხოლმე. უამქალოდ ცხოვრება არ შეეძლო, სულ მასთან ახლოს, მის გვერდით უნდოდა ყოფნა. სამოცდაათი წლის მამაკაცის ასეთი ძლიერი და ამაღლებული სიყვარული მაოცებდა და ერთგვარად მაფრთოვანებდა კიდეც. ეს ჭაბუკური, დაუმცხრალი ენება შთაგონების მარადიულ წყაროდ მესახებოდა.

ერთი კვირის შემდეგ რედაქციაში მისულმა ჩემი მაგიდის უფრა გამოვადე და შიგ მუყაოს ოთხკუთხედი ნაჭერი აღმოვაჩინე. ამოვიღე, ვადმოვატრიალე... თვალებს არ ვუყვარებდი: ხელში კირილე ზდანევიჩის გუაშით ჩქსრულებული ნატურმორტი მეჭირა. დაახლოებით ისეთი, ვიასთან რომ ენახე და მომეწონა. მაშინვე გიასს მუშაო ოთახში შევედი და ვკითხე, ეს ნახატი ჩემს უფრაში როგორ გაჩნდა-მეთქი. გუშინ კირილემ შემოიარა და დაგიტოვა. რედაქციაში რომ არ დახვდი, გული დაწყდაო, მითხრა. შინ დარეკვა და ტელეფონით მადლობის თქმა დაეპირე. მაგრამ გაიამ შემაჩერა, კირილე დილით მოსკოვში გაფრინდაო. მადლობა ერთი თვის შემდეგ ვუთხარი. სამსახურიდან ტროლეიბუსით



წამოვედი. ციოდა, დეკემბრის სუსხიანი ქარი ქროდა. რუსთაველზე, „ბორჯომის“ მაღაზიასთან ჩამოვედი, რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი და ჩემი გვარი გავივინე. კირილე ზდანევიჩის ხმა ვიციანი. გვართ მხოლოდ კირილე მომპართავდა, თანაც „უ“ ბგერას მკაფიოდ არ გამოთქვამდა, უფრო „ა“-ს ამხგავსებდა. გადავხვიე, მოვიკითხე, მერმე სურათისათვის მაღლობა მოვახსენე. ისიც უუთხარი, ჩარჩოში ჩავსვი და კედელზე დაკიდებული ვიქნა. მითხრა ათი წუთის წინ შენთან ვიყავი და შინ არავინ დამხვდაო. ახლა ავიღეთ-მეთქი, შევთავაზე.

„ბორჯომის“ მაღაზიისკენ მიმავლად, აქ ძველად კაფე იყო, მშვენიერ ყავას ადუღებდნენ. „ფანტასტიკური ყავახანა“ – ასე ერქვა და ჩვენს სამფლობელოდ ვთვლიდით. მხატვრები მწერლები, არტისტები აქ ვატარებდით თავისუფალ დროს. ამას რატომ გუუბნები, იცი? წამო, თითო ფინჯანი ყავა დავლიოთ, ახლა სხვა არაფერი მინდაო, ხელი მომკიდა და „თბილისისკენ“ წამიყვანა.

კაფეში კარგა ხანს ვისხვდიოთ. ბევრი ვისაუბრეთ. სხვათა შორის ვკითხე, მოსკოვში იმას თუ შეხვდი-მეთქი, ცხადია, ბალერინა ვიგულისხმე, კიო, ღიმილით მიპასუხა, მგზავრობით კმაყოფილი ჩანდა. მერმე იმით დაინტერესდი: სამხატვრო გამოფენებში რატომ არ ლეზულობდა მონაწილეობას. ფორმალისტს სწამებდნენ თურმე. ბევრჯერ მიუტანია სურათები, მაგრამ საგამოფენო კომისიას უარი უთქვამს, ვერ გამოფენოთ, ფორმალისტური ნახატებიაო. კირილე ზდანევიჩს ეცინებოდა, მაგათ დღეს რაც ფორმალისტურად ეჩვენებათ, ხვალ-ზევ რეალისტურზე უფრო რეალისტური იქნებაო.

კაცმა რომ თქვას, თვითონაც დაუდევრად ეპყრობოდა თავის ნახატებს. ძირითადად ქაღალდის ფურცლებზე ხატავდა და რაც მე მინახავს, იმ ნახატებიდან ჩარჩოში ჩასმული ან შემინული ერთიც არ ყოფილა. ვიასთანაც ყველა ნახატი კედელზე პირდაპირ იყო გაკ-

რული, უნარჩოდ, უმინოდ, ზოგჯერ მიმავრებული.

ზოგჯერ შეხვეწება მხატვრად არც კი მთელიანო, ამბობდა კირილე ზდანევიჩი, მათთვის მე ვარ მხოლოდ ის კაცი, ვინც ფიროსმანის ტილოები შეაგროვა და გადაარჩინა. ერთი ადამიანის უკვდავებისათვის, ალბათ, ეს სრულიად საკმარისიაო, იმშვიდებდა თავს. რა თქმა უნდა, კირილე ზდანევიჩს ნამდვილ მხატვრობად მიაჩნდა და მოსწონდა ის, რასაც ჰქმნიდა, მაგრამ მე მალევე მისი ინერტული დამოკიდებულება უკვე შექმნილიხადმი.

საქართველოში დიდ მხატვრად ან თუ გინდა დიდ პოეტად რომ ვაღიარონ, ლევენდა თუ ლევენდის მსგავსი რაღაც უნდა შეიქმნას შენზე. თუ არ შეიქმნა, შენ თვითონ უნდა შექმნა: უცალკეული არ არის. მაინცდამაინც დიდა იყო, მთავარია, რაღაც ლევენდა არსებობდეს, ხალხი მაშინვე ვაღიარებს და შენს გამორჩეულობას ირწმუნებსო, ამბობდა კირილე ზდანევიჩი, საქართველოსთვის მე დაურჩები იმ პიროვნებად, ვინც ქვეყანას ფიროსმანის ასი ფერწერული ტილო უსასყიდლოდ გადასცა; დღეს საქართველო, როგორც მხატვრის მე არ მიცნობს, არც ვაინტერესებს, ეტყობა, ერთ კაცზე ორი ლევენდა არ იქმნებაო. ლაპარაკობდა ჩვეულებრივად, უტკივლილად, უსინანულოდ. არა მგონია ვინმემ ოდესმე ფიროსმანივით აღმოაჩინოს კირილე ზდანევიჩი, ფიროსმანი სულ სხვა მოვლენა იყო.

აღარ მახსოვს, ამ შეხვედრიდან რამდენი წელი გავიდა, ალბათ ორი, შესაძლოა – მეტიც. ერთ დღეს, დილით ადრე ვიკა მარგველაშვილმა დამირეკა, ადუღებულმა მითხრა, კირილეს უსიამოვნო ამბავი შეეშთხვა და იქნებ ქრისტო ვიორგაძეს დაურეკო, რამე ილონოსო. ქრისტო ვიორგაძე ჩემი მეუღლის ბიძა იყო – მილიციის პოლკოვნიკი. განათლებით ფიზიკოსი იყო, თან უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტიც დაამთავრა დაუსწრებლად. ომამდე რადიოკომიტეტში მუშაობდა. ომიდან სამხედრო ჩინით დაბრუნდა და

მილიციაში დაიწყო მუშაობა. თითქმის ყველა ქართველ მწერალს იცნობდა და საჭიროების შემთხვევაში მფარველობდა.

ნათელი რომ გახდეს, რა მოხდა, ესეც უნდა ვთქვა: იმ დროს მოსკოვში სასტიკად აკრძალეს სასტუმროებში უცხო პირთა უსაშვოდ შესვლა. ხაშუ ან სტუმარს მხოლოდ ღამის თერთმეტ საათამდე შეეძლო მასპინძელთან დარჩენა. ეს წესი სხვა ქალაქების სასტუმროებზეც გავრცელდა.

კირილე ზდანევიჩის ბალერინას თბილისის მონახულება გააღუწვევტია წამოსულა და თუ მეხსიერება არ ქალაქობს, ახალ სასტუმროში — „აფხაზეთში“ დაბინავებულა. ღამის თერთმეტ საათზე ბალერინასთან სასტუმროს ადმინისტრაცია შეჭრილა და კირილესთვის უხეშად მიუმართავთ, ახლავე დატოვე აქაურობაო. კირილე ათიოდე წუთში თვითონაც აპირებდა წასვლას, მაგრამ სასტუმროს თანამშრომელთა თავკასულობას, უზრდელობასა და ცინიზმს იმდენად აღუშფოთებია, რომ ქალისა და თავისი პიროვნული ღირსების დაცვა დაუპირებია. ადმინისტრაციას მილიციაც მოუხშია, ბალერინას გაძევებით დამუქრებია. ერთი სიტყვით, ეს დავიდარაბა, ლანძღვა-გინება, შეურაცხყოფა დილაზე გაგრძელდებულა და როგორც ვიკა ამბობდა, კირილე გააფთრებული იბრძოდა და არ ნებდებოდა, გაოცებული იყო, ასეთი მძვინვარე კირილე არასოდეს მინახავსო.

მე მაშინვე დაუკავშირდი ქრისტო გიორგაძეს და ვუთხარი, ასე და ასე საქმე-მეთქი. საბედნიეროდ, აღმოჩნდა, რომ ქრისტომ ძალიან კარგად იცოდა, ვინ იყო კირილე ზდანევიჩი, მისი ღვაწლის წინაშე ქედსაც იხრიდა თურმე. იმავე წუთს თვითონვე მივიდა სასტუმროში და ყველაფერი სასწრაფოდ მოაკვარა, ადმინისტრაციასაც და მილიციის მუშაკებსაც ბოდიში მოახდევინა. მაგრამ ბალერინამ, არა თუ სასტუმროში, თბილისში დარჩენაც აღარ ისურვა. შეურაცხყოფილი და დამცირებული იმავე დღეს გაფრენილა მოსკოვს. კირილე

ზდანევიჩს აღელვებულს მარტო არ გაუშვია, მოსკოვამდე გაუცილებია. ბილუთების შოვნისა და აეროპორტამდე დროზე მიხვლის სირთულეც ქრისტო გიორგაძეს მოუგვარებია.

სწორედ იმ დღეს დამთავრებულა, როგორც შემდეგ შევითქვე მოსკოველი ბალერინასა და კირილე ზდანევიჩის ამადლებული, რომანტიკული სიყვარულის ამბავი.

მერმე ხშირად ვხვდებოდი კირილე ზდანევიჩს და სულ კვდილობდი, ეს ჩუმი, ბუნწულა ბერეკაცა გამძვინვარებული წარმომედგინა. ძნელი წარმოსადგენი იყო, მით უმეტეს, რომ ბოლო დროს თითქოს ოდნავ მოტყდა და დაითრგუნა კიდეც თვალეში ჩაგუჭებულმა ნალექმაყ ახალგაზრდული ელვარება ჩაუქრო. ხშირად კი ვხვდებოდით, მაგრამ სალაპარაკოდ დიდხანს აღარ მიჩერდებოდა, ერთმანეთს მოეკატახვცით და გამშორდებოდა. მთელა წლის განმავლობაში არც შინ მოუკაციხვარ და არც „მნათობში“ გამოუვლია. ერთხელ, ოქტომბრის დამდეგს, რუსთაველზე შევხვდი, მარტო მოდიოდა. ვაკანერე, ათიოდე წუთი უელაპარაკე. ამ დროისათვის ვიკა მარგველაშვილის ოთახის კედლები მთლიანად, ჭერიანად თითქმის იატაკამდე კირილე ზდანევიჩის სურათებს ჰქონდა დათმობილი. ახალმა სურათებმა ძალიან კარგი შთაბეჭდილება დამიტოვა და სწორედ ამას ვუზიარებდი.

ამ საუბრისას შემთხვევით თვალ მოკკარი ჩემ მეგობარ ქალიშვილს — ჯ. შ-იას. მივესალმე, თან ვანიშნე, მოდი-მეთქი. ჯ. შ-ია მოგვიახლოვდა და მომხიბვლელი ღიმილი მოგვაფრქვია. კირილე ზდანევიჩი რომ გავაცანი, თითქოს გაუკვირდა, მაგრამ მაშინვე საოცარი სითბო და ყურადღება გამაჟღავნა კირილესადმი. უცებ გავაფიქრე, ჩვენ სამნი სადმე მაგიდას ხომ არ მოუუსხდეთ, იქნებ მოხუცს ცოტა გუნება გამოუკეთდეს-მეთქი.

ჩემს წინადადებას ორივე უხმოდ დაეთანხმა. მე მინდოდა ჯ. შ-ია გამეფრთხილებინა, კირილეს ეს ყურადღება არ

მოკლო-მეთქი, მაგრამ თქმა არ დამპირებია, გამოცა ჩემი მეგობრის ალლომ და მიხვედრილობამ, თითქმის მეურხალივით მოველინა შინაგანად დათრგუნულ მოხუცს, მკლავში ხელი გაუყარა და ჩვენ სამივენი საუბრით გაუმართეთ რესტორნისაკენ.

რესტორანში დიდხანს არ დაერჩინილვართ, მაგრამ ის მცირე დრო საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ჩვენ ყველას საათნახევრით მაინც ბედნიერად ვუგრძნოთ თავი. ეს იყო სიყვარულით-ერთიერთდღობით გატარებული უმშვენიერესი დრო, რომელიც მუდამ თან გახლავს და არასოდეს გავიწყდება.

თვითონ კირილე ზდანევიჩმა აღარ ინდობა რესტორანში დარჩენა, აიჩქმა, ჩემთან წამოდიოთ. წავეყვით, მივედიოთ საყოველთაოდ ცნობილ ზდანევიჩების სახლში, ბაქრაძის ქუჩაზე. პირველი, რაც თვალში მეცა, კედელზე ფიროსმანის ორი დიდებული ტილო ეკიდა. სხვა ნივთებისა და საგნებისათვის უკვე ყურადღება აღარ მიმიქცევია.

კირილე ზდანევიჩმა თავისი ნახატები გამოიტანა და გვჩვენა. პირდაპირ მაგიდაზე შლიდა ერთმანეთზე უკეთეს ნახატებს. ერთერთს, რომელზეც ხილნაღის ქუჩის პატარა მონაკვეთი იყო აღბეჭდილი, ტუშით დააწერა:

ქალბატონი უსისკინა

„მნათობის“ რედაქციაში მოვიდა ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვის“ წარმომადგენელი, საკმაოდ ხანდაზმული ქალბატონი უსისკინა. სამწუხაროდ, სახელი და მამის სახელი აღარ მახსოვს. იგი ჟურნალის პროზის ვანყოფინების გამგე აღმოჩნდა. მოვლინებული იყო თბილისში რუსული ჟურნალისათვის რომ მოეპოვებინა მნიშვნელოვანი ქართული პროზაული ნაწარმოებები.

თანამედროვე ქართულ პოეზიას კარგად იცნობდა, შეიძლება ითქვას — საფუძვლიანად. პროზაზე წარმოდგენა არ ჰქონდა და გაკვირვებული ამბობდა,

Други и любимому писателю Сулакаури от худ. Кир. Зданевича. 1965 г.ж.

მერმე ჯ. შ-იას ამოურჩია ნახატი და აჩუქა. მოულოდნელი სიხარულით აესილები დავემშვიდობეთ ხელგამოღობ მასპინძელს. გამომშვიდობებისას კირილემ მითხრა:

— Я все понял, Сулакаури. Спасибо за прекрасный вечер!

კირილე ზდანევიჩი კიდევ ერთხელ გაფრინდა მოსკოვს. აეროპორტამდე მე და ვიამ გავაცილეთ. ამოდ გაფრინდა, საყვარელ ქალს ვერ შეხვედრია. შესაძლებელია, ბალერინამ არ მიიღო ანდა სულაც იმ დროს მოსკოვში არ იმყოფებოდა...

1969 წელს გარდაიცვალა, თებერვლის შუა რიცხვებში. ერთერთ პანამვიდზე მისი ქალიშვილი გავიციანი რომელიც ცნობილი მხატვრის აპოლონ ქუთათელაძის მეუღლე აღმოჩნდა. თებერვლისათვის უწყულოდ თბილი ამინდი იდგა. ბინიდან რამდენიმე მხატვარმა, ვიამ და მე გამოვასვენეთ. არ მეგონა, თუ კირილე ზდანევიჩის დაკრძალვაზე ასე ცოტა ხალხი მოვიდოდა. მწერალთაგან მხოლოდ ვია და მე მივეყვებოდით სამგლოვიარო პროცესიას.

ასეთი დიდი პოეზიის ქვეყანას არ შეიძლება, კარგი პროზა არ ჰქონდესო. მე შეძლებისდაგვარად გავიციანი იმდროინდელი ჩვენი ლიტერატურული ცხოვრება, მიმდინარე ლიტერატურული პროცესები, ტენდენციები. დაუსახელები მწერლები, მოკლედ ვილაპარაკებ მათ პროზაულ ქმნილებებზე და ხინაწულით აღვნიშნე, ქართული პროზა საქართველოს ფარგლებს გარეთ უსამართლოდ არის დაჩაგრული-მეთქი.

იმ ხანებში „მნათობის“ თითქმის ყოველ ნომერში იბეჭდებოდა გიორგი ლეონიძის მოთხრობები. შემდეგ ეს



მოთხოვნები ერთად შეკრებილი გამოცემლობა „ნაკადულმა“ „ნატურის ხის“ სახელწოდებით ცალკე წიგნად გამოცა. ბატონ გოგლას რედაქციაში მოქონდა ჩასწორებული, გადახაზულ-გადმოხაზული ზელნაწერი, რომლის წაკითხვა ძალიან ჭირდა, თითქმის უნდა გაეგშიფრა. ჩვენმა მემანქანემ — მერი ზიზანიშვილმა თავი გადაღო, გადაბეჭდილს დედანთან მე ვაჯერებდი. ერთ-ზელ ბატონ გოგლას კვითხე: ამ მოთხოვნებს ახლა წერთ თუ აღრე გაქვთ დაწერილი-მეთქი. წარმოუდგენლად მეჩვენებოდა, ასე მიყოლებით, ზედიზედ ერთმანეთზე უკეთესი მოთხოვნების წერა. ზუსტ პასუხს ზუმრობით აარიდა თავი: ერთი დიდი ტომარა მაქვს, ჩაჯყოფ ხელს და რაც ამოჰყვება ის მომაქვსო, გაიცინა.

მასალაზე ამგვარი სიამოვნებით იშვიათად მიმუშავია, აღტაცებული ვიყავი, თუმცა აქეთ-იქიდან ხშირად მესმოდა, გოგლას მოთხოვნა ვინ გაიგონაო. ჩუმად ქილიკობდნენ და ქირქილებდნენ ის მწერლები და კრიტიკოსები, რომლებიც შემდეგ ქება-დიდებათ იხსენიებდნენ და ზოტბას ასხამდნენ „ნატურის ხეს.“ სწორედ ამ მოთხოვნების წაკითხვის შემდეგ გავიფიქრე: ლიტერატურაში ცარიელი ადვილი მხოლოდ მაშინ ჩნდება, როცა ეს სიცარიელე ამოივსება-მეთქი.

ცხადია, ქალბატონ უსისკინას ვიორგი ლეონიძის მოთხოვნებიც შეუთავაზე, თან ჩემი აღტაცებაც გაეუზიარე. იქნებ როგორმე შემახვედროო, მთხოვა. მაშინვე ლიტერატურის ინსტიტუტში დავერკე. საბედნიეროდ, ბატონი გოგლა თავის კაბინეტში აღმოჩნდა. ასე და ასეა საქმე, ქალბატონმა თქვენთან შეხვედრა ისურვა-მეთქი. ახალგაზრდააო, მოულოდნელად მკითხა და მე ახლაც არ ვიცი, რატომ ვიცრუე, შეიძლება, არ მოველოდი ასეთ შეკითხვას, ამიტომაც დავიბენი დიახ, ახალგაზრდაა-მეთქი, უუპასუხე.

— ლამაზია? — განავრძო დაკითხვა.

— უპ, ძალიან! — უკან ვეღარ დავიხიე.

— ახლავე მოდით ჩემთან! ლიტერატურის ინსტიტუტში საოცარი წესრიგი სუფევდა. ყველა თანამშრომელი თავის მაგიდას უჯდა და თავაულებლად მუშაობდა. ჩემს მეგობრებთან აქ სხვა დროსაც ბევრჯერ მოვსულვარ, მაგრამ ასეთ თავგანწირულ შრომის ფერხულს პირველად შევესწარი. დირექტორის მისაღებსა და თვით დირექტორის კარი დია დაგვხვდა და ჩვენ დაუბრკოლებლად შევედით ვიორგი ლეონიძესთან. ბატონი გოგლაც მუშაობით იყო გართული, წიგნებსა და ზელნაწერებში ყველამდე ჩაფლულმა ჩვენი მისვლა თითქოს ვერ გაიგო, თავი არ აუღია. გზაშივე მოვიფიქრე, ჩემს სიცრუეს ზუმრობითა და მზიარული განწყობილებით მივაფუნქნებ-მეთქი. ხმაძალა მივესალმე და გამიზნულად გავიღიმე, თან სტუმარი წარუდგინე:

— ქალბატონი უსისკინა — „დრუება ნაროდოვის“ განყოფილების გამგე!

ვიორგი ლეონიძე უცებ მხნედ წამოიმართა, სახეგაბადრულმა ქალს შეხვდა და ერთი წამით შეეცინდა, თითქოს შეეცა კიდევ. უცებ გადმოხვდა და მიხვდით, საქმე ცუდად იყო. სტუმარს მაინც თავაზიანად მიესალმა სკამი შესთავაზა. მერმე მე მომიბრუნდა:

— ეს ვინ მოიყვანე, კაცო?! — თან მე მიბღვერს, თან არ უნდა სტუმარს გაწბილება აგრძნობინოს.

— თქვენ არ მითხარით, ახლავე მოდითო.

— მერმე რა, რომ ვითხარი! აკი ახალგაზრდა და ლამაზიაო?!

— ეიხუმრე, ბატონო გოგლა.

— ეგ რა ზუმრობაა, კაცო?!

ზოგიერთი ხანდაზმული ქალბატონი ნელსაცხებლების, მოხდენილი ტანსაცმლისა სიკეკლეუის შენარჩუნების წყალობით თავის ასაკთან შედარებით ახალგაზრდულად გამოიყურება და მიმზიდველ შთაბეჭდილებასაც ახდენს. უსისკინა პირიქით იყო. ჩვენს მეხსიერებაში აღბეჭდილ ბეზიას ძველ სტერეოტიპს გავიხსენებდა, წყნარს, შეუმჩნეველს, მყუდროს. მაგრამ გაესაუბრებო-

და თუ არა, მიხედვებით, რომ დახვეწილ, ფრიალ განათლებულ ქალბატონთან გქონდა საქმე.

გიორგი ლეონიძემ გააცნო თავისი ჩამოსვლის გეგმები და მიზანი. უთხრა, ჟურნალს განზრახული აქვს ქართულ პროზას დიდი ადგილი დაუთმოსო. ერთი სიტყვით საკმაოდ ბევრი ილაპარაკა. მეც მახსენა, კმაყოფილმა აღნიშნა, ცოტათი მაინც ვამარკვია, რა ხდება დღეს ქართულ ლიტერატურაშიო. ბატონმა გოვლამ ისევ შემომიბღვირა. ვუნებამი მეცინებოდა, ამ უბოროტო ტყვილს რომ არ მპატიობდა, თანაც უცოდი, გული მალე მოუღებოდა. ბოლოს ქალბატონმა უსისკინამ ჰკითხა, რა ვქნა, როგორ მოვიქცე ნებას თუ მოგვემთ, თქვენი მოთხოვნები ჩვენს ჟურნალში გამოვაქვეყნოთ. გიორგი ლეონიძემ ხმაშაღლა გაიცინა.

— Что я могу сказать... Честно говоря, мне не очень нравится Ваш католико-магометанский журнал!

— А почему католико-магометанский?!

— Потому, что Вы печатаете авторов исключительно из Прибалтики или из Средней Азии!

ქალბატონმა უსისკინამ ვერაფერი უპასუხა. მე მგონი დაიბნა, ვერ გაიგო, გიორგი ლეონიძე ზუმრობდა თუ ამას

სერიოზულად ამბობდა. მართალი რომ ვთქვა, მეც გაეშტერდი. „დრუჟბა ნაროდოვს“ ამგვარი შეფასება პირველად გავიგონე. ბატონი გოვლა კი გულიანად იცინოდა და მე მივხვდი, საქმე უკეთესობისაკენ წარიმართა. წამოდგა და მითხრა, მართლა ეგრე კი არ არის, შენ რომ გვინია, მაინც სტუმარია, სტუმარს პატივისცემა უნდა! ხალხი რამდენიმე სტრუქტურის დასაბუქლად იქით ღარბის-ამან თვითონ ჩამოგვაკითხა, ეტყობა ჩვენ ლიტერატურას პატივს სცემსო. შორს არ წავხუღვართ, ქუნა ლიტერატურის ინსტიტუტთან გადაეჭვრით და გემოში ჩავვდივით. ორიოდე საათის შემდეგ სტუმარი სასტუმრომდე მე მივაცილევ. ეს იყო ჩვენი პირველი და უკანასკნელი შეხვედრა, ქალბატონი უსისკინა ამ დღის შემდეგ არც თბილისში შემხვედრია და არც მოსკოვში.

მერმე გავიდა გარკვეული დრო და ვლიზბარ ანანიაშვილის მიერ შესანიშნავად თარგმნილი გიორგი ლეონიძის მოთხოვნები ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვსი“ დაიბეჭდა. მწერალთა კავშირში ბატონ გოვლას შევხვდი და ვუთხარი, უსისკინამ მაინც თავისი გაიტანამეთქი. კეთილად გაიღიმა და მხარზე ხელი მომხვია.

— შემომატყუე, არა, დედაბერი?!

ლიალ ღატოველი უანჯარა

ბესიკის ქუჩის ბოლოში ახლაც დგას ძველი, ორსართულიანი სახლი. ამ სახლის პირველ სართულზე, ერთერთ ოთახში სახელოსნო ჰქონდა მოწყობილი ზურაბ ნივარაძეს ანუ პიკოს — ასე მამრთავდნენ ახლაც ცნობილ მხატვარს ნაცნობ-მეგობრები. სახელოსნო ეთქმოდა, თორემ ეს იყო ჩვეულებრივი დიდი ოთახი, რომლის ორი ფანჯარა ქუჩას გადმოჰყურებდა. ოთახში უწყსრივოდ ელაგა ავეჯი თუ ნივთები: მაგიდა, მოლბერტი, ტახტი, სკამები... პირდაპირ ფანჯრის რაფაზე, სკამებსა და

იატაკზე ეყარა თუ ეწყო საღებავები და ფუნჯები, სხვადასხვა ზომის მინის და თიხის ქილები... კედელზე ეკიდა რამდენიმე სურათი, დანარჩენი აქა-იქ იყო ერთმანეთზე მიწყობილი. მძაფრად იგრძნობოდა თამბაქოს ბოლით გაჯერებული საღებავების სუნი.

პიკოს სახელოსნოში ხშირად დაედოლით ვერვით წოდებული ახალგაზრდა მწერლები, ბუნებრივია, დადიოდნენ მხატვრებიც, არქიტექტორებიც და სხვა პროფესიის ახალგაზრდებიც — ნაცნობ-მეგობრები. აქ თავს ვიფრიდით ახალი



ნამუშევრების სანახაუად, სასაუბროდ თუ დროის მოსაკლავად. ხან ესვამდით კიდეც, ხან პოკერის თამაშითაც ვერთობოდით. იმ დროს ჩვენი თაობის თბილისელთათვის პოკერი ახალი ხილი იყო და მიუხედავად ფინანსური შეჭირვებისა, ვცდილობდით ამ რთული თამაშის ხელღონებას მცირე თანხის შეწირვით დაეუფლებოდით.

რამდენადაც მახსოვს, სამოცდაერთი წლის ცხელი ზაფხულია. საღამოს მე და თამაზ ჩხენკელი „პლენერზე გავკედით“. დავაზუსტებ: თბილისურ სიცხესა და ჩახუთულობას გავუქეცი, სულის მოსაქმელად ფუნქციონირებს ავაკითხეთ. გასაგები მიზეზის გამო მხოლოდ სუფთა და კრილი ჰაერით არ დაკმაყოფილებულვართ, სუფთა ჰაერს თითო ბოთლი ცივი ღვინოც დაეყოფილეთ. ფუნქციონირიდან საკმაოდ გვიან წამოვედით, ტრამვაიმ გავკასწრო და მთაწმინდის ფერდობებზე ღამეული ბილიკით დავეშვიტ.

ბესიკის ქუჩაზე ჩამოსულები უნებურად ზურაბ ნიჭარაძის სახლის წინ შექერდით. უკმარისობის გრძნობა გვაწუხებს: რაღაც გვაკლია, რაღაც კიდეც გვინდა. რა? ალბათ — სასმელი ანდა ლაპარაკი, ვართობა, სხვა ატმოსფერო, სადაც ვიყავით, იმისაგან განსხვავებულ საზოგადოებაში ყოფნა. შენობა მთლიანად ჩაბნელებული დაგვხვდა. ცხადია, პიკოს ფანჯრებიდანაც არ გამოკრთა იმედის ნაპერწკალი. თუმცა გულში მაინც გაფაჩუნდა იმედის ნატამალი, როცა პიკოს სახელოსნოს ერთ-ერთი ფანჯარა ღია დაინახეთ. ცოტაოღენი ფიქრის შემდეგ ლოგიკურად დავასკვნით: ფანჯარა ღიაა, ე. ი. პატრონი შინ არის.

— პიკო! — დავარღვიეთ ღამის მყუდროება.

ჩვენს ძახილს არაფერს გამოხმაურებია. ამიტომ ხელმოკრედ შევძახეთ პიკოს თანაც ძალიან ეფრთხილობდით, არ გვინდოდა მეზობლებისთვის ტკბილი ძილი დაგვეფრთხო. რაღა ბევრი გავაგრძელო, ფანჯარა კი იყო ღია, თვითონ პიკო არ იყო შინ.

მცირე ხანს კიდეც შევეოვნდით და პირველ სართულზე ღიად დატოვებული ფანჯარა უკვე სახიფათოდ მოგვეჩვენა. შეიძლებოდა ვიღაც გადაამტკრიყო და სახელოსნო გაეძარცვა. ამიტომ ფანჯრის მოხურვა გადაწყვიტეთ. მერმე მხოლოდ ფანჯრის მოხურვა საკმარისად არ მივიჩნიეთ, ასეთი დაუდევრობისათვის, პიკოც უნდა დასჯილიყო, უსათუოდ.

თათბირის შემდეგ დაეადგინეთ: ერთ-ერთი ჩვენთაგანი ღია ფანჯრიდან გადაძვრებოდა, წამოიღებდა პიკოს ხაუკეთესო ტილოს და ფანჯარას მიხურავდა. მეორე ან შესამე დღეს, როცა აკარგული სურათის გამო დავიდარაბა ატყდებოდა, სურათს დაუბრუნებდით პატრონს. ამით თვალნათლივ დავანახებდით ღიად დატოვებულ სახელოსნოს ფანჯარას რა შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა.

მე ტროტუარზე მყარად დაედექი: თამაზ ჩხენკელი მხარზე შემადგა და ღია ფანჯარაში გადაცოცდა. მღელვარე ლოდინის შემდეგ თამაზმა ნახატი გადმომაწოდა, გადმოცოცდა, ფანჯარა საიმედოდ მოხურა და იმავე გზით დაეშვა მიწაზე.

ოღონდ ერთი გაუთვალისწინებელი რამ მოხდა და ცოტათი დაეიბენით: სურათს რომ დავხედეთ, პიკოს ნაცვლად, დიმიტრი ერისთავის ნახატი შეგვეჩნა ხელში. ცნობილი სურათია, გუაშით შესრულებული: თბილისური ჟანრული სცენა — რკინის ჰვიშკართან ბიჭები დგანან და გამოშვებულ მისწერებიან მათკენ მიმავალ ბიჭსა და გოგონს. თამაზმა თქვა, სიბნეელში ვერ გავარკვიებ, რომელი იყო პიკოსი და რომელი — დიმასიო. მე კი ცოტათი მეცნაურა, პიკოს უამრავ ნახატს შორის ერთადერთი იყო დიმას ნახატი და რაღა მაინცადამაინც ამას წააველო ხელი-მეთქი.

წამოვიღეთ სურათი და წამოვედით. ათარბეგოვის ქუჩაზე დავშორდით ერთმანეთს. აქვე ცხოვრობ და ეს სურათი ბარემ შენ წაიღეო, მითხრა თამაზ ჩხენკელმა. ისე კი სულერთი იყო, წაი-

ღებდა, ხვალ-ზეგ პატრონისათვის მაინც უნდა დაგვებრუნებინა.

თბილისის ვარკვეულ წრეებში, როგორც ჩანს, ხმა დაირხა და ამ ხმამ ჩვენიმდეც მოაღწია: ღამით პიკოს სახელოსნოში ვიღაც შესულა და ერთადერთი სურათი წაუღია, ისიც დიმა ერისთავის ნახატიო. ჩვენ სასწრაფოდ ვინახულეთ პიკო და, რაც მოხდა და როგორც მოხდა, დაწვრილებით ვუამბეთ. რა თქმა უნდა ვყვლაფერიც ღია ფანჯარას დავაბრალეთ. პიკომ გვისმინა, გვისმინა და ბოლოს გვისაყვედურა, ეგ როგორ, ჩემ სახელოსნოში შეხვედით და დიმას სურათი წაიღეთ, იქ ჩემი სურათების მეტი რა იყო.

ასეთ საყვედურს, მართალი რომ ეთქა, არ ველოდი. თან მეცინებოდა, მაგრამ სერიოზულად განაწყენებულ კაცს ვხედავდი და ვაყინების შეიძლება. პასუხი თამაშს უნდა ვაეცა: დიმას სურათი ფანჯრიდან მან გადმომაწოდა. მეგონა იმასვე ეტყოდა, რაც იმ ღამით ეთქა, სიბნელეში რასაც წაეწყვიდი, ის წამოვიღეო. პიკოს სულ სხვა რამ უთხრა, შენი სურათის წაოღება ვერ გაუბედო. არ ვიცი, თამაშ ჩხენკელი როდის იყო მართალი, იმ ღამით თუ ახლა, პიკოსთან რომ აღიარა, შენს სურათს ხელი ვერ ვახლეო. ზოგჯერ გონია, ორივე შემთხვევაში გულწრფელი იყო. იგი სიბნელეში გაუცნობიერებელი იმპულსებით მოქმედებდა, მერმე კი ამის ვაცნობიერებას ცდილობდა. შესაძლებელია დიმას სურათი იმიტომაც წამოიღო რომ ძალიან მოსწონდა.

ბოლოს და ბოლოს ზურაბ ნიჭარაძესთან შეხვედრა მზიარულ ტალღაზე

დამთავრდა. გონი, დავაიმედე, სახელოსნოს ფანჯარას თუ კიდევ ერთხელ ღიად დატოვებ, ამჯერად მხოლოდ და მხოლოდ შენს სურათს წამოვიღებთ-მეთქი.

ერთი კვირის შემდეგ რუსთაველზე სამხატვრო აკადემიიდან მომავალ დიმა ერისთავს შევეფეთე. დაბლვერილმა შემომხედა, ძლივს მომეხალმა. მაგრამ მე უკვე წინასწარ ვიცოდი, რას მეტყვოდა და ვიცოდი ისიც, მე რას ვუპასუხებდი.

დიმა: თქვე ოხრებო, სახელოსნო პიკოს სურათებით იყო გაძეპვილი და რაღა მაინცდამაინც ჩემი სურათი წამოვიღეთო?!

მე: დიმა, ძვირფასო, წამოვიღეთ ის სურათი, რომელიც მოგვეწონა!

ვერ ვიტყვი, დამიჯერა-მეთქი. დატყვებულმა შემომხედა, გაიღმა და თავი გააქნია. იქვე ღვინის მაღაზიაში ორი თუ სამი ბოთლი შამპანური ვიყიდე და ჩემთან ავედი. ჩვენ შეგვეძლო სადმე კაფეში შევსულიყავით, მაგრამ ვიფიქრე, ცოტას დაველეთ, ვისაუბრებთ და სურათსაც გავატან-მეთქი. ოთახში შეკედით თუ არა, დიმამ წამოიძახა, ვა, უკვე კედელზეც დაგიკაღიაო. საღამომდე ორნი ვისხედით და ვსაუბრობდით, თან ცივ შამპანურს ვსვამდით. ჩემმა მუღღემ ვახშამიც მოვიმზადა. დიმა წასასვლელად რომ წამოიღვა, სურათის ჩამოხსნა დავაპირე.

— შენ რა, გავიყვიდი?! როგორ გონია: მაგ სურათს ჩამოვახსნევიან და წავიღებ? მოუშვი, სურათი თავის ადგილზე ჰკიდა! — მითხრა და წავიდა.

ოსტატი და პარუსია ქალი

იაკობ დიხამიძე ხელოსანი იყო, თბილისელი ხელოსანი — ქამრიხა და საათის სამაჯურის შეუდარებელი ოსტატი. შინ უკვე გამოყვანილი ან როგორც იტყვიან, მონთრიმლული ტყავი მოჰქონდა, ქამრებად და საათის სამაჯურებად ჭრიდა. მხოლოდ ამის შემ-

დეგ იწყებოდა ნამდვილი ჯადოქრობა. დაჭრილ ტყავს ფხეკდა, ათხელებდა, არბილებდა, ხვეწდა, სასურველ ფერსა და ფორმას აძლევდა... ერთი სიტყვით, პატარა შედეგებს ქმნიდა. ზუსტად იმის აღწერას მე ვერ შევძლებ, აღარც მახსოვს, რა პროცესს გაივილიდა ტყა-

ვი, ვიდრე ქაპრად ან საათის სამაჯურად გარდაიქმნებოდა. ერთს კი ვიტყვი, ყოველი ცალის დამზადება ცოდნისა და ოსტატობის გარდა გულისყურითან, კლდე შრომას მოითხოვდა.

ძია იაკობი მეუღლითურთ ჩვენს ეზოში ცხოვრობდა. პირველ ხართულზე ერთმანეთში გამავალი ორი ოთახი ეკავა: ერთი ეზოს მზარეს, საერთო აივანზე გამოდიოდა, მეორე — პირდაპირ ქუჩაში. მეორე ოთახს ქუჩის მხრიდანაც ქეონდა კარი, აგრეთვე ვიტრინა, რომელშიც ოსტატი დილით ადრე გამოაფენდა თავის ნახელავს — ქაპრებსა და საათის სამაჯურებს. ეს ოთახი იყო ძია იაკობის სახელოსნო, მას დარაბასაც უწოდებდნენ, რადგან ქუჩაში გამავალი კარიცა და ვიტრინაც მთლიანად დარაბით იხურებოდა.

მუშტარი არ ელყოდა. თბილისის გარდა საქართველოს თითქმის ყველა ქალაქში იყიდებოდა მისი ქაპრები და სამაჯურები. ბათუმიდან, სოხუმიდან, ზუგდიდიდან, ქუთაისიდან, გორიდან, თელავიდან ჩამოდიოდნენ მუშტრები, ოღონდ მათ წინასწარ შეკვეთილი საქონელი მიჰქონდათ. ძია იაკობიც დილიდან საღამომდე თავის დაზგასთან მდგარი თავაუღებლად შრომობდა, ტყავის ანაფხეკსა თუ მტკერს გამუდმებით სულს უბერავდა.

სახელოსნოში შესვლა და იქაურობის თვალყურება მიყვარდა. იქ თავმოყრილი იყო უამრავი სავანი თუ ნივთი, რაც ბავშვის თვალსა და გულს იტაცებდა, ცნობისმოყვარეობას აღვივებდა. იატაკზე, დაზგასა და თაროებზე ეწყო ათასგვარი ხელსაწყო: ტყავის საჭრელი, სახერეტი და საწნები, ნიკელის ჭიკარტების სამაგრი; დანის სალესი ჩარხი და სალესი ქვები; სახაზავები, საღებავები და რაც მთავარია, დანები, დანები, დანები... სამართებელივით ალესილი სხვადასხვა ზომისა და ფორმის დანა. განსაკუთრებით მომწონდა მიღებული მთვარის მსგავსი, მორკალული, ორწვერიანი დანა, რომელსაც შუაში სიმკვლისა და ხმარებისაგან გაყვითლებულ-გაპირიანებული

სპილოს ძვლის ტარი ჰქონდა. დანებს თავისი კოტიტა თითებით თვითონვე ლესავდა, თან ჩვეულებისამებრ სულს უბერავდა. ზოგჯერ სათვალის ზემოდან გამომხედავდა და ღიმილით მეტყვოდა, ბიჭო, შევირდად ხომ არ დამიდგები, ხელობას გასწავლი, კარგი საქმეაო.

მაგარი აგებულებისა იყო, დაბალი, ჩახსმული, ღიპიანი. ღიპზე მუდამ გაურკვეველი ფერის წინსაფარი ჰქონდა გადმოფენილი. წვერსა და კეფაზე შერჩენილ თმას კვირაში სამჯერ იპარსავდა, უღვაშს მოკლედ იკრეჭდა. დალაქი შინ დაუდიოდა. შემდეგ მივხვდი, საპარიკმაზეროში წასვლა და იქ ლოდინი ბევრ დროს წაართმევდა. ოსტატს დრო ძვირად უღირდა.

მეუღლე მარიამი ან როგორც ძია იაკობი ეძახდა — მარუსია ქალი ქმარს ბავშვივით უვლიდა და ანებივრებდა, თავს ევლებოდა, დაკანკალებდა. მარუსია ქალივით გამხდარი ადამიანი იშვიათად შემხვედრია. გამხდარი ის სიტყვა არ არის, ეს იყო წარმოუდგენელი ენერჯითი სავსე ტყავი და ძვალი. დილით ქმარს ტანსაცმელს აცმევდა, ღილებს უბნევდა; ძია იაკობი იატაკამდე ვერ იხრებოდა და მარუსია ქალი უნასკვავდა ფეხსაცმლის თასმებს. ორ დღეში ერთხელ სანოვაგისთვის დადიოდა ბაზარში და უგემრიელეს კერძებს ამზადებდა, რადგან ძია იაკობი გურმანიც იყო და ზედმიწევნით იცოდა გემრიელი სადილის ფასი. ცხადია, ყველა წვრილმანს ვერ ჩამოვთვლი, რასაც მარუსია ქალი აკეთებდა. მოკლედ, შრომა განაწილებული ჰქონდათ, თავიანთი საქმე იცოდნენ და შეხმატკბილებულნი ეწყოდნენ ცხოვრების ჭაბანს.

ოსტატი კვირაში ექვს დღეს მუშაობდა, ერთ დღეს იხვენებდა. ძია იაკობისთვის კვირა განსაკუთრებული დღე იყო. ამ დღეს სავანებოდ ჩაცმულ-გამოწყობილი, გაპარსულ-გალამაზებული, ზუსტად თორმეტ საათზე მუშტაიდის ბაღში მიემურებოდა სასეირნოდ. ეს გახლდათ რელიგიური რი-

ტულის ხარისხში აყვანილი გარდუ-ვალობა. უნდა გენახათ, მარუსია ქალს დილიდანვე რა ფაცი-ფუცი ჰქონდა ატეხილი: ნახშირის უთოს გაახურებდა, შარვალს ჯაგრისით გაუწმენდა და გაუთოვებდა, გახამებულ-გატკეცილ პერანგს, ყოველი შემთხვევისათვის, კიდევ ერთხელ უთოთი გადაუვლიდა, ქმარს გემრიელად ასაუზმებდა, კობტად გამოაწყობდა და მუშტაიდისკენ გაისტუმრებდა. არავინ იცოდა, რატომ ჰქონდა მია იაკობს მაინცდამაინც მუშტაიდის ბაღი ამოჩემებული ან როდის დაადგინა ეს მარშრუტი. ზოგჯერ რომელიმე მეზობელი გაეხუმრებოდა, იაკობ, მუშტაიდში ქალებმა არ შეგაცდინონ, ოხრები არიან, მარუსია არ დაღუბო. მაგრამ ნათქვამი ნათქვამად რჩებოდა. ასეთ ხუმრობას არავინ აქცევდა ყურადღებას.

ცხოვრება ერთხელ არჩეული კალაპოტით მიედინებოდა. უცებ, ერთ დღეს, მაშინ თერთმეტ-თორმეტი წლის ბიჭი ეიყავი და ყველაფერი კარგად მახსოვს, მდილიციელის თანხლებით ვიღაც სამი კაცი მოვიდა და მია იაკობის სახელოსნო დაარბია. ამ დარბევას რა პროცესები უსწრებდა წინ, არ ვიცი, ჩლბათ მოდიოდნენ და აფრთხილებდნენ, მუშაობა შეწყვიტეთ. მია იაკობმა საგადასახადო ქვითრები გამოუტანა დამრბევებს, რას მერჩით, „ნალოვს“ დროზე ვიხდიო, მაგრამ საქმეს ამან არ უშველა. ლანძღეს, ავინეს, კერძო მესაკუთრე და „კუსტარ ოდინოჩკა“ უწოდეს. „კუსტარ ოდინოჩკა“ პირველად გავიგონე და კარგა ხანს არ ვიცოდი, რას ნიშნავდა. იარაღები გარეთ გამოუყარეს, დარაბა დახურეს, დაღუქეს და, რაც მთავარია, სახელოსნოდან ოთახში გამავალი კარი აუჭვდეს. დარჩნენ ერთ ოთახში გამოკეტილნი სასოწარკვეთილი ოსტატი მია იაკობი და ატირებული მოხუცი ქალბატონი – მარუსია ქალი.

მია იაკობს მამაჩემი მეზობლებისაგან გამორჩეული ჰყავდა და განსაკუთრებულ პატივს სცემდა. მამაჩემიც პატივისცემით ეპყრობოდა, გულწრ-

ფელად მოსწონდა მისი ხელობაცა და ნახელავიც. „ოსტატო“ – ასე მიმართავდა ზოლმე, „დილა მშვიდობისა, ოსტატო!“ „როგორ გიკითხო, ოსტატო?..“ პირველად მისგან გავიგონე, ეს საათის სამაჯურები პატარა შედევერებიანო. მია იაკობი ბედს ვერ შეურიგდა და მამაჩემს თხოვდა განმარტებას, ამიხსენი, ეს რა ზღებანო. მას არ ესმოდა და ალბათ ვერც ვაიგებდა, შრომას რატომ უკრძალავდნენ. თავის წილ გადასახადს სახელმწიფოს ხომ პატიოსნად და წესიერად უზდიდა? სხვა რაღა უნდოდათ, რას ერჩოდნენ? არ ვიცი, მამა როგორ ანუგეშებდა და აწყნარებდა, ის კი მახსოვს, დიდხანს ესაუბრებოდა ზოლმე.

სახლის პატრონმა სახელოსნო ანუ დარაბა გაუყიდა. ახალმა მდგმურებმა გაასუფთავეს, გაარემონტეს და შესახლდნენ მია იაკობის სახელოსნოში. ახლა შინ ჩუმად მუშაობდა, სხვებისგან დაფარულად. ქამრებს აღარ ამზადებდა, რადგან საათის სამაჯურების კეთება ზომის გამო უფრო ხელსაყრელი იყო, ადვილად მალავდა. ერთი-ორჯერ, არ ვიცი, დაასმინეს თუ რა მოხდა, ინსპექტორები მაინც მოვიდნენ და ბინა გაუნჩრობიკეს. მართალია, გადამალული საქონელი ვერ აღმოუჩინეს, მაგრამ ძალზე უსიამოვნო ნაღვეს ტოვებდა გულში ეს მოულოდნელი თავდასხმები.

ახე კონსპირაციულად მუშაობა აუტანელი გახდა და ერთ დღეს მამამ მია იაკობი კინოსტუდიაში წაიყვანა. კინოსტუდიას მაშინ სახკინმრეწი ერქვა. სახკინმრეწვეში მია იაკობს ჩააბარეს ტყავის საამქრო, სადაც კინო-ფილმებისათვის ტყავულის რეკვიზიტს ამზადებდნენ, ზოლო დაძველებულს აახლებდნენ: აღვირებს, ცხენის აღკახმულობას, ქამრებს, თასმებს, ათასგვარ მოსართავებს. მია იაკობი კი ამბობდა, ეს ჩემი საქმე არ არისო, მაგრამ უკმაყოფილო არ ჩანდა, რადგან სამუშაო იშოვნა და ეს სამუშაო, რაც არ უნდა თქვა, მაინც ტყავთან იყო დაკავშირებული. მთელი საამქრო თვალში შესცქერის, ოსტატი რას იტყვისო, ერთ-



გვარი სიამაყით ამბობდა მამა, თუმცა სინანულითაც დასძენდა, ეს კაცი რატაც ქმნიდა, მორჩა, საქართველოში ამიერიდან აღარ შეიქმნებაო.

მაღე ომი დაიწყო. ძია იაკობი ყოველ დღე დადიოდა სამსახურში და ხამი წელი კეთილსინდისიერად ასრულებდა თავის მოვალეობას. მერმე სამწუხარო მოვლენები სწრაფად განვითარდა. მოულოდნელად გარდაცვალა მეუღლე: მარუსია ქალმა ორი დღე იავადმყოფა და უცებ განუტევა სული. მეუღლის 'კუბოსთან იდგა დაბნეული, ხასოწარკვეთილი და ყოვლად უძწეო ძია იაკობი და ტიროდა, დაპაღუპით ჩამოსდიოდა ცრემლი. აღმოჩნდა, რომ დიხამიძეების ოჯახს არც ახლო და არც შორეული ნათესავი ჰყოლია. მარუსია ქალი მეზობლებმა დაასაფლავეს.

ძია იაკობი მეუღლის დაკრძალვის დღიდან შინიდან გარეთ არ გასულა. სამსახურიც დაივიწყა, საქმეც და მოვალეობაც. ოთახში გამოკეტილი იჯდა მარტოდ მარტო და იმით იკვებებოდა, რასაც მეზობლები შეუტანდნენ. გვიან მიხვდნენ: ამ კაცს უმარუსიოდ არ შექძლო არსებობა: ჭამა-სმა, ჩაცმადახურვა, თავის მოვლა. როგორც ჩანს, მარუსია ქალი ერთი მთლიანის განუყოფელი ნაწილი იყო და სიცოცხლისათვის აუცილებელ, ყოველდღიურ ყოფით ფუნქციებს ასრულებდა. მთლიანობა დაირღვა და დაიშალა. ძია იაკობიც დაიშალა, გახდა, დაიწურა, ჩამოიძენმა და მერმე ტილებიც დაუხია. მეზობლები, როგორც შექძლოთ, უვლიდნენ, მაგრამ არაფერმა უშველა. სახეინმრეწვიდან თანამშრომლებმა რომ მოაკითხეს, უკვე უკანასკნელ წუთებს

ითვლიდა. სწორედ მათ იკისრეს ძია იაკობის დაკრძალვა და ღირსეულადაც დაკრძალეს.

დასაფლავების დღეს მოვიდა ძაბით მოსილი, დამგლოვიარებული, უცნობი ქალი, რომელსაც ორი მშვენიერი ქალიშვილი მოჰყვა. უადრესად აღელვებულები და შეწუხებულები თავს იკლავდნენ, იაკობის გარდაცვალება გვიან შეიტყვევო. გულწრფელად დატირეს მიცვალებული, დასტიროდნენ როგორც მეუღლესა და მამას. ძია იაკობის ყოველკვირეულ მუშტაიდისკენ გასეირნებას ბოლოსდაბოლოს ფარდა აუხადა: არავითარი მუშტაიდი, ძია იაკობი ყოველ კვირას ამათთან დადიოდა. მეზობლებმა ერთი საიდუმლო მაინც ვერ ამოხსნეს: ეს მშვენიერი, გასათხოვარი გოგოები ნამდვილად ძია იაკობის შვილები იყვნენ თუ არ იყვნენ?! მაინც შესთავაზეს, რახან სხვა მემკვიდრე არა ჩანს, უპატრონოდ დარჩენილი აუჯჯი და ნივთები თქვენ წაიღეთო. მემკვიდრეობაზე ცივი უარი განაცხადეს. ქალს უთქვამს ჩვენი ვალია იაკობის საფლავს მოუუაროთო.

იაკობის აუჯჯი და ნივთები მეზობლებმა დაინაწილეს. ერთი ნივთი მეც მერგო: დანა, რომელიც ძალიან მომწონდა, მიღეულ მთვარესავით მორკალული, ორწვერიანი, სპილოსძვლისტარიანი. იმ დანით ხან ფანქრებს ვთლიდი, ხან ხეს ვწორკნიდი, ხან რას ვაკეთებდი და ხან — რას. ბოლოსდაბოლოს დანა დაწლუნგდა, ერთი წვერი მოტვდა და დაიჭანგა კიდეც. მერმე სულაც გაქრა, დაიკარგა. ერთი სიტყვით, დანა ხელში ჩაუვარდა იმას, ვისაც არ უნდა ჩაუვარდნოდა.

ლელა პაპური

... არ ვიცი, არა,
ო, საიდან უნდა ვიცოდე ნეტავ,
სათავეებთან მარადისის მდინარეების
თუ ხარობს ბაღბა
და მის ფესვებში შეწოვილი წვიმის წვეთები
თუ წკრიალებენ ალავერდის ზანზალაკით.
არ ვიცი, არა,
ო, საიდან უნდა ვიცოდე, ნეტავ,
მზის ბინადარნი, მზის ცხელ სხეულში
რომელ კითხვის პასუხს მარხავენ
და პანაშვიდზე რას უკრავენ
ღუღუკს თუ ვაგნერს,
ან თუ იციან,
რომ ჭარხლის ფხალთან,
შეუძლიათ დააღაგონ ცოცხალი ნესვი...
ეს ამბავი ჩემს სოფელში
ნიკიტას ცოლმა ქალაქიდან ჩამოიტანა
და ძალიან რომ გაუკვირდათ სოფელელ გოგოებს,
მართალიაო, მთავარია გემოვნებაო,
არ გაიკვირვა ექთანმა შურამ
(ისიც ხშირბშირად დადიოდა ქალაქს წამლებზე)
არ ვიცი, არა,
ო, საიდან უნდა ვიცოდე ნეტავ,
უკვდავეთის ქვეყნების ფრესკებს
თუ ამშვენებს პაპანემის პაპის სურათი
და სამყაროებს — ცისიქითა იღუმალების,
თუ აქვთ ჩემი უკბილო ბებოს
თავშლის კუთხეში გამოკრული ნიკვზის სურნელი...
არ ვიცი, არა
ო, საიდან უნდა ვიცოდე ნეტავ...
ჭეშმარიტების გალაქტიკის ალაფაფამდე
თუ მიადწია
მერაბ კოსტაეას ზეალმართული მჯილის ქანდაკმა.
არ ვიცი, არა,
ო, საიდან უნდა ვიცოდე ნეტავ!..

სურათი

არმიწიერად ბედნიერებს და აღტაცებულთ,
 მშვიდად,
 გულგრილად გადმოგვეყურებს ჭიმილის ჭიუხი.
 ძველ ელინიკით —
 რომელმაც თავის მშვენიებისა
 არა უწყოდა...

წმინდა გიორგის საბთაჲ

თუკი ოდესმე,
 თუკი ოდესმე,
 ჩემს ცოდვილ სხეულს სახლად დაიჭერ,
 ძღვევამოსილო შემწვევ ძღვეულთა,
 მარადისობის ნედლო კარიბჭევ...
 თუ შენის ძალით მაღლი სიკეთის,
 არ დაიღია ჩემი მიწიდან,
 ციდან სულამდე გადგმული ფესვით,
 სულიდან ცამდე ამოიზიდა.
 თუ ვეზიარე ნუგეშის წვიმით
 და ხიყვარულით საესე ფიალებს,
 როგორც განწმენდას და ამალეებას —
 ცრემლის სასწაულს თუ ვეზიარე...
 ავი სიზმარი თუ არ ამიხდა,
 და გაიფანტა ჩემი დარღები,
 სიცოცხლის ბოლოს — ღვთის სამსჯავროზე,
 სამშობლომკვდარი თუ არ წარუხდგები...
 თუკი ოდესმე,
 თუკი ოდესმე,
 ჩემს ცოდვილ სხეულს სახლად დაიჭერ...
 ძღვევამოსილო შემწვევ ძღვეულთა,
 მარადისობის ნედლო კარიბჭევ...

სიკვდილი

„გამოასვენეს...
 ჩემი გულიდან შენი გული გამოასვენეს
 და წაასვენეს ვიღაცის ვნების სასაფლაოზე
 ჭირისუფლები მიჰყვებოდნენ
 იმ შენს გულს უკან,
 ჭირისუფლები — ჩემი ლექსები“...
 ეს ყველაფერი
 აღარ მახსოვს, რომელ დღეს მოხდა,

ან როგორ მოხდა,
 რომ ჩემს სათქმელს სხვები ამბობდნენ...
 და აღარ მახსოვს,
 მზე იყო თუ ფანტელები ცვიოდა იმ დღეს...
 და აღარ მახსოვს,
 ჩნდებოდა თუ კვდებოდა ვინმე...
 და აღარ მახსოვს მე ვტიროდი თუ ვიცინოდი
 ... და აღარ მახსოვს...

საპარიკმახეროს მოსაციქლში

ჩამოჯდები...

ისე ჩამოჯდები თითქოს ძალიან გეჩქარებოდეს
 და ძალიან დიდი დაღლილობის გამო
 ჩამოჯექი სულ ერთი წამით,
 ნაირ-ნაირ ჭრელაჭრულას ჩამოგიტარებენ გადამვიდელები
 ველისიპედებს, სათამაშო თოფებს, ჭანჭიკებს...

შენ კი იჯდები...

სახეზე დაგეტყობა, რომ რაღაც გსიამოვნებს —
 როგორც ამ დამლაგებელ ქალს ესიამოვნა
 პაპანაქება სიცხეში,

ცხვირსახოციტ გაპრიალებული
 ცივი მსხლის ჩაკბეჩა...

ან როგორც

საპარიკმახეროში პირველად შემოსულ
 ამ ახალსკოლადამთავრებულ გოგონას სიამოვნებს
 თავზე დაყრილი „ბიგუძები“...
 რომელსაც ცოტა ერცხვინება და თან ეჩქარება
 ახალი თმებით ქუნაში გასვლა
 და რომელმაც ჯერ დიდი გზა უნდა გაიაროს
 რომ იგრძნოს სინანული და მონატრება
 სკოლის კედლების სურნელიანი ნაწნავების გამო,
 რომლებიც ახლა ნაკვეთი ყრია

და აღარც ახსოვს...

და ამ უადგილო ადგილას
 წერას რომ დაიწვებ

ყველას ეგონება,

რომ პარიკმახერთან რივის მოლოდინში

ბაზარში საყიდელი პროდუქტების

სიას წერ: ძეხვის, ნიახურის...

რადგან მნელია წარმოიდგინო

რომ აქა ზარ

და აქ არა ზარ...

რადგან ადამიანები —

სქელები, გამხდრები, ზოლიანებიც და კოპლიანებიც
 ყოველთვის იქ არიან, სადაც არიან,

ზოგი საპარიკმახეროში...

ზოგი ქუჩაში...

ზოგი ბაზარში...

ალბათ შენც აქ იქნებოდი, სადაც ხარ,
რომ არა

ვერხვის ფოთლებში გაჩრილი სივრცე,
სადაფისთვალეებით რომ მოგშტერებია,
ხელებით გიჭერს ჰაერში და
ლექსს გაწერიანებს...

არ დაიჯერო... თითქოს მაკლიხარ,
არ დაიჯერო... თითქოს გინატრე,
შენ ხომ ჩემთან ხარ, დღისით და ღამით,
შენ ხომ ჩემში ხარ... როგორც სინათლე
ჩვენი სიშორე ვინ მოიგონა,
ან მარტოსულად როგორ ჩამთვალეს,
რად ვერ ამჩნევენ, რომ მზეებივით,
შენი თვალები დააქვთ ჩემ თვალებს.
როგორ თქვეს ჩემზე... ცხოვრობს ეულად,
და გულზე დარდებს იკრავს ღილივით,
სასაცილოა... რად ვერ შენიშნეს,
ჩემს ბაგეებზე შენი ღიმილი
უკვირთ აღმართზე მყარად რომ მივალ,
მე ხომ გვეყრდნობი მხარზე გოლიათს,
სასაცილოა... როდესაც ვტირი,
ის ცრემლი... მარტო ჩემი ჰგონიათ.
მე შენი სულიც მიმაქვს სხუელით,
მინდა ლაგვარდის ფრთებზე ვარწიო
და უკვდავებას თუ ვერ უბოძებ,
ლექსებად მაინც გადაუაქციო...

ქარო

ქარო, რამე მომიტანე
ცის ნამივით ცინცხალი,
თორემ უფლის ნაფეხური
ვერსად ვეღარ ვიციანი...
ქარო, რამე მომიყვავი,
სიყვარულზე — ლამაზი...
თორემ ვეღარ მოვირჩინე
დალეწილი არმაზი.
ქარო, რამე მომაგონე,
კუფხის, მოყმის საღარი,

თორემ უკვე ვეღარ ვხედავ,
ივერია სად არი...
ქარო, იქნებ დამიბრუნო,
წიქარა და მზეწვია,
თორემ ვატყობ, მათ სანაცვლოდ,
ღვეის დედა მეწვია...
ქარო, იქნებ მომეფერო,
მომირჩინო იარა,
იქნებ მითხრა, რომ გრიგალმა,
უკვე გადაიარა...

ქუნაში კი იქნება წვიმა

წამი... ძალიან,
 ისე ძალიან რომ მოვინდება,
 წაუკითხო ვიღაცას ლექსი,
 რომელსაც კარგად
 ვერ მელანიც არ შეშრობია...
 ... და სხეულშიც
 ვერ ისევ რომ გრძნობ
 მისი ყოფნით,
 ხისხლისგან დაცლილ
 მღვრიე კალაპოტს...
 ისე ძალიან რომ გუნქარება
 წაუკითხო ვინმეს ხმაშაღლა —
 როგორც ქორვაჭარს —
 შუშა-კიტრის დახლზე დაწყობა...

მიიხედები — მოიხედები...
 გარშემო ნაცნობს რომ ვერ იპოვი...
 უიმედოდ ხელს რომ ჩაიქნევ
 და გამოსავალს —
 ათასგზის ნაცადს,
 ათასმეერთედ ისევ მიაგნებ...
 ლექსის სტრიქონით
 გამოტენილ ლოყებს და ტურებს —
 ააფარებ სვიტრის საფელოს
 (ვითომცდა ისე... სიცივისათვის)
 და გაუყვები ხალხით სავსე
 ქუნას ბუტბუტით...
 ... ქუნაში კი იქნება წვიმა...

... შიშის ქვეყნები მოველე ქვითინით,
 სახეს იცვლიდა ირგვლივ ყოველი...
 და კვითხულობდი:
 — სად არს ქვითკირი,
 დაუშრეტელი და მზეცხოველი...
 ნათობს მნათობი — ფერით რჩეული...
 და სხვას ვველაფერს ის ასამარებს,

მე კი შემოვრჩი ვით მთვარეული...
 სიმღერის მსუბუქ იასამანებს...
 ვველა ბილიკზე ეჭვის რიგია,
 თითქო ბოროტთან ერჩები უფაროდ,
 ... ვერ გამიგია... ვერ გამიგია,
 რომელი მხრიდან მიხმობ, უფალო!

გარდასულა
 და წასულა... უპ, რამდენი!
 მაპატიე, მაპატიე, გაზაფხულო!
 ცრემლთამდენი,
 სხიეთამდენი,

გულთამდენი —
 ნულარ მოგაქვს
 ჩემთან უკვე
 ნურაფერი...

სმსხური ძალის სასუფარო

„პირველ თოვლზე უფრო თეთრო,
 ცრემლზე უფრო მსატყე“.

მიძღვნიდაწ.

გაეიგი, ღამაშ ქალებში
 ძლივ აგირჩევავ ერთაი,
 ყოფილა ცრემლზე მსატყე,
 და პირველ თოვლზე თეთრაი...
 სუყველა დარდის საკარგი,
 წუხრ-წუხრ ერდოზე დაეივა,

თავს არ დავიღლი ტირილით,
 მეც ჩემ ბილიკით წაგივალ.
 „შენ რომ გვონია, ვაფაო,
 არცა ვგეთა ქალი ვარ,
 კოშკი ვარ სიპით ნაგები,
 ეკალდამაის კარი ვარ“.

თავისუფალი პაწაწები

პაწაწები

წვიმდა და წვიმდა, მთელი დღე წვიმდა.
წვიმდა საოცარ გულმოდგინებით,
მიწას წკებლავდნენ ღმერთები ციდან
და წკრიალებდნენ ფანჯრის მინები.

წვიმდა და წვიმდა, მთელი დღე წვიმდა,
და ქარი ქროდა, და ქარი ქროდა.
რალაცას ვწუხდი, რალაცა მწყინდა,
რალაც მინდოდა და არა მქონდა.

წვიმისგან გული უწუხდა ყველას,
გამოდარებას აღარც ველოდით.
ახლოს ვილაცა ითხოვდა შველას,
შველა მინდოდა და ვერ ვშველოდი.

ქალაქზე ავი ღრუბლები იწვა,
წვიმდა და წვიმას ყველა მივებდით.
იწყებებოდა ცოდვილი მიწა
და წკრიალებდნენ ფანჯრის მინები...

ფოთლები

მთავრობის სახლის წინ ხანძარია —
ვარდები, ტიტები, მიხაკები.
აქ, ახლოს, საუფლო ტამარია,
დალუპულთა ხსოვნის მისაგება.

მთავრობის სახლის წინ ჭადარია,
ორღესურ ბარების კვადიანი.

ქართულ მიწაზე თუ ავღარია,
მიოხარით, ვინ არის ბრალიანი.

მიოხარით, ხიდი ვინ ნაგვიტეხა,
ერთმანეთს ასე რამ დაგვაცილა,
ის ღამე მაინც ვინ გაგვითუნა
და ყვითელ ფოთლებად დაგვაცივნა...

ღამე

ახალ წლის ღამეს დედა-თბილისს ეწვოდა მკერდი,
იმ ღამეს სისხლიანს, იმ ღამეს მწუხარს.
ლევკენდარული კაპიტანის სეხნია ერთი
ბუნკერში ჰყვებოდა ანკლოტს უხამსს.

ერთიც ფეხმარდი დეპუტატი უვლიდა ბუქნას,
სადღეგრძელოები ითქმოდა მიჯრით,
ზედ აფოლებდნენ ნება-ნება შამპანურს მუქთას,
სულ ქვემოთ, სარდაფში, კვდებოდა ბიჭი...

ქართული აზროღაფა

შეშლილი, შეშლილი, შეშლილი სახეებით,
 ლანძღვისთვის მორიგი საბაბის მიგნებით,
 უცნაურ სიავით, ველური გაბეღებით,
 გონების, გულის თუ გრძნობების გაბეღებით
 უდანაშაულო იწვება წიგნები.

დავეცით, დავეცით, დავეცით და ვერ ვდგებით,
 ცოდვებში ჩაფლულნი, ზეცისგან გამობილნი,
 როგორ გავსწორდებით, როგორღა გაებერდებით,
 როგორ დავბრძენდებით ან როგორ დავბერდებით,
 ერთურობის ზიზღით და ქიშპობით პერობილნი...

მამა

მამა, ჩამოვალ, მოგეხმარები, სიმინდი დაეფქვავთ,
 ძირულას წახვლა თუ გენატრება, კვირისთვის დაეთქვავთ,
 იმ წყაროს წყალი თუ გენატრება, თერმოსს ავიკსებ,
 აღმართს ავივლი, წაბლს შევიგროვებ—გახსოვს განის ტყე?

დილაადრიან აღარ ტრიალებ ხველებ-ხველებით,
 არ მოასვენე ეგ ნაჯაფი შენი ხელები?!
 ორ-ორი ჩანთით ბაზარში ვეღარ დაიარები,
 მანდ შევბას თუ გრძნობ, ნაფრონტალი და ნაიარევი?
 მაგ კეთილი და სნეული გულით მანდაც ჩვილი ზარ?
 „რად არ მოდიხო“, სიკვდილზე, აღბათ, აღარ ჩივიხარ.

დედას სიზმარი წუხელის, მამა,
 შენი ჭალარით გაბრწყინებულა,
 წუხელ ამინდი შეცვლილა ავად
 და შენს საფლავზეც გაწვიმებულა...

ლადო სულაბერიძე

სხალსიზმარიანა

(თავგადასავალი)

ნაწილი მეორე

მიაუნჯა - ნაწი აოჯოხეთი

სიჭაბუკეშივე დაბრუნდა ამათ თავ-ზე წიხქვილის ქვა, თითოეულ მათგანზე წიგნები დაიწერება, მიუხედავად იმისა, რომ ხანგრძლივად არ უცხოვრიათ წუთისოფელში, ოცდაექვსი-ოცდარვა წლის ბიჭები იყვნენ და საუკუნოვანი ტანჯვა-წვალების ცხოვრებისეული გამოცდილებანი დაუგროვდათ უკვე. თუმცა განსაკუთრებული და გამორჩეული ნიჭიერებით არ დაუჯილდოებია ისინი უფალს, მაგრამ ერთი ნიჭი კი მიჰმალდა მათ — ჭირთათმენის, გაძღებისა და მოყვასის თანადგომისა. ამ მადლით ისე აღივსო მათი ხორცი და სული, რომ მას მერეც, რაილა განთავისუფლდნენ და შინ დაბრუნდნენ, ყოველდღიურ საქმიანობასაც გულითადად შეუდგნენ და მალაღი ზნეობის და მოყვასის თანადგომის მისაბამი მაგალითები გახდნენ, სამეზობლო-სანათესაო-სამძეკაციო საზოგადოებისათვის.

ესენი დავტოვე იქ, დედვაზე, იმ დამით, როცა მე მაგადანისაკენ გამაქროლეს. შალვა ქათულაძე და შალვა მჭედლიშვილიც დარჩნენ მათთან ერთად, რომელთა შესახებაც ადრევე მოგახსენეთ ზოგი რამ და ამჯერად ცალცალკე ვერ გამოვიყავი. შალვა ქათულაძე იმერელი იყო, ხონელი, შალვა მჭედლიშვილი თბილისში გაზრდილი კახელი, ასეც ვეძახებით იქ — „შალვა

იმერელი“ და „შალვა კახელი“, — რაკი ერთავეს ერთიგდაიგივე სახელი ერქვა.

შალვა იმერელს მოგრობო, ნაცვაელიარი სახე მუდამ ღიმილით ჰქონდა გაშუქებული, ფიცხი და ემოციური იყო, ენერგიული საუბრისას მთელი სხეული დამაბული ჰქონდა.

შალვა კახელს წარბებს იოლად ვერ შეარხევიანებდი, რაკ არ უნდა გამომწვევ საუბარში ჩავეთრია, სიტყვას მაიპარად ვერ წამოაღდევიანებდი ისე ისმენდა მოსაუბრეთა სიტყვებს, თითქოს გონებაში თავისთვის აანალიზებდა ყველას ნათქვამს და მერე თუ რამეს იტყოდა, სხვათაგან გამორჩეული იყო ყოველთვის მისი ნააზრევი.

ხუთი წლის შერვეულ ჭირებსა და ამ ძვირფას მეგობრებს ვეცლებოდი, უშორდებოდი, მანქანა თანდათან შორდებოდა ლავერს, ელნათურებით განახნახებულ დაბაქალაქ მიაუნჯას, წინ მიჰქროდა მანქანა გაყინული თოვლით გადავლესილ გზაზე და ბრეზენტით გადახურულ ძარაზე სხვა „ზეკებთან“ ერთად პირუკუ ვიჯექი და დამაბული თვალებით შევეურებდი იმ ვოჯოხეთის. საცა ხუთი წლის წინად მიმიყვანეს და რომელიც მე ავაშენე იქ. მე და ჩემი-სთანა ათასეულმა კატორღელმა. ხო უნდა გულდაწყვეტილი გაეცლოდი საკუთარი ოფლით შექმნილსა და ნამ-რომ-ნაღვაწს? პირიქით, მიხაროდა, რო ეშორდებოდი, რო გადავრჩი, რო

არ ჩაიფარა ჩემი ძველები მის ლიბო-ბალავარში. რაც უფრო ვშორდებოდი, მით უფრო ცხადად ჩანდა დაბაქალაქის სიერცე. ეს რამოდენა დასახლება გავ-ვიშენებთა საცოდავ, მშვიერ-მწყურვალ კატორღელებს?! იქ რო ვიყავი, არა ჩანდა ასე დიდი. ვაჩაღდება აქაც ცხო-ვრება, ფეხს მოიკიდებენ თბილ ჭერ-ქვეშ ადამიანები, ოჯახები ვაჩნდება, დაბადებიან ბავშვები და ჩვენს ძველ-ბზე აგებული ქალაქი ვახდება ამ ბავ-შვების სამშობლო, ვაგრძელებდა ასე და ნეტავი ვისმეს ვაახსენდება ის გამ-ვალტვავებული გულაგის კატორღე-ლები, რომელთა ოფლითა და სისხ-ლით არის მორწყული ამ დასახლების ლიბო-ბალავარი?! ეს კი ვიცი, აგრე რო იტყვიან აქ დაზრდილი თაობები, ჩემი მშობლიური რუსეთიო, ჩემი რუ-სული ქალაქიო და არაეინ არაფრად დაგიდევს აქ ჩახოცილ უკრაინელებს, ბელორუსებს, ჩინელებს, ბალტიისპი-რელებს, სომხებს, აზერბაიჯანელებს, ქართველებსა და სხვათა და სხვათა, რომელთა ძელებზეაც აივო იგი.

მერე შეიძლება საქვეწოდ გამოჩე-ნილი ადამიანებიც აღიზარდნონ ამ და-ბაქალაქში ან უკვე დიდ ქალაქში მია-უნჯაში, მათი ძველებიც აღმართონ მის მოედნებსა და პროსპექტებზე, მაგრამ ფუოდორ ნიკოლაევიჩ კონდრატევი, რომელმაც აქ პირველი ბიბლიოთეკა შექმნა, რომლის ბაზაზეც აღიმართება ქალაქის საჯარო ბიბლიოთეკები, ალა-რაეის ვაახსენდება.

რო არ ვაახსენდებთ, უნდა ვაახსე-ნით.

კომუნისტები შეეცდებიან აღგავონ პირისაგან მიწისა ყოველგვარი ნაკვა-ლევი სტალინური გულაგებისა, სისხ-ლიანი კატორღებისა. თუ დასცალდათ, ამასაც მოახერხებენ. მიმალ-მომალა-ვენ, მიაფუნ-მოაფუნეჩენენ, შეალამაზ-შემოალამაზებენ, არქივებს მიჰკარგ-მოჰკარგავენ, არა, მოსპობენ, ნაცარ-ტუტად აქცევენ, შეისტორიებებს არ და-უტოვებენ მღადადებელ დოკუმენტებს,

იმის იმედით, რომ ჩვენ, ცოცხალი მოწმენი აღარ ეიქნებით ამქვეწანად, ცას ვერ გამოვეკერებით, მაგრამ ვა-ნადგურების ეს დახელოვნებული ოს-ტატები ვველაფერს მაინც ვერ მოსპო-ბენ დედამიწის ამ შექვესე კონტინენ-ტზე.

ხსოვნას ვერ მოსპობენ.
ხსოვნის გენია თაობიდან თაობებში ვადაღის.

ეს წიგნიც ამიტომ იწერება.
ხუთი წლის განმავლობაში რაც ვნა-ხე ამ ლაგერში, ციფრებით არ გამო-მიხატავს, არც ჩეკისტების ოფიცია-ლური რეჟიმის სტატისტიკას ჩაემიები-ვარ, არც არქივები მიჩხრეკია. მე მხო-ლოდ ჩემი და ჩემი მეგობარი კატორ-ღელების ყოფითი დეტალების აღწერა ვცადე, რომელთა ფონზეც ირეკლება სტალინური გულაგების საერთო სუ-რათი.

მიხაროდა, რომ გადაეურჩა მიაუნ-ჯას - ჩემს ჯოჯოხეთს.

გული მწყდებოდა, მეგობრებს რო ვშორდებოდი.

შხხვედრა ჭაბუა აპირეჯიბთას

ხუთი წლის წინ თბილისიდან ძლივს ჩამოვალწიე მაგადანამდე. ჩამოვალწიე კი არა, ჩამომართიეს ციხე-ციხე, ლა-გერ-ლაგერ, სტოლიპინის ვაგონებით, „ჩორნი ვორონკებით“ ნათრევი, ნაჯა-ზირევი, დაბეგვილ-დაჩაივებული და მაგადანიდან როცა მიაუნჯასაკენ გამა-ქანეს, აღარ მეგონა თუ უკან შემობ-რუნებას მოვესწრებოდი, საკი ამიტო-მაც დაუტოვე მაგადანის ლაგერში ჩემს უმცროს მეგობარს ჟორეს ცინცა-ქეს სახელდახელოდ დაწერილი ლექ-სი „ანდრეში“, შენ მაინც მომიფონე და გამიხსენე-მეთქი, ვეზუდარებოდი მას.

მაშინ ვერ წარმოვიდგენდი, რომ ხუ-თი წლის მერე კვლავ ჩამოვბრუნდე-ბოდი მაგადანის ლაგერში.

ჩამოვბრუნდი და, აჰა, შეგვერკეს იმ ლაგერში, საცა თავმოყრილი იყვნენ კალიმის ლაგერებიდან ის ავადმყოფები და ინვალიდები, რომლებიც მეტს ქველარ გაუძლებდნენ იქაურ ყინულეთის უფანგბადო ჰაერს. გულავსაც ჰქონდა ასეთი „პუმანური“ კანონი, სისხლძარღვთა ავადმყოფობებით დაავადებული კატორღელები პერიოდულად გადაჰყავდით შუა ციმბირის ტვიან-ჰაერიან კატორღებში. ვარდა ამისა, იმეამად ამგვარი ავადმყოფების აქტიურებას, — სასჯელის ვადამდე ადრე განთავისუფლებასაც აპირებდნენ და მათ თავს უფრიდნენ საგანგებო ლაგერებში, საცა ისინი ხაქვიმო შემოწმებებს გაივლიდნენ.

აი, ამნაირ ლაგერში ამოყვავი თავი მაგადანში.

შვიდი წლის პატიმრობისას — ციხეებსა და ციმბირის ლაგერებში ბევრი საინტერესო პიროვნება შემხვედრია, განსაკუთრებით ქართველები, რომლებთან თანადგომით ბევრ ხილუბჭირეს გაეუძელა, მათი მეგობრული ამაგი დაუფასებელია ჩემთვის, მაგრამ სულ სხვა მნიშვნელობისა აღმოჩნდა ჭაბუა ამირჯიბთან შეხვედრა აქ, მაგადანის ლაგერში.

გულავის ლაგერებშიც ხდებოდა ამა თუ იმ პიროვნებისათვის სასურველი, მნიშვნელოვანი მოვლენები.

ლევან ვოთუამ მიწის ჯურღმულებში მიაგნო პატარა სამალავ კუთხეს, რა თქმა უნდა, მეგობარი კატორღელების დახმარებით, საცა ჩეკისტებისაგან მაღლულად წერდა ვრცელ რომანს „გმირთა ვარამს“. წერისა და კონსპირაციის ეს პროცესი მისთვის, როგორც დიდი ქართველი მწერლისთვის, მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. რომანის გმირთა სახეების ძერწვისას მას უმსუბუქებოდა ის მძიმე ტვირთი, რაც გულავის კატორღაში მხრებზე აწვა. მისი აღამიანური ცხოვრების მთავარი დედააზრი ხომ მხატვრული ტილოების შექმნა იყო და რაკი ამ ღვთაებრივ საქმის კეთებას აქაც ახერხებდა, თავის დიდ მხატვრულ სამყაროში ჩაძირულს სხვა

ამქვეყნიური სიმნელები არად უნდა.

რამდენჯერმე მოვახსენეთ უკვე, ომში, ტყვეობაში, ეროვნულ ლევიონში, ციხეებსა და ლაგერებში ჩემი მთავარი საზრუნავი ლექსი იყო, მათი თხზვისა და შენახვა-დამალვის პროცესები გადაჩენის ძალას მანიჭებდა. ამ წიგნის მთავარი პათოსიც ევ არის.

შვიდი წლის განმავლობაში ბევრი ქართველი შემხვდა-მეთქი ციხეებსა და ლაგერებში, უუკთხავდი მათ ლექსებს, მაგრამ ორიოდე მათგანმა თუ გაიგო ჩემი ამ საზრუნავის აზრი, საერთო შიმშილის, სიცივისა და უკიდურესი სიღუბჭირის ვითარებაში ეს ფაცი-ფუცი დონკიხოტურ ქცევად მიაჩნდა მრავალს. საყვედურის ტონით კი არ ვამბობ ამას, ღმერთო, მოშკალი, არა-მეთქი, არც მაშინ და, მითუმეტეს, არც ახლა სასაყვედურო არა მაქვს რა მათდამი, იმ ვითარებაში, როცა ერთი მათლაფა ბლანდისათვის კაცი კაცს ჰკლავდა, ვის ჰქონდა იმის თავი, ვაეაზრებია ჩემი წვა და ვდავა!

მაგრამ ევ კია:

ის ორიოდე თანაკატორღელი, რომლებმაც მითანავრძნეს იმ მძიმე დღეებში, მაშინაც და ახლაც ჩემთვის უძვირფასესნი არიან.

ერთერთი მათგანი გახლდათ ჭაბუა ამირჯიბი, რომელსაც სრულიად მოულოდნელად გადავეყარე მაგადანის კოლონიაში. შვიდი წლის ციხე-ციხე და ლაგერ-ლაგერ ღონწიალისას ეს შეხვედრა ვეღლაზე უფრო მნიშვნელოვანი და ძვირფასი გამოდგა.

შეხვედი სრულიად მოულოდნელად-მეთქი, მანამდე არაფერი მსმენოდა მის შესახებ.

გააღეს ჭიშკარი, გადავეთვალეს და შეგვეყარეს ლაგერში. შემოგვეგებუნენ იქაურები, ჭიშკართან დაგვხვდნენ, ემბდნენ ნაცნობებს, მეგობრებს, თანასოფლელებს. მეც შემომიხსმა, ქართველები ხო არაეინ ხართო. თვალი ვკვიდე ჭალა-რამურთულ კაცს, რომელიც განაპირა იდგა და იძახდა, ქართველი, ქართველიო.

მევედი მასთან, მე ვარ-მეთქი ქართ-

ველი, გამარჯობა შენო, ხელი გამო-
მიწოდა, მივაგებე მარჯვენა, სხვა ხო
არაეინ არიო, მკითხა, არა-მეთქი, აბა,
წამოდი, წამოდიო, ჩამკიდა ხელი და
გამარიდა ერთმანეთში არეულ ათასი
ჯურის დამხედურ-შემოსულ კატორღე-
ლებს.

„რა გქვიაო?“
„ლადო-მეთქი“.
„ბიჭოს! სეხნია ყოფილხარო.“
შენც ლადო გქვია-მეთქი?“
„მეც ლადო მქვიაო.“
„აგაშენა ღმერთმა-მეთქი.“
-შენც აგაშენაო.“

შევედით ბარაკში, ჩაუვარეთ ორსარ-
თულიან ნარებს, ერთ ნართან შეჩერდა
და საწოლზე წამომჯდარ მეგობარს შეს-
ძახა, ა, ერთი ქართველი ვიპოვეო. დამ-
ხედური წამოიღვა, ნარებს შუა აიწო-
წა, საკმაოდ აშორდა თავით ნარის მეო-
რე სართულსაც, თვალში მეცა მისი მო-
კრძო სახე და ღიმილჩამდგარი თვალე-
ბი, რომლებსაც ახალგაზრდული იერი
კი მოსჭარბებოდათ, მაგრამ ჭირ-ვარა-
მის ნაკვალევს გვარიანად აწნდათ. მა-
ღალი სხეული რო გამჭვლეკობდა, ეს
პირიქით, უფრო უხდებოდა და სპორ-
ტულ სიმსუბუქეს მატებდა მის საკმაოდ
ფართო მხარბეჭს.

გრძელი ხელი გამომიწოდა, მეც შე-
ვაგებე და მითხრა, მე ჭაბუკა ამირეჯი-
ბი ვარო.

პირველად გაეფონე ეს სახელი და
გვარი, აქამდე არსად შემხედრია ის,
არც ვარეთ, არც ციხეებსა და კოლონი-
ებში, არც არა მსმენია მის შესახებ.
ერთი თვალის შევლებით მომწვინა ჭა-
ბუკა, დანიაკებულ კატორღელს არა
ჰგავდა, ვაჟკაცური იერი კი ვამოსჭვი-
ოდა მისი ფიზიკური გარეგნობისაგან,
მაგრამ უფრო სათნოება და გულწრფე-
ლობა გამოუკრთოდა ღიმილიანი თვალე-
ბიდან.

იქვე საწოლზე დამსვა და, როცა ჩემი
გვარ-სახელი ვუთხარი, მყისვე მკითხა:
„ლექსებს ხო არა წერთო?“

გამიკვირდა, ამან საიდან იცოდა, არ
მიცნობდა, არ ვიცნობდი, არსად შემხ-
ედრია?!

„კი-მეთქი.“
„იბეჭდებოდა თქვენი ლექსები „ჩვენ
თაობაშიო?“

„იბეჭდებოდა-მეთქი“.
„წამიკითხავს ომამდეო.“
„ბავშვი იქნებოდი-მეთქი მაშინ“.

„გვიყვარდა ყმაწვილებს ჟურნალი
„ჩვენი თაობა“, მისი პოეტები, ზეპირად
ვიცოდით მათი ლექსებიო“.

„კარგი თაობა იყო-მეთქი.“
შევეტოეთ ამ უცხრად წამოწყებულ
საუბარში და პირველი გაცნობა-გამო-
ცნობის წერილმანები გადაგვაეწიწა. ჭა-
ბუკამ ლადო ასათიანის ერთი ლექსიც
კი თქვა ზეპირად და დასძინა:

„ამგვარ ლექსებს ომი ვერ გათე-
ლაესო.“

მერე ლადოს, ჩემს პირველ მასპინ-
ძელს მიმართა, კაცო, რად განერებულ-
ხარ, სტუმარი გვყავს, მიდი მზარეულ-
ებთან ჩემი სახელით, რამე გვარიანი
საჭმელები გამოგვიგზავნიო.

ლადომ ქაბურებს ხელი დაავლო და
წავიდა.

მალევე დაბრუნდა, მაგრამ ცარიელი
ქაბურებითვე, არაფერი გვაქვსო და
ხელცარიელი გამოუსტუმრებიათ.

მაგათი დედაო, წამოიძახა ჭაბუკამ,
წამოიჭრა და ბარაკიდან გაცეცხლებუ-
ლი გავარდა.

მივდიეთ მე და ლადომ, ვეძახეთ წინ
გრძელი და აჩქარებული ნაბიჯებით მი-
მავალს, დაბრუნდი, არაფერი გვინდა,
მოეშვიოქო, მაგრამ ჩვენი არა ესმოდა
რა.

გააკებული, გაცეცხლებული კაცი ბე-
ერი მინახავს ციხეებსა და ლაგერებში,
ომში და ტყვეობაში, ჩხუბსა და აღია-
ქოთში თავადაც ჩაერეულვარ, სხვათა
თავგანწირული შერკინების მოწმეცა
ვეყოფილვარ. იმგვარად აგზნებულსა და
აზვავებულს კი არავის შევსწრებოვარ,
მაშინ რო ჭაბუკა იყო. სასაღილოში შე-
ჭრამდე, ვზად მიწაში ჩარჭობილი რო-
მელიდაც სარი მოვლიჯა, მე და ლადო
მხოლოდ მაშინ მივეწვიეთ, როცა სამზა-
რეულოში შევარდა ცხრასართულიანი
რუსული ვინებით, იქ მყოფ სამ მზარე-
ულს მივარდა, უთავაზა და უთავაზა სამ-

თავეს ღობიდან მოგლეჯილი ხარი, მე და ლადო ვედარაფერს გავხდით, კართან მივღქვით და ვუცქერდით, როგორ უბაზუნებდა ხარს მზარეულებს. მოიჭრა ორი ზედამხედველიც, მაგრამ ახლოს ვერ მიეკარნენ პირგამხებულ ჭაბუკას. ორი ხმელი მზარეული ქვაბებს ამოეფარნენ, მესამეს — ჩასუქებული და ლოყვბლაცხდა ფეხქვეშ მოიგდო და თავპირი დაუსისხლიანა. ახლა კი ვეცით მე და ლადო, ნუ მოკლავ, კაცო, ეყოფა, თავი გაანებე-თქო, ვეძახეთ, ვემუდარეთ, ხელები ჩაგვეღეთ, ხარი გამოგლიჯა ლადომ და ძლივს გამოვიყვანეთ სამზარეულოდან. კართან მდვარ ზედამხედველებს ხმა არ გაუღიათ, გაფითრებული და გაველურებული ჭაბუკა გარეთ გაიყვანეთ, კი არ სუნთქაუდა, ზენემდა ბლატნოული მსუფე ვინებით თათხადა მზარეულებს, გათბით, გაძებით და აღარავისკენ იხედებით, თქვენი ასე და ისეო. ბარაკში შევიყვანეთ. ვემუდარე, ჩემი გულისთვის ამდენი რამ რად ატეხე, დაცხრი და დამშვიდდი-მეთქი.

შეხვედრისთანავე პოეზიაზე ლაპარაკი რო გამიმართა, ომაძლე ჩემი ლექსებიც რო წაეკითხა „ჩვენ თაობაში“, ლადო ასათიანის ლექსიცა და იოსებ გრიშაშვილის „ძველი თბილისიც“ რო გულთანად ამოთქვა ზეპირად და იმავე წუთში აგრერიგად რო გამხეცდა, გაველურდა, გადართია და კინაღამ დახოცა მზარეულები, გულში გავივლე. ეს ვისთან შემყარა უფალმა, ადრე რო შემხვედროდა, ამ ჯოჯოხეთურ ციხეებსა და კოლონიებში ჩემს ბედს ძალღი არ დაკვეფდა-მეთქი.

მოვიწესებე.

ჭაბუკა ამირეჯიბი.

აქედან დაიწყო ჩემი კატორღული ცხოვრების ახალი ეტაპი.

306 არის ჭაბუკა?

მეორე დღიდანვე ხარბად დაეწაფა ჭაბუკა ჩემს ხელნაწერ წიგნაკებს. კითხულობდა და მიზიარებდა თავის შთაბეჭ-

დილებებს. დღით სამუშაოდ გადიოდა, ლაგერის ახლოს დიდი საამშენებლო უბანი იყო. ამ უბნის სამუშაოთა უფროსად გახლდათ პატიმრების მხრიდან ჭაბუკა. განათლებით ინჟინერი არ იყო, მაგრამ თავისი ცხოვრების როულ გზაზე კარგი რუსულის მცოდნემ და საკმაოდ განათლებულმა მოახერხა საინჟინრო საქმეების შესწავლა და გარკვევაც. რომელ საზოგადოებაშიაც არ მოხვდებოდა, სწრაფად უღებდა ალღოს ვითარებას, სწრაფადვე აქცევდა გარშემომყოფთ თავისი გავლენის სფეროში და, რა თქმა უნდა, თავაკობასა და პირველობას არაუის უთმობდა. ეს თანდაყოლილი თვისება იყო მისი ძალმომრეობა, უხეში ფანდები არასოდეს დასჭირვებია საამისოდ. ცოდნით, გონების გამჭრიახობითა და დიდი ადამიანური სითბოთი, — დაუზოგავად ფანტაუდა ამ სითბოს უცნობ-ნაცნობებში, — მუდამ სამართლიანობის პრინციპული, უკომპროსმისო მოთხოვნებით აჯადოებდა და ნუსხავდა გარშემომყოფთ. ამიტომაც ექცეოდა ყოველთვის წინა რიგში, ჩეკისტებიცა და კატორღელებიც კარგად გრძნობდნენ მის ამ უპირატესობას და თამამად აკისრებდნენ წინაკაცის მოვალეობას.

მე არასოდეს გავსულვარ მის სამუშაო უბანზე. ჩვენ, ინვალიდებს ვერ გვაძალბებდნენ ფიზიკურ საქმიანობას. ლადო ოქროპირიძეც არ გადიოდა სამუშაოზე, ისიც ინვალიდი იყო, მაგრამ ზონაში საქმიანობდა ცოტ-ცოტას, ხელოსნობა ეხერხებოდა, თუ რამეს ამდაგვარს გამონახავდა, ხალისით აკეთებდა.

სადამოს, ჭაბუკა რო სამუშაოდან დაბრუნდებოდა, მერე ერთად ვიყავით, მას საამშენებლო უბნის ამბები მოჰქონდა, ჩვენ შინაურ ამბებს ვახვედრებდით და უუამბობდით ერთმანეთს ჩვენ-ჩვენ თავგადასავლებს. რამდენიმე დღეში ისე შევევრეთ ერთურთს, თითქოს ნათესავე-

ბი ან ბავშვობის მეგობრები ვყოფილიყავით.

როცა მე და ჭაბუკა საუბრისას ლიტერატურის სფეროში ამოყოფდით თავს, ლადოს ან მიეძინებოდა, ანდა შეუმჩნევლად გაგვეცლებოდა. ჩემი ლექსების კითხვა კი უყვარდა, მე როცა ვკითხულობდი, იმის მოსმენაც, მაგრამ როგორც კი მე და ჭაბუკა ჩვენს სასაუბროს წავეტანებოდით, ლადოს ჩვენთვის აღარ ეცალა.

ზემო იმერელი, ჭიათურელი კაცი იყო ლადო ოქროპირიძე, ზემოიმერულად უქცევდა ლაპარაკისას, ჩემზე უფროსსა და ათასნაირ ჭირკარამის გადაშტანს ვერ მოერია წუთისოფელი, არაკაცურს არაფერს დაუძლევა მისი ხალასი და ალალი გული, გლეხური გუნება-განწყობილება, ხასიათი. ამნაირ ბლატნოურ სამყაროსანებს ახლოსაც არ ეკარებოდა, ამიტომაც შეგუებოდა ჭაბუკას, ამასაც შეგუებისა და გულხასიათიანობის ნიჭი უხვად ჰქონდა განკუთვნილი მომადლეელი, თავის ინტელექტუალურ და ფიზიკურ გამორჩეულობას არანაირად არ აკრძნობინებდა ლადოს და იყენებდა ასე მამამთელიურად ერთად.

არც ჩემი მისვლით დარღვეულა ეს ურთიერთობა. ვე იყო მხოლოდ, — ჩვენს ლიტერატურულ საუბრებს ვერ ეგუებოდა ლადო და გაგვერდებოდა ხოლმე ამკვარი ლაპარაკის დროს.

მოწყურებოდა ჭაბუკასაც მწერლობაზე საუბრები. ჩემმა ლექსებმა აუშალეს ეს საღერდელი. პროფესიონალი პოეტის მსგავსი რამ შეიცნო ჩემ ნაწერებში და პროფესიული ჩხირკედლობაც დამიწყო. არა, ჩხირკედლობა კი არა, ეს იყო პოეზიის დიდი მოყვარულის განსჯანი. იმით დაინტერესდა ძალიან, აგრე სერიოზულად რო ვუვლიდი ჩემ ხელნაწერებს, ზოგი ციცქნა წიგნაკებად მქონდა შეკრული, იგივე ლექსები თხელ, სიფრიფანა ქაღალდებზეც მქონდა გადაწერილი წერილწერილი ასოებით და წიგნის ფლებში ჩაფენილი (მუყაოზე გადაკრული კოლენკორი ავაცალე დანტეს „ჯოჯოხეთის“ რუსული თარგ-

მანის წიგნს, კოლენკორსა და მუყაოს შორის ჩაეფინე თხელი ხელნაწერი ქაღალდები და ისევე დაეაწყებე მუყაოზე კოლენკორი. წიგნის ტარების უფლება გვექონდა, მეტადრე რუსულის, ეს წიგნი თბილისიდან გამომიგზავნა მამაჩემმა, ამგვარადაც ჩამოვიტანე თბილისში ჩემი ნაწერების ერთი ვეხემპლარი, რომელიც ამჟამად ჩემს არქივში ინახება).

ვატყობდი, ჭაბუკა იმან უფრო მოხიბლა, ჩემ ნაწერებს ამდენი წლის განმავლობაში ასე თავგადაკულულად რო ვინახავდი და გამოვატარე მკაცრი რევიმის ლაგერებიდანაც კი. მან ხო იცოდა, რა ძნელი იყო ეს, ისიც ხო კარგად იცოდა, რა გუნება-განწყობილება უნდა გქონოდა უიმედოდ განწირულ ოცდახუთწლიანი სასჯელის მქონე კატორღელს, ლექსები ვეოთხა და გეწერა. სიტყვიერად ეს არ გამოუთქვამს, მაგრამ მე ვხედებოდი, ამას რო ფიქრობდა. პოეზიის დიდი მოყვარული რო აღმოჩნდა, ეს რაკი შეეამნნიე, ის რო აგრე ფიქრობდა, ამას დიდი მიხვედრა აღარ უნდოდა.

მივეხდე გულიანად.

მაღე თავადაც რო მწერალი ვოფილა, ევაც გამომჭლანდა, რამდენიმე დღის მერე კინო-სცენარის პატარა ეპიზოდი წამიკოთხა. სიტყვათა წყობისა და სურათების ხატვის ნიჭიერება გამობრწყინდა ამ პატარა ეპიზოდებიდანაც, რა თქმა უნდა, მოუწონე ნაწერი და ვთხოვე წაეკოთხა სხვა რამეც, მაგრამ თავი შეიკავა. გამიმხილა კია, რომ გადაწყვეტილი აქვს დაწეროს კინოსცენარი, რომელიც კარგა ხანია მოფიქრებული აქვს, მაგრამ ჯერჯერობით ენერგიულ წერით პროცესს ვერ შედგომია.

აქ, მაგადანში მოუხერხებია ცოტა რამ.

როცა თავისი თავგადასავალი მიამბო, მაშინ მიეხვდი, რატომ ადრიდანვე ვერ შედგომია საყვარელი საქმის კეთებას. შინაგანი შემოქმედებითი ძალებით რო იყო დამუხტული, ამაში ლიტერატურაზე საუბრებითა და კინოსცენარის პატარა-

რა ეპიზოდის წაყიბთვის შემდეგ ნათლად დავრწმუნდი, მაგრამ რატომ ვერ ახერხებდა ამის რეალიზაციას, ეს ჩემთვის ნათელი ვახდა მისი მოუსვენარი და ხიფათებით აღსაკეს თავადადასავლის გაცნობის შემდეგ.

აი, ეს თავადადასავალიც, რა თქმა უნდა, მოკლედ და სქემატურად.

რაც ჭაბუკამ მიახპო

1921 წლის 18 ნოემბერს დაბადებულნი, ვიზრდებოდი დედის, რუსული ენის მასწავლებლის მარიაშ ნაკაშიძისა და მამის, იურისტის ირაკლი ამირეჯიბის ოჯახში. თბილისის მერვე საშუალო სკოლის მეშვიდე კლასის შემდეგ ვსწავლობდი ამიერკავკასიის კავშირგაბმულობის ელექტროტექნიკუმში რადიოგადამცემ მოწყობილობათა განხრით. ბავშვობიდანვე რადიომოყვარული ვიყავი, თავად ვაწყობდი რადიოსქემებს. მივიღე რადიოტექნიკოსის წოდება. ტექნიკუმი ვასამხედროებული იყო, როგორც ყველა მაშინდელი საშუალო ტექნიკური სასწავლებელი. ყოველთვე ორ კვირას ვსწავლობდით სამხედრო საქმეს. ამგვარად ტექნიკუმის დამთავრებამდე ერთი წლით ადრე მივიღე სამხედრო წოდება — მესამე რანგის სამხედრო ტექნიკოსი.

მერე შევედი თბილისის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. მომდევნო წელს კი გადავედი ფილოლოგიური ფაკულტეტის ექსტერნატის მეორე კურსზე. ეს ჩემთვის მოსახერხებელი იყო, იმიტომ, რომ სწავლასთან ერთად დაბეჯითებით ვთამაშობდი კალათბურთს თბილისის „დინამოში“, რასაც დიდი დრო მიჰქონდა.

იმდროინდელ ახალგაზრდობაში საკმაოდ იყვნენ არსებული რეჟიმიზადმი კრიტიკულად განწყობილი ადამიანები. ამან განაპირობა ის, რომ შეიქმნა რამდენიმე ანტისაბჭოთა, ანტიკომუნისტური ორგანიზაცია. ერთერთი ასეთი ორ-

განიზაციის წევრი მეც ვიყავი. მიუხედავად უღმობელი ტერორისა, ასეთი ორგანიზაციები სოკობივით მრავლდებოდნენ უმაღლეს სასწავლებლებში და ასეთივე ტემპით ზედებოდნენ საქართველოს უშიშროების შინაგან ციხეში. თუ არ ეცდები, ოცდამეცხრე წლის რეპრესიების ბოლოს, ოცდაათიანი წლების მიწურულს პირველი მერცხალი იყო ნოდარ (კუკუნა) იაშვილის, გივი აბრამიშვილისა და მათი თანამოაზროვნეების ორგანიზაცია. ვვულისხმობ სტუდენტურ ორგანიზაციებს.

მეორე მსოფლიო ომის პირველივე დღიდან, 23 ივნისიდან მობილიზაციით ჯარში გამოწვიეს, ვიმსახურე 1942 წლის 16 აგვისტომდე ალექსეევკასა და გროზნოში, სამხედრო საპერო ძალების საკავშირო ასეულში, (სააეროდრომო მომსახურების ათასეულში). ჯარიდან გამოშვებამდე, როგორც არასწორად გაწვეული, რადგან რეპრესირებული მშობლები მყავდა — მამა დაიჭირეს 1938 წელს და დახვრიტეს, ამის გამო დედაც დაიჭირეს და სამი წელი იჯდა ციხეში.

ჯარიდან დაბრუნების შემდეგ ჩვენმა ორგანიზაციამ კვლავ განაახლა მუშაობა, რომელსაც ხელმძღვანელობდა მუსტაფა შელია (დედით აბდუშელიშვილი). მას მოხდილი ჰქონდა სასჯელის სამი წელიწადი, როგორც არასრულწლოვანს, და, რაც შემდეგ გამოირკვა, თურმე განსაკუთრებულ თვალყურის სუბიექტს წარმოადგენდა. ჩვენი ორგანიზაცია მუშაობდა იარაღის შექმნასა და ტყვეში გასულ ნახევრად პოლიტიკურ ჯგუფების მომარაგებაზე. ესენი იყვნენ ადამიანები, რომელთაც არ მოინდომეს საბჭოთა რუსეთის მხარეზე ომში მონაწილეობა, თავი აარიდეს ჯარში სამსახურს. უცდილობდით, ამ ჯგუფისათვის მიგვეცა მკვეთრად გამოხატული პოლიტიკური სახე. შეგვეიარაღებინა ისინი და მოგვეზადებინა შეიარაღებული აჯანყებისათვის. ჩანაფიქრი ასეთი იყო: შეიარაღებული აჯანყების გზით დაგვეხზო-

საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში, გამოგვეცხადებინა დამოუკიდებლობა და თუ გერმანელები შემოვიდოდნენ, მათთვისაც ვაკვეწია წინააღმდეგობა იმ შემთხვევაში, თუ ისინი ჩვენს დამოუკიდებლობას არ სცნობდნენ. ჩვენი ორგანიზაციის ლოკალური მიზანი მხოლოდ ხეობის ხეობებულ მუშაობაში გამოიხატებოდა. ჩვენს მოგვაგნო, დავგაპატიმრა და 1944 წლის 7 აპრილს სასამართლოს წინაშე წარვსდექით: ლევან აბდუშელიშვილი, შალვა ხვანაძე, პავლე ხარანაული, მზეჭაბუკ ამირეჯიბი, ვიორჯი მაჭვარიანი, ვახტანგ ჯორჯაძე, ძმები არჩილ და ვიორჯი წულუკიძეები, ამირან მორჩილაძე, რევაზ ტყავაძე. ნორა პეფიჟვერი, ლუკა ტყემლაძე, დედიკო ნანუიშვილი, ვიორჯი იშხნელი, რომან სუტა, მარგარიტა ასტვაცატუროვა, ვილჰელმ სირერი, დედაჩემი — მარიამ ამირეჯიბი-ნაკაშიძე. სულ ოცი კაცი.

უშიშროების უარების ტრიბუნალმა 1944 წლის 12 აპრილს, პროკურორისა და დაცვის მონწილეობის გარეშე, გამოგვტანა ვანახეი, როგორც დამნაშავეებს შეიარაღებული აჯანყების მომზადებაში. ლევან აბდუშელიშვილს, შალვა ხვანაძეს, რომან სტურუას მიუსაჯეს დახვეჭტა. მზეჭაბუკ ამირეჯიბსა და პავლე ხარანაულს 25 წლის პატიმრობა. მაგრამ ჩემზე სპეციალურ საქმეთა პროკურორმა დაწერა პროტესტი, რომელშიც ითხოვდა სასჯელის უმაღლეს ზომას. სსრკ-ის პროკურატურამ ეს პროტესტი არ მიიღო. ამრიგად გადაურჩი სიკვდილს.

გასამართლების შემდეგ ჯერ ვიყავი თბილისის ელმავაღმშენის კოლონიაში, მერე გადამიყვანეს შამპანურის ქარხნის კოლონიაში, საიდანაც 1945 წელს გავიქციე.

1949 წლის 27 დეკემბრამდე ვიმაღებოდი ჩრდილო კავკასიასა და ბელორუსიაში.

დამაპატიმრეს მაშინ, როცა ვმუშაობდი ბელორუსიის ქალაქისა და ხეტყის მრეწველობის სამინისტროს სატყეო კომბინატის დირექტორად. ჯერ მუშაობა დაიწყო უბრალო ტყისმჭერელად. ურ-

მის ფერსობებს ვაკეთებდი და მერე ამის წარმოებაც დაეარსე. ამასობაში დაიწყო აღდგენა ძმრის ესენციისა და ხეტყის სახერხი ქარხნისა. მე დამავალეს ეს საქმე. დაეარსე ეს ქარხანა და დამნიშნეს გენერალურ დირექტორად. ამ პერიოდში მივლინებით გერმანიაშიც კი ვიყავი და უკანაც დაებრუნდი, იქ დარჩენა არც მიფიქრია. 1949 წელს სტალინის ბრძანებით დაიწყო გადაადგილებულ პირთა „გოსპრავერკა“. რაკი ბელორუსიაში უცხო კაცი ვიყავი, ვილაც ქართველმა ახალგაზრდამ რუა თვეში ქარხანა ავაშენე. შესახვედავად არ ვიყავი ურიკო, ყურადღების ცენტრში აღმოვჩნდი. შემამოწმეს მეც. მაშინ ვიორგამის გვარს ვატარებდი, ჩემი საბუთით ცნობილი ვიყავი, როგორც ლევან ბაჭუას ძე ვიორგაძე. რაკი კოლონიიდან გაქცეული ვიყავი, ჩემი საკავშირო ძებნა რაღა თქმა უნდა, გრძელდებოდა და „გოსპრავერკის“ პერიოდში მომავნეს კიდევ. წარმომადგინეს ჩემი ადრეული, თბილისური სურათები და უკვე წინააღმდეგობა ზედმეტი იყო. 1950 წლის 30 აგვისტოს მომისაჯეს მეორედ 25 წლის პატიმრობა (საერთო ჯამში 50 წელი).

ამჯერად გამავზავნეს შუა აზიის ლაგერებში. რამდენიმე თვის შემდეგ აქედანაც გავიქციე, გარეთ ვიყავი ცამეტი თვე. ვმუშაობდი ჯესკაზანის სპილენძის საბადოების სამმართველოში ნორმადარად. როგორც ჩანს, ვილაცამ მიცნო, კვლავ დამაპატიმრეს და დამაბრუნეს ჩემსავე ლაგერში. ორ კვირაში ლაგერში დაიწყო გაფიცვა და აჯანყება. აჯანყებულებმა გამანთავისუფლეს სავამოძიებო იზოლიატორიდან და ვიყავი აჯანყების პარიტეტული კომიტეტის წევრი, თავმჯდომარის მოადგილე.

აქედან მოვაწვევთ ჯგუფური გაქცევა, მაგრამ გარეთ დაგვავით სულ ოცდარვა საათი, ვველანი დაგვიჭირეს, ორი კაცი მოგვიკლეს. მე და ანატოლი შულცი დაგვიჭირეს. გამახამართლეს და მომისაჯეს დახვეჭტა, მაგრამ შემიცვალეს 25 წლის პატიმრობით. ახლა უკვე 75 წელი დამიგროვდა. 1952 წლის ივნისში შესამედ გავიქციე. მალე კვლავ დამიჭი-

რეს და მომცეს მხოლოდ 8 წელიწადი.

1952 წლის აგვისტოში ყარაგანდიდან ჩამიყვანეს კრასნოიარსკში, მერე ბარჯებით მიგვიყვანეს დუდინკაში და იქიდან ისევ რკინიგზით 2700 მოჯანყე კონტიგენტი მიგვიყვანეს ნორილსკში.

1953 წლის 2 მაისს დაიწყო ახალი აჯანყება ნორილსკის ლაგერში. ამ აჯანყების ხელმძღვანელი კომიტეტის წევრი ვიყავი და მთავრობისადმი მოწოდების ავტორი. დამარცხების შემდეგ 2700 მოჯანყე პატიმარი გადავიხსროლეს კალიმაზე. აქაც საგამოძიებო იზოლატორებში მანანწაღეს, დაავადდი კიდეც და აგერ აქა ვარ, მაგადანში, საცა ერთმანეთს შევხვდით.

უხნაური უხვწვდრა

რაღა თქმა უნდა, ამკვარი მშფოთვა-რე ცხოვრების გადამტანი ვუღარ მოიცილიდა შემოქმედებითი საქმიანობისათვის. არც არაეინ შეხვედრია ქართველ მწერალთაგანი, რომელსაც ამოეცნო მასში მწერლური ნიჭი და წაქეზებინა, წაუხალისებინა, გამოეწვია საწერად და საოცნებოდ.

იგი მთელი მისი ინტელექტუალური და ფიზიკური შესაძლებლობებით აქტიურად იყო ჩამირული საბჭოური გულაგის კატორღელთა წინააღმდეგ უსამართლობებთან ბრძოლებში.

მისი სულიერებაც მთლიანად ამ მხრივ იყო მიმართული.

მის მაღალ, წმინდა, შურეყენელ სულიერებას კი ყველა გრძნობდა და ამიტომაც სჯეროდათ მისი სიტყვისა.

ერთ საღამოს სამუშაოდან მობრუნებულმა ჭაბუკამ ტუმბოზე გაკეცილი ქაღალდი დაავლო, ჩამოჯდა თავის საწოლზე და თქვა:

„აი, კაციო!“

„რა იყო-მეთქი?“

„აიო!“, — კვლავ ტუმბოზე დაგდებულ ქაღალდს გადაჰკრა თვალი.

ვიფიქრე, ვაი, თუ კიდე რაიმე საღადარაბოს გადაეკიდა-მეთქი. იყენენ ლაგერში ზოგი რეციდივისტი მკვლელები, ყანალები, ეგრეთწოდებული „ზაკონნიკები“. ამათთანაც ნორმალური ურთიერთობა ჰქონდა ჭაბუკას, ისინიც დიდ პატივს სცემდნენ მას. რა თქმა უნდა, მათ ბინძურ საქმეებში არ ერეოდა, მაგრამ მათსავე საღაო საკითხების გადაწყვეტისას ხშირად მიმართავდნენ სათათბიროდ. ვიფიქრე, ვაი, თუ ვინმემ რამე გაართულა და მუქარა შემოეთვალეს წერილობით-მეთქი.

„ველა მაკლდა რაღაო! — ამოღერდა.

„გამაგებინე, რა მოხდა-მეთქი“ — შემოეთვებულმა კვითხე და მეც საწოლზე ჩამოვჯექი.

„აგერა, წაიკითხო!“ — შუბლი გაეხსნა, ღიმილმა გადაურბინა სახეზე და ქაღალდზე მიმითთა.

დაწვდი ქაღალდს და გაეშალე. რვეულის ოთხი ფურცელი ლამაზი რუსული ხელწერით იყო ხავე.

„ღოროვოი ჭაბუკი!“

ასე იწყებოდა წერილი.

მე ესტონელი გოგო ვარო, ოცდარი წლისაო, ომის დროს გერმანელებთან თარჯიმნად ემუშაობდი და ამიტომ გადმომასახლესო. თერთი პირისახე მაქვს. გაზაფხულის პირას ენძელას რო აქვს, ისეთიო, ოღნავ, ოღნავ შევარდისფერებულიო, თმა ჩაღისფერია, არც ვიწწავ და არც ვიხვევ, არცა ეაჭურად ვიკვეპო, ჩამოშლილი მაქვს მხრებზე ბეჭამდელი, ხანდახან ბაფთით მოხვეჭილი მაღვეს ზურგზეო, როცა მინდა ვიხმეს მოვეწონო, მაშინ ბაფთს შევიხსნი და ჩაშლილი მიყრია მხრებზეო. აქედან შენ როცა შემოგეკქერი, მაშინაც აგრე მაქვს ჩამოშლილიო, მაგრამ, აბა, შენი თვალი საიდან მომწვდებო. არც მინდა მომწვდეს და დამინახო. იქნება ან ნისლად ან ბურუსად მოგეკვეწნო. მე კი არც ნისლი და არც ბურუსი ვარ. ერთი უბრალო სიყვარულიანი გოგო ვარ და მაგ სიშორიდან რო დამინახო, იქნება არც მოგეწონო. ან ჩემს შენდამი სიყვარულს როგორ შეამჩნევ მაგ სიშო-

რიდანაო. ერთი თვეა ამ სივყარულს ვზრდი ჩემ გულშიო. ერთი თვეა შემოგცქერი აქედან და სულ მინდა გიცქიროო. ხანდახან შეძერები შესს ქიხურაში, ან სადმე მიიშაღლები და გული მეღევა, ხანამ იხვე გამიწნღებო. ხამუშაო დროის მერე ლაგერში რო წამიფყანენ, მთელი ღამე შენ მიდგახარ თვალწინ, გესაუბრები და გეურწუნლებო. ხან თითქოს ჩემ გვერდით წეხზარ და მეფერებიო. შენი მოხაწონი გოგო ალბათ მთელ ქვეყანაზე ჯერ არ გაჩენილა და, აბა, მე როგორ მოგეწონებო. იცი, რა ხიმაღლისა ვარ? ნიკაბთან მოგწეღლებო. აქაური გოგოები მეუბნებიან, შენისთანა თვალწარბი არცერთ ჩვენთანას არა აქვსო. არ მეღაქუცებიან, აბა, მე ვინა ვარ, რომ მომეღაქუცონ, მართალს, ალღი გულით მეუბნებიანო. ამჟი და ტრახახა გოგო არა ვარ, მაგრამ გულახდილად რო ვითხრა, მეც ვიცი ევა, ჩემნაირი თვალწარბი აქ არავის არა აქვსო. გავიგე, რომ ქართული ხარო, მაგრამ არაფერი ვიცი შენი სამშობლოს შესახებო. აქ ორიოდე ქართული ქალია, — იცოდე, არც იმათ აქეთ ჩემისთანა თვალწარბი, — რომელია ცოტაოდენი რამ მიამბეს საქართველოს შესახებო. თქვენი ხამუშაო უბანი ხომ შემადღებულ გორაკზეა და როცა ამ დაბლობიდან გიცქერი, ხანდახან ეის ფონზე ქანდაკებასავით ჩანხარ, გაჩრდები ხოლმე მარტო მყოფი, ჩვენსკენ მობრუნებული გაირინდები და ეხუღები, რაღაცაზე დაფიქრლებიო. მაშინვე ვისურვებ, ნეტა ჩემზე ფიქრობდეს-მეთქი. მაგრამ შენ არც კი იცი, მე რო ვარსებობ, რო აქა ვარ, შენთან ახლოს და იმაზე ვვოცნებობ, ნეტავი ერთხელ მაინც ხელი შემახებინა ამ არწივისათვის-მეთქი. ნეტავი ოდნავ მაინც თუ მიხუღები, ამ წერილს რო წაიკითხავ, რა ცეცხლი მიკიდიაო? არა მაქვს იმის იმედი, რო მიპასუხებ, მაგრამ მე მაინც დაველოდებო.

„გაიგე შენაო?“ — ბოლო გვერდი ჩაიკითხე თუ არა, მკითხა ჭაბუკამ.

„ღამაცადე-მეთქი.“ — და ხელმოკლ ჩაიკითხე წერილი.

ოცდათვრამეტი წლის წინანდელ ამბავს მოვითხრობთ ახლა. ის წერილი დამ გოგონასთან მიმოწერები ჭაბუკას ვედარ შემოუნახავს, აღარ ჩამოწყლია შინ და მის არქივში აღარსად ჩანს. გოგონას წერილებიცა და ჭაბუკას პასუხებიც პოეტური პროზის საუკეთესო ნიმუშები იყო. მე მიახლოებით, რა თქმა უნდა, უფრო ღარიბად გადმოვეცი ის ხულისკვეთება, რაც ამ გოგონას პირველ წერილში ბორჯავდა. რო შემონახულიყო ის წერილი, აქ მთლიანად მოვიტანდი და მკითხველი გაოცებული დარჩებოდა ვმაწეილი გოგონას არამართო გრძნობათა სიწრფელითა და უშუალობით, არამედ ამ გრძნობათა სიტყვიერად გამოხატვის უჩვეულობითაც.

„გაიგე, კაცო, რეებსა წერსო?“ — მკითხა გაოცებულმა.

„გაიგე-მეთქი“, — წერილით გაოცებულმა მეტი ვერაფერი ვუპასუხე.

„მერიო?“

„რა მერე-მეთქი?“

„რა ექნაო?“

„უნდა ამოქმედო შენი მწერლური ტალანტი და პასუხი მისწერო-მეთქი“.

„რა მწერლურიო?“ — აქინა ხელი.

„რა და, რაც უფალს უბოძებია-მეთქი.“

„ეს გოგო სიტყვის აღქაჯია, ეტყობა და მე ამას რა ვუპასუხოო?“

„პუშკინის რუსული იცი, შე კაცო და მაგი შენ არ გაგიჭირდება-მეთქი!“

„მარტო რუსული ხო არაო...“

„მანდ კი ტალანტი უნდა ამოქმედო, მაგ გოგონას ალღ გრძნობების საპასუხოდ წარმოდგენები და მეტაფორები უნდა მოიშველიო. ეს შენ შეგიძლია-მეთქი.“

„არ მინახავს, არ დავლაპარაკებივარ, არ ვიცნობო.“

„ამიტომაც უნდა მოიშველიო წარმოდგენები და მეტაფორები, მაგის დამწერს პოეტური ფრაზების გაგება არ გაუჭირდება-მეთქი.“



ჩვენი ლაგერიდან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით ქალების ლაგერი მდებარეობდა. კაცებისა და ქალების სამუშაო ობიექტები კი ერთმანეთს იყო მიკრული. ქალების სამუშაო ადგილი დაბლობში იმყოფებოდა და იქიდან კარგად მოხიანდა ჭაბუკას სამუშაო უბანი ამალღებულ გორაკზე.

გოგონას მახვილი თვალი საკმაოდ ნათლად მისწვდენია ჭაბუკას.

დაჯდა ჭაბუკა და პასუხი დასწერა.

შულამემდე თავდახრილი წერდა ტუმბოზე. მე ვიწეკი და, რა თქმა უნდა, არ შეძინა. თავი კი მოვიმძინარე, ხელი რო არ შემოლოდა, თან ვთხოვე, როცა დაწერ, წამიკითხე-მეთქი. მაინც ჩამთვლემდა და ნაშუადღამეკს გამაღვიძა.

თავად წამიკითხა რვეულის ექვს გვერდზე რუსულად დაწერილი პასუხი. კარგა ხანს მოუნდა წერილად ნაწერის კითხვას. გოგონებული ვუსმენდი ხმა-ამოუღებლად.

ჭაბუკა ცხრამეტი წლისა მოაშორეს სამშობლოს და მას მერე ცამეტი წელიწადი რუსულ გარემოში მოექცა ჩრდილოეთ კავკასიაში, ბელორუსიასა, რუსეთის ციხეებსა და უკიდურესი ჩრდილოეთის ყინულოვან ტრამალების ლაგერებში. ამდენი ხნის განმავლობაში ქართული ხალიტერატურო და სასაუბრო ენას გარიდებული, რაღა თქმა უნდა, რუსული ენის სტიქიაში ჩაიძირა, ოჯახიდანაც რუსული ენის საკმაოდ საფუძვლიანი ცოდნა გამოჰყვა და აქ, მაგადანში როცა შეეხვდი, ნაწერშიაცა და ქართულად საუბრის დროსაც შესამჩნევად ეტყობოდა, რუსულად რო აზროვნებდა მისდაუნებურად. თუმცა თბილისური მიზრა-მოზრა არ ვადავიწყებოდა, მაგრამ ქართულად ლაპარაკისას, ნაწერშიაც ხანდახან რუსული კალკები გამოუდიოდა.

რა თქმა უნდა, გოგონას წერილის პასუხის რუსულად დაწერა რო არ გაუჭირდებოდა, ეს კარგად ვიცოდი, მაგრამ კითხვის პროცესში ჩემი ყურადღება მიიპყრო მისმა მხატვრულმა აზროვნებამ, მეტაფორებისა და სიტყვათა მიმოხერხვის სიუხვემ. მეგონა ლირიკული ხასი-

ათის მოთხრობას მიკითხავდა, მოთხრობას კი არა, რაღაცნაირ ხატოვანსა და სურათოვან მონოლოგს და ამავე დროს ისე უბრალოდ და გასაკებად ესაუბრებოდა უცხო ესტონელ გოგონას, ხელნაწერში სულ არ იგრძნობოდა წერის მხატვრული მანერის მრავალსახეობა.

სამწუხაროდ აღარც ეს წერილი შემორჩა მის არქივს.

რა დაუდევრად და გულგრილად ვუპყრობით ახალგაზრდობაში ჩვენ-ჩვენს ნაწერებსა და ნაწერებს!

მე ვერ გავიმეორებ სიტყვა-სიტყვით იმ წერილს. ვერც თავად ჭაბუკამ შესძლო ევ. ველარც მისი პერიფრაზი შეეძენა, არა, ეგებ კი მოვახერხო, მაგრამ ვერა უხედავ, დაიკარგება ის ხაზი, რაც უსიტყვოდ, ქვეტექსტებში იყო ჩაფენილი. ეს არ იყო გოგონას წერილის სიტყვების პირდაპირი სიტყვიერი პასუხები თუ განმარტებანი. სიტყვები კი არა, ქალღღებ ნაწერიდან ისმოდა უცხო გოგონას ჩალისფერი თმების შრიალი, აგრე უცნაურად აგზნებული სულის თრთოლვა, იმის დასტური, რომ იმასაკვით ლამაზი თვალ-წარბი იმ ლაგერში კი არა, მთელ დუნიაზე არავის ექნებოდა, ის არც თავის წარმომავლობას ხატავდა გოგონას გასაცნობად, საქართველოს ელვარება კი გამოკრთოდა მისი გამძაბული სტრიქონებიდან, შენაო ან მეო, — არავითარი ამგვარი კონკრეტული მიმართებანი არ ისმოდა ნაწერში. ამას კი ამბობდა, ეს რა საამო ნიაქარივით შემომომატბირო, როგორ დაგიჭიროო, ნიაქარს ვინ დაიჭერსო?!

როგორც კი დაამთავრა რვეულის ექვსი გვერდის ჩაკითხვა, მაშინვე მივახალე:

„ახლავე ეგ გადმოაქართულე და დატოვე-მეთქი!“

„მოვცლია ერთიო.“

„აბა, ამას რო გაუგზავნი, მერე სადღა იპოვნი-მეთქი?“

„რადღ მინდაო?“

„შენ ვერცა გრძნობ, რაც დაწერე-მეთქი.“

„კარგი გოგო ჩანს ისა და ჩემს ნაბეჭუტურალს ალბათ გაიგებსო.“

„ეგ ნაბუტურალი კი არა, ლიტერატურაა-მეთქი.“

„კარგი რა, მომეპეო.“

გაკვირდა, არა და არაო. არ ვადმოაქაროულა, თორემ მე გამოვართმევდი, შევინახავდი და ალბათ აქამდეც მოვიტანდა.

ერთი თვე გაგრძელდა ეს მიმოწერები. ჭაბუკას ყოველ წერილში მე ვგრძნობდი მწერლურ ძალას. გოგონას წერილებიც ამგვარ ნიშნებით იქვევდა ყურადღებას, მაგრამ ისინი მაინც უფრო სენტიმენტალური იერისანი იყვნენ და ქალური ემოციებით შეთრთოლებულნი.

ჭაბუკას ეს წერილები პირველი ნათელი ნიშნები იყო მისი მწერლური ტალანტის გამოსხივებისა. წერილები რუსულად კი იწერებოდა, მაგრამ მხატვრულსა და მეტაფორულ აზროვნებაში ქართული სული გიზგიზებდა.

თუ ის გოგონა ცოცხალი გადარჩა, იმედი მაქვს, ჭაბუკას წერილებს არ დაკარგავდა და ალბათ ოდესმე მოაღწევს ჩვენამდეც.

ერთი თვის შემდეგ სამუშაოდან მობრუნებული ჭაბუკა მეუბნება:

„მოვიდაო.“

„ეინ მოვიდა-მეთქი?!“

„იხაო.“

„ეინ ისა-მეთქი?“

„ეინ და ისა, ის გოგოო“.

„სადა-მეთქი?!“

„იქაო, ჩემთანაო.“

„როგორ-მეთქი?!“

„რა ვიციო.“

„ვახტიორმა როგორ შემოუშვა-მეთქი?!“ — ის კი აღარ მიკითხავს, თავისი ლაგერის ვახტიორმა როგორ გამოუშვა და როგორ მივიდა იქა.

„რო ვკითხე, ეგ რა შენი საქმეაო.“

„უჩინმანინის ქუდი ხო არ ეხურა-მეთქი?!“

„ჩემ „კანტორაში“ ვიჯექი, უცებ კარი გაიღო და შემოჭრილ შუქზე ფრესკისავით იღიმებოდაო.“

„მერე-მეთქი?!“

„კარი მიხურა, ჩემ მაგიდასთან შედგა და მითხრა, მე ისა ვარო. წამოვდექი,

ისე იყო აელვებული, თვალმომწვანად მივხედი რო ისა ხარ, — ეუთხარი, — მაგრამ ეგ სიზმარი ხო არ არის-მეთქი? არაო, მე მართლა ისა ვარ, მოდი, ზელი შემახე და დარწმუნდებიო. რო მწერდი, ნიაჟარი როგორ დავიჭიროო, აჰა, აჰა ვარ, დამიჭირე, დაგიყვავლებიო.“

გაოგნებული ვუსმენდი ჭაბუკას. ვერ დამეჯერებია, მაგრამ მეუბნებოდა და, აბა, რა უფლება მქონდა, არ მერწმუნა მისი ნათქვამი. დაუჯერებელ რამეს კი ჰგავდა ეგ ამბავი: გულაგის განსაკუთრებული რეჟიმის ლაგერის ცხრაკლიტული ზღუდეები როგორ უნდა გადმოელაზა ერთ კაფანდარა გოგონას თავისი სურვილისამებრ? რა უჩინმანინის ქუდი უნდა დაეზურა ან რა ჯადოთი გაეოგნებია ჩეკისტი მცველები, რომ მათი ჭიშკრიდან გამოსულიყო. ჭაბუკასაკენ ლტოლვის ძლიერი სურვილით რო იყო აღზნებული, ეგ კი მჯეროდა, მაგრამ როგორ მოახერხა ჭაბუკამდე მისვლა, ამის წარმოდგენა გამიჭირდა. რა ძლიერი უნდა ყოფილიყო გოგონას ლტოლვა ჭაბუკასაკენ, რომ ეს შეაძლებინა? — ეს მოახერხებინა?! ჯერ საკუთარი ლაგერის ქაჯეთის ჭიშკრისნაირი ზღუდე გადმოელაზა და მერმე იმ უბნის ასეთივე ჭიშკარი შეეღო, საცა ჭაბუკა ეგულვებოდა?!

შეუძლებელი შესძლო და ჭაბუკასათვის უთქვამს, ეგ შენი საქმე არ არის, როგორ მოვახერხეო.

„მე ბალტიის ზღვის ზვირთი ვარო, ნიაჟარი ვარო, თუ ეს ზვირთი შენ შეგემსხერევა და ნიაჟარი შენს სუნთქვას შეუერთდება, ჩემს ყველა გასაჭირს არაფრად ჩავთვლიო. შენთან ერთი დღით ყოფნა ასი წლის სიცოცხლედ მყოფაო. ხო მართალი მოგწერე, აი, ნიაჟამდე გწვდები. თუ თავი მაღლა არ შევმართე, შენს მზეს ვერ დავინახავო. მე კი ხულ შენს მზეს მინდა ვუცქიროო... აჰა, აჰა ვარ, მომეახლეო...“

„საღამომდე ახე მეფეღურტულაო, — თქვა ჭაბუკამ, — თაიდავიწყების ბურუსში გამხვია. მიწიურ-ზეციური ზვავბარაჟა არა დამაკლო რა, ჩემი ფიცრული კანტორა სრასასახლედ გადამიქციაო.“

აღბათ არცერთ სასახლეს არ ღირსება ქალ-ვაჟის ამგვარი ამალღებაო. სიზმარეულად გამოძეცხადა და აგრევე სიზმარეულად გაქრა, ძლივს აისხლიტა თავი ჩემი მკერდიდან, კარი გააღო, გარედან შემოჭრილ საღამოს შუქზე აღანდულმა კვლავ ფრესკასავით შემომღიმა და ვახტიორ ჩეკისტებს ისე გაუსხლტა, თვალის ვეღარ მოეკარიო. ვეკი იყო, ღია კართან აღანდულმა შემომძახა, მივიღივარ, მაგრამ შენთანაც ვრჩები და შენც თან მიმყევხარო“.

ჭაბუკასთან მიახლოების სურვილი რო აღენთო იმ გოგონას გულში, ამაში გასაკვირი არა იყო რა, — ასეთი ხიბლი ჰქონდა იქაც კი უკვე მრავალტანჯვავამოვილილ ყმაწვილ ჭაბუკას, — მაგრამ როგორ მოახერხა მასთან მიახლოება მკაცრი რეჟიმის ლაგერიდან მეორე ლაგერში იმ ქერა გოგონამ, ეს დღემდე ვერ ამიხსნია.

მართლაც აღბათ არსად და არასოდეს მომხდარა ქალ-ვაჟის ამგვარი შეხვედრა.

ოსეტროვო და ბაცრუპულო იმეღაბი

რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენ წამოგვიყვანეს მაგაღანიდან. ჩავყვარეს რომელიღაც გეშში, რომლის სიღრმეში განლაგებული იყო ორსართულიანი რკინის საწოლები. ამ საწოლებზე მოეთავსდით ჭაბუკა, ლადო და მე, გვერდი-გვერდ მოვეწყვეთ, მაგრამ როგორ ჩამოვადწიე იქიდან ბუხტე-ვანიონმდე, აღარ მახსოვს.

მაგაღანიდან ბუხტე-ვანიონმდე ოკეანის ერთ ზონაში თურმე მუდმივი დღეღვაა, ამ ზონაში მოხვედრისას გვიძლიერად ქანაობდა და მე ისე ცუდად ვავხდი, არა გამეგებოდა რა. ჭაბუკამ და ლადომ შედარებით იოლად გადაიტანეს. მე მეორე დღეს ცოცხალ-მკვდარი ჩამომიყვანეს ბუხტე-ვანიონის პორტზე.

ერთი თვე სადგურ-სადგურ, ჩიხღანიხ დგომით, მშინერები და მწყურვალნი სა-

ბარგო ვავონების ეშელისნით იცუტისკის ოლქამდე, ტაიშეთთან შეჩერდა ეშელისონი და აქედან ტაიშეთ-ლენას რკინიგზით მივეყვანეს ერთ დაბურულ ფიჭვისა და ნაძვის ტყეში გამართულ ლაგერში. ამ ადგილს ოსეტროვოს ეძახდნენ. აზლომახლო ადგილობრივი მოსახლეობა არ იყო. ლაგერის წინ რამდენიმე ბარაკის ტიპის სახლი იდგა მომსახურე პერსონალის ოჯახებისათვის. ტაიშეთ-ლენას მაგისტრალი.

ეს მაგისტრალი ოცდაჩვიდმეტში და უფრო ადრე რეპრესირებულია სისხლით არის მორწყული. ეს ის მაგისტრალია, რომელიც ბრეჟნეული საუკუნის მაგისტრალის, ბამის დასაწყისი იყო. ოცდაჩვიდმეტაინელმა კატორღელებმა ტაიშეთიდან ლენამდე მიიყვანეს მხოლოდ. ყოველ მეტრ რკინიგზის ღიანდაგზე უღმერთოდ დახურეტილთა სისხლია დაღერილი. გატყორებული და გულამოცილი ჩეკისტები უმოწყალოდ ხოცაღუნენო აქ მომუშავე პატიმრებს. არაეინ გამკითხავი არ იყო, ამგვარი ხმებიც ჩამცდა ყურში იქ ყოფნისას, ერთი ბაღრაგი ეტყოდა თურმე მეორეს, აგერა, იქა, ჯირკი რო ვაუღვია მხარზე, იმ ხალხის მტერს თუ მოახვედრებ მაგ შენი ჩაყანგული შაშხანიდან ტყვიასო. ტკაც! და მხარზე ჯირკვადებული პატიმარი ჯირკვეშ მოექცეოდა მიწაზე დაკრუნხული. აბა, ახლა შენი შაშხანაც სცადეო... და იყო თურმე ასე უმოწყალო ხოცვა-ღლეტა უბედური კატორღელებისა.

ტაიშეთ-ლენას მაგისტრალის ფოლადის რელსები იმ უდანაშაულო ადამიანთა ძვლებზეა გაჭიმული.

ოსეტროვოში ადრე მოყვანილი პატიმრებიც დაგვიხდნენ. ჭაბუკა, ლადო და მე კვლავ ერთად მოვეწყვეთ ერთერთ ბარაკში. რამდენიმე სხვა ქართველიც გავიცანიით ადრე აქ მოსული.

მუშა კატორღელთა ლაგერი აღარ იყო ოსეტროვო. აქ თავი მოუყარეს ინვალიდ პატიმრებს სხვადასხვა ლაგერებიდან. როგორც ადრე მოვახსენეთ, მიმდინარეობდა მხადება ინვალიდი პატიმ-



რების აქტირებისა. ამის ოფიციალური სამთავრობო დოკუმენტი ჩვენ არ ვიცოდით, არსად ვიყავით გამოქვეყნებული ან გამოცხადებული. ვაერცელდა ხმები, რომ სტალინის შემდეგდროინდელი მთავრობა აპირებდა ლაგერებიდან ინვალიდების განთავისუფლებას. ჩეკისტები გვეუბნებოდნენ კიდეც ამას. ჩატარეს მასიური შემოწმებები. აღგენდნენ განთავისუფლებისათვის განკუთვნილ პატიმართა სიებს. ამაღაც ვაღმოვაჩინებინე ჩვენ მაგადანის ოლქიდან აქ, შუა ციმბირში. ირკუტსკის ოლქში. აქაც სპეციალური სამედიცინო კომისიები აზუსტებდნენ სიებს, აწარმოებდნენ გადამოწმებებს.

ჯერჯერობით განთავისუფლება არ იყო დაწყებული. ჩვენ ველოდით და ვებლავუჭებოდით იმედის ხაეხს.

ჭაბუკას ამდენი ვაივაგლახის გამო ფილტვი ჰქონდა დაზიანებული. ლალო ოქროპირიძესა და მე ვიპერტონიის გამო მესამე ჯგუფის ინვალიდობა გვიქონდა მონიჭებული.

1955 წლის იანვარში მოგვიყვანეს ოსეტროვოში.

სამუშაოდ არსად არ დაყავით. მთელა დღეები ველოდებოდით სამედიცინო კომისიას. ჩეკისტები ასე გვარწმუნებდნენ.

მე და ჭაბუკას მეტი შესაძლებლობა მოგვიცა წერისა და ლიტერატურაზე საუბრებისათვის. თუმცა ჭაბუკა აქაც ვერ ისვენებდა, რამდენიმე თანამოაზრე პატიმარი აიყოლია და ჩეკისტებთან საბოლოო საკითხების გარკვევაში იყო ხელმუდამ. სად არის შეპირებული კომისიარი, ბოლანდა ძალიან შეთხელთაო, ბარაკებში სითბო გვაკლიათ და სხვა ამდაგვარ საკითხებზე ედავებოდა ლაგერის რეჟიმის მოხელეებს. იწვევდა კრებებს და იქ საჯაროდ იხილებოდა ეს საჩივრები. ჩეკისტები შეწრიალებული ჰყავდათ. ჭაბუკა ერთერთი მოთავეთაგანი იყო ამ კონფლიქტებისა.

ლალომ ერთ ბარაკთან პატარა კუთხე

აბოვა და იქ სახელოსნო გამართა. ჩეკისტებმა სამუშაო იარაღებიც მისცეს და არემონტებდა სკამებს, მერხიბს. საწოლებს. ჩეკისტებიც უკვეთავდნენ ხოლმე საჭირო ხაგენების შეკეთებას თუ გაკეთებას.

მე უპატრონოდ მიტოვებულ ბიბლიოთეკას გადავაწყდი და დავუპატრონე. ორასამდე წიგნიც იყო დარჩენილი. წესრიგში მოვიყვანე და რაკი დროც საკმარისი ჰქონდათ, პატიმრებს ვაკითხებოდა რიგრიგობით. პრესასაც ელვებულობდი და ვარიგებდი ბარაკებში. შევაკეთე მოშლილი რადიოქსელი. აღმოჩნდნენ თვითშემოქმედების მოსურნენიც და რამდენჯერმე კონცერტიც გამართეს. მოკლედ, კულტმასიური მუშაობა შემდეგებისდაგვარად ვავაჩადე.

მთავარი სულიცკვეთება კი ის იყო, როდის მოვიდოდა ლაგერში სამედიცინო კომისია, რომელიც შეარჩევდა ინვალიდებს აქტირებისათვის, ეხევიც, განათავისუფლებლად.

ერთ დღეს ხმა დაირხა, ხვალ კომისია უნდა მოვიდესო. ერთმა რუსმა რამდენიმე კაცს საიდუმლოდ გვითხრა, როგორმე „სილოტკა“ ვიშოვოთ. ვჭამოთ, ბეზრ წყალს დაგვაღვინებს, მიიღ და მეს ფეხზე ვიდგეთ, სადმე მივიძალით, რო არავინ შეგვაშხინოსო. ფეხები დაგვიხივდება და ეს ურყვარა საბუთი იჩნება იმისა, რომ თირამლეები გოაქეს დაავადებული. წნევიან კაცს ამის მეტი არაფერი უნდა, აქტირება გარანტირებული ექნებაო. სასადილოში იშოვოთ „სილოტკა“, ზუთი ცალი და შოლამისას, როცა ბარაკში ყველამ მიიძინა, მე, ლალო და სამი რუსი ფეხაკრეფით გავიკრიფეთ ბარაკიდან, დღისით მიმინებულნი გვიქონდა ბარაკის ერთი ცარიელი ბატარა სარდაფი, იქვე სამი ვადრო წყალიც მოვიმარაგეთ დღით. ჭაბუკას არ ჰქირდებოდა ეს და ბარაკში ეძინა მშვიდად. თითო მოზრდილი დამარილებული ქაშაყი მაშინვე შევხანსლეთ, რათქმა უნდა, უპუროდ. ცოტა ხანში წყურვილმა გაგვახელა. მივადექით ვედროებს და ვხვით და ვხვით. გათენებამდე მუხლი არ ჩავვიხრია. ვსვამდით წყალს,

ამის იმტა არ გავკენლებია და წარამარა თითებს ვაჭერდით წვივებს, სიმსივნე შეექტო თუ არა. ვიდექით და ეჭურჩულვდით, ხანდახან წამიერად ჩავყუნებოდით, ფეხზე დგომით დაღლილებს რომ ოდნავ მუხლი ჩაგვეხარა და სული მოგვეთქვა, ტანჯვის ღამე გავათენე, ზოგჯერ კინალამ მივატოვე იქაურობა, მაგრამ ხელი მტაცებს, ცოტაც კიდევ გაძელი და აქტირება ხელთა გვაქვსო. როგორც იქნა შემოგვათენდა, ვერ წარმოიდგენთ, მთელი ღამით საშინლად გაწამებულ ბიჭებს როგორ გაუბრწყინდათ სახე, როცა დილის შუქზე წვივებზე თითებს აჭერდნენ და ამობურცულ ხორცზე ნათითარების თეთრი ღრმულები დაინახეს. ეს ფეხების სიმსივნის ნაღდი ნიშანი იყო. ხო არ ვცდებითო, და ერთხანს სხვადასხვა ადგილას აჭერდნენ თითებს, ამოწმებდნენ და როცა ყველა ნათითარი თეთრ-თეთრ ღრმულებს ყველგან ტოვებდა, ჩურჩულვდნენ, ხლოცი, ვისო, გარეთა ვართო. მეც თვალებს არ ვუჯერებდი. ჩემს წვივზეც ნათითარების ღრმულებს რო დავეტეროდი, წნევა სულმუდამ ორასზე მაღლა იყო, ამის გამო მესამე ვჯუფის ინვალიდობა მესამე წელია მონიჭებული მქონდა, ვასანჯვისას თუ ამ სიმსივნესაც დაინახავდა კომისია, ნამდვილად რაღაც მეშველებოდა. ეს კი სახუმარო საქმე არ იყო, ოცდახუთწლიანი კაცი მერვე წლისთაგზე თუ გაუუსხლტებოდი გულაგის კატორღებს, ამაზე დიდი სიხარული და ბედნიერება მაშინ, აბა, რა უნდა ვოფილიყო?!

სტალინის დროს ამ წყალობას არ დავიჯერებდი, მაგრამ მისი ხიკედლის შემდეგ მასზე გაგულისებული ხრუშჩოვისაგან ამნაირი რამ შეიძლებოდა მამხდარიყო, ეს რატომღაც დავიჯერე.

როგორც დამარიგეს, მთელი დღის განმავლობაში ფეხზე ვიდექი, ხანდახან ცოტახნით ჩამოვჯდებოდი ხოლმე. ღამით ფეხზე დგომით ქანცგაწყვეტილი ერთი წამითაც არ წამოვწოლილვარ, რომ პორიზონტალურ მდგომარეობაში ფეხების სიმსივნე არ ჩამცხრალიყო.

ტანჯვის ღამე ხო გადავიტანე? მთელი დღეც ტანჯვისა გამოდგა, მაგრამ სამედიცინო კომისიის მოლოდინმა ვეცე შემადლებინა. წარამარა ვეკითხებოდით ჩეკისტებს, როდის მოვიდოდა კომისია, ველოდებითო, ეს იყო იმათი პასუხი და ჩვენ ველოდებოდით განამებულნი და ვასავათებულნი, ჩამოვჯდებოდი წამით ნარზე, შარვლის ტოტს ავიწველი და სხვათა შეუშინეველად წვივებზე სიმსივნეს ეამოწმებდი.

ხალამომდე არ ჩამცხრალა სიმსივნე და იმედიანად ველოდებოდი კომისიას. კომისია არ მოვიდა. ხალამოს გამოვვიცხადეს, ზვალ მოვარ. იმ ღამით კვლავ წავიდნენ ბიჭები ღამისსათყვად.

მე ვეღარ ავიტანდი ამგვარ ღამისთევას და ამიტომ ხელი ჩავიქინე, აღარ მივეძაღე მარილიან ქაშაყს და აღარ ვხვი დილადად წყალო. მკვდარი ან სამუდამოდ დასწულვებული თუ გავდი აქედან, თავისუფლება რაღა ჩარამოქი, ვუთხარი ჭაბუკას და ჩვენებური საოზრით მოვიყიერებთ აული.

მეორე დღეს კი არა, ხაერთოდ აღარ გამოიჩინლა კომისია.

კომისიას შესტაკოვოს ღაზარეთში გაივლითო და რამდენიმე თლის შემდეგ ერთი ვჯუფი წაიფანეს.

ამ ოჯაფში მოხვდა ჭაბუკაო.

ოსეტროვის ლაგერში ათონის ორის რამდენიმე დღიორი ჩანაწერი გააკაოთ. საართოდ თლიორებს არ ეწერდი, რის გამოც თლის ძალიან ოწაოთ.

ეს ერთადერთი თლიორი შემომრნა:

დღიურები

9 თებერვალი, 1955

დღეს ხალამოს წაიფოა ჭაბუკა ხაადამყოფოში. ვერ მოვასწარი დამემთავრება „დედა“. რაც დაწერილი მქონდა, დილით წაუკითხე. მოეწონა. გადარეული დღე იყო მაინც. მოვიდა კულტბრიგადა, გადაუფიკი კლუბის მოწყობას. კონკრტი დაიწყეს და მოვიხელთე ცოტადრო, ვისაუბრე ჭაბუკასთან. წავიდა. და



მალონა ძალიან ამ ამბავმა. ის ერთადერთი კაცი იყო ახლა ჩემთან, რომელსაც ჭონდა ძალიან ვაფაქიზებულები პოეტური გემოვნება. მისი შეხედულებანი ჩემთვის იყო ძვირფასი. ვისღა წაუეკითხო აწი ლექსები?

კულტბრივადიდან ერთმა გვაცნობა: რადიოთი გადმოსცესო, რომ მალენკოვმა მოითხოვა განთავისუფლება და მის ადგილზე დანიშნეს ბულგანინო. სამხედრო მინისტრად — ყუკოვი.

ლაგერში წაივდა მითქმა-მოთქმა. ერთ საათში მთელმა ლაგერმა იცოდა, ყუკოვის ისევ ამოტივტივება მთავრობაში. მართლაც რომ საყურადღებო მოვლენაა. საინტერესოა ამბავთა შემდეგი განვითარება.

15 თებერვალი, 1955

დღეს მივიღე ორი წერილი: დედამჩემისა და ეთერისა. დედა მწერს, რომ წელზე ქვა მაქვს შებმული, შენ რომ ჩამოხვალ და მეტყვი, მაშინ შევიხსნიო, სიონი ფეხშიშველამ დაუკავო და შენზე ლოცვაში ვიყავიო. რატომ ცრემლები არ გადმომცვივდა სად გაქრა ცრემლი?

ეთერი მწერს, „ბავშვი“ მივიღეო. ეს რა დაგიწერიაო, გული მატკინაო. სიდედრი მწერს, შენს ყოველ წერილის მიღებისას გუდვიონი ჰქმნე ცრემლს ღვინისო. რითი დაეამახსოვრე თავი ჩემს სათნო სიდედრსა და გულკეთილ სიმამრს?

„ლიტ. გაზეთში“ წავიკითხე პატარა შენიშვნა გ. ჯიბლაძისა და მ. ქვლივიძის ვაკანათების შესახებ „მნათობში“ დაბეჭდილ გ. ჯიბლაძის წერილის „ტეტრალოგიის ხანის“ შესახებ. ამითარახებენ ჯიბლაძეს.

დავიდალე. ბევრი ვირბინე. შუშა დავამზადე, წერილები და გაზეთები დავარიგე, რადიო გავიყვანე ზონაში. საღამოს აქტივის საბჭოს სხდომა იყო განყოფილების წარმომადგენელთან ერთად. როგორ მიღებენ ჩეკისტები! სამხედრო ფორმასაც კი არ ატარებენ. ყურადღებით გვისმენენ. მე დაყინებით მოვითხოვე მხატვარი, მხატვარს ატარებენ კვე-

ნეს ხაზით და ამუშავებენ მღებავათ. მე კი სამუშაოს მარტოხელა ვერ ვუთავლები.

დღეს ავნერვიულდი კიდეც. მოსაწევი ქალღლი არ იმოცება ლაგერში. ყველა ჩემთან მოდის გაზეთისათვის. ლაგერში ხუთასამდე კაცია. ვღებულობ სულ 12-13 ცალ გაზეთს. ყოველ სექციასი ვანაწილებ. მრჩება ძალიან ცოტა. მთხოვნელი ბევრია და ვერ ვაწვდენ ყველას. დღეს ამის გამო გაენერვიულდი.

19 თებერვალი, 1955

ვინვა 45 გრადუსი. ეს რამდენიმე დღეა ასე გრძელდება. მამაჩემი კი მწერდა, რომ ჯერ თბილისში თოვლი არ გეინახავსო.

დღეს მოვიდა ჭაბუკას ორი წერილი: დედისა და როდამისაგან. თვითონ კი საავადმყოფოშია შესტაკოვოში. საჩივარი აღუძრათ და იმედი აქვთ. როდამის წერილი წაუკითხე.

ჩემი წერილი არ იყო. ვარ დალონებული.

ლალომ წაიკითხა დღეს ჩემი „ნაწნავები“. მოეწონა.

წავიკითხე მარშალ ყუკოვის საუბარი ამერიკელებთან. გუშინწინ წავიკითხე ხრუშჩოვის საუბარი მათთანვე. ხრუშჩოვი ამბობს: „ამერიკის სოფლის მეურნეობაში ბევრი რამ არის კარგიო“. რამდენიმე წლის წინ ამის თქმისათვის 10 წლის ციხე ნაღდი იყო. მერე ამბობს: „ჩვენ მომხრენი ვართ სოციალისტური და კაპიტალისტური სამყაროს ერთად ხანგრძლივი არსებობისა“.

საყურადღებო ამბავია.

შუადღისას ვისადილეთ კარტოფილით. კარტოფილი ჩვენთვის უცხო ხილია, კი ვგაძლევენ, მარა ვაყინულია. გუშინწინ გავიღეს გაუფინავი. ლალომ იშოვა. დღეს დილით დიმიტრიმ დაიწყო თლა. მე ვმუშაობ, ლალო წევს, ადგომა შეეზარა, კი არ შეეზარა, რატომ ბორისაც არ ღვებო. დიმიტრიმ მარტოკამ გააკეთა.

21 თებერვალი, 1955

თენახევარია აშბადებენ კონცერტს. გადავევი მის ორგანიზაციას. კონცერტის მონაწილენი სცენის მოყვარულნი არიან მხოლოდ. თავი კი მოაქვთ, როგორც არტიტებს. მომწეინდა მათი „კაპრიზები“, დღეს გამაჯავრებს. ქარის წისქვილებთან მეომარი დონკიხოტები! ლალოს წაუუკითხე ჩემი „ძალი“, და „მანანა“. ძალიან მოსწონს.

ბორისა წავიდა სააუადმყოფოში. ამ საღამოს ჭაბუკი მიიღებს ორ წერილს და ჩემს ბარათს.

წუხელ ქარი იყო და თოვლი მოზენდა საცალფეხო გზებზე. დიდიდანვე ცოცხით ხვეტდნენ ეზოს.

24 თებერვალი, 1955

ამჟამად მე ვიმყოფები ბანაკში, სადაც თავმოყრილია მხოლოდ ინვალიდები, კალიმიდან შეკრებილნი. ყველანი ველით განთავისუფლებას. თითქმის ასი კაცის საქმე საქმის კომისიამ შეადგინა სასამართლოზე გადასაცემად. მეც ველი. ეს შესამე წელიწადია ინვალიდი ვარ სისხლის წნევის გამო. ამჟამად არა მიშავს. წნევა მაღალი არ მაქვს ისე, როგორც 1952-53 წლებში მქონდა. ჯერ შინაურებისთვის ეს არ მიმიწერია. ჩემი ცხოვრების ოცდათხუთმეტი წლის თავზე გაეხდი ინვალიდი! როგორღა მივაღწევ 100 წელიწადს?

27 თებერვალი, 1955

სიცოცხლე — ორმოცდაშვიდი გრადუსი. მოვიდა ჩემი ბანდეროლი. მაგრამ ვერაფრით ვერ მივიღე, ვახტაშვა. დღეს არჩევნებია და უფროსები წასულნი არიან შესტაკოვოში. მე გაჯავრებული ვარ. ისედაც შეაგვიანდა ბანდეროლს და აქ კიდევ ხვალამდე უნდა ეუცადო.

28 თებერვალი, 1955

როგორც იქნა მივიღე ბანდეროლი, „ვისრამიანი“ და ვაქვას „ეთნოგრაფიუ-

ლი ჩანაწერები“. დავეხარბე ორივეს ერთად, ხან ერთს, ხან მეორეს, მერე მივევი „ვისრამიანს“. ღმერთო ჩემო, რა ნარნარი ენაა! ხარბად დავეუფლები ახლა ამას, თორემ სული ამიმყარაღდა რუსული ლანძღვითა და გინებითა.

დილით საუბარი გაიმართა მთვარეულის შესახებ, ზოგმა რა მოიგონა და ზოგმა რა. ერთმა წამოიძახა: „რა კარგი იქნებოდა, რომ რომელიმე მთვარეული ჩვენც გვერიოს და ღამით იატაკს რეცხავდეს ან ღუმელს ანთებდესო“. ამან საერთო სიცილი გამოიწვია, რადგან იატაკი არ ირეცხება სექციიაში და ღუმელსაც ცუდად ანთებენ. სექციიაში ეცხოვრობთ სამოცამდე კაცი. ორსართულიანი საწოლებია, ორი ქვეით და ორი ზემოთ. შუაში ვიწრო კვასკელელი. ერთი საწოლის მეტი არაფერი გამანია... მოხვალ, წამოწეუბი საწოლზე და მორჩა. ასე ვარ ეს შიკოზე წელია (წელიწადნახევარი თითქმის ითხეებში გაატარე). ღმერთო ჩემო, ნუთუ ოამიანი მეტის ღირსი არ არის ამ ქოყნად, რარიგი დამნაშავედ არ იყოს იგი?!

1 მარტი, 1955

შვიდ მარტს შესრულობა შეიდი წელიწადი, რაც პატიმრობაში ვარ. თავისუფალი კაცი, რომელსაც არახიფებს არ გინახავს ითხის კარები, იცი, რა ძნელი ასაჩანია შეიდი წელი პატიმრობაში ყოფნა, ისიც გადახეწილობაში?

ერთი ახლა ხუტასთან გამათამაშა! შენი ნახვის იმედით ვაოცებლობ, ჩემო ბიჭუნია. შენს ზრდასა და ლექსების წერას მინდა შევალხო ჩემი დანარჩენი სიცოცხლე. შენ კი დაიბადე უჩემოდ, მარა მე არ მინდა მოკვდე უშენოდ, შენს მიერ დაუტირალი.

28 მარტი, 1955

დამიტრი წავიდა სააუადმყოფოში. ამდამ ნახავს ჭაბუკას. ვავატანე წერილი. „ვისრამიანი“ ჭაბუკასათვის ახლა აუცილებელია, მარა ვერ შეველიე, სა-

ნამ არ წაეკითხავ, მალე იქნებ მეც წავიდე და მაშინ ჩაუტან.

ჩემს გარშემო ეს შვიდი წელია ბრუნავს მრავალნაირი რჯულის ადამიანები, ბევრი ახალგაზრდა, მაგრამ ბევრზე ბევრი ოჯახის პატრონები, შუახნისანი, მოხუცებიც. განა ისინი ასეთები იყვნენ შინაც, თავის ოჯახში, ცოლშვილში, ნათესაულებში, საქმიანობაში? რაკი დაკარგეს ეს ყველაფერი, რაც ფორმასა და შინაარსს აძლევს ადამიანურ ხასიათს, მათ დაკარგეს ეს ფორმაცა და შინაარსიც და ახლა მათი ცოლ-შვილი რომ მათ უტკერდნენ, საშინელება იქნებოდა. გამონაკლისმა შეინარჩუნა თავისი წინანდელი სახე, მაგრამ მეტი წილი შიშშიღის, მოსაწყევსა და სიცივის გამო ისეთ რამეს დაემსგავსნენ, საზიზღარია მათი დანახვა. ყოველი სიტყვის მერე ორი-სამი სიტყვა ვინება, არაერთარი სირცხვილი, არც მოკრძალება ურთიერთშორის. ნამუსი? კმ!.. ზოგჯერ კრემლის მომგვრელია მათი ქცევა. კაცს ოცდაათი წელიწადია პაპიროსი უწევია, როგორ გადაეწვიოს?! კიოდა, რომ არ აქვს ახლა, დინახა ძირს დაგდებული ნამწვავი და აიღო, არ შერცხვა, ვინმე დამინახავსო. განა თავის ცოლ-შვილის თვალწინ ამას გააკეთებდა, თუნდაც იქაც არ ჰქონოდა მოსაწყევი? შვილების ზრდისას ხომ ასეთი ქცევა მამისათვის საშინელებაა? მაგრამ აქ, რაკი შვილები ახლოს არ არიან, საჭიროება კი მოითხოვს, მან ეს გააკეთა. ბურჟუაზიისთანანი, რა თქმა უნდა, შინაც ასეთები იქნებოდნენ.

3 მარტი, 1955

ღამით ენახე სიზმარი: მოვიდა ალექსევი, (განთავისუფლდა ამ ორი კვირის წინ), და მოიტანა ჩემზე ქაღალდი, გაემზადე, წავიდეთო. ვითომც სადღაც მეძახდნენ. ეს მეორედ მესიზმრა ალექსევი...

აქ რომ მოვედით და კვერქში დავიწყე მუშაობა, გავიცანი სამოცი წლის მოხუცი კორსუნი, ნიკოლაი მატკევიჩი. აირჩიეს აქტივის საბჭოს თავმჯდო-

მარედ. საერთო კრებაზე, როცა მის განდღატურას უყრიდნენ კენჭს, თურმე ხელი მანაც ასწია მომხრეთა შორის. (მე არ დამინახავს, სხვამ მითხრა). მჯერა, ეს იქნებოდა. როგორც დავიწყე მუშაობა, ციბრუტივით დაიწყო ტრიალი ჩემს ირგვლივ. შეშქვია, სულ ჩემთან იყო, მეხუმრებოდა, ხან შემის ხერხეაში მეხმარებოდა, ხან წიგნების წესრიგის მოყვანაში. აქტიურ მონაწილეობას იღებდა თვითმოქმედ წრეში, ითავა ვოკალური ნომრების მომზადება. თუმცა ხმები მესმოდა მის შესახებ, მარამე არა მჯეროდა. ერთი შეხედვით მეჩვენა: გულუბრყვილო, ალალი, ყოველგვარ ეშმაკობისაგან შორს მდგარი. ოდნავ თავისებური (რადაც დაბნეული) მოხუცი. ბოლოს მიუხვდი, რომ ცდილობს ჩემთან შემოკედლებას ხელფასით. მე მარტო ვიყავი, კაცი მართლაც საჭირო იყო. მაგრამ მერე აქ გახსნეს ფასიანი სასადილო და გამკვდ დანიშნეს ის. უცებ შებრუნდა, შეიცვალა კორსუნი: კვერქსადმი ინტერესი გაუქრა, კონცერტის სამზადისის უკანასკნელი დღეები იყო და რეპეტიციებზე სიარულს თავი მიახებდა, ხმაც კი ჩაუხჩა, ყოველდღე გაიძახოდა, რომ ჯერ არაფერი არ უჭამია. ერთი სიტყვით, პირვანდელი კორსუნი-საგან აღარ დარჩა აღარაფერი. აღარც აქტივის საბჭო აინტერესებდა აღრინდელივით, რაკი თბილი ნამცხვრების ახლოს მიიმუდრა. ყოველი სიტყვის შემდეგ ამბობდა ხოლმე „ტოვარიშჩი“, სასაცილოა, როცა თავმჯდომარეობს აქტივის საბჭოს.

4 მარტი, 1955

მივიღე მამაჩემის წერილი და მის მიერვე გამოგზავნილი „ლიტ. გაზეთი“ 4 თებერვლისა. ორიოდე კარგი ლექსია შიგ. ერთი მოთხრობაა, არ მომეწონა. „კეფხისტყაოსნის“ რუმინულად თარგმნის ამბავი გამეხარდა, მთარგმნელი იგონებს რუმინეთში მყოფ ანთიმოზ ივერიელს, რომელსაც უწოდებს რუმინული ლიტერატურული ენის შე-

მქმნელს. ზოგი საინტერესო რამ წავიკითხე ამ გაზეთში. ხუთი წელია არ მინახავს „ლიტ. გაზეთი“. ყოჩაღ! ვიორგი ნატროშვილი კვლავ რედაქტორია. პო, ზუხაშვილის წერილს არა უშავს პოეტური ინდივიდუალობის შესახებ, ზოგი დიფირამბი რომ არ ერიოს შიგ.

დღეს დათბა, მზის სითბო ვიგრძენი. ეს პირველი დღეა, შუადღისას წვეთა დაიწყო სახურავიდან. თოვლი შედნა. პირველი სხივი!..

მივიღე ჭაბუკას წერილი. იქ ბლომად ყოფილან ქართველები. ჩემი ბანდეროლი იქ მიხვალა. „ნათლიას მიუტანია შალვა იორამაშვილიდან, წაიკითხეო, არა წიგნებიაო. შალვას მოუტანია ჭაბუკასათვის, ჭაბუკამ კი იცოდა, რომ ეს წიგნები ჩემთვის იყო გამოგზავნილი. დაუტოვებიათ, წაუკითხაეთ. „ნათლია“ აღარ გამოჩენილა. კი მარა, უცხო რომ ყოფილიყო, ხომ დამეკარგებოდა წიგნები?! რა უფლება ქონდა მას, რომ გახსნა იქ ბანდეროლი?! რა შემოწმება სჭირდებოდა ჩვენს დროში გამოცემულ წიგნებს? მერე ჭაბუკამ მე გამომიგზავნა. აი, რატომ შეაგვიანდა ბანდეროლს.

ლადო საბანს კერავს, ახალი დათვილილი ბამბით.

7 მარტი, 1955

მივიღე ამანათი. არ ველოდი და გამიხარდა, ქათამი, ყველი, კარალიოკის ჩირი, ჩურჩხელები, მსხალი, ფქვილი, ღორის ხორცი. ორიოდე „ლიტ. გაზეთი“ და ქუთაისის ლიტერატურული გაზეთის ერთდროული გამოცემა. დღეს შეიდი წელიწადი შესრულდა, რაც ვხივარ. ამ ამანათმა გამახარა.

დღით მოღრუბლულია მუდამ. დამით მთლად სუფთა ცა.

9 მარტი, 1955

წავკვიდე აბდულას. არასანდო კაცია. გუშინ შევეკითხე, სად ათურებენ-მეთქი მღებავები. მინდოდა კირხსნარი,

რომ ღუმელი გამეთეთრებია. დღეს შემოყვა ლაგერის უფროსს. მას ყურადღებაც არ მიუქცევია ღუმელიხათვის. აბდულამ გადმოშხედა, მე რატომ მითხოვ კირს ღუმელის გასათეთრებლადო, ავერ არა გყავსო მხატვარი, მეწვინა. მე მისთვის კაცი არ მითხოვია, მაგრამ აქ უფროსს დაანახვა, ეთომ მე მას კაცსა ვთხოვ. ეს რამდენჯერმე გააკეთა. საღამოს შემოვიდა ხექციაში და წავკვიდე. პირდაპირ ვუთხარი, რომ ჩემთან საქმეს ნუ დაიჭერს. აძლიბილდა, აცახცახდა. ვინების მეტი არა იცის რა. მაგინა, მარა გამახსენდა, ფუნას ფეხს ნუ დაადგამ და არ აყრილდებო. ეს აბდულა ერთი რეგვენი ვინმეა, ხეპრე, გაუთლელი, ლაგერის მამასახლისად მუშაობს. ასეთი კაცისაგან ცუდს უნდა ელოდო ყოველ ფეხის ნაბიჯზე.

11 მარტი, 1955

უგზავნიდი ჭაბუკას ცოტა რამეებს ამანათიდან. კაცი, რომელიც მიდიოდა, უკან დააბრუნეს. ვეღარ გაუგზავნე.

3 აპრილი, 1955

ლაგერმა გამოაცხადა შიმშილობა.

4 აპრილი, 1955

ხუტუს დაბადების დღეა. აფორიაქებული დღეა. გუშინდელი ამბის გამო. უფროსები შეფორიაქდნენ. ერთი ბოთლი არყით გავუმასპინძლდი ახლობლებს. კამფეტები ჩამოვარაგე. ვარ გულუხვი. ასე აღენიშნე ჩემი ხუტუს დაბადების დღე.

11 აპრილი, 1955

მივიღე ორი ბანდეროლი: ვაჟას დიდი წიგნი და „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“. შეიდი წლის მერე კვითხულობ ვაჟას.

13 აპრილი, 1955

ვალენტინ ფეოდოროვიჩმა მიაამო: „ერთხელ შინ მივედი გვიან. ცოლი



შემხვედა გაკაპასებული. სიდედრი და სიმამრი მაგიდას უხზდნენ. ჩემი პატარა ბიჭი თავის მაგიდას უზის და რაღაცას ხატავს თუ წერს. ცოლმა მომყარა და მომყარა: „სადღაც იკარგები, ყურადღებას არ გვაქცევ არც მამად ჩანხარ, არც ქმრად“. და მოჰყვა. შევკამათდით. სიმამრმა დაძახდა, რას აკეთებს ბიჭიო. გადაიხარხარა. მოგვიხმო: ბიჭს ქალაღღზე დაუხატავს გაფოფილი დედა, აბუზული მე, შუბლზე სათვალე აზიდული ბაბუა. კარიკატურულად. შეგვრცხვა. გადავიხარხარეთ ყველამ, მე და ცოლი შევერიგდით“. კარგი ფაბულაა მოთხრობისათვის ოღესმე დაწერ.

14 აპრილი, 1955

ნიკოლაი მატვეევინი 60 წლისაა. ცოლი არა ყავს. წერილებით გაუმიჯნურდა ადრე ნაცნობ ვინმე მარიას. ყოველდღე წერილს წერს და ღებულობს ხშირად. სიყვარულია? რაღაც ამგვარი კა. მარია უკვე თავისად თვლის და ულის. ის 50 წლისაა.

- გვაჯა — დაბალი ტანის უშნო კაცი. გაწუნვა.
- სახუტელა — მცენარე
- ბუერა —
- ღაბუა — ფრინველი „წიფლინიტა“.
- დიფი — მადალი ბალახია, რომელსაც ფტეკნიან და ჭამენ.
- შეპუა —
- ურძანი — ჯავის მცენარეა, რომელიც ჯოხად და მათრახის ტარად არის კარგი.
- ბოვირი — წიოკი
- ბურდო — აწეწილი თივის ვროვა
- დილა-სადამოს პყინავს, შუადღისას დათბება ცოტა.

15 აპრილი, 1955

მოსკოვიდან მოვიდა მოთხოვნა, რომ მე დაწერო შენდობის თხოვნა საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოსადმი. დაწერე, ლავრის აღმინისტრაციამ

დაწერა კარგი დახასიათება და გაგზავნეს. არ ვიცი, რაშია საქმე. იქნებ ეთერის თხოვნას მიაქციეს ყურადღება და რადგან ჩემგან არა ქონდათ რა, მოითხოვეს მეც დამეწერა თხოვნა. ენახოთ, რა იქნება.

გაურკვეველი მდგომარეობაა საერთოდ. აქტირება დროებით შეჩერებულია. ორი კაცი სასამართლოდან უკვე განთავისუფლდა და ჯერ კიდევ არ უშვებენ. უჭირო რატომღაც ჩვენი სახლებში გაშვება. „ბიბოვიკებიდან“ კი უშვებენ და ჩვენი კონტიგენტიდან არა. ახლა ელიან რაღაც ახალს მოსკოვიდან.

მოაქვეჩვევს ცხენსა — კოხტად მოაჭენებს.

შენ გავეშლიხარ სხვაზედა. შენხერი.

23 აპრილი, 1955

დიდი ჩინის ოფიცერი, პოდპოლკოვნიკი, სექციაში საუბრობდა ხალხთან. ერთი ეკითხება, კი არ ეკითხება, ჩივის მასთან, რომ ავადმყოფები არ ღებულობენ კარგა ხანია რძეს. (ავადმყოფებს აძლევენ ხოლმე საღამოსით შესქელებულ რძეს, წყალში გახსნილს). პოლკოვნიკმა ასე უპასუხა: ამოდენა კაცი ხარ, როგორ არ გრცხვენია ასეთ უმნიშვნელო რამეზე ჩივილიო. ვესმით? ამხელა ჩინის პატრონმა, უკვე შუახანს გადაცილებულმა კაცმა არ იცის, რომ ის, რაც მისთვის, თავისუფალი, ყოველმხრივ უზრუნველყოფილი კაცისათვის უმნიშვნელოა, პატიმრისთვის, უუფლებო, უოჯახო, უფულო და გამოზოგილი ჭამა-სმის მქონე პატიმრისათვის დიდმნიშვნელოვანია. მართალია, როცა ამბობენ ხოლმე: მაძღარს მშვიერისა არა გავეება რაო.

კვლავ ჭაბუასთან და მუნჯი ალე

მითქმამოთქმა ინვალიდების განთავისუფლებაზე კვლავ გრძელდებოდა, სამედიცინო შემოწმებების შემდეგ ცალკეულ პატიმრის საკითხს განიხილა-

ვდა სასამართლო, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა ინდივიდუალურად ვველა საქმე.

სასამართლოზე კი ჯერჯერობით არცერთი საქმე არ მიხულა.

სოსნოეკიდანაც ჯგუფჯგუფად გაკვავდათ ხალხი ლაზარეთებში.

ჭაბუკასთან განშორება ძნელი აღმოჩნდა ჩემთვის. როცა ლადო ოქრობინიძე და დიმიტრი (გვარი აღარ მახსოვს) ერთერთ ჯგუფთან ერთად წაიყვანეს შესტაკოვოს ლაზარეთში, მათ წერილი და რამდენიმე ახალი ლექსი გავატანე ჭაბუკასთან... ცოტა ხანში მანაც მომამწვდინა წერილი. რამდენიმეჯერ მოვახერხეთ ამგვარი მიმოწერა იქ.

ბოლოს მეც წამიყვანეს და როგორც იქნა მივაღწიე ჭაბუკამდე. აქ სხვა ქართველებიც იყვნენ, რომლებიც, რაღათქმა უნდა, მალევე გაიციანი. ერთი თვის შემდეგ ჭაბუკა კვლავ დამამორეს, ფილტვი ჰქონდა დაავადებული და ამის გამო დასახლება ლენახე წაიყვანეს სპეციალურ საავადმყოფოში.

ეს ის პერიოდი, როცა ის მთლიანად ჩაფლულა ლიტერატურულ საქმიანობაში. ლაბორატორიული მუშაობისათვის კი ჩემისთანა მკითხველი, მრჩეველი და ოპონენტი არავინ ჰყავდა. ის კი ჩემთვის იყო ასეთი. ეს ჩვენს მიმოწერებში ნათლად ჩანს. ლენას საავადმყოფოში კი შეხვედრია რუსი პროფესიონალი მწერალი, — (შემდეგში ცნობილი დომბროვსკი), — ლიტერატურული საუბრებისათვის ეგაც დიდი რამ იყო მისთვის, მაგრამ ქართულად წერის პროცესში რუსი მწერალი ვერ გამოადგებოდა.

ამიტომ ჩვენ გაეაჩადეთ ერთმანეთთან ცხოველი მიმოწერები, ვუგზავნიდით ერთმანეთს ახალ ნაწარმოებებს და ვუზიარებდით გულახდილ შენიშვნებს. ეს ძალიან რთული საქმე იყო გულავის ლაგერებში. ოფიციალური ფოსტით თუ გაგზავნიდი წერილს, შეზღუდულად უნდა გაეზროვნა, თორემ ადრესატამდე სულაც არ მიადწევდა. ამიტომ ძნელად, მაგრამ მაინც ეპოულობდით ალა-

მანებს, ზოგს სამოქალაქოს, რომლებიც ლაზარეთის ტერიტორიაზე მსახურობდნენ, ზოგსაც პატიმარ ავადმყოფებს, რომელთაც ჭაბუკას საავადმყოფოშიაც აგზავნიდნენ და იქიდან გადმოჰყავდათ ზოგნი ჩვენს ლაზარეთში.

ამ მიმოწერებში ჩანს ჩვენი იმდროინდელი ვარემოებანი, ამიტომ მომდევნო თავში მთლიანად ვაგაცნობთ მათ. შეიძლება ბევრგან ჯერ კიდევ უმწიფარი ან სადაო აზრები ამოიკითხოთ, მაგრამ ყოველთვის გახსოვდეთ, რომ ამ მიმოწერათა ავტორები არიან ოცდაათი-ოცდაათობზეტი წლის ყმაწვილები, რომელთაც თხუთმეტი წლის განმავლობაში ბედისწერა სამშობლოსგან შორს დაათრევდა აღმადამა, მსოფლიოს ერთი კუთხიდან მეორე უკიდურეს კუთხემდე და რომლებიც ამდენივე ხნით მოწყვეტილნი იყვნენ მშობლიური ენის სტიქიას, სასაუბროსაც და სალიტერატუროსაც, ლიტერატურულ ცხოვრებასა და ერის ყოფიერების ყოველდღიურობასაც.

ამიტომ ნუ იქნებით ზედმეტად მკაცრი ამ მიმოწერების მიმართ. ერთს კი თქვენ თავადვე ირწმუნებთ მათი გადაკითხვის შემდეგ, უსასტიკეს კატორღულ თუ სხვა ჯოჯოხეთურ ვითარებაში მწერლობისათვის თავგანწირული ორი ახალგაზრდა ქართველი ჭაბუკა როგორის თავდადებით, დაჟინებითა და სიყვარულით ეჭიდებოდნენ ქართულ მხატვრულ სიტყვას.

ამ წერილებს მხოლოდ შენთვის ვწერო, მიმხვლს ერთ წერილში ჭაბუკა. მაშინ ეს მართლაც ასე იყო. მეც მხოლოდ მისთვის ვასამხვლ აზრს ვუზიარებდი წერილით. მაგრამ ახლა, რამდენიმე ათეული წლის შემდეგ რო გადავიკითხე ეს მიმოწერები, მომეჩვენა, მათში გამოთქმული აზრები დღეს უფრო სხვა მნიშვნელობასაც იძენენ. ამას ალბათ მკითხველი თავად მიხვდება, მაგრამ მათ გადაკითხვამდე მე მაინც მინდა ცალკე ვაგაცნოთ ჭაბუკა ამირეჯიბის წერილებიდან ზოგი ამონაწერი:

მან გამომიგზავნა რამდენიმე მოთხოვნა ციკლიდან „პორტრეტები“, რის გამოც მწერდა:

„თუ ამ პორტრეტებს განსაზღვრულ ფორმაში მოთავსებამ ანუ ერთ ძაფზე ასხმამ დამთავრებული, დამოუკიდებელი ნაწარმოები არ მომცა, მაშინ ყოველი პორტრეტთაგანი დამრჩება, როგორც ესკიზი გმირისა მომავალი დიდი ნაწარმოებისათვის, რომელიც ასეა თუ ისე, როდესმე უნდა დაეწეროს“.

„საერთოდ კი ისეთი ვრძნობა მაქვს, რომ უახლოეს თვეებში რაღაც ჩემის აზრით მნიშვნელოვანი უნდა დაეწეროს“.

„მწერ ძლიერ ბევრს, შეუწელებლად, მაგრამ ყოველივე ამას უფრო ძიების ხასიათი აქვს, ვიდრე შემოქმედებისა“

კინოსცენარი უნდა იყოს მხატვრული პროზა, აგებული კინოდრამატურგიის კანონების საფუძველზე, შეთანხმებული სასცენო ბელოვნების ყოველგვარ მოთხოვნებთან, ოღონდ უპირველესად ყოვლისა მხატვრული პროზა, საინტერესო საკითხავი და არა სცენური მშრალი მონტაჟი“.

„უნდა ზედმიწევნით შევისწავლო მეცხრამეტე საუკუნის საქართველო. სხვაფერად მეორე ნაწარმოებს ვერ დავიწვებ. თუ ეპოქის სულით არ არის გაყვანილი ძვალი, რბილი და ტვინი, ამ ეპოქის ხელის ზღვა ყოველად შეუძლებელია. შეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარი ზედმიწევნით მაქვს შევრძნობილი. როცა ვწერ, ასე მგონია, იმ დროში ვეზოვრობ და ყველა ჩემი გმირები თანამედროვენი არიან ჩვენი. ასეთსავე მდგომარეობას უნდა მივაღწიო მეცხრამეტე საუკუნის მიმართაც. მაგრამ ამისათვის არა მარტო აჯანყებები და შეთქმულებები უნდა შევისწავლო, არამედ პერიოდიკა და მეცხრამეტე საუკუნის გამოჩენილ თუ მეორეხარისხოვან პიროვნებათა ბიოგრაფიებიც. ზოგ რამეს, რა თქმა უნდა, ისეც

ვერძნობ, მაგრამ ეს საკმარისი არ არის... აი, ამ სახის ლიტერატურა მჭირდება, ე. ი. ისეთი, რაც მეცხრამეტე საუკუნის ცხოვრებას შეეხება. თუ გაქვს რაიმე, გამომიგზავნე, დროა მოკვიდო ხელი“.

„ჰუმანისტი უპირველეს ყოვლისა მებრძოლია, მედგარი, თავდადებული, მაგრამ გარკვეული პრინციპის მატარებელი მებრძოლი კი არა, არამედ ერთადერთი პრინციპის რაინდი. აი, ეს ერთადერთი პრინციპი: სიკეთე საერთო საკაცობრიო, საყოველთაო და არა რომელიმე გარკვეული კლასისათვის, ფენისთვის, საზოგადოებრივი დაჯგუფებისთვის, კასტისთვის. არ არსებობს ჰუმანისტები სხვადასხვა იდეოლოგიური ნორმების მატარებელი. თუ ხელოვანი ვინმეს აპოლოგეტია და ამიტომ მოწინააღმდეგის ცეცხლითა და მახვილით ამოშანთვას ქადაგებს, იგი ჰუმანიზმს ისევ დაშორებული, როგორც სიკეთე ბოროტებას. ჰუმანისტი – საკაცობრიო, საყოველთაო ბოროტების წინააღმდეგ მებრძოლი რაინდია და არა პანიბალის დაქირავებული ჯარისკაცი“.

„არ არიან ცუდი, ვერავი, ავი, ბოროტი ადამიანები, არა, არიან მხოლოდ სათნო, კეთილი ადამიანები და ცუდი, ვერავი, ავი, ბოროტი გარემოებანი, რომელთაც გამოჰყავთ ადამიანი თავისი ბუნებრივი მდგომარეობიდან, სიკეთიდან, სათნოებიდან. კაცობრიობის მოუწყობლობა – აი, წყარო ადამიანთა ტრაგედიისა. თუ არის საჭირო შანთი, ცეცხლი და მახვილი, საჭიროა საკაცობრიო მოუწყობლობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. არ არის დიდი ხელოვნება იქ, სადაც არ არის დიდი ყოვლისშემცველი და მიმტევებლური სიყვარული“.

საავადმყოფოში, საცა განუწყვეტილ მიმდინარეობდა ინვალიდების სამედიცინო გადამოწმება, ჩვენი კატორღული ცხოვრება თავისებურად და მღორღ

მიედინებოდა და ამის აღწერას მე ამჟამად თავს ვარიდებ, რადგან ჩემი და ჭაბუკას მიმოწერებში ეს საკმაოდ არის ასახული.

ხანამ ამ მიმოწერებს შემოვთავაზებდეთ, ერთი ამბავი მინდა მოვახსენოთ.

აქ პოლიტიკურებს გარდა თავმოყრილი იყო სხვადასხვა კატეგორიის დამნაშავეებიც, რა თქმა უნდა, ინვალიდები. მათ შორის იყვნენ ქურდებიც.

თბილისელ ქურდებს შორის ერთი, სახელად ალუ, (გვარს შეგნებულად არ ვასახელებ), ძალიან დამიახლოვდა. როგორც ვთქვამს, ლექსებს ვწერდი, დაინტერესდა ჩემით. თურმე თავადაც წერდა ლექსებს. ჩემი წიგნაკი გადაიკითხა, შენ ნამდვილი პოეტი ყოფილხარო, მითხრა, მე მაგრე წერა არ შემძლიაო, მაგრამ ჩვენს ლაგერულ ცხოვრებას ვაღვლექსავ ხოლმეო. სხვა ქურდებსაც წააკითხა ჩემი ლექსები, კარგი თბილისელი ბიჭები იყვნენ და სულმალე მათი განწყობილი თანამხლებელი გავხდი.

ალუ მუხჯი იყო, ამხანაგებს ხელებით ელაპარაკებოდა, თავს როდესაც მოიყრიდნენ, ამგვარი მუხჯური საუბარი ვაიმართებოდა ხოლმე. თბილისის ციხეში კი მივეწვიე თითქმის მუხჯური ნიშნების გამოხატვას, მაგრამ თავდაპირველად ამათთან ამ ნიშნების გარჩევა გამიჭირდა, ისინი სწრაფად ესაუბრებოდნენ ალუს. პირველ ხანებში ალუ, თუ მართონი ვყავით, რვეულის ფურცელზე მიწერდა თავის სათქმელს და მეც ავრე ვასუსხობდი. როცა ერთად ვყავით, ისინი მეუბნებოდნენ ალუს ნათქვამს.

ხუთნი იყვნენ, ახალგაზრდები, მზიარულნი, ინვალიდობისა არა ეტყობოდათ რა, მაგრამ რაღაცნაირად მოეხერხებინათ და აქ იმიტომ მოხვედრილიყვნენ. ზოგი ავლაბრული, ზოგი ორთაჭალული, ალუ კი ნამძალადველი იყო და ხშირად იგონებდნენ თავიანთ ქურდულ თავგადასავლებს. მე ალბათ პოეტობით მიექცევი მათი ყურადღება, რატომღაც პატივისცემით მეპყრობოდნენ, თუმცა პოეზიის მოყვარულობისა არაფერი ეტყობოდათ.

ალუ კი თავად იყო გატაცებული ლექსის წერით. თუმცა ქართული წერა კარგად არ ეხერხებოდა, მაგრამ რომელიმე ამბისა თუ ფაქტის გაღვქვას თავისებურად ახერხებდა და ამით თავი მოსწონდა კიდევ. როდესაც წარმოიდგინოთ, როგორ წერდა, ორიოდ სტროფს ვაგაცნობთ აქვე ლექსიდან, რომელიც ჩემი ლექსების რვეულში თავად ჩამიწერა:

კალიმიდან ჩამოვიდა
ვალოდა თბილისელი,
მე ციხიბრში გავიციანი,
მშობაც დაედეთ განუყრელი.
პირველ იენის ხალაშია
შესტაკოვოს ლაზარეთში,
ვალოდის ქაღალდსა მთხუვს
მოდის, ვსწეროთ ძმად ლექსი.

ამგვარ ლექსებს წერდა ალუ და მკითხებდა. მე, რა თქმა უნდა, მოუწონებდი. ერთხელ ახალი ლექსი დამახვედრა და როცა ვკითხულობდი, უეცრად ბარაკში ერთმა რუსმა რუსული გინება დაიწყო ხმაძალდა. წამოხტა ალუ, დაავლო ხელი ტაბურეტს, მიეჭრა რუსს და დასცხო თავში. იქვე გაიშობა რუსი. გაფითრებულმა ალუმ სხვეს დაუწყო ნერვიულად ხელების ქნევა, ხან ჩემსკენ იშვერდა ხელს. ვერცერთმა ხმა ვერ გაიღო. მოვიდა ალუ ჩემთან, ნარხე ჩამოჯდა, ფურცელზე დამიწერა, შენ ლექსს კითხულობ და ეს მუტრუკი როგორ აღრიაღდაო, უთხარი ამათაო. მეც რუსულად გადავმახე მათ ალუს ნათქვამი. გულში კი ვაფიფიქრე, ყრუმუნჯმა როგორ გაიგონა რუსის ღრიალიმეტოქი, მაგრამ ისიც ვაფიფიქრე, ალბათ გუჟანით მიხვდა, — აქვთ ყრუმუნჯებს ამგვარი გუჟანი, — მიხვდა, როდესაც ფერიოდა რუსი. ამავე დროს გამიკვირდა, ლექსის კითხვის დროს ხმაური როდესაც შეიძლება უხეც იცოდა. მამსახადამე ერთგვარი პატივისცემა ჰქონია ლექსისა.

თანდათან ჩავერთე მე მათ მუხჯურ საუბრებში და ცოტა ხნის შემდეგ საკმაოდ გავიწაფე კიდევ.

აღუ დაბალი, ოდნავ ტანთხელი ყმა-წილი იყო, გაღიმებისას ერთი ოქროს კბილი გაუკრთებოდა. ბიჭებთან საუბრისას ხშირად იღიმებოდა, მაგრამ ხანდახან ისე შეიჭმუხნებოდა, გვეგონებოდა, სანახებრად ემზადებოდა, ხელებს უფრო ნერვიულად აქნევდა.

მუნჯურად საუბრისას ბიჭები თითების მოძრაობასთან ერთად სიტყვებსაც წარმოსთქვამდნენ, ვეიქრობდი, აღმათ იმიტომ, მუნჯი ბავშვების მოძრაობითაც ამოიცნობდა ხოლმე სიტყვებს.

აღუ ყრუმუნჯობისა და ნერვიული ავადყოფობის გამო მოხვდა ინვალიდად. მაგრამ ეს ყველაფერი ციხეში მოსულია და სანამ ამას ირწმუნებდნენ, მრავალი მკაცრი შემოწმება გაუვლია, მართლა დამუნჯდა თუ არაო. რამდენჯერმე ნემსი გაუკეთებიათ და ისე დაუძინებიათ, აკვირდებოდნენ თურმე მთელი ღამე, ძილში ხმას ამოიღებს თუ არაო. სხვა ხერხებითაც ამოწმებდნენ, მაგრამ ვერასოდეს შეუმჩნევიათ საექვრო რამ.

ხშირად ელაგებოდა ლაზარეთის ექიმებსა და რევიმის უფროსებს.

„რატომ არ მანთავისუფლებითო?“

„ჯერ ბრძანება არა გვაქვსო.“

„გვატყუებთო.“

„არა, არ ვატყუებთო.“

„კომისია ხო გავიარეო?“

„კი გაიარე, მაგრამ დასკვნა ჯერ არ არისო.“

„რა დასკვნა უნდა, მუნჯი ვარ და ნერვები დაწვევტაზე მაქვს, ხო ხელავთო?“

„კომისიის დასკვნა აუცილებელიაო.“

„ღლეს ბალანდის ჯამში ბუზი ევლოო.“

„მერე რატომ არ გვაჩვენეო?“

„სახეში შემოვასხამდით, თავს ვერ შევიკავებდი, ამას მოვერიდე, მერე კი, თქვენი ამბავი რო ვიცი, კი ღლეს არ დამაყრიდითო.“

„ღამით უძილობა მაწვალებს, ღუმი-ნალი მომეცითო.“

„არა გვაქვს ღუმინალიო.“

„რატომ არა გაქვთო?“

„არა გვაქვსო.“

„აბა, მე რა ვქნაო?“

ასეთი გაუთავებელი ღაჟა და კამათი ჰქონდა მათთან. გაფითრდებოდა, თვალლებიდან ნაპერწკლები გადმოუცვივდებოდა, ხელებს და თითებს ისე ნერვიულად იქნევდა, გვეგონებოდა, იქნებ ვისმეს შემოჰკრას კიდევაცაო. ეჭიბები და ლაკერის უფროსები მოთმინებით უსმენდნენ, უყვავებდნენ, ხმას არ იმაღლებდნენ. მართლაც სხვა დრო იდგა, თორემ ადრე ამგვარი ქცევებისათვის ცხვირს ამოუნაყვადნენ, კარცერებში ამოალაზობდნენ. ადრე აღუ არც იქცეოდა თურმე აგრე.

რაკი გვარიანად გაეიწაფე ხელებით მუნჯურად ლაპარაკში, მაინცდამაინც მე ამირჩია ამგვარი საუბრებისათვის თარჯიმნად. უფროსებს მისი მუნჯურისა არა გაეგებოდათ რა, ამიტომ ამომიყენა გვერდით, თითებით მანიშნებდა თავის სათქმელს და მე რუსულად მოვახსენებდი ხოლმე ექიმებსა და უფროსებს. ხანდახან ძლიერი ვაცხარებისას გადაავიწყდებოდა ჯერ ჩემთვის რო ენიშნებინა და ხელებითა და თითებით პირდაპირ მათ მიმართავდა, ამიტომ მე ვეღარ ვარჩევდი, რას ამბობდა, ვეღარ ვუთარგმნიდი უფროსებს, ვაწინაშეაგებოდა, არ გესმის რას ვამბობო? — შემომიტყევდა, ახლა მე გამიმეორებდა სათქმელს და მერეღა გადაეცემდი მათ. ვაწამებულ ვიყავი ამ დროს. მიკვირდა, ამდენს როგორ უთმენენ-მეთქი. ვნერვიულობდი, ხანდახან ისე აჩქარდებოდა ხელების ქნევით, ვერ ვგებულობდი, ვამეორებინებდი და ამ შემთხვევაში ისე მიბრაზდებოდა, ცოტაღა აკლდა, ელენა ჩემთვის.

მერე კი, როცა გამოვეცლებოდი უფროსებს, მათ თვალს მოვეფარებოდი, გაიღიმებდა, ოქროს კბილს გამოაჩენდა და მეტყვოდა:

„შენ არ გეწყინოსო“.

„ველარ ვასწრებ-მეთქი“. — ვეტყვოდი.

„შერე რაო!“

„ნუ ჩქარობ, გარკვევით მანიშნე-მეთქი“

„მაგათ რო მშვიდად ველაპარაკოთ, აქვე ამოგვალბობენო“.

„ერთხელაც აღარ მოვითმენენ-მეთქი“.

„არაო, ის დრო წავიდაო“.

„მაგათსას რას გაიგებ-მეთქი“.

„მე სულ ციხეებში ვაგდივარ და კარგად ვიცი მაგათი ამბავი, სხვა დღეში არიან ახლა ჩავარდნილნი, ვერაფერს გაგვიბედავენო“.

მინაწერი:

1957 წელს, შინ ერთი წლის ჩამობრუნებული, მარჯანიშვილის ქუჩაზე გამომცემლობიდან მოვდიოდი. უნივერსიტეტთან ვილაცამ შემანერა, ვალოდ, შენა ხარო? შემომმახა და ოქროს კბილი შემომანათა. მაშინვე ვიცანი მუნჯი აღე. როგორა ხარო, სადა ხარო, ვე-

ლარ მოგაგენიო, შეკითხებოდა და მეხმატკბილებოდა, მეხვეოდა და, ვალოდ, ვალოდო, შეძახდა წარამარა.

გამიხარდა, რაღა თქმა უნდა, აქ რო შემომხვდა, მაგრამ ერთობ გაოცებული შევეცქეროდი, მიკვირდა, მუნჯმა ხმა როგორღა ამოიღა-მეთქი?!

მიმიხვდა და მზიარულად ჩამოკაკლა:

„არა, ბიჭო, მართლა ვრუმუნჯი კი არ ვიყავი, ჩეკისტებს ვაშაყირებდი, ვიგონებდი ვრუმუნჯობას, თორემ მაგათ ვინ გაუძლებდაო. ბევრი მაწვალეს, მაგრამ შენც ხო დაინახე, ვერაფერი მომიხერხესო. სხვა ბიჭებმა კი იცოდნენ, შენ კი ველარ გაგიმზილეო, ქურდების ჰამქრისა არ იყავი და მაინც ბოლომდე ველარ მოგენდეო. მაპატიე, იმდენი რო გაწვალე და გაჯახირეო“.

„აფერუმ შენს გაძლებას-მეთქი, რაკი შენ მუნჯი არა ვოფილხარ, და თავიც გამოვიხსნია იმათი ბრჭყალებისაგან, ჩემი წვალეზა და ჯახირი რა სახსენებელია-მეთქი“.

ამის შერე აღარაფერი ვიცი, რა გზას დაადგა აღე.

თავიშორავ შიანაგო

აფხაზეთი—საქართველო

«Абхазия — это Россия —

3. Ачба, 1992 г.

აფხაზეთში ანტიდემოკრატიული არჩევნების ჩატარების შედეგად რთული პოლიტიკური სიტუაცია შეიქმნა¹.

აფხაზეთის სუბარატიული ხელიწყოფლება დემოკრატიული პრინციპების უხეში დარღვევით, აფხაზური მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის ნების გათვალისწინების გარეშე იღებს კანონებს, გადაწყვეტილებებს, რომელნიც უგულებელყოფენ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას, ერთა შორის თანასწორუფლებიანობის პრინციპებს და ავტონომიურ რესპუბლიკაში ხელოვნურად ქმნიან ეთნოკონფლიქტური სიტუაციის პრეცედენტს. ფარულად, თუ აშკარად მიდის გამაღებული მუშაობა იმიხათვის, რომ აფხაზეთის ძირძველი ქართული მიწა-წყალი მოსწყვიტონ საქართველოს, რასაც გამოუსწორებელი შედეგი შეიძლება მოჰყვეს, თუ ამ კანონსაწინააღმდეგო ქმედების მიმართ დროზე არ იქნა რადიკალური ზომები მიღებული.

ქართველებსა და აფხაზებს არა მარტო მეზობლურ-მეგობრული ურთი-

ერთობა აკავშირებთ ერთმანეთთან, არამედ სისხლით ნათესაობაც. საუკუნეების განმავლობაში ჭირსა თუ ღზინში ენის, მამულისა და სარწმუნოების გადასარჩენად ერთად ეწეოდნენ ცხოვრების მძიმე ჭაპანს, ჩვენმა წინაპრებმა ღირსეულად მოიზადეს თავიანთი მამულიშვილური ვალი მომდევნო თაობების წინაშე, კერავითარმა ძალამ ვერ შესძლო მათი ცთუნება. საქართველო მათთვის ისეთივე საფიცარი იყო, როგორც მშობლიური აფხაზეთი და პირუკუ, ქართულ ლაშქარშიც აფხაზები ერთი პირველნი ქმნიდნენ მეწინავე რაზმს „და მშვილდოსნობით ცნობილი აფხაზი“ საარაკო გმირობას სჩადიოდა. მაგრამ ერთ საუკუნეზე მეტი ხნის წინ, როდესაც რუსეთის ძლიერმა იმპერიამ კავკასია დაიპყრო და ძალით შეიერთა, ქართველთა და აფხაზთა შორის დაიწო მამა-პაპური ტრადიციების რღვევა. აფხაზეთის ინტელიგენციის გარკვეული ნაწილი ადვილად წამოეგო იმპერიული პოლიტიკის მაცდურ ანკესზე და ჩვენი მოძმე ხალხების ურთიერთობის ისტორიაშიც პირველი შავი ლაქები გაჩნდა.

სამწუხაროა მაგრამ ფაქტია რომ იმ დროს, როდესაც რუსეთის დრომოჭმუ-

¹ ეს სტატია დაწერილია აფხაზეთის პროვინციულ ომბდე, 1992 წ.



ლი ბოლშევიკური იმპერიის ცენტრმა სამხედრო ძალების გამოყენებით ბრძოლა დაიწყო საქართველოში ეროვნულ გამათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ, რომელმაც გარკვეული სტიმული მისცა არა მარტო ყოფილ სსრკ — ში, არამედ აღმოსავლეთ ევროპის ხალხებშიც ტოტალიტარული რეჟიმის დასამხობად შემართულ მასებს, აფხაზმა სეპარატისტებმა ქართველთა ძირგამომთხრელი წერილი გაუგზავნეს XIX პარტიკონფერენციას (1988 წლის ივლისი). ამაზე პასუხი არც კქონდათ მიღებული, რომ მოსკოვში აფრინეს კიდევ ახალი ცილისმწამებლური, ქართველების მიმართ უღტიმატური მოთხოვნებით აღსავსე მეორე წერილი. ხოლო ოთხი თვის შემდეგ შეიარაღებული თავდასხმა მოაწვეეს აფხაზეთის ქართულ მოსახლეობაზე (15-16. VII. 1989 წ.), რომლისთვისაც აფხაზეთის ხელისუფლებას დღემდე არ მიუცია პოლიტიკური შეფასება.

ამგვარად, თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის მებრძოლ ქართველ ხალხს მხარში ამოდგომის ნაცვლად მომქე აფხაზეთმა მაშინ ჩასცვს ზურგში ლახვარი, როცა იგი რუსეთის მოღერანზეული იმპერიის კბილებამდე შეიარაღებული ძალების პირისპირ აღმინდა, როცა თბილისში რუსთაველის პროსპექტს 9 აპრილს დანთხეული უშანკო სისხლი ჯერ არ შემოიბოდა, ხოლო ძაძებით შემოსილი საქართველო ხასოწარკვეთას მოეცეა. ქართველი და აფხაზი ხალხების ურთიერთობის ისტორიაში ეს უპრეცედენტო შემთხვევა ყველაზე აღმაშფოთებელი და სამარცხვინო ფაქტია, რომელსაც მომავალი თაობები ალბათ შესაფერის შეფასებას მისცემენ.

ყოველივე ამას წინ უძღოდა საინფორმაციო საშუალებებით გაჩაღებული პროფ. გ. ტურჩანინოვის პუბლიკაციები და სატელევიზიო გამოსვლები იმის შესახებ თითქოს ძვ. წ. II ათასწლეულში აფხაზეთის იმპერია აზოვის ზღვიდან ანატოლიამდე (თურქეთი) და აღ-

მოსავლეთით სურამის ქედამდე იყო გადაჭიმული რომ ანბანური დამწერლობა მსოფლიოში პირველად აფხაზეთში შექმნეს და შემდეგ მათგან იგი ფინიციელებმა გადაიდესო და სხვ. ეს რომ დილექტანტს ეთქვა მაშინ იგი მსოფლიოს გამოჩენილ მეცნიერთა უარყოფით რეაქციას არ გამოიწვევდა. პროფ. გ. ტურჩანინოვმა არც იმას გაუწია ანგარიში, რომ „ოქროს საწმისის“ შესახებ არსებული თქმულების ადგილობრივი ვარიანტები დღემდე შემორჩა დასავლეთ საქართველოს ისეთ ძირძველ ქართველურ ტომებში როგორც არიან მეგრელები და სვანები. ეს არის ძვ. წ. II ათასწლეულის კოლხეთის სამეფოს დიდების გამოძახილი, რომელიც ექოსხავეთ შემორჩა ქართულ მითოლოგიას, კოლხეთის უძველესი სახელწოდებაა აია დღემდე ფიგურირებს ზანურ-სვანურ ლეოთაბათა პანთეონში, როგორც მიწათმოქმედებისა და მიწისქვეშეთის ქალ-ღვთაება. მსგავსი ფაქტები აფხაზურში არ დასტურდება. სვანეთში ნანახია 300-400 გრამიანი ოქროს ევრები. გარდა ამისა, უძველესი დროიდან დღემდე დასავლეთ საქართველოში ოქროს მოპოვებას მისდევდნენ მხოლოდ ენგურის ხეობაში. სვანეთში ოქროს მოპოვების ძველი ხალხური წესი დღესაც ძალაშია.

არც ერთი ამ ფაქტთაგანი აფხაზურ სინამდვილეში ცნობილი არ არის. მაგრამ პროფ. გ. ტურჩანინოვისა და მისი თანამზრახველებისათვის მთავარი ფაქტები როდია. მათი მიზანია ანტიქართულ იდეოლოგიურ მიმართულებას მტკიცე საფუძველი შეუქმნან. დღესაც ასეთი იდეოლოგიური სამზარეულო კვებას აფხაზურ სეპარატისტებს.

დემოკრატიული პრინციპების დარღვევით ჩატარებული აფხაზეთის უზენაესი საბჭოს არჩევნების შემდეგ ადგილობრივი მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით გაჩაღებულია ანტიქართული კამპანია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფისა და აქედან გამომდინარე აფხაზეთის ცალკე



რესპუბლიკის შექმნის მდებლობის მიზნით, რასაც ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიებზე აშკარად ადასტურებს აფხაზური მხარის დეპუტატთა პოზიცია.

ამასთან დაკავშირებით უნდა განვაცხადოთ შემდეგი: საქართველოს ძველი საზღვრები მოიცავდა ტერიტორიას „ნიკოფსიიდან (ახლანდელი სოფ. ნივო მიხაილოვსკოე, კრასნოდარის მხარე), დარუბანდამდის (ახლანდელი დერბენდი), ოსეთიდან (ჩრდილოეთი ოსეთი), არეგაწამდე (სომხეთში)“. ქართველ მეფეთა ტიტულატურა კი ასე ჟღერდა „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა“.

დღევანდელი აფხაზეთი ადრე ანტიკური ხანიდან ქართველური ტომებით იყო დასახლებული, რომლებიც საუკუნეების მანძილზე ხშირად განიცდიდნენ მტერთა შემოსევებს, რბევას აწიოკებას, თვით ფიზიკურ განადგურებამდეც კი, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა აქ არაქართული მოღვმის ტომთა დამკვიდრებისათვის. იგივე მოუღვენებს პქონდა ადგილი საქართველოს ისეთ კუთხეებში, როგორიცაა სამცხე-საათაბაგო, მესხეთ-ჯავახეთი, აჭარა, ქვემო ქართლი, კახეთის ნაწილი და სამაჩაბლო ამის გამო საქართველოს სახელმწიფო საზღვრებიც საგრძნობლად შეიკვეცა.

მონღოლ-თათართა შემოსევების შემდეგ ძლიერი და ერთიანი საქართველო შაგრენის ტყაივით დაქუცმაცდა, ზამაც ხელსაყრელი პირობები შეუქმნა ოსმალეთსა და ირანს დიდმპყრობლური გეგმების წარმატებით განხორციელებისათვის. შექმნილი მდგომარეობა მოხერხებულად გამოიყენეს ჩვენმა ზოგიერთმა მეზობელმა ხალხებმა და საქართველოს აღნიშნულ რეგიონებში მასპინძლის უპირატესი როლის შესრულება სავალდებულო მოვალეობად ჩათვალეს.

საქართველო სისხლისაგან იცლებოდა, ნადგურდებოდა და მეჩხერდებოდა. ქვეყნის ქართული მოსახლეობა, რომე-

ლიც XII-XIII საუკუნეებში, თითოთილიონს აღმატებოდა, XVIII საუკუნის ბოლოსათვის თითქმის 800 ათასამდე შემცირდა. მიუხედავად ამისა, ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში აქილევსის ქუსლი უვნებელი რჩებოდა და ზემოთ დასახლებულ კუთხეებში ქართული მოსახლეობა დღემდე შემორჩა, უფრო მეტიც, მომრავლდა, გაიზარდა, გაძლიერდა, რაც თვითმარქვეა მასპინძელთა გაბოროტებას იწყევს.

აფხაზეთი, რომ ძირძველი ქართული მიწაწყალია, ამაზე მეტყველებს ოთხი უმთავრესი ფაქტორი.

ა) აფხაზეთის ძველი ტოპონიმიკა ძირითადად ქართულია (უპირველესად ზანურ-სვანური);

ბ) აფხაზეთში არ არსებობს არც ერთი არაქართული ქრისტიანული მატერიალური კულტურის ძეგლი;

გ) აფხაზი ეროვნების დაახლოებით 80% ქართულ ვეარებს ატარებს;

დ) ანთროპოლოგიური მონაცემების მიხედვით აფხაზები ქართული ანთროპოლოგიური ტიპების ვარიაციების ფარგლებში თავსდებიან და ამდენად უპირისპირდებიან ენობრივად მათ მონათესავე ადიღურ ჯგუფს. სახელწოდება „აფხაზი“ მომდინარეობს „ბასყ-ბასხ-აბასხ-აფხაზ“ ქართული სიტყვისაგან, რომელიც ძველ ბერძნულში დამკვიდრდა ფორმით „აბაზგ“. სლავურ ენებში მან ტრანსფორმაცია განიცადა და „ობ-ეზის“ ფორმა მიიღო. რუსებისაგან ეს-ესხეს იგი დასავლეთ ევროპის ხალხებმაც, ხოლო ჩრდილოეთ კავკასიელმა ყარაჩაი-ბალყარელებმა იგი „ეპზე“-ს სახით დღემდე შემოინახეს სვანების სატომო სახელად.

ამგვარად, ფონეტიკური და შინაარსობრივი თვალსაზრისით „აფხაზი“ და „აფსუა“ სხვადასხვა ცნებებია და ერთმანეთთან არაფერი აქვთ საერთო. აფხაზებმა სხვებზე უკეთ იციან საკუთარი ვინაობა და ისიც, თუ რატომ ზმარობენ თავიანთ სატომო სახელად აფსუას და არა აფხაზს. აფხაზები მათ ეწოდებათ XV-XVI საუკუნეებიდან, როცა

აფხაზეთის ქართული მოსახლეობა კარგავს პოლიტიკური პეგემონობის პრიორიტეტს და მის ნაცვლად აქ აღიღურ-ჩერქეზული ეთნიკური ელემენტი იწყებს მოძღვარებას, რომელმაც XVII საუკუნის ბოლოსათვის ენგურამდე შესძლო ტერიტორიის დაპყრობა (ი. ანთელავა. ზ. ანნაბაძე, ქსე, ტ. 2, გვ. 31.) ამ ფაქტს რუსიფიკატორული პოლიტიკის ზოგიერთი შესვეურიც აღიარებდა, მიუხედავად იმისა, რომ იგი ეწინააღმდეგებოდა მათ იდეოლოგიურ მიზანდასახულ გეგმებს, იმდენად, რამდენადაც საქართველო და ქართველები აფხაზეთის დამპყრობლად გამოჰყავლდა. ა. დიანკოვ-ტარასოვს ეს სწავარი გადაულახავს და წერს: «Абхазцы не всегда обитали там, где теперь живут, а предания их и многие исторические данные и обычаи их указывают, что они пришли с севера и потеснили картвельские племена, пока не остановились у Ингури» (А. Н. Дьяков-Тарасов. Бзыбская Абхазия, ИКО-ИРГО, XVIII, Тиф., 1905, с. 65). აფხაზეთში აფხუებს გულისხმობს

ევროპელი მისიონერი ჯოჰანი ჯუღიანი და ლუკა 1630 წელს აფხაზეთში ჩამოვიდა. იგი წერს, რომ „აბაცს ტომი თავს „აბსნეს“ რომ უწოდებს, ჩრდილო კავკასიიდან ჩამოვიდა“. ამ კონტექსტში „აბაცა“ ნიშნავს აფხაზს, ხოლო „აბსნე“ — აფსუას. ეს ერთ-ერთი პირველი ცნობაა იმის შესახებ, რომ აფხაზები თავს აფსუას უწოდებენ. მეზობელი ხალხებისათვის აფხაზებად ხდებიან ცნობილი, რამეთუ ისინი განსახლებული არიან აფხაზეთის ტერიტორიის გარკვეულ ნაწილში

რუსეთის ისტორიის მამად წოდებული ვ. ტატიშჩევი (1686—1750) ეტყობა ამ საკითხთან დაკავშირებით ინფორმირებული იყო და ამიტომაც წერს: «Паче же мною, часть Мингрелии северная, которую турки и кабардинцы именуют авхазос, наши древние именовали обезн. Нине оной большою часть кубанцы населяют» (В. Н. Татищев, История

Российская, т. II, М., 1763, с. 68). უპირველესია გეოგრაფიული ცნება „აფხაზეთი“, მეორეულია აქიდან გამომდინარე ეთნონიმი „აფხაზი“, რაც წარსულში „ქართველის“ სინონიმი იყო.

ჯერ კიდევ XVII—XVIII საუკუნეებში აფხუები დღევანდელ აფხაზეთის ტერიტორიას ექცევიან, როგორც დამპყრობლები. მაშინაც კი, როცა მათ დამარებისათვის სამეგრელოს მთავარი მიმართავდა, სარგებლობდნენ შემთხვევით და გზადაგზა მტაცებლობას ეწეოდნენ. აი; რას წერს ამასთან დაკავშირებით ცნობილი ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი (1643—1713 წ. წ.): „აფხაზები რომლებიც სამეგრელოს მთავარმა მიიწვია თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლაში დამხმარედ, არბევენ და სწავავენ ყველაფერს, იტაცებენ ხალხს და პირუტყვს... აფხაზების თარეშმა და თავდასხმებმა გზები... სახიფათოდ აქციეს“ და სხვ. (ჟან შარდენის მოგზაურობა, თბ. 1975, გვ. 210).

საკმაოდ მდიდარი მასალა არსებობს გვიან შუა საუკუნეებში ჩრდილოეთ კავკასიიდან დღევანდელ აფხაზეთის ტერიტორიაზე მთიელთა ჩამოწოლის შესახებ. ისინი სახლდებოდნენ აფხაზეთში, სადაც X საუკუნის სომეხი ავტორის, უზტენაისის ცნობით, ცხოვრობდნენ ივერიელები, ანუ ქართველები (უზტენაისი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, თბ., 1975, გვ. 67), ხოლო მეორე სომეხი მემატიანეს (XIII ს.). ვარდან მოძღვარის ცნობით, „აფხაზთა მეფენი ვახტანგ გორგასალის ნაშიერნი არიან“ (ვარდან ვარდაპეტის ისტორიის კრებული, ვენედაკი, 1862 წ. გვ. 21—92. სომხურ ენაზე).

არაერთი ასეთი ფაქტის დამოწმება შეიძლება, რომელიც ნიადაგს გამოაცლის ზოგიერთი აფხაზმცოდნის გამოცემებზე დამყარებულ მტკიცებებს. თუმცა გადმოცემებს გადმოცემებითვე შეიძლება უუპასუხოთ. ასე მაგალითად, მკვლევარ ხ. ბასარიას 145 წლის მაჟავე აღლებასაგან ჩაუწერია გადმოცე-

ბა იმის შესახებ, რომ აფხაზთა წინაპრები ყარაჩაიდან გადმოსახლებულან მაშინ, როცა აფხაზეთის მოსახლეობის დაცარიელება გაუვიათ (ს. ბასარია, „Труды АБГМ“ 1934. გვ. 108). ყარაჩაი ყუბანის სათავეებშია. საყურადღებოა, რომ ვ. ტატიშჩევის ცნობის მიხედვითაც აფხაზეთში ხდება ყუბანელების ნასახლება (იხ. ზემოთ). ყუბანის სათავეებში დღემდე ცხოვრობენ აფხაზთა მონათესავე აბაზინელები (აბაზები). არაერთი ანალოგიური შინაარსის მქონე გადმოცემების დამოწმება შეიძლება, მაგრამ ვფიქრობთ საილუსტრაციოდ ესეც საკმარისია.

აფხაზეთში ნაღდი აფსურული გვარის ბატარბელთა რიცხვი 20 პროცენტსაც ვერ აღწევს. თითოეულ ამ გვართა შესახებ არსებობს საინტერესო გადმოცემები, რომელიც მათ წარმომადელობას და ვინაობაზე მიგვანიშნებს. ასე, რომ არც ისე ძნელია იმის დადგენა, თუ ვინ არის დამპყრობი და ვინ კიდევ დაპყრობილი.

მაგრამ აფხაზებს დღეს სხვა საშობლო არ გააჩნიათ, ამასთანავე ქართველები და აფხაზები საუკუნეების განმავლობაში ისე არიან ერთმანეთში საფასური ძაფებით გადანასკული, რომ აწი მათი გაყოფა ერთ რესპუბლიკაში ირი რესპუბლიკის შექმნის მიზნით, მიუღებელია და ეწინააღმდეგება ორივე მხარის სასიცოცხლო ინტერესებს. ეს კარგად მოეხსენებათ აბაზური წარმოშობის ჩრდილო კავკასიელ აფხაზებს, ანუ ე. წ. აფსუებს, რომლებიც ლაპარაკობენ აბაზურ ენაზე. აბაზებმა ავტონომიაც კი ვერ შექმნეს ჩრდილოეთ კავკასიაში, ხადაც ისინი არიან მიმოფანტულნი, რაც მათ მომთაბარულ ცხოვრებასთანაა დაკავშირებული. აფხაზეთში კი სახელმწიფოს შექმნა მოიხერხეს.

აფხაზეთის სამეფოს (VIII-X სს.) ტერიტორია მოიცავდა მთელ დასავლეთ საქართველოს, ხოლო მისი მოსახლეო-

ბის აბსოლუტური უმრავლესობა ქართველები შეადგენდნენ; ეთნიკური უმცირესობანი საქართველოში თითქმის ვოველთვის ცხოვრობდნენ.

IX ს.-დან „აფხაზეთის სამეფოს საერო და სასულიერო ენა იყო ქართული. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრამდე არც ერთი საბუთი აფსურ ენაზე არ გაგვჩნია; „აფხაზეთი“ VIII-X სს. გულისხმობდა მთელ დასავლეთ საქართველოს, რომლის დედაქალაქი იყო ქუთაისი.

აფხაზეთის ეკონომიკის ქვაკუთხედს ქართული მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის შრომის ნაყოფი წარმოადგენდა.

„აფხაზეთის“ სამეფოს კულტურა საერთო ქართული კულტურის განუყოფელი ნაწილია, რამეთუ დასავლეთ საქართველოს (ყოფილი „აფხაზეთის“ სამეფოს) თუნდაც მატერიალური კულტურის ძეგლები (მათ შორის სვანური კოშკები) აფსურ სამშენებლო ხელოვნების ნიმუშებად ვერ ჩაითვლება. XIX საუკუნის დასაწყისშიაც კი, არამც თუ აფხაზეთის, სოჭის ოლქის მოსახლეობის უმრავლესობას ქართველები წარმოადგენენ. «Сочинский округ 2300 кв. м. 13,5 тыс. жит. преимущественно менгрельцев» (Настольная иллюстрированная энциклопедия, С.-Петербург, 1907, т. 2826).

თვით ადგილის ქართული სახელწოდებაც „სოჭი“ ამას ადასტურებს.

რუსიფიკატორული პოლიტიკის ერთ-ერთი მიზანი იყო აფხაზთა მრუდე ხარკში წარმოჩენა. მათ ზურგს უკან ასეთი მუშაობა მიდიოდა. ამის საილუსტრაციოდ გამოდგებოდა რუსი საშხედრო ისტორიკოსის აკად. ნ. დუბროვინის (1837-1904) შემდეგი ცნობა «Абхазец вообще груб и невежественен, в нем нет стойкости и твердости характера, он непостоянен, не смел и даже робок, вероломен, осторожен и всегда покорен перед сильнейшим» (Н. Дубровин. Соч., т. I, 1871, с 39). ამ დროინდელი აფხაზთა უმრავლესობა ჩრდილო კავკასიურ ყიადაზე იყვნენ გადასულნი.

მოწინავე ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები საკადრის პასუხს აძლევდნენ მოძმეთა განქიქებისათვის ცარიზმის პროვოკატორ ვაიმეცნიერებს: „აფხაზი მჭკვერმეტყველია. ორატორია; ის იწყებს ლაპარაკს დინჯად, თანდათან ხმას უმატებს, სიტყვა სიტყვას მისდევს ტალღასავით; კეუხს, კეუხს, სეკეს, თვალები ბრწყინავენ, ტანი ირბევა, ხელები ხმას მისდევენ; სასიამოვნო სასმენია და სანახაურო, როდესაც აფხაზი ლაპარაკობს, მჭკვერმეტყველებს“. ამ სიტყვების ავტორია ი. ვომარტელი (ვაზ. „ალიონი“, 17. XI. 1917). ვფიქრობთ, კომენტარი ზედმეტია. ისედაც ნათელია, რომ პირველ შეფასებაში აფხაზისადმი სიძულვილი გამოსჭვივის, მეორეში კი სიყვარული და პატივისცემა. ნ. დუბროვინი იმ რეაქციულ წრეს ეკუთვნოდა, რომელშიაც შედიოდნენ ი. ვოსტოროვი, ნ. ვორონოვი და სხვ. ეს უკანასკნელი 1907 წელს წერს 35 გვერდიან წიგნაკს „აფხაზეთი — საქართველო არ არის“. რეაქციონერის მიზანია ქართველთა და აფხაზთა შორის შუღლისა და მტრობის ჩამოგდება, რომ მასზე ცარიზმს ხელი მოეთბო. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს იგივე იდეას ემსახურება ნ. ვორონოვის პირდაპირი შთამომავალი, როგორც გენეტიკური ხაზით, ასევე იდეოლოგიური მიმართულებით, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს დეპუტატი ი. ვორონოვი, რომელსაც ლომის წილი მოუძღვის ქართველთა და აფხაზთა შორის დესტაბილიზაციის გაღრმავების საქმეში. ცხადია, რომ მისი ასეთი მოღვაწეობა დესტრუქციული ძალების მხარდაჭერით სარგებლობს.

თვით ის იღუბია, რომ აფხუებს მრავალსაუკუნოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობის ტრადიცია გააჩნიათ, რომ აფხაზეთი საქართველო არ არის — ველაკორუსული, ვორონოვისეული რეაქციული იდეოლოგიის გადმონაშთია.

გამომდინარე ზემოთ თქმულიდან, მაღალი რანგის პოლიტიკოსთა, თუ და-

ბალი რანგის მკვლევარ-ისტორიკოსთა ქადაგებას იმის შესახებ, თითქოს აფხუებს დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობის 1200 ან 2000 წლის ტრადიცია ჰქონდეთ — მტკნარი სიცრუეა. თვით ქართველებს დამოუკიდებელი სახელმწიფო ჰქონდათ მხოლოდ 1121-1222 წლებში, ე. ი. ერთი საუკუნის განმავლობაში. ამას საქართველოს ისტორიაში „ოქროს ხანა“ ეწოდება. დანარჩენ დროს ქართველ ხალხს სახელმწიფოებრიობა გააჩნდა მაგრამ იგი დამოუკიდებელი ხანგრძლივი დროის განმავლობაში არასდროს ყოფილა. აფხაზეთი კი ოდითგანვე საქართველოს სისხლხორცეული ნაწილი იყო თავისი მოსახლეობით, ენით, კულტურითა და სოციალურ-ეკონომიკური ფუნქციებით. მაშინაც კი როცა XV-XVI საუკუნეებიდან აფხაზეთის სამთავროს აფსუური (თუ გააფსუებული) ელიტა ედგა სათავეში, იგი მტკიცედ იდგა ქართული ორიენტაციის ნიადაგზე. ასეთი კურსი აფხაზეთის ხელისუფლებამ მიმდინარე საუკუნის 50-იან წლებამდე შეინარჩუნა. ამის შესახებ უამრავი ფაქტობრივი მასალის დამოწმება შეიძლება.

აფხუები მეტყველებენ აბაზინურ ენაზე, აბაზინები კი ადიღურ-ჩერქეზულ ენათა ჯგუფს განეკუთვნებიან. აფხუების გარდა ყველა ეს ხალხები ჩრდილოეთ კავკასიაში ცხოვრობენ, ხადაც მათ შექმნეს უძველესი მაიკოპური კულტურა.

რამდენადაც „აფხილ“ ტერმინს არაფერი აქვს საერთო „აფხაზ“ ეთნონიმთან, იმდენად აფსუური ენის ძველ აფხაზურ ენასთან იდენტურობის საკითხი წარმოუდგენელია, რამეთუ ისინი სხვადასხვა ეთნიკურ ერთეულებს ეკუთვნიან.

ამდენად „აფხაზური ენა“ პირობითი და აბსტრაქტული ცნებაა. უფრო სწორია აფსუური, ან აბაზური ენა, საუკუნეების განმავლობაში აფხუების ქართულ ეთნიკურ სამყაროში ცხოვრებამ შეგავლენა მოახდინა მათი ანთროპოლოგიური ტიპის ფორმირებაზეც, ამი-

ტომაც გამოჩენილი რუსი ანთროპოლოგი, აკად. ვ. ალექსეევი ამასთან დაკავშირებით წერს:

«Антропологические данные как будто свидетельствуют об исторических связях абхазов в большой мере с грузинским миром, чем адыгским. Вхождение абхазов в состав народов адыгской семьи осуществилось поздно и во всяком случае представляет собой вторичное явление в их этнической истории» (В. П. Алексеев, Происхождение народов Кавказа, М., 1974, с. 194). ამგვარად, აფხუები აფხაზებად ითვლებიან იმდენად, რამდენადაც მათი ფორმირება მოხდა ადგილობრივი ქართულ ეთნოსუსტრატის ნიადაგზე.

თვით სახელწოდება „აფხუა“ უნდა მომდინარეობდეს „აფხილ“ ტერმინიდან. აფხილები ანტიკურ ხანაში წებელდის ქვემოთ, სოხუმსა და კოდორს შორის ცხოვრობდნენ. მეცნიერებაში დღესაც არ არის დადგენილი, თუ რა ენაზე მეტყველებდნენ აფხილები, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ეგრის-აფხაზეთის სამეფოს შექმნის (VIII ს.) შემდეგ ისინი ამ ქართული პოლიტიკური გაერთიანების შემაღვენელ ნაწილად იქცნენ. ეგრის-აფხაზეთის სამეფოს ცენტრი გახდა ქუთაისი. ეს სამეფო აერთიანებდა მთელ დასავლეთ საქართველოს. ამიერიდან აფხაზეთში უფრო ხაერძობა ხდება ქართული კულტურის აღორძინება. ეგრის-აფხაზეთის სამეფო X საუკუნეში საქართველოს გაერთიანების ცენტრად იქცევა, ამიტომაც ამიერიდან საქართველო დასავლეთის ხალხებისათვის ობეზთა (აფხაზთა) ქვეყნის ასოციაციას იწვევს.

როგორც აღენიშნეთ, აფხუების ეთნოკური ფორმირების პროცესი საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა ქართულ ეთნიკურ ნიადაგზე, რაზედაც ამკარად მეტყველებენ ანთროპოლოგური მონაცემებისა და გვარ-სახელების ქართული ფესვებიდან მომდინარეობა, რის უარყოფაც შეუძლებელია. მამასადამე, ქართველები და აფხაზები კავკასიაში ერთმანეთის ყველაზე უახლოესი და მო-

ნათესავე ხალხებია და მათი ურთიერთ დაპირისპირება და გათიშვა პროოკაციული პოლიტიკის ნაყოფია, რომელიც დესტრუქციული ძალების წისკვილზე ასხამს წყალს. დესტრუქციულ ძალებს წარმართავენ იმ სახელმწიფოთა მესვეურები, რომელთაც საქართველოს შავ ზღვაზე უჭირავთ თვალი, ქართველთა და აფხაზთა ბედი კი ღობის ჩხირადაც არ უღირთ.

ქართველთა და აფხაზთა წინაპრებმა ყველაფერი ეს შესანიშნავად იცოდნენ, ამიტომაც ურთიერთობის ძმობისა და მეგობრობის ტრადიციებს თვალისჩინივით უფროხილდებოდნენ, მაგრამ XIX საუკუნეში, როდესაც რუსეთის დიდმპყრობელებმა იმპერიამ ფართოდ გაშალა ფრთები და თავის ორთავიანი არწივის კლანჭებში მოაქცია მთელი კავკასია, იწყება აფხაზი „ეროვნების“ ინტელიგენციის მოწამლვა ქართველების წინააღმდეგ, იმ მოტივით, რომ დამპყრობლები რუსები კი არა, ქართველები არიანო და ამით ცარიზმი თავის მზაკვრულ მიზნებს წარმატებით ახორციელებდა. აფხაზებს თან აიძულებდნენ, აყრილიყვნენ და თურქეთში გადასახლებულიყვნენ, რათა მათ მიწა-წყალს თვითონ დაუფლებოდნენ, თან მათდამი თითქოს დიდ მზრუნველობას იჩენდნენ — უხსნიდნენ რუსულ სკოლებს, ასწავლიდნენ რუსულ წერა-კითხვას. ღვთის მსახურებსაც რუსულს უქვემდებარებდნენ და სხვ. მაღალ წრეებში ასეთ მაკდურ პოლიტიკურ კურსს, რომელიც „გათიშე და იბატონეს“ პრინციპით ხორციელდებოდა, იქედნური დამილით ასკვნიდნენ.

რუსიფიკატორული პოლიტიკიდან გამომდინარე, აფხაზ ხალხს ქართველებს უპირისპირებდნენ, მაგრამ მათი გაბრძევა არც ისე ადვილი იყო. რამეთუ აფხაზებს ვერ წარმოედგინათ საქართველოსაგან გამოყოფა. იმპერიის სატანურმა ძალამ მაინც შესძლო აფხაზი ინტელიგენციის გარკვეულ ნაწილში სეპარატიზმის თესლი გაეღვივებინა, რომ-



ლის ნაყოფსაც დღეს ძალიან მწარე სუნია უდის.

ჩვენ ღრმად გვწამს, რომ აფხაზი მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას არავითარი სურვილი არა აქვს ქართველ ერს დაუპირისპირდეს. მისი ინტერესების წინააღმდეგ იბრძოლოს და ორ მონათესავე ხალხებს შორის მამა-პაპური, მეგობრულ-მეზობლური ცხოვრება არ აწყობდეს. ჯერ ცარიზმის, ხოლო შემდეგ ბოლშევიკური იმპერიის ფაზადღებული იდეოლოგიის დარტყმის შედეგად აფხაზეთის ქართველობა კოლონიური რეჟიმის ორმაგ მარწუხებში მოექცა.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე აფხაზეთის ქართველობა, როგორც საქართველოს სსრ, ისე აფხაზეთის ასსრ ხელისუფლების მიერ უყურადღებოდ იყო მიტოვებული: უფრო მეტიც, ეს უკანასკნელი ფარულად, თუ ამკარად ლახავდა აფხაზეთის ქართველთა პოლიტიკურ, იურიდიულ, თუ მოქალაქეობრივ უფლებებს. უხეშად ირღვეოდა ეროვნებათშორის თანასწორუფლებიანობისა და დემოკრატიულობის პრინციპები. ამის საილუსტრაციოდ გამოდგებოდა თუნდაც ის ფაქტი რომ აფხაზეთის ასსრ 12 მინისტრიდან 8 აფხაზი ეროვნების იყო, 3 ქართველი; 15 სახალხო დეპუტატიდან 8 აფხაზი იყო, 5 ქართველი; საოლქო კომიტეტის 119 წევრიდან 52 აფხაზი იყო, 49 ქართველი; საოლქო კომიტეტის 7 განყოფილებიდან 5-ის გამგე აფხაზი იყო, 2-ის ქართველი; 8 სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პოსტიდან 5 აფხაზს ეკავა, 3 ქართველს. თითქმის ყველა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე აფხაზი იყო დანიშნული და ა. შ. მაშინ, როდესაც აფხაზები მოსახლეობის მხოლოდ 17,8 პროცენტს შეადგენდნენ, ხოლო ქართველები — 45,7 პროცენტს (1989 წლის მონაცემები).

მეგრამ რაც იყო, იყო, აფხაზეთის ქართველობა ყოველგვარი უსამართლობის მიმართ მიმტყვებელი აღმოჩნდა

და ღირსეულად ჭირთა თქმნა ამჟამინის მოძმე ხალხის მიმართ უღირს საქციელს.

ღრო შეიცვალა, ბოლშევიკური იმპერია დაიშალა, დემოკრატიისა და სუვერენული უფლებების ხანა დაგვიდგა, სისხლის ფასად მოვიპოვეთ დამოუკიდებლობა, მაგრამ აფხაზეთის ქართველების მიმართ სამწუხაროდ არაფერი შეიცვალა. პირუკუ, აფხაზეთის უზენაესი ხელისუფლება ცდილობს მოსწყვიტოს იგი საერთო ქართულ ფესვებს, ძარღვები გადაუჭრას ყველა სახელმწიფო სტრუქტურას საქართველოს ხელისუფლებასთან და შემდეგ თავისი უზურპატორული ქმედებით ჩიხში მოამწყვდიოს აფხაზეთის ქართველობა, პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით უკვე გადაიდგა. ეს მოხდა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს არჩევნების დროს, რომელიც დემოკრატიის პრინციპების უხეში დარღვევით ჩატარდა კრძოლად, აფხაზური მოსახლეობის 17,8 პროცენტმა უზენაეს საბჭოში 28 ადგილი მიიღო, ხოლო ქართული მოსახლეობის 45,7 პროცენტს მხოლოდ 26 დეპუტატის ადგილი არგუნეს.

ცხადია ქართული მხარე აქაც შეგნებულად წავიდა დამოძაბზე მოძმე აფხაზი ხალხისადმი პატივისცემისა და კეთილი ნების გამოხატვის მიზნით. მაგრამ პასუხად ამ პუმანური აქტისა, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს აფხაზი ეროვნების დეპუტატთა კორპუსი რატომღაც ცდილობს ასეთივე არადემოკრატიული გზით გადაწყვიტოს ყველა საკითხი, რამეთუ აფხაზეთის რუსულენოვანი მოსახლეობის წარმომადგენელთა 11 დეპუტატიდან ვარკვეული ნაწილი გამარჯვების შანსის მქონე დეპუტატთა კორპუსის მხარეზე იხრება. აქედან გამომდინარე, ცხადია, თუ რა გამოუვალ მდგომარეობაში ვარდება ქართველ დეპუტატთა უმრავლესობა.

ჩვენს შემფოთებას იწვევს ისიც, რომ ამ უკანასკნელ ხანს ზშირად გაისმის მოწოდებები პრესასა თუ რადიოში, იმის შესახებ, თითქოს საჭიროა



გეროს წინაშე დაისევას საკითხი საქართველოს მიერ აფხაზეთის ანექსირების სტატუსის შესახებ რომ შემდეგ „ოკუპანტთა“ გაძევების იურიდიული საფუძველი არსებობდეს.

აფხაზეთის რადიო, ტელევიზია და რუსულენოვანი გაზეთები სისტემატურად ეწვეიან ანტიქართულ აგიტაციას, აფხაზეთის ასაღებენ როგორც რესპუბლიკას, რაზედაც მიგვანიშნებს თვით რუსულენოვანი გაზეთის სახელწოდება „რესპუბლიკა აბხაზია“. ეს გაზეთი აფხაზეთის უზენაესი საბჭოს ორგანოა, აფხაზეთის ქართველებისათვის არ არსებობს არც რუსულენოვანი რადიოს ტრიბუნა, არც ტელევიზია, არც გაზეთი. სოხუმში გამოშავალი 4 რუსულენოვანი გაზეთიდან არც ერთი ქართულ მხარეს არ ეკუთვნის. მათი რედაქტორებიც აფხაზი ეროვნების წარმომადგენლები არიან. ამდენად, აფხაზეთის ქართველები მოკლებული არიან რუსულენოვანი მოსახლეობის საყურადღებოდ თავიანთი კრიტიკული შენიშვნები გამოთქვან ანტიქართული კამპანიის წინააღმდეგ.

შეშფოთებას იწვევს ისიც, რომ მრავალეროვან აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩამოაყალიბეს მხოლოდ აფხაზი ეროვნებისაგან შემდგარი სამხედრო ფორმირებანი, რაც აშკარად და დაუფარავად ეწინააღმდეგება ერთა შორის თანასწორუფლებიანობისა და დემოკრატიულობის პრინციპებს და შიშის შანტაჟს იწვევს არააფხაზურ მოსახლეობაში. როგორ მოვიქცეთ ამ შემთხვევაში ქართველები? ცალკე ჩამოვყალიბოთ ჩვენი სამხედრო ფორმირებანი? მერედა რა შედეგს მოგვიტანს ეს?

ან როგორ უნდა ავხსნათ ის ფაქტი, რომ აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს კულტურის, მეცნიერებისა და განათლების კომისიის თავმჯდომარისა და ორი ქვეკომისიის თავმჯდომარეებიდან არც ერთი არ არის ქართველი, რომ ამ სამთავან ორი აფხაზია და ერთი რუსი.

ყოველივე ამის შემდეგ, რომელ დემოკრატიული პრინციპების დაცვისა და თანასწორუფლებიანობაზე შეიძლება ლაპარაკი?

ამ ბოლო ხანებში აფხაზეთის შემოქმედებით წრებში დაიწყო გამაღებული ფაცი-ფუცი იმისათვის, რომ ახალი დროშა გამოიგონონ. ამ მიზნით არ თაკილობენ დაესხეზონ მუსულმანურ სამყაროს, ევროპის ქვეყნებსა თუ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს. ეს ფაქტი გაოცებას იწვევს იმიტომაც, რომ აფხაზებს გააჩნიათ თავიანთი ისტორიული სატომო დროშა, რომელზედაც გამოსახულია თხა და სამი ნახევარმთვარე. სხვა საქმეა, როცა ოსმალები აქ თავის დროზე საკუთარ დროშებს აფრიალებდნენ, ან ვენეციელი თუ გენუელი ვაჭრები კიდე თავიანთი აღმებთ გამოდიოდნენ საუაჭრო ფაქტორებში. იგივე შეიძლება ითქვას კავკასიის მთიელებზე. საკითხავია, რატომ გახდა აფხაზური დროშა სხვა ხალხებში საქმეარი? რატომ უარყოფენ საკუთარ ისტორიულ სატომო დროშას? იგი არც შემოთავაზებულ ვარიანტში არ ფიგურირებს (იხ. M. Хотелашвили — Инал-Ипа, Знамена Абхазии прошлых веков, Газ. «Республика Абхазия», II, III, 92 გ.). ეს ხომ ისვე ისტორიული სინამდვილის ფალსიფიკაცია?

საქართველოს ისტორიამ ყველა კუთხის დროშა და სიმბოლიკა შემოგვინახა, მათ შორის აფხაზების, მეგრელების (დროშაზე გამოსახულია ტახტი, ზოზობი და ვარსკვლავები), სვანების (ლომის გამოსახულება) და ა. შ. ხალხს, რომელსაც XX საუკუნის დასასრულს საკუთარი დროშა საქმეარი გახდომია, მრავალნაირ ეჭვს ბადებს.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, საჭიროა შეწყდეს აფხაზეთის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მცდელობა უხეშად დაარღვიოს საქართველოს რესპუბლიკისა და აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციების მთელი რიგი მუხლები, რათა დააკანონოს ეროვნული განსაკუთრებუ-



ლობის პრინციპი, მაქსიმალურად შეზღუდოს ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საქართველოს რესპუბლიკის კანონების მოქმედება და ამით ნადავგა შეამზადოს საქართველოსაგან აფხაზეთის მოწყვეტისათვის.

დაუყოვნებლივ შეწყდეს ანტიქართული კამპანია აფხაზეთის რადიოში, ტელევიზიასა და პრესაში, ხაერთოდ ბოლო მოეღოს აფხაზეთის ქართული მოსახლეობის დისკრიმინაციას, ქართველ თანამდებობის პირთა, თუ დეპუტატთა დისკრედიტაციის მცდელობას.

აფხაზეთის რადიოში, ტელევიზიასა და რუსულენოვან პრესაში თანაბარი უფლებებით აღიჭურვოს ქართული მხარე რუსულენოვანი გაზეთების რედაქტორებისა და რედაქციების წევრთა შტატები თანაბარი რაოდენობით განაწილდეს. გაუქმდეს ქართულ კრიტიკულ აზრზე მკაცრი ცენზურა და ვეტოს უზურბატორული უფლებები; საკადრო პოლიტიკის გატარებისას დაცული იქნეს დემოკრატიისა და ეროვნებათა შორის თანასწორუფლებიანობის პრინციპები.

აფხაზეთში გამაღლებით მიმდინარეობს ფარული პრივატიზაციის პროცესი. ამ სფეროშიც თანასწორუფლებიანობის პრინციპების დარღვევა საჯაროდ იქნება მხილებული;

დემოკრატიული პრინციპების დარღვევად მიგვაჩნია ისიც, რომ საოლქო კომისია ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რათა საკითხი ყოველთვის ტენდენციურად გადაიჭრას აფხაზური მხარის სასარგებლოდ: აფხაზეთის უზენაესი საბჭოს სესიები ყოველგვარი „ქირურგიული ჩარევის“ გარეშე პირდაპირ ეთერში იქნეს გაშვებული.

ამჟამად აფხაზეთში, აფხაზთა სეპარატისტული მოძრაობის შედეგად შეიქმნა ცივილიზებული სამყაროსათვის ყოველად შეუფერებელი სიტუაცია, როდესაც აფხაზეთის ძირძველი, აბორიგენი ქართული მოსახლეობა სამართლებრივად დაუცველი აღმოჩნდა, რამეთუ აფხაზეთის ხელისუფლების საქმიანობის

შედეგად აფხაზეთი ძირითადად გამოსულია საქართველოს იურისდიქციიდან, ხოლო აფხაზეთის ხელისუფლება სინამდვილეში წარმოადგენს მხოლოდ „აფხაზების“ (აფხუების) ინტერესების დამცველ ხელისუფლებას.

ამრიგად, აფხაზეთის ქართული მოსახლეობა გაყვანილია აფხაზეთის იურისდიქციიდანაც. ეს იქიდანაც ჩანს, რომ აფხაზეთის უზენაეს საბჭოში დაიწყო პარლამენტური კრიზისი, კერძოდ, ქართულმა დეპუტატებმა ვერ აიტანა მისი ერის ღირსების დამამცირებელი მოქმედება აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ჯ. არძინბას მხრიდან და დატოვა სესია, რითაც აფხაზეთის მოსახლეობა ფაქტურად გაყვანილი იქნა აფხაზეთის იურისდიქციიდან, რაც შეიძლება საფუძვლად დაედოს ქართველთა ახალ გენოციდს (მსგავსად 1989 წლის 15-16 ივლისისა).

აი, ასე აღმოჩნდა აფხაზეთის ქართველობა პოლიტიკურად უფლებაყრდილი იმაზე მეტად, ვიდრე ეს იყო კომუნისტური რეჟიმის დროს. ყოველივე ეს შედეგია იმ ანტიდემოკრატიული, ქართველების მიმართ ამჟამად დისკრიმინაციული საარჩევნო კანონისა, რომელმაც დაამკვიდრა ქართველთა მიმართ შეუნიღბავი აპარტიდო და სეგრეგაცია. ყოველივე ეს ძირფესვიანად ცვლის პოლიტიკურ სიტუაციას აფხაზეთში, რომელსაც შეუძლია კონფრონტაციის ახალი ტალღა ააგროოს ქართველებსა და აფხაზებს შორის, აქედან გამომდინარე გაუთვალისწინებელი შედეგებით.

მხოლოდ ქართველთა ქრისტიანული შემწყნარებლობა და მიმტეველობა დღემდე გამოდიოდა ამ ერთა შორის სტაბილიზაციის ფაქტორად. მაგრამ ისე როგორც ყოველივეს, ქართველთა მოთმინებასაც აქვს საზღვარი და ამის მიუხედავად ერთხელ და უკანასკნელად კიდევ ვღვათ შემხვედრ ნაბიჯს დამაბულობის შესანელებლად, ამ მომხერებს შორის მშვიდობის და მეგობრობის აღდგენის მიზნით.

წევ გვეჯერა, რომ ჯერ კიდევ შეიმ-
ლება მდგომარეობის ხსნა ყოველგვარ
მმართველობის პარალელური
სტრუქტურის შექმნის გარეშე, თუ შე-
რულდება ქართული ხალხისათვის
სარსებო მნიშვნელობის მქონე შემდე-
გი მოთხოვნები:

- დაუყოვნებლივ დათხოვილ იქნას
პარლამენტი და მიმდინარე წლის სექ-
ტემბერ-ოქტომბერში ჩატარებულ იქნ-
ას პარლამენტის ახალი, ნამდვილი დე-
მორკრატიული არჩევნები, რაც განზო-
რცელდება პროპორციულობის წარდგე-
ნის პრინციპისა და ერთიანი კვოტის
საფუძველზე;

- აფხაზეთის ქართველობა საჯაროდ
უარყოფს აფხაზეთის ავტონომიური
რესპუბლიკის კავკასიის მთიელ ხალხთა
კონფედერაციაში შესვლის იდეას, რა-
მეთუ ეს ეწინააღმდეგება რესპუბლიკის
მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლეს-
ობის (90 პროცენტის) სასიცოცხლო
ანტირუსებს, რომლებიც მართლმადი-
ებულ ქრისტიანულ სარწმუნოებას
ადიარებენ;

- ასევე დაუყოვნებლივ დათხოვნილ
იქნეს ე. წ. აფხაზური გვარდია ან უკი-
დურეს შემთხვევაში იგი გამოყვანილი
იქნეს აფხაზეთის უზენაესი საბჭოს
ქვემდებარებიდან და მოთავსდება ში-
ნაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო
ფორმირებათა სტრუქტურაში;

- საჯაროდ იქნება დაგმობილი ქარ-
თველთა მიმართ დისკრიმინაციული სა-
კადრო პოლიტიკა, რომლის საფუძველ-
ზე აფხაზეთის ქართველობა დღეისათ-
ვის ფაქტიურად გაყვანილია რესპუბ-
ლიკის მმართველობის უფლების სუ-
ბიექტთა წრიდან; ასეთი დაგმობის
შემდეგ უნდა მოხდეს ავტონომიური
რესპუბლიკის მმართველობის სისტემა-
ში ზელმძღვანელი თანამდებობების ხე-
ლახალი გადანაწილება მოსახლეობის
ეთნიკური შემადგენლობის პროპორცი-
ული სისტემის შესაბამისად.

- დაუყოვნებლივ შეწყდეს ინფორმა-
ციის მასობრივ საშუალებებში (რადიო,
ტელევიზია, პრესა) ანტიქართული აგი-

ტაცია, პროპაგანდა, იდეოლოგიური
დივერსია. აფხაზეთის ტელევიზიაში
უნდა გაკეთდეს ქართული გადაცემების
ორგანიზაცია უმოკლეს ვადებში;

- აფხაზეთის განათლების სამინისტ-
როს დავალოს ქართულ სკოლებში
აფხაზური ენისა და აფხაზურ სკოლე-
ბში ქართული ენის ხუთწლიანი პროგ-
რამის შემუშავება და პრაქტიკული მა-
ტერიალიზაცია;

- საქართველოს მეცნიერებათა აკა-
დემიის ევდიით ქართველ და აფხაზ
სწავლულ ისტორიკოსთა, ეთნოგრაფთა,
არქეოლოგთა, ლინგვისტთა, იუნესკოს
ექსპერტთა მონაწილეობით შეიქმნას
აფხაზეთში აბორიგენი მოსახლეობის
დამდგენი კომისია, რაც ერთხელ და
სამუდამოდ ბოლოს მოუღებს ამ საკი-
თხის გარშემო არსებულ დავას.

დაუყოვნებლივ შეწყდეს აფხაზეთში
ქართულ ტოპონიმთა დევნა და შევიწ-
როება, რასაც საფუძვლად ედება აფხა-
ზეთისა და საქართველოს ისტორიული
წყაროები და არა ცალკეულ პირთა კე-
რძო ინტერესებიდან გამომდინარე ინი-
ციაციათა;

- იმ რაიონებში სადაც ქართველები
შეადგენენ მოსახლეობის შეფარდებით
უმრავლესობას (გაგრა სოხუმი სოხუ-
მის რაიონი, გულრიფშის რაიონი, ოჩა-
მჩირის რაიონი, გალის რაიონი), ქარ-
თულ ენაზე იქნას აღდგენილი საკან-
ცლარიო და სამართალწარმოება;

ქართველ და აფხაზ ხალხთა განსახ-
ლება რაიონების მიხედვით კი ასეთია:
ქ. გაგრა - 81.369, აქედან ქართველი
- 21.575; აფხაზი - 7.028. გუდაუთის
რაიონი - 59.146 აქედან აფხაზი -
30.541, ქართველი - 7.699; ქ. სოხუმი
- 121.406. აქედან ქართველი - 49.
460, აფხაზი - 14.922; სოხუმის რაი-
ონი - 39.765. აქედან ქართველი - 17.
546, აფხაზი - 1.196; გულრიფშის
რაიონი - 57. 122. აქედან ქართველი -
29.014, აფხაზი - 1.311; ოჩამჩირის
რაიონი - 75.808. აქედან ქართველი -
34.800; აფხაზი - 27.640; გალის რაი-
ონი - 79.140. აქედან ქართველი -

74.712; აფხაზი -621; ქ. ტყვარჩელი - 21.578. აქედან ქართველი - 5.086, აფხაზი - 9.202 (1989 წლის მონაცემები).

დემოკრატიისა და თანასწორუფლებიანობის დამკვიდრებისათვის საჭი-

რო პარტიკული ნაბიჯების გადადგმა, რომელიც თანაბრად დაიცავდა აფხაზეთში მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების სუვერენულ უფლებებს, როგორც ეს მიღებულია ცივილიზებულ და დემოკრატიულ ქვეყნებში.

რედაქცია კვერთხის ქუჩაზე

გვერდი მწერლები და მწერლობის მემკვიდრე

წარმოიდგინეთ 1941 წლის მიწურული და 1942: ომით გამოწვეული შიმშილი და სხვა სიმძიმეები, შავი ბარათები დაღუპულთა ცნობებით, ვირისუფალთა უსაზღვრო გლოვა...

და ამ დროს შინსახკომის უშიშროების სამმართველო დიდი თუ მცირე, ნამდვილი თუ გამოგონილი მიზეზებით უამრავ ხალხს შინსახკომის შინაგანი ციხის ჯურღმულებში ტენიდა (თითქოს საკმარისი არ იყო, 1924-ზე რომ არაფერი ვთქვათ, 1937-38 წლებში გაუბედურებული ოჯახები, დახურეტილი, ციმბირში გადასახლებულ-გადაკარგული, ჯანმრთელობა და ცხოვრების საუკეთესო წლებწარმოებული ათეული ათასები!) — გულში რაღაც ხელისუფლების საწინააღმდეგო ვიდეოსო, რაღაც ისე არ ვითქვამს, ნაბიჯი ისე არ გადავიდგამს, ბელადის სურათისათვის, საბჭოთა დროშისათვის ცერად შევიხედავსო, — ღამის უხეში დაკითხვებით ამცირებდა, ამინებდა, ხოლო როცა რიგითი გამოძიებელი და მისი უშალო უფროსი ჩათვლიდნენ, ეს საკმარისი არააო, მოუხმობდნენ კარს უკან მომლოდინე საგანგებოდ შერჩეულ და ნაკვებ ჯანიან მუტრუკებს, რომელთაგან ზოგი სპორტსმენიც იყო.

აი, ამ დროს წაიყვანეს რამდენიმე მწერალი და მეცნიერ-ლიტერატორი, რომლებიც მწერალთა მეგობრები და მწერლობასთან დაკავშირებული იყვნენ. ესენი ვახლდათ: ერეკლე ტატიშვილი, მიხეილ ზანდუკელი, მოსე გოგიბერიძე, იოსებ მეგრელიძე, გივი გაჩეჩილაძე...

ისინი სხვადასხვა ჯგუფებში დააპატიმრეს, უხეშად რომ ვთქვათ, სხვადასხვა საქმეში გადიოდნენ, მაგრამ ბედმა არამარტო იმით დააკავშირა ერთმანეთთან, რომ, ვთქვათ, მ. ზანდუკელი და ი. მეგრელიძე ერთად იყვნენ გადასახლებული ფაზახეთში, არამედ იმიტაც, რომ მანამდე ყველანი ერთად შეყარეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარ ა. რაფაელსთან (რა დამცინავად ეღერს „სახალხო“, თითქოს მართლა ხალხის არჩეული, ან მისი ინტერესების დამცველი იყო და არა მისი მარტო მოქმედების კი არა, ფიქრის დამორგუნველი და ჯალათი!)

ამავე ხანებში თბილისში კიდევ ერთი დიდი, 33-კაციანი, უნივერსიტეტული ასპირანტებისა და სამხედრო მეთაურების შეთქმული ჯგუფის საქმის გამოძიება-გასამართლება მიმდინარეობდა. ბევრი მათგანის მახწაველ-



ბელი (სტუდენტობისას) და ხელმძღვანელი (ასპირანტობისას) იყვნენ ე. ტატიშვილი, მ. ზანდუკელი, მ. გოგიბერიძე...

ამიტომ გამოძიებამ მოინდომა პროფესორ-მასწავლებლები შეთქმულ ასპირანტთა და ოფიცერთა საქმესთან დაკავშირებინა, მაგრამ ეს ვერ შესძლო, კონკრეტული ხელშეხაზები დანაშაული ვერ დაამტკიცა. ამიტომ იყო, რომ 1942 წლის სექტემბერში სახალხო კომისარმა ა. რაფაევამ თავის კაბინეტში შეყრილებს უთხრა: ახლა შეთქმულთა სასამართლო ტარდება, ბევრ მათგანს დაეხერხეთ, თქვენც უნივერსიტეტელთა ჯგუფი ხართ, იმათ საქმესთან გვეკუთვნით მიერთება, მაგრამ გზოვავთ, სამხედრო ტრიბუნალს არ გადაგკემთ, სამაგიეროდ თქვენც დაგვეხმარეთ.

როგორც ხედავთ, რაღაც თანამშრომლობის მაგვარი შესთავაზა, — ზანდუკევა, ზან დაემუქრა, მაგრამ არაფერი გაუვიდა და მათი საქმე მოსკოვში საგანგებო სათათბიროს გადაუგზავნა.

ახლა ამ ჯგუფში შემაჯავლ მწერლებსა და ლიტერატორებზე მოგახსენებთ რამდენადმე უფრო დაწვრილებით.

„მოაგონდები რჩეულ შევირდებს“ (ბასილ ჰელიტიშვილი, ე. ტატიშვილზე დაწერილი ლექსიდან)

ერეკლე დიმიტრის ძე ტატიშვილი (1884-1946) საერთაშორისო სამართლის (დიპლომატიის) დიდი სპეციალისტი, ჩინებული ლიტერატურათმცოდნე და მთარგმნელი იყო. იგი თბილისის უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს ინგლისურ ენასა და ლიტერატურაში, ვიორგი ახვლედიანთან და დავით ონიაშვილთან ერთად მონაწილეობდა იოსებ იმედაშვილის „უცხო სიტყვათა ლექსიკონის“ რედაქტირებაში (მესამე გამოცემა ს. თაყაიშვილისა), მთარგმნა გრიგოლ წერეთლის „ბერძნული ლიტერატურის ისტორია“ ტ. II (1935), იხილონ ვეარ-

ჯალაბესთან ერთად შექმნა „ინგლისური ენის კურსი“ (1936)...

და აი ამ კაცს, რომელმაც საფუძვლიანად და ღრმად იცოდა არა მარტო ინგლისური, არამედ მთელი მსოფლიო ლიტერატურა, ორიგინალში წაეკითხა ყველა მნიშვნელოვანი ქმნილება და ამასთან, დიდი საერთო განათლება ჰქონდა, ინგლისური ლიტერატურის კურსი ჩამოართვეს — დიხერტაცია არ გაქვს დატულიო, — გულისტკივილით წერს ერეკლე ტატიშვილის მოწაფე, ცნობილი მწერალი, მთარგმნელი ვახტანგ ჭელიძე (ათი წელი ერეკლე ტატიშვილთან, „მნათობი“, 1989, № 7, 8).

მაგრამ ამას ვინ ჩივის, 1941 წლის დასასრულს ერეკლე უნივერსიტეტის სხვა მუშაკებთან ერთად დააპატიმრეს. მოგვიანებით პროკურორი იძულებული შეიქნა პატიმარი შინაგან საქმეთა კომისარ რაფაეასათვის წარედგინა. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც სამხედრო წამების ფასადეკ ვერ მოხერხდა ე. ტატიშვილის საქმის დაკავშირება ასპირანტთა და სამხედრო ჯგუფის საქმესთან. სწორედ მათ „სულიერ ვახრწნას“ აბრალებდნენ ე. ტატიშვილს (ბევრი მათგანი ხომ მისი ნახტულენტარი იყო, ზოგიერთ ასპირანტს კი ხელმძღვანელობას უწყედა), ამ საქმეს ემსახურებოდაო მის მიერ მთარგმნილი ნიშნის „ზარატუსტრა“.

აი, როგორ აგვიწერს ამ შეხვედრას ადრე ე. ტატიშვილის ნახტულენტარი, იმ დროს პატიმარი, დღეს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი იოსებ მეგრელიძე (მცირე მოგონება, „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1990, I. III):

„ტატიშვილს დგომა უჭირს (ფეხის ტერფები ჰქონდა დაჩეჭვილი) ... მინისტრმა ტატიშვილს მიმართა, ამან კანონის მუხლებით უპასუხა. ... გამოუსწორებელი ხართ — უთხრა მინისტრმა“.

ერეკლეს თურქეთის აკენტიობაც დასწამეს. ალბათ იმის გამო, რომ ის თავის დროზე დამოუკიდებელი საქართველოს დიპლომატიურ მისიას ასრულებ-

და თურქეთში. ესეც ვერ დაუმტკიცეს და საერთოდ, როგორც იოსებ მეგრელიძემ ვეთხრა, გამოძიებლები ერეკლე ტატიშვილს ვერ უმკლავდებოდნენ. ამის გამო, აგრეთვე, იმ მიზეზით, რომ ცემის შედეგად ერეკლეს ტანის უკანა მხარე დაუჩირქდა, 1943 წლის გაზაფხულის მიწურულს გამოუშვეს ე. წ. „აქტიროვკით“, ე. ი. სამედიცინო დასკვნით ჩამოწერეს! მაგრამ ვაი ასეთ განთავისუფლებას!

კვლავ მოუესმინოთ ე. ჯელიძეს, ვინც ერეკლე მაშინ ნახა:

„ციხიდან რომ გამოვიდა, საშა გამყრელიძემ და მე ერთად მოვიხახულეთ, თავი მხნედ ეჭირა და მე მომეჩვენა, რომ ჯანმრთელად იყო. მაგრამ პირველი შთაბეჭდილება, სამწუხაროდ, მცდარი გამოდგა, და ეს მაშინ გახდა აშკარა, როცა გამოვავიცილა და კიბეზე ჩამოვვყვა... სიარული ძალიან უჭირდა, სუნთქვაც უჭირდა, გამხდარიყო“...

თავის ავადმყოფ მასწავლებელს მადლიანად უვლიდა ცილა თოფურიძე და ერეკლემ სული სწორედ მის ხელში დალიაო.

1946 წლის იანვრის ბოლოს ე. ტატიშვილისათვის თრომბს გადაუკეტია გული. მისმა მეგობრებმა ვაკის სასაფლაოზე დაკრძალეს, ხოლო მადლიერ სტუდენტთაგან ერთ-ერთმა, ნიკო სამადაშვილმა (მერე რომ პოეტად გამეღაენდა და რომელიც ერეკლეს აღმერთებდა) საფლავისათვის დიდი ლოდი იმოვა. ეს გაუთლელი ქვა, ზღვის ტალღისებურად დაკლაკინლ-ზედაპირიანი, ნ. სამადაშვილის აზრით გამოხატავდა ე. ტატიშვილის მღელვარე ბუნებას, ცხოვრებასა და ბედს (თუ იმ ცხოვრების ტალღებს, რომლებსაც ერეკლე შეუპოვრად მიაპოვდა).

ახე გაუმრუდეს ცხოვრება ამ შესანიშნავ პიროვნებას, ლავამი ამოსდეს მის აზრებსა და შეხედულებებს, ბოლოს კი სიცოცხლე მოუსწრაფეს. რაც მანამდე ერეკლე ტატიშვილს ნელ-ნელა კლავდა, იმაზე მოგახსენეთ მოკლედ. მინდა კიდევ ერთი მაგალითი დაუმატო.

ერეკლე საუცხოო ესეისტმა იყო. მაგრამ გასაბჭოების შემდეგ თანდათანობით მიხვდა, ისე წერას აღარ დაანებებდნენ, როგორც სინდისი და გემოვნება კარნახობდა. ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი მიძღვნილ ეხეში ერეკლე ამბობს:

„მონობა?!
 რა საფიქრებელია! სიკვდილი სჯობიან!“

და თავადაც დამორჩილებას, როგორც ესეისტმა, ასპარეზიდან გაცლა ამჯობინა, ესეების წერას თავი მიანება.

მიხეილ ზურაბის ძე ზანდუკელი (1888-1968) მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ თბილისის პირველ საცდელ-სამკერებელ სკოლაში იწყებს მუშაობას მასწავლებლად.

დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება და აიწეწა საქმეები.

სიტყვიერების მასწავლებელი მიხეილ ზანდუკელი ჯერ კიდევ 1922 წ. 10 მაისს დააპატიმრეს „კონტრრევოლუციური მოღვაწეობის“ ბრალდებით. ის მოთავსებული იყო საქართველოს საგანგებო კომისიის კომენდატურაში და მალე, 15 მაისს, განთლების სახალხო კომისარიატის შუამდგომლობით (ხელს აწერენ კომისარი დავით კანდელაკი და მისი მოადგილე მარიამ ორაბელაშვილი) გაათავისუფლეს ხელწერილით, რომ ქალაქიდან არსად წავიდოდაო (მ. ზანდუკელის პირველი საქმე, № 1200, ფ. 22).

ი. მეგრელაძის ცნობით, მ. ზანდუკელის გათავისუფლებაში 1922 წელს ალიოშა სვანიძესაც მიუღია მონაწილეობა, როგორც ამას მიხეილი ადასტურებდაო.

მოგვიანებით, 5 ივლისს მიხეილი ისევ მიუწვევიათ დასაკითხავად. აი, რა პასუხები გასცა მან დასმულ კითხვებზე:

- „როგორ უყურებთ არსებულ წესწობილებას?
- იმ დარგს, რომელსაც ვიცნობ, განათლებას, რაციონალურად.



საქართველოს
ხელნაწილების
რეპერტუარი

— როგორ მიგანიათ 26 მაისის გამოსვლები?

— არ მიმანია რაციონალურად. „რაც შეეხება საქართველოში რუსი წითელი არმიის ყოფნას, უნდა განვაცხადო, რომ მე ვარ მომხრე საქართველოს დამოუკიდებლობის, არ ვიცი თუმცა, რა იქნებოდა, რომ წითელი არმია არ ყოფილიყო, შეიძლებოდა აქ თათრები ყოფილიყო. ეს სხვა საკითხია. ამიერკავკასიის ფედერაცია, მიუხედავად იმისა, რომ ეს პრინციპი მსოფლიო არის და მე თვითონ მას ვაღიარებ, მაინც ჯერჯერობით მიმანია ნადრეკად, რადგან ასეთი კავშირი უნდა გამოძლიანარეობდეს თვითი სახელმწიფოს დამოუკიდებლობის განმტკიცების საფუძველზე და მათი ერთი მეორისკენ ბუნებრივი ლტოლვიით. რაც შეეხება მიწის საკითხს საქართველოში, მე როგორც პრინციპულად მომხრე ვიყავი მიწის სოციალიზაციის, არ მაქმყოფილებს, თუმცა, შეიძლება კერძო მფლობელობა... პრაქტიკული გამოხავალი დღეს არ იყოს. შეკითხვის, თუ რომელ მიმდინარეობას ვუჭერ მე მხარს საქართველოში, ნამდვილი პასუხის მიცემა არ შემიძლია, რადგან მე არ ვმუშაობ პარტიაში, რაც შეეხება პირადი ჩემი აზრი ზოგიერთ საკითხებში ეთანხმება მემარჯვენეებს (მაგ. ეროვნულში), ზოგი — მემარცხენეებს (მაგ. ეკონომიურში).

უნდა განვაცხადო, რომ რაც შეეხება სოციალისტურ მიმართულებებს, არ ვიცი, არც მათ კერძო დებულებებს არ ვაეცნობივარ. მე მგონია ეს განხეთქილება არის უფრო პირადული, ვინემ პრინციპიალური“ (ფ. 18-19).

გამოძიების 1922 წ. 6 ივლისის დასკვნის საფუძველზე (მ. ზანდუკელის კონტრრევოლუციონერობის დამამტკიცებელი საკმარისი მასალები არაა) საგანგებო კომისიის პრეზიდიუმმა 11 ივლისს დაადგინა საქმის წარმოება შეწყდეს და მ. ზანდუკელი ვათავისუფლდეს, მაგრამ თბილისი არ დატოვოს (ფ. 23-24).

ოციან წლებში, როცა ოფიციალური ბოლშევიკურ-საბჭოური იდეოლოგია ინტერნაციონალიზმის აბრით ქართული ერის ასიმილაციას უწყობდა ხელს, — მ. ზანდუკელი გაკეთილებს, ისევე როგორც ამ ხანებში გამოცემულ თავის გამოკვლევებს (აღ. ყაზბეგის ორიგინალი და დიმიტრი ყაზბეგი“ — 1924; „ალექსანდრე თუ დიმიტრი ყაზბეგი“ — 1925; „თერგდალეული და ხალხოსნები ქართულ ლიტერატურაში“ — 1928) ეროვნული სულისკვეთებით მსჯელობდა.

ამან ის გამოიწვია, რომ ილიას სწავლებისა და „სამშობლოს“ (კომპოზიტორ ანდრია ყარაშვილისა, რ. კ.) შესრულების ბრალდებით 1929 წლის მაისში პროფესორი მიხეილ ზანდუკელი, დოცენტები ტერენტი ვეფხვაძე, სეიონ ვანნაძე და ორი მასწავლებელი სამუშაოდან მოხსნეს (ვახტანგ პარკაძე, უნდა ვაღიაროთ, „კომუნისტი“, 1990, 26. V.).

მ. ზანდუკელის ლექციებშიც (თბილისის უნივერსიტეტში რომ კითხულობდა) ეროვნული სული ჭარბობდა. ფ. მახარაძეს, ცხადია, არ ენათმეცნიერობდა ილია ჭავჭავაძის მთელი ქართული ერის ინტერესების დამცველ დიდ მოღვაწედ აღიარება.

ამავე დროს „დღენიადაგ სიკეთის მთესველ ბატონ მიხეილს ჩვენი ცხოვრების ძნელებლობის წლებში ზოგიერთი უმადურგი მოწაფეც აღმოაჩნდა“ (თენგიზ კიკაძეშვილი, ლალო მინაშვილი, იუნა ვეკინძე, „მაგალითი ყრმათა“, „თბილისი“, 1990, 17. II).

მ. ზანდუკელის ამ უმადური მოწაფის ვინაობა ზემოთმოტანილი ციტატის ავტორებმაც იციან და ბატონ იოსებ მეგრელიძესაც გაუმხელია ჩვენთვის 1992 წლის იანვარში, მის ბინაში, და თუ ისინიც და ჩვენც ჯერ არ ვამხელთ მის ვინაობას, ამის მიზეზია ამ უმადური მოწაფის, მის მსგავსთა და მათ შთამომავალთა დაზოგვა.

არ ვიცი, ეს დამბეზლებლები უსწრებდნენ წინ და გამოიყენა ფ. მახარაძემ იმ წერილში, რომელსაც ახლა

მოვიტანთ, თუ თვითონ ფილიპემ შეთხზა ეს ბრალდებები. ეს კია, ასეც ლოგიკური იქნებოდა ფ. მახარაძისაგან ამ წერილის გაგზავნა და იხეც.

1941 წ. 30 აპრილს, გრიფით „ფრიად საიდუმლოდ“, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. მახარაძე ასეთ ბარათს უგზავნის თბილისის უნივერსიტეტის მაშინდელ რექტორს დავით ფიფშიძეს (წერილი ხელნაწერია, ზემოხსენებული პრეზიდიუმის ბლანკზე):

„პატივცემულო ამხანაგო დავით!

საჭიროდ მიმაჩნია ერთ გარემოზე მოგწეროთ. ეს მოწერილობა არ არის ოფიციალური ხასიათის, ზოლო თუ საჭირო იქნება, ოფიციალურადაც მოგწეროთ. საქმე შემდეგია: თბილისის სტალინის სახელობის უნივერსიტეტში ერთ-ერთი პროფესორის თუ დეკანის მხრით ადგილი აქვს დაუშვებელ საქციელს სტუდენტებისა თუ ასპირანტების მიმართ: ყვირილს, უხეში სიტყვების ზმარებას, პირდაპირ შეურაცხყოფელ საქციელს. ასეთი რომ შეუძლებელია საბჭოთა დაწესებულებაში, მით უფრო დაუშვებელი და აღმაშფოთებელია ასეთი საქციელი პროფესორის და დეკანის მხრით და თუ ვინმე საბჭოთა ქვეყანაში, ამ შემთხვევაში მეცნიერების ტიპარში პროფესორის ქურქში გახვეული ამას ჩადის, იგი უთუოდ სხვა დროს და სხვა წესწყობილების ნაშთია და ჩვენ საბჭოთა წყობილებასთან არა აქვს რა საერთო. ჩვენ არ ვაქვს უფლება ნება მივსცეთ მათ განაგრძონ ამ ძველი წესწყობილების ჩვენების პრაქტიკა.

შეიძლება თქვენ მიხედვით კიდევ, თუ ვისზეა აქ ლაპარაკი. ეს არის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დეკანი მოქ. ზანდუკელი.

მე დარწმუნებული ვარ იმაში, რომ თქვენ მიიღებთ უხეშ, დაუშვებელ, ბიუროკრატიულ ჩვევების აღმოსაფხვრელად სათანადო ზომებს.

თქვენი პატივისცემული ფ. მახარაძე.

(„ახალგაზრდა კომუნისტი“, 1990.

I. III).

ამ დროისათვის მ. ზანდუკელს სამაგალითო მოქალაქის, პედაგოგის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი, გამოცემული ჰქონდა მისი ხალექციო კურსის კითხვის საფუძველზე შექმნილი ცნობილი ნაშრომი „ახალი ქართული ლიტერატურა“ სამ წიგნად (I-1932, II-1933, III-1936) და „ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა“ (1934) – ამ დარგის პირველი სახელმძღვანელო საქართველოში.

მახარაძის წერილმა თავისი საქმე გააკეთა. არც იმ ზოგიერთი უმაღლური მოწაფის „ღვაწლის“ დაკარგვა შეიძლება. „მათი წყალობით ნახევარ საუკუნეს გადაცილებულმა მოძღვარმა რამდენიმე წელიწადი ყაზახეთის ხორსაკ მხარეში გაატარა და ამითაც გაიზიარა 30-40-იანი წლების ქართველ მამულიშვილთა ტრაგიკული ხვედრი“ („თბილისი“, 17. II. 1990).

დაიხ, ფ. მახარაძის წერილმა და სხვა დამბეზღებლებმა თავისი ბნელი საქმე გააკეთეს. შინსახკომიც ყოველთვის მზადყოფნაში იყო. წინასწარ ჰქონდა გამოვლევადი ჩვენებები ყველა ღირსეულ ქართველზე. ასე მაგალითად, მ. ზანდუკელზეც ჯერ კიდევ 1937 წლის 1 დეკემბერს ვ. კოტეტი-შვილს, ვინ იცის, რა საშინელი წამებით გამოვლიოვებს: სოციალ-ფედერალისტთა არალეგალური პარტიის თბილისის უნივერსიტეტის ძირითად უჯრედში ირიცხება ამ პარტიის კომიტეტის წევრი პროფ. მ. ზანდუკელი. ის მუშაობაში მე ჩავაბიო (საქმე № 12361).

კონტრრევოლუციური საქმიანობისათვის მსჯავრდებულ ი. კ. აბაკელიასაც ათქმევინეს დაკითხვაზე (1938. 20. VII; საქმე № 12361, ფ. 10-25). ესეულების ანტისაბჭოთა ორგანიზაციაში 1937 წ. მ. ზანდუკელი მე ჩავაბი, მე მივეცი დავალება – ნაციონალისტურად განწყობილი პროფესორები ჩვენს მხარეს გადმოებინებინაო;



შალვა ანტონის ძე მიქელაძესაც უღიარებია (38. 2. VIII) — მ. ზანდუკელი კონტრრევოლუციურ მუშაობაში 1935 წელს ჩავაბიო; პარტიის ღონიძიებებს აღშფოთებით ახსენებდა, საბჭოთა ხელისუფლებას კრახს უწინასწარმეტყველებდა, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს ავინებდაო.

და როცა 1942 წლის 20 იანვარს მიხეილ ზანდუკელი დააპატიმრეს, ვეფერი ეს, აგრეთვე ამონაწერები ბუღუ მდივნისა და ლიდა გასვიანის ჩვენებებიდან, უკვე მის ახალ საქმეში (№ 2036) იყო ჩალაგებული (ფურცლები 80-83).

ეს ის დროა, როცა ახალდაწყებულია შეთქმულ ასპირანტთა და ოფიცერთა დაპატიმრება. შინსახკომი გაფაციცებით აღევნებდა თვალს სადმე შეთქმულთა საქმეში მ. ზანდუკელის სახელი ხომ არ ამოტივტივდებაო.

მართლაც, მოგვიანებით ამას შეთქმულთა ჯგუფის ერთ-ერთი წევრის აბო ნიკოლოზის ძე ფარეშიშვილის მიერ 1942 წლის 17 მაისს დაკითხვაზე თქმულიც მიუმატეს: ზანდუკელი თავისი ლექციებით სტუდენტების ნაციონალისტურ აღზრდას ხელს უწყობდაო.

ხომ არაა ეს ჩვენება გამოძიებლის მიერ საგანგებოდ გამოვლევადილი მ. ზანდუკელის ამ შეთქმულ ასპირანტთა საქმესთან დასაკავშირებლად?

გასაკვირი არაა, რომ ყოველივე ამის გამო მოინდომეს მ. ზანდუკელის, ისევე როგორც ე. ტატიშვილის (აგრეთვე, ი. მეგრელიძის, მითუმეტეს, მ. გოგიბერიძის საქმის) ზემოხსენებულ შეთქმულთა ჯგუფის საქმესთან მიკერება.

მაგრამ როგორც შინაგან საქმეთა მინისტრ ა. რაფაეასთან, ასევე დაკითხვებზე, მ. ზანდუკელს თავი მტკიცედ ეჭირა და უარყოფდა არალეგალური კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრობას.

ჯერ თვით მ. ზანდუკელს მოუხსიანოთ, საქმის გადახინჯვასთან დაკავშირებით საქართველოს პროკურორისა-

თვის მიცემულ განმარტებაში როგორ გადმოსცა შინაგან საქმეთა კომისართან თავისი ვიზიტის ამბები (ფ. 137-144):

„სახალხო კომისრის რაფაეას დაფინებულ მოთხოვნაზე მეამბა ჩემს კონტრრევოლუციურ საქმიანობაზე, კონკრეტულად არაფერი წამოუყენებია, მე თავი ვერ შევიკავე და ვუთხარი: „თუ თქვენ არაფერი იცით ჩემს საქმიანობაზე, რომელიც როგორც ხელისგულზე, ისე მიმდინარეობდა თქვენს წინაშე ქთბილისში (მე ამ ხნის მანძილზე თბილისიდან არასოდეს გავსულვარ), მაშინ თქვენ და თქვენი დაწესებულება არ უპასუხებთ თქვენს დანიშნულებას“ ჩემმა პასუხმა სახალხო კომისარ რაფაეას რისხვა გამოიწვია... შემდეგ სახალხო კომისარმა რაფაეამ ყურში ჩამწურულა: „განა შექმლო თქვენი დაპატიმრება, ფაქტები რომ არ მქონოდა? თქვენ რომ დამეპატიმრებინეთ, ნებართვა თვით ბერიას ვთხოვე“. ამაზე შევპასუხე: „თქვენ დაუჯერეთ მანებულთა დანახებს, ამაზე დაყრდნობით ინფორმაცია მიაწოდეთ ბერიასა და სხვებს. იმათ ან უნდა დაეჯერებინათ თქვენთვის და ჩემი დაპატიმრების ნება მოეცათ, ანდა თქვენ თანამდებობიდან გაეთავისუფლებინეთ. მაგრამ იქნება სასამართლო. მე მწამს საბჭოთა სასამართლოს სამართლიანობა და განაწინი იქნება არა ჩემს, არამედ თქვენს წინააღმდეგ“.

ამან უფრო მეტად გააბრაზა სახალხო კომისარი რაფაეა... ამაზე დამთავრდა ჩემი პაექმანი რაფაეასთან, მეტი მას აღარ გამოუძახებია

შემდეგ დღეებში დაიწყო რეპრესიები ჩემს წინააღმდეგ (პირით კვდლისკენ დგომა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე უმოძრაოდ, ქუსლებზე ცემა, 14 თვე გადაცემის გარეშე...) ჩემს რეპრესიებს ატარებდა განყოფილების უფროსი ნიბლაძე“.

ახლა ენახოთ როგორ გადმოვეცემს რაფაეასთან მომხდარ ამბავს ამ პაექმანზე მ. ზანდუკელთან, ე. ტატიშვილ-



თან, მ. გოგიბერიძესთან ერთად მყოფი ი. მეგრელიძე (იხ. ზემოხსენებული მოგონება): „ზანდუკელს მარცხენა ხელის ცერა „მოპყილია კარში“, დანიშნული ზევით აქვს აწეული...“

მინისტრმა „ზანდუკელს მიმართა: ხელი დაუშვიო! — რომ დავეშუებ მტკივაო — იყო პასუხი. მინისტრმა შეუფერხა: თქვენ უიუტობთ, გადაგასახლებთო... პატიმარმა იატაკზე ფეხის ნელი დარტყმით წარმოთქვა: დიახ, დიახ, მაგრამ მე დაებრუნდები, თქვენ რომ გადაგასახლებენ, ვერ დაბრუნდებით!...“

ხელების გაშლით თქვა მინისტრმა: ჰო, ჰო, ჰო, მე გადამასახლებენ, — და გაიცინა.

ნიბლაძემ უპასუხა: მაგას იმედი აქვს, გერმანელები მოვლენ და ჩვენ გადაგვასახლებენ! რაფაეამ ისევ ზანდუკელს შეუფერხა, აი, რისი იმედი გაქვთო!... მ. ზანდუკელი დაკითხვებზე (1942. 21. I; 13. II; 28. VII) უარყოფდა არალეგალურ ორგანიზაციაში მონაწილეობას, ან ისეთ რაღაცებს აღიარებდა, რომ გამოძიებელი ი. ნიბლაძე (შემდეგ ის გუჯაბიძემ შეცვალა) საყვედურობდა: მთავარ საკითხს ისევ გვერდს უვლითო.

მაგალითად, მ. ზანდუკელი იხსენებდა: 1929-30 წლებში ვიღაც სტუდენტმა ურუშაძემ მიიხრა უნივერსიტეტში არალეგალური ორგანიზაცია არიხო. ვუპასუხე: სისულელეა-მეთქი. შემდეგ არაერთხელ მიმეორებდა, მეც ყოველთვის ასეთი პასუხით ვისტუმრებდი. 1930 წელს გაევიღე ლენინგრადის ასპირანტურაში გადავიდაო. მერე აღარ მინახავს.

ეს ვალიკო ურუშაძე დაკითხვაზე 1942 წლის 29 ოქტომბერს მანასე ლუკას ძე მენაბდეძაც გაიხსენა: დაუსაბუთებელი გამოხილება იცოდა, სტუდენტებს არ უყვარდათ. ახლო ურთიერთობა ზანდუკელთან და კოტეტიშვილთან ჰქონდაო (მ. მენაბდე წამებით აღაპარაკეს და შემდეგ მოკლესო — გვითხრა ი. მეგრელიძემ).

დაუკითხავთ ურუშაძის ძმაც, რომელმაც თქვა: ჩემი ძმა ლენინგრადიდან

10 წლით გადაასახლესო. ი. მეგრელიძის ცნობით ეს მომხდარა 1937 წელს ლენინგრადში, სადაც ვ. ურუშაძე ასპირანტურაში იყო ხელოვნების დარგში.

ახლა მეორე მაგალითი მ. ზანდუკელის მონათხრობიდან: პარტლექტორმა ვლადიმერ მაგლობლიშვილმა უნივერსიტეტის დერეფანში მიიხრა — ერთ ადგილას ვიყავი, სადაც ლაპარაკობდნენ თუ საქართველოში გერმანელები შემოვლენ, ახალი ხელისუფლება თქვენ ან უნივერსიტეტის რექტორად დაგინშნავთ, ან სახალხო განათლების კომისრადო. ეს რამდენჯერმე გაიმეორა.

აი, ესაა ალბათ ჩემი დანაშაული, უნდა შეცნობებინა შინაგანკომისიისთვის — ასეთი ზმებისაგან დამიცავით-მეთქი, თორემ არავითარ არალეგალურ ორგანიზაციაში არ ვყოფილვარ.

მერე 15 თებერვალს შინაგან საქმეთა კომისიის რაფაევას სახელზე დაწერილ განცხადებაში (ფ. 39-43) ისევ ამ საკითხზე ლაპარაკობს და უმატებს:

ბევრ ვინმეს ეხვებოდი და ესაუბრობდი როგორც აკადემიურ ცხოვრებაზე, ასევე ყოველდღიურობაზე, მაგ. აკად. კ. კეკელიძესთან და ა. შანიძესთან, პროფ. ნ. ქოიავასთან, დოცენტ ნიკ. მგელაძესთან, დოც. თ. ვეფხვაძესთან, დოც. ანა ჩხეიძესთან, დოც. ვ. კიკნაძესთან (ეს თითქმის გამოძიებლის მასხრად აიღებას უდრიდა — უნივერსიტეტის პროფესორს სხვაზე რაზე უნდა შესაუბრა კოლეგებთან, აკადემიურ ცხოვრებაზე ვმსჯელობდითო).

ამ საუბრებში მე ზანდუკელს არაჯანსაღ აზრებს გამოეთქვამდი, მაგალითად, გერმანია ძლიერია და საბჭოთა ქვეყანა მასთან უნდა იყოს კავშირში ომი რომ აიცილოს-მეთქი. ბოლოს ისიც კი ვთქვი, რომ ვისაც უნდა, იმან გაიმარჯვოს, ოღონდ ომი ადრე დამთავრდეს, იმიტომ რომ ომის საშინლად შემინია-მეთქი.

ამავე რიგის იყო ამბავი მ. ზანდუკელთან პოეტ ი. მჭედლიშვილის ვიზიტისა 1941 წლის სექტემბერში (ფ. 84-85): მიხილმა დაადასტურა —



იოსები ნათესავის უმაღლეს სასწავლებელში მოწვიობის თაობაზე შესტუმრო, მაგრამ უარყო იოსების ნათქვამი: მიხეილი საბჭოთა კავშირის დამარცხებას წინასწარმეტყველებდაო. ის საუბრის სხვანაირ გაგრძელებას იხსენებდა (იოსებმა უცებ საუბარი სხვა რამზე გადაიტანა: აი, თქვენ, ინტელიგენტები კარგად მოეწყვეთ, ხალხს კი უჭირს, ხელისუფლებამ გააჩანაგა იგი, ჩვენ ამას ყურადღებას არ ვაქცევთო.

მე ვუპასუხე: სწორი არაა, ჩვენ გვაქვს უნივერსიტეტი, აკადემია, მიღწევები კულტურის ფრონტზე და შენი ასეთი კალიზიანება გამოწვეულია იმით, რომ შენ უადგილოდ ხარ-მეთქი). მიხეილის ნათქვამი უფრო სარწმუნოს ჰგავს — ის ფრთხილი კაცი იყო, ხეკვია, ასეთი რამ ეთქვა სასტიკი ომის დროს.

თუმცა, რამდენადმე ისიც დასაშვებია, თავისი ფრთხილი ბუნების მიუხედავად, მიხეილს ასეთი რამ გაენდო იოსებისათვის, იცნობდა რა მას დამოუკიდებელი საქართველოს თავგადაკლულ პატრიოტად და შეპრობლად, მეორე მხრივ კი, საბჭოთა ხელისუფლებასთან შეურიგებელ ქართველად.

იოსების ნათქვამი კი გამომძიებლის დანამადებს ჰგავს. ისიც საგულისხმოა, რომ იოსებმა კატეგორიულად დაასკვნა: მიხეილს არალეგალურ ორგანიზაციაში შესვლა არ შემოუთავაზებიაო.

მიუხედავად ამისა, ი. მჭედლიშვილის საქმე № 2080 1942 წ. 22 ივნისს შეუერთეს მ. ზანდუკელის საქმეს № 2036.

ასევე ვანგებ, რაიმეს წამოსადენად ნათქვამად შეეძლოთ გაეგოთ თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის ბიბლიოთეკის გამგის გ. ბაქრაძის შეკითხვა. მ. ზანდუკელმა გაიხსენა: უცებ ბაქრაძემ საუბრის თემა შეცვალა და მიიხრა: 1941 წლის „გაზაფხულის მოვლენები ცუდად ვითარდება, თუ ასე გაგრძელდა, ხომ არ მოგვიწევს აქ ორგანიზება?“

მაგრამ დააკვირდით, რა კონტრარუსულებს მ. ზანდუკელი — ბაქრაძეს მხედველობაში ჰქონდა თუ საჭირო იქნა, დავირაზმით და საბჭოთა ხელისუფლებას დავეხმართოთ (ფ. 56).

მიხეილმა სათქმელიც „გაამხილა“, მთქმელიც დაიცვა და თავისი თავიც.

1943 წ. 16 თებერვალს შინსახკომს დაუკითხავს ტყვეობიდან გამოსული ვინმე შოთა მიტროფანეს ძე კეკელია, (ფ. 109), რომელსაც სხვათაშორის უთქვამს: ტყვეობაში მყოფი ვიღაც ჯოჯობიძეს აინტერესებდა მისი ბიძაშვილი ვიღაც ჯოჯობიძე, რომელიც ავჭალაში იყო სამხედრო ნაწილში (ლაპარაკია კოტე ჯოჯობიძეზე).

როცა ტყვე ვაჭვიშვილისაგან გაიგო — დაიჭირებო, ლანძღა: ფაშისტურ ორგანიზაციაში შედიოდა, პროფესორ ზანდუკელთან იყო დაკავშირებული, მერე ტყვედ უნდა გადმოხულიყო...

რა თქმა უნდა, ეს ამონაწერი მ. ზანდუკელს საქმეში გაჩნდა. ეს ცეცხლზე ნათის დასხმას უდრიდა, საშუალებას იძლეოდა ის შეთქმულ ასპირანტთა სატრიბუნალო საქმესთან დაკავშირებინათ.

ცხადია, ამის გამო მ. ზანდუკელი დაკავთხეს 1943 წ. 28 ივლისს (ფ. 110-114). მან ტ. ჯოჯობიძეზე თქვა: ჩემი ასპირანტი იყო, კარგი დამოკიდებულება გქონდა ერთმანეთთან როგორც მასწავლებელს მოსწავლესთან. 1941 წელს ჯარში გაიწვიეს და მერე აღარ მინახავსო. კატეგორიულად უარყო — საერთოდ არავითარი ლაპარაკი არ გვქონიაო.

1942 წლის 2 სექტემბრის დადგენილებით ცალკე საქმედ გამოვევს ვ. ურუშაძის, ელ. მგალობლიშვილის, კ. კეკელიძის, ნ. მგელაძის, გრ. კიკნაძის, ს. ბერეჟიანის, გ. ბაქრაძის და დ. ჩინუას საქმე — მასალები უნდა შევისწავლოთო. ამათგან, როგორც ვიცით, გარდა ურუშაძისა არცერთი არ დაუპატიმრებიათ (ფ. 14).

ხოლო მ. ზანდუკელს წაუყენეს ბრალდება: არალეგალური კონტრარევილუციური ორგანიზაციის ერთ-ერთი



ქტიური ხელმძღვანელი იყავით, როგორც ი. მეგრელიძე ამბობს, დაუსვენლობაც არ მოუწონეს.

სინამდვილეში ხელშეხახები ვერაფერი დაუდასტურებს. ეს კიდევ აღინიშნა ვვიან, რეაბილიტაციასთან დაკავშირებული გამოძიების მასალებში.

მაგრამ მაშინ, 1943 წლის 10 ნოემბერს სსრკ შინსახკომთან არსებულმა საგანგებო სათათბირომ მ. ზანდუკელს გადაუწვია 5 წელი თავისუფალი გადასახლება, ჩრდილოეთ ყაზახეთის ოლქში (ფ 128), სადაც 1944 წლის 16 მარტს ჩავიდა.

მიხეილ ზანდუკელს ამავე წელს აღუბრავს საჩივარი, მისი საქმე კიდევ გადასინჯეს, მაგრამ 1944 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ისევ უცვლელად დატოვეს (ფ. 130).

ცალკე ოდისეაა მ. ზანდუკელის ბინის დაბრუნების ამბავი. გადასახლებიდან ჩამოსულს მის ბინაში ლ. ბერიას ვოფილი შოფერი, დუშეთიდან მიხეილის მეზობელი დახვდა. ჩამოსვლამდე სულ იმას ატფობინებდა მიხეილს — თქვენს ბინაში იმიტომ შევედი, რომ შეგინახოთო, ჩამოსვლის მერე კი აღარ გამოვიდა.

ჩრდილოეთ ყაზახეთიდანვე ცოტა ადრე დაბრუნებულ ი. მეგრელიძეს თავისი ბინა სასამართლოთი დაუბრუნებინა. მიხეილსაც ეს გზა ურჩია. ის იყო, სასამართლოს საქმე მიხეილის სასარგებლოდ უნდა გადაეწყვიტა, რომ თბილისში ჩაწერის უფლება მოთხოვეს. ასეთი რამ არ აღმოაჩნდა — ნეულებრივ, თუკი ვინმეს გათავისუფლება ელირსებოდა, ეს ჯერ კიდევ არ იყო მთავარი. თუკი მას სამშობლოსაკენ წამოსვლის ნებასაც დართავდნენ და არა გადასახლების ადგილის ახლომდებლო, „ჩვენს ვრცელ და თვალუწვლელ ქვეყანაში“ დასახლებას არ უბრძანებდნენ, იმ ქალაქში ცხოვრების ნებას მაინც არ მისცემდნენ, სადაც დააპატიმრეს, არც დედაქალაქს და ე. წ. სარეჟიმო ქალაქებს გააკარებდნენ.

მაგრამ მიხეილს არც ეს აკმარეს,

შინ რომ მივიდა, უწყება მიმდრ: 72 საათში თბილისი დატოვეო. მაშინ აღმოხდა თურმე: ეს რა მიქენი, იოსებო!..

მ. ზანდუკელის გაზრდილი, მისი დისშვილი ნინო კ. ჩარკიანიც ეკვს ინგლისურ ენას ასწავლიდა და აი, მიხეილს ნინოს ხელით კანდიდისათვის დახმარების თხოვნა გაუგზავნია. თბილისში კ. ჩარკიანიც ვერ დატოვა — ნეკასთან ბრძოლაში კომპარტიის ცკ-ის პირველი მდივანიც უძღური იყო, მაგრამ თელავში გაგზავნა, იცოდა რა იქაურ პედაგოგებს პროფესორი არ ჰყავდა და სიხარულით მიიღებდნენ. მართლაც, თელაველებმა კარგად მიიღეს და შეინახეს.

თბილისში დაბრუნება რომ ეღიერსა, უმადლეხმა სასამართლომ ბინაც დაუბრუნა — სახლი ამხანაგობისა იყო და თურმე არ შეეძლოთ არ მიეცათ (მაგრამ ვინ მოთვლის რამდენისთვის საერთოდ არ დაუბრუნებიათ ჩამორთმეული ბინა! აბა წართმეული ავეჯისა და სხვა ნივთების უკან მიღებაზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია!)

დაბრუნების შემდეგ ნაწერების გამოცემაში მ. ზანდუკელს მისი მოწაფე გ. ჯიბლაძე დახმარებია, რომელიც მაშინ საქართველოს კომპარტიის ცკ-ში მუშაობდა — სხვის ღვაწლს გვახსენებს ი. მეგრელიძე.

ერთგან მიხეილ ზანდუკელი აღინიშნავს: აღმინისტრაციულად გადასახლებული უფლებებში შეზღუდული არ ვიყავით. თითქოს მართლაც ასე იყო: საშუალო სკოლასა და მასწავლებელთა გადასამზადებელ კურსებზე მუშაობდა როგორც პედაგოგი და მადლობებსაც უცხადებდნენ (ფ. 136).

მაგრამ რამდენად „თავისუფლად“ გაატარა ეს თავისუფალი გადასახლება კოჩქეტაის ოლქის რაიკენტი ჩკალოვოში, ამაზე დაწერილებით შეგვიძლიათ ისევე და ისევე მ. ზანდუკელთან იქ ნამყოფი მეგრელიძის ზემოხსენებული „მცირე მოვრეებით“ ვაივით.

დაბრუნების შემდეგ (1947, აპრილი) 1948 წელს ისევ იყო საშიშროება ხელახალ გადასახლებისა. უშიშროების



ოპერწმუნებულის ქლენტის 1948 წლის 6 დეკემბრის დასკვნიდან, რასაც პირველად მხარს უჭერდა არცთუ კეთილად მოსახსენებელი ი. ნიბლაძე (ფ. 131-132), ჩანს, რომ მ. ზანდუკელს გამუდმებით თვალს ადევნებდნენ: დაბრუნების შემდეგ ფრთხილ და ჩაკტილ ცხოვრებას ეწევა, პოლიტიკურ თემებზე საუბარს გაურბის. მიუხედავად ამისა მაინც დაპატიმრება მიმართა საჭიროდ – წერდა ქლენტი.

მაგრამ ამ დასკვნაზე არის იგივე ი. ნიბლაძის ოდნავ გვიანდელი (13. XII) რეზოლუცია: მიხეილ ზანდუკელის „დაპატიმრებისაგან ვერჯერობით თავი შეიკავეთ და აქტიურად აღევნეთ თვალი“.

იქვეა უფრო გვიანდელი, 1950 წლის 2 მარტის მინაწერიც: დაპატიმრებისაგან თავი შეიკავეთ.

მ. ზანდუკელს ერთხანს კიდევ გაპყვა გაღანასახლების შეზღუდვები. მეორე ა. რაფაეას გასამართლებსაც მოესწრო, საქართველოს უმაღლესი სასამართლოს მიერ გამართლებასაც (1956. 19. IX), თავისი მეცნიერული კვლევის ახალ-ახალ ნაყოფსაც, რამაც შეადგინა ლიტერატურული ნარკვევების ორი წიგნი (1957 და 1960), მონოგრაფიები „ავთა-ფშავლა“ (1953), „ილია ჭავჭავაძის მხატვრული ოსტატობა“ (1960), „შიო არაგვისპირელი“ (1966) და მისი ლექციების მსმენელი მრავალი თაობის სტუდენტთა მადლიერებისა და სიყვარულის გამოცხადებასაც ეღიარსა.

იოსებ ბართლომეს ძე მეგრელიძეს (დაიბადა 1909) უკვე საკმაო მიღწევები ჰქონდა როგორც ენათმეცნიერს, ფოლკლორისტს, ჰელაგოგს, როდესაც 1942 წელს დააპატიმრეს.

მაგრამ მან მანამდე იწვინა შევიწროება. მოუესმინათ თვით დაზარალებულს, რომელიც იმ დროს, 1931 წელს ლენინგრადში სწავლობდა: „სინანს ქართული ხელნაწერების ნ. მარის ნაწილის გამოცემა მე დამეკალა. მასზე მუშაობისათვის ანტირელიგიური პროპაგანდის წლებში მე, არაკომ-

კავშირელს და უპარტიოოსაც კი, ახარანტურიდან გარიცხვას მიპირებდნენ ნ. მარი თურქეთსა და საბერძნეთში ბრძანდებოდა. აკადემიის მეურვე ნ. ა. ბუხარინმა თქვა: მომავალმა ფილოლოგმა ბიბლიაზეც უნდა იმუშავოს. მან ამით მე დამიცეცა...“ (ი. მეგრელიძე, არ გაგიკვირდეთ, ახეა! „ცხოვრება“ 1991. 22. VI).

ი. მეგრელიძე 1931 წლის შემოდგომიდან 1939 წლის ნოემბრამდე ლენინგრადში ცხოვრობდა, იქ მუშაობდა ნ. მარის სახელობის ენისა და აზროვნების ინსტიტუტში, სწორედ ნ. მარმა მიანდო და ამ წლებში ჩაეყარა საფუძველი ი. მეგრელიძის მიწერ-მოწერას ემიგრაციაში მყოფ ქართველ მოღვაწეებთან, აგრეთვე, მრავალ უცხოელ ქართველოლოგთან. ამავე დროს 1937-38 წლებში მოსკოვში შ. რუსთაველის პირველი საიუბილეო კომისიის (თავმჯდომარე ალიოშა სვანიძე) სწავლული მდივანი იყო აკადემიიდან.

შემდეგ, თბილისში გადმოსულიც მხნედ მიაბაჯებდა სამეცნიერო-ჰელაგოგიურ თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობის გზაზე. მაგრამ შინსახკომიცი ფეხდაფეხ მიყვებოდა.

1940 წელს გაზაფხულზე სოხუმშიდან თბილისში ჩამოსული ი. მეგრელიძე და გ. ვაჩეჩილაძე (იქ ლექციებს ატარებდნენ) მატარებლიდან გადმოსულნი ორჯონიკიძის ქუჩის კუთხეში განლაგებულ მილიციის განყოფილებაში შეიყვანეს. ეტყობა, იმ ხანებში საზღვარგარეთიდან არალეგალურად ჩამოსული ს. გოგიბერიძესთან ნამყოფი კაცი მზავრობდა ამ მატარებლით და აღმათ იფიქრეს, ს. გოგიბერიძე ამითაც ხომ არ უნახავთო. ალბათ, ამის გამო შეეკითხნენ: ს. გოგიბერიძე რომ ნახოთ, რას იზამთო.

იოსებს უბახუნია: როგორც ვიცით, უკვე წახულია და როგორ ენახავთო.

ცოტა ხნის შემდეგ ავჯისტიში იოსები გურიაში მიემგზავრებოდა, ძალზე ცხელია, ამიტომ ჩემოდანი და პორტფელი ვაგონში ნაცნობ გამცილებელს მიაბარა და ბაქანზე ლიმონათის საფი-

დღად ჩამოვიდა. იქ ჩეკისტები ამო-
უდგნენ გვერდში, წაიყვანეს, ერთი
დღე-ღამე ჰყავდათ, ი. ნიხლაძესთანაც
შეიყვანეს, ჩასწინაინებდნენ ხ. ვოვიბე-
რიძეს თუ შეხედები, გვიბხარიო.

(საქართველოში 1924 წლის აჯან-
ყების ერთ-ერთი ორგანიზატორი ვუ-
რიაში, შემდეგ ემიგრაციაში წახული
სიმონ ლევანის ძე ვოვიბერიძე პირვე-
ლად საქართველოში, აჭარა-გურიაში
1940 წლის 20 აპრილს შემოვიდა ფა-
რულად დავით ერქომაიშვილთან ერ-
თად. აქ 31 დღე-ღამე დაჰყო და უკნებ-
ლად გაბრუნდა. მეორეჯერ 1942 წლის
20 ივნისს საქართველოში იმისათვის
შემოსული, რომ თუ საბჭოთა ხელისუ-
ფლება დამარცხდებოდა, ფაშისმის
დამყარებისათვის ხელი შეეშალა, —
უკან წასვლისას საზღვარზე დააკავეს,
27 თვე სასტიკ პირობებში ამყოფეს
და 25 საშინელი წელი გაატარებინეს
ციხეში — სამი წელი ვლადიმირის ცი-
ხის კარცერში, მერე კი ცალკე საკანში
იყო. 1956 წელს გაათავისუფლეს. მხო-
ლოდ 50 დღე გაატარა საქართველოში,
ისევე ციხეში ჩასვეს და მხოლოდ 1967
წლის ბოლოს ელირსა დაბრუნება. და-
კრძალულია კუკიის სასაფლაოზე).

1942 წელს კი ი. მეგრულიძე ასე
აღვილად ვეღარ გადარჩა. 1942 წლის
ზაფხულში დაბატიმრებულ კიდეც ერთ
(მერამდენე!) 23-კაციან ჯგუფს ბრა-
ლად ედებოდა ანტისაბჭოთა არაღვეა-
ლური ორგანიზაციის შექმნა, მაგრამ
თუ იმას გავითვალისწინებთ რომ ამ
„ჯგუფის“ წევრები, მ. შ. მთავარი
„დამნაშავე“ ვიქტორ ხერგოს ძე მამა-
ლაძე, ყველაფერს რომ „აღიარებდ-
ნენ“, შემდეგ უცებ ყველაფერს უარყო-
ფდნენ. — ის დასკვნა უნდა გამოვიტა-
ნოთ, რომ ბევრი რამ მათ ძალდატანე-
ბით ათქმევინეს (საქმე № 2456).

ამ ჯგუფის დასჯა უნდოდათ შემდე-
გი პრინციპით — 14 მთვანია ყოფილი
მენშევიკია, დანარჩენები — მათი ნაც-
ნობ-მეგობრები და არ შეიძლება ანტი-
საბჭოთა განწყობილება არ ჰქონდეთ
(ამ პრინციპით ნახევარი საქართველო
დაღუბეს!)

სწორედ ამ ჯგუფში აღმოჩნდნენ პრო-
ფესორი მოსე ვოვიბერიძე და მამა-
შვილი ბართლომე და იოსებ მეგრული-
ძეები.

იოსებ მეგრულიძე წაიყვანეს 2 აგვი-
სტოს ღამით.

პირველი დაკითხვა ხელადვე, 3 აგ-
ვისტოს დღისით მოეწყო (მღრ. — „100
დღე დაუკითხავი ვიყავი“ — ი. მეგრე-
ლიძე, ხსენებული მოგონება; აგრეთვე
„თბილისი“, 1988. 14. X). „პირველ-
სავე დაკითხვაზე მიბხრეს, მოიფიქრეთ
რისთვის დაგაპატიმრებდითო... საკანში
მრჩეველი ჩამისვეს, ჰატარა რაიმე და-
იბრაღე, ხუთი წლით გადაგასახლებენ,
დათეთქვასაც და დაღუპვასაც გადარ-
ჩებიო...“ (ხსენებული მოგონება).

პირველი დაკითხვის ოქმის ასლზე
ი. მეგრულიძის გვიანდელი მინაწერი:
„ფორმალური იყო ეს ერთსაათიანი და-
კითხვა და ისიც დღისით, კარგი ნიშა-
ნაიო, მეუბნებოდნენ კამერაში, დღე
რომ დაგიაბრუნო“.

ი. ტატიშვილისა და მ. ზანდუკელი-
საგან განსხვავებით ი. მეგრულიძისა-
თვის არ უცემიათ.

საგულისხმოა მესამე დაკითხვის ოქ-
მის ასლზე ი. მეგრულიძის მინაწერი:
„შონია ესწრებოდა ამ დაკითხვას, მე
რომ შეუტევე მირჩაროეს, ტყუილზე
ვერ მომწერინებთ ხელს-მეთქი... ტყუ-
ილი არ გვიანდა, მართალს ნუ დაფარა-
ვო. შონია რომ არ დამსწრებოდა, შე-
იძლება ეცემათ კიდეც“.

ი. მეგრულიძეს (ასევე მამამისსა და
პროფესორ მ. ვოვიბერიძეს) ამ ჯგუფ-
თან უმთავრესად აკავშირებდა მირიან
ბუკია (რომელსაც ჯგუფში თითქოს სა-
გარეო ურთიერთობათა დამყარება ჰქო-
ნდა დავალებული).

მ. ბუკიას ჩვენებით შეიქმნა ამ სამე-
ულის მთავარი მამხილებელი მასალა.
როგორც ი. მეგრულიძე დღეს ამბობს,
ბუკია უფაოდ აიძულეს, მიუხედავად
ამისა მან ბევრი ვერაფერი დაგვეწამო.
კრძოდა, ბუკიას უთქვამს: არაღვეალუ-
რი ორგანიზაციის არსებობაზე პროფე-
სორ მოსე ვოვიბერიძესთან, დოცენტ
ი. მეგრულიძესთან, აგრეთვე, ბ. მეგრე-



ლიტესთან მქონდა ლაპარაკიო. მ. გოგობერიძეს და ი. მეგრელიძეს ვურჩევდი თავი შეინახეთ, რადგან როგორც ავტორიტეტები მომავალი საქართველოს მთავრობისათვის საჭირო იქნებოთ-მეთქი (ფ. 464-465).

ი. მეგრელიძე დაკითხვებზე (1942. 3. VIII; 7XI; II. XII) უარყოფდა ყოველგვარ ანტისაბჭოთა ლაპარაკს, მითუმეტეს საქმიანობას.

პირზე წაყენების დროსაც (1942. 22. XI), როცა ბუკიამ უფრო საშინო საუბარი გაიხსენა — ჩვენს შორის კონტრრევოლუციური საუბარი ჯერ კიდევ ადრე იყო, 1941 წ. ნოემბერში სოხუმიდან ჩამოსული იოსები ჰაზარში ენახე, მოთხრა: თუმცა სოხუმი არ დაუბოძავთ, მაგრამ გერმანელები ისე სწრაფად მოდიან, რომ არამარტო სოხუმს აიღებენ, მალე აქაც იქნებიან, ეტყობა, მეორეჯერ სოხუმში ჩასვლა არ მომიწევსო, — თუარა იოსებმა: ასეთი ლაპარაკი არ ყოფილაო (ფ. 695-696).

მ. ბუკია კი განაგრძობდა — მეორე შეხვედრისას იოსებს უუთხარი ახალ საქართველოში საპასუხისმგებლო პოსტს მოეცემენ-მეთქი. იოსებმა მიპასუხა: არამარტო საპასუხისმგებლოს, არამედ მინისტრობასო (ფ. 455, 457, 458).

არც ეს დადასტურა იოსებმა: ბუკია ჩემი ვერც მოკავშირე (პოლიტიკური) იქნებოდა და ვერც ამხანაგი, რადგან ის ძველი ვადის კაცია, ხევა სპეციალობის, საერთო არაფერი გაქონდაო (მირიან თეიმურაზის ძე ბუკიას, აოფილ მენშევიკს, ადრე დიდუბეში, შემდეგ საბურთალოზე სანერგე და ბაღი მქონდა).

თუმცა მ. ბუკიას ჩემზე ისეთი არაფერი უთქვამს, ვახანეთში მანაც ვკეძეო — ამბობდა შემდეგ იოსები.

1942 წ. ი. მეგრელიძე № 58 საკანში იჯდა ალექსანდრე (ხაშა) ვაბესკირიასა და ტუპია (ივანე) იაშვილთან (პაოლოს ძმა) ერთად. მათთან შეიყვანეს პოეტი ი. მჭედლიშვილი. აგრესიული, მოურიდებელი ლაპარაკი იცოდა, ვაწუმებდით, ცოტა იმისიც გვეშინოდა

მოგზავნილი ხომ არაა, ვახვებ ხომ არ ლაპარაკობსო — იგონებს ი. მეგრელიძე.

ი. მჭედლიშვილი მალე გადაუყვანიათ № 58 საკანში — ნაცნობების ერთად ყოფნა ჩეკაში არასასურველად იყო მიჩნეული.

ი. მეგრელიძის დაკითხვისას გამოძიებულმა ორი ისეთი რამ ახსენა, რომ იოსები მიხვდა, ვისგან იცოდა ეს გამოძიებულმა: პირველი მხოლოდ ერთ კაცთან მქონდა ნათქვამი, მეორე — მხოლოდ მეორესთან გადახახლებიდან დაბრუნების შემდეგ იოსებმა პირველს ლაღობის წყლებთან სილა აჭამა, მეორეს კი ოპერის წინ საჯაროდ ჯაშუში უძახა...

ეს მეორე დაპატიმრებამდე ორი კვირით ადრე სტუმრებია იოსებს. ლაპარაკში უთქვამს: რა ხდება, საბჭოთა კავშირს ერევიანო. იოსებს უპასუხნია: ღურაქი ხარ, ამხელა რუსეთს რას მოურევიანო. მეორეს ისიც უთქვამს: ლიტვინოვი ყველაზე ძლიერი, თვით სტალინზე დიდი დიპლომატიო. პასუხად მიუღია: ამხელა საბჭოეთს სტალინი მართავს და ლიტვინოვი მსხვე დიდი დიპლომატი როგორააო.

ამასაც ამოსაწველად ნათქვამად თელის ი. მეგრელიძე.

მეორეს, როგორც ი. მეგრელიძე ამტკიცებს, გრ. წერეთლის დაპატიმრებაში ედო წილი — მისთვის ახლობლ შინახაქომელს (დის ქმარს) შთააოხნებია: ხანამ გრ. წერეთლი აქა დაწინაურება (კათედრის გამკეობა) არ ევლირსებაო.

არც პირველი, არც მეორე საქმეში არ ჩანან. თუ იოსები ამათი დაბეზღებით დააპატიმრეს, რა თქმა უნდა, შინახაქომი მათ არ გამოაჩენდა.

პირველის დასახანათებლად კი ბატონმა იოსებმა გვითხრა: ერთად დაედოდიო ცხინვალში, ჰედინსტიტუტში, ლაქიების ჩასატარებლად. იქ სტუდენტები ძალიშვილი გააუპატიურა, საქმის ჩასაფარებლად ფული დასჭირდა, ერთი თვის ხელფასი ვასესხე, როცა დაპატიმრეს, ჩემმა ძმამ ვალი შეახ-

სენა, იმან ასე უბასუხა: პირიქით, იოსებს ჩემი მართებხო.

შეთქმულებისათვის დაპატიმრებული 33-კაციანი ჯგუფიდან ი. მეგრელიძეს ყველაზე ახლო ნაცნობობა თ. გონიაშვილთან ჰქონდა, ორივე ე. ტატიშვილის ნახტუდენტარები იყვნენ. ამიტომ დამუქრებია იოსებს ა. რაფაეა: თქვენ და თ. გონიაშვილი ახლო იყავით ე. ტატიშვილთან და მასთან ერთად გაგასამართლებთო.

თუმცა ძიების დროს ი. მეგრელიძესთან მ. ზანდუკელი არ უხსენებიათ, ვინაიდან სატრიბუნალოდ გამზადებული ჯგუფის საქმესთან ვერცერთის მიკერება ვერ შესძლევს, იოსები და მ. გოგობერიძე მ. ზანდუკელთან და ე. ტატიშვილთან ერთად შეიფანეს ა. რაფაეას კაბინეტში. აი, როგორ იგონებს იოსები ამ ამბავს:

„იგი რუსულად გვეუბნება: დაგზოგვთ, საჭირონი ხართ, ტრიბუნალს არ გადაგვცით, გულწრფელად დაეხმარეთ გამოძიებას და ჩვენც მოგვეცით საშუალება არ გაგწიროთ, საქმეს „ოსობოე სიუეშჩანიეში“ ნუ გავგვარავნიებთ მოსკოვში!..“

როგორც დასაწყისში ვთქვით, რაღაც თანამშრომლობის მაგვარის შეთავაზებას ჰგავს.

საბრალოდებო დასკვნის ასლზე ი. მეგრელიძის გვიანდელი მინაწერი: „საოცრებაა: არ ჩანს აქ, რასაც რაფაეა და ნიბლაძე მეუბნებოდნენ, საჭირო ხარ, დაგვეხმარე; ყველაფერი გაფორმებულია მარქაროვის მიერ!... არც პროკურორ შონიას სიტყვები ჩანს? არც გოგობერიძეს და თქვენ შეგაერთებთ უნივერსიტეტის დასახვერტ ჯგუფსო... ი. მ.“

არც იოსებმა დაიბრალა რაიმე და არც სხვებმა და რაღვანაც კონკრეტული ბრალდება ვერ გამოუნახეს მათი საქმეები მოსკოვში გადაიგზავნა. საგანგებო საათობარომ იოსებსაც 5 წელი თავისუფალი გადასახლება მიუსაჯა. ყაზახეთში გაგზავნეს.

იქ ნამყოფზე უკეთ ვინ ავეიწერს იქაურ დამცირებებსა და გაჭირებებს?

და ჩვენც სიტყვა ი. მეგრელიძეს მივცეთ:

„მე დანიშნულების ადგილს 1944 წლის 16 იანვარს მივაღწიე...“

თუკი ერთხელ აღრიცხვავ დადილით ორგანოში. აქ იენისში გვითხრეს: ზანდუკელი, მეგრელიძე! ხენა უნდა დაიწყო, თქვენ ხარების ღამის მწვემსებად გნიშნავთ, ხელკეტებს მოგვებთ, მგლებმა პირუტყვი არ გააფუქობო. კატეგორიულად უარი ვთქვით. შემდეგ ტყავების სათელავ დილეკში ჩაგვიყვანეს, — აქ იმუშავეთო, — სადაც ტყავთა სიმერალისა და სიმქავეების სუნით თვალი ვერ გავალეთ. ვერც ამაზე დაგვითანხმეს და შემდეგ მიხვილა რაიფინგანში დანიშნეს საქმის მწარმოებლად, მე კი დაზღვევის ინსპექტორად. ჯამაგირი 170-170 მანეთი გვექონდა, კილო პური 60 მანეთი ღირდა. სამსახური მხოლოდ 300-300 გრამ პურს გვაძლევდა...“

ი. მეგრელიძემ გაგვიზიარა თავისი დაკვირება: შინსახკოში ჯობდა ციხეს, სადაც ქურდები ბატონობდნენ. ყველაზე საშინელი კი ე. წ. „პერესილაკა“ იყო — საქონლის ეაგონებით ვადაყვანაო.

ი. მეგრელიძე ყაზახეთიდან, კოქჩეტაის ოლქიდან 1947 წლის ოქტომბერში დაბრუნდა. პატიმრობასა და გადასახლებაში გადატანილზე რომ წარმოდგენა ვიქონიით, ვიტყვით, რომ დაპატიმრებისას იოსები 82 კილოგრამს იწონიდა, დაბრუნებისას კი მხოლოდ 49-ს.

ეს ფიზიკური მხარეა, მაგრამ მორალურ-ფსიქოლოგიური ტანჯვა რომ კილოგრამებში არ გამოიხატება?!

ი. მეგრელიძემ ბევრი რამ მიუმატა თავის ადრინდელ ნამოღვაწარს! ენახოთ, მაინც რა დააკლდებოდა ქართულ კულტურას, გადასახლების იმ 5 წელიწადში რომ რაიმე შემთხვეოდა ი. მეგრელიძეს (ეს კი არც ისე ვასაკვირი იყო იმ პირობებში): მან შექმნა და გამოაქვეყნა „გადმოცემები რუსთაველის შესახებ“ (1954), „შოთა რუსთაველი ზეპირსიტყვიერებაში“ (1965). „რუს-



თველოლოგები“ (1970), „იაკობ გოგებაშვილი და ახალი ქართული ენა, სახელმძღვანელოები, გრამატიკის საკითხები“ (1973), „ჯემალ ნოღაიძელი“ (1977), „ჭოლა ლომთათიძე“ (1979), „მცირე თეატრალური ლექსიკონი“ (1980), „ევნატე ნინოშვილი“ (1984), „სიძველეები ლიახვის ხეობაში“ (1984), „გუგუნავები“ (1987) და სხვა.

აღარაფერს ვაძბობთ უამრავ საყურნალო და საგაზეთო წერილზე.

საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ხანდაზმული, მაგრამ ჯერ მხნე პროფესორი, 1960 წლიდან ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომელი თავის მოვალეობად თვლის შთამომავლობას სიმართლე უთხრას იმ ხანაქებო მაშულიშვილებზე, ვინც ყველგან და ყოველთვის შესძლო შეენარჩუნებინა ქართველი ინტელიგენტის ღირსება, ვისთანაც ერთად გაუძლო შინსახკომის ციხის დაკითხვებს, ვაზახეთისკენ საქონლის ვაგონებით მგზავრობის არაადამიანურ პირობებს, გადასახლების ადგილას შინსახკომის განყოფილებაში ყოველთვიური გამოცხადების, შეუფერებელ სამსახურში გამწესების დამამცირებლობას, იქაური ყოფის სიდუხჭირეს...

ბუნებრივია, განსაკუთრებული სისათუთით ინაბავს ი. მეგრელიძე გადასახლებაში ერთად „გატარებული წლების მოსაგონებლად“ მ. ზრნდუკელისაგან ნახუქარ წიგნებს. ერთერთ მათგანს („ლიტერატურული ნარკვევები“ ტ. I, 1957) ასეთი წარწერა ამშვენებს: „გატარებაში გამოცდილ მეგობარს დოც. სოსო მეგრელიძეს კარგი, კეთილი მოგონებითა და ვრძნობით ავტორისაგან 7. VII. 58.

შორს წაგვიყვანდა იმის აღნუსხვა, თუ ი. მეგრელიძემ, ვარდა აღნიშნულისა, რა ზრუნვა გამოიჩინა ე. თაყაიშვილის, ნ. მარის, ჭ. ლომთათიძისა და სხვ. ხსოვნის უკვდავსაყოფად. მაგრამ ერთი მაგალითი აუცილებლად უნდა მოვიტანოთ, რადგან ის კვლავ რეპრესირებულ აღმზანს ენება.

დღეს ქართველ ერს შეიძლება არ ჰქონოდა ერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი, კერძოდ, კიტა მეგრელიძის „ახორიენების სოციოლოგიის ძირითადი პრობლემები“, რომ არა ი. მეგრელიძის გაბედულება – ის 1938 წლის თებერვალში წვიმის წყლის საწრეტ მიღს ავვა და ავიდა მეცნიერებთა აკადემიის შენობის (ლენინგრადი, სასახლის ქ. 18) მეორე სართულზე, შეტეხა დაღუქული კაბინეტის ფანჯრის მინა და ვაპოიტანა ხხენებული წიგნის მთავლიტირებული ევზემპლიარი (რომელიც ერთადერთი გადარჩენალი ცალი აღმოჩნდა), შემდეგში 23 წელიწადი ატარა ეს მვირფასი განძი და როცა შესაძლებელი ვახდა, ქართველ ერს დაუბრუნა.

აქვე იხიც უნდა ვთქვათ, რომ სწორედ ჩრდილოეთ ვახახეთში რვა წელი გაატარა ტროცკისტებად გამოცხადებული მშობლების გამო 19 წლის ასაკში გადასახლებულმა ი. მეგრელიძის მუდღემ ნინო იასონის ასულმა შვანვირაძემ, ამჟამად თეატრალური ინსტიტუტის პროფესორმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ.

ი. მეგრელიძის დაპატიმრების მეორე დღეს, 1942 წ. 4 აგვისტოს მამამისიც, სახალხო პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. 1905-1921 წლებში სოციალდემოკრატიული პარტიის წევრი, 1917-1918 წლებში ართვინის ოქქის მმართველი, იქ, აგრეთვე არტანუჯხა და მურგალში, 1926-1929 წლებში კი საინგილოში ქართული სკოლების დამმარსებელი ბართლომე გრივოლის ძე მეგრელიძე (1883-1943) დაპატიმრეს (მის ბიოგრაფიაზე და მოღვაწეობაზე – აჭარის სახელმწიფო მუზეუმის შრომები, ტ. VII, 1972, გვ. 37-45, ბათუმი; შ. ტარტარაშვილი, ჟურნ. „სკოლა და ცხოვრება“, 1964, № 12, გვ. 65-68).

ბართლომესაც მისი ძველი ნაცნობის მ. ბუკიას ჩვენებები დაუხვდა წინ, რაზეც ბართლომემ 1942 წ. 13 ნოემბერს დაკითხვაზე განაცხადა: „ვიხსენებ შემდეგ: 1942 წ. იანვარში ვერის ბაზართან შევხვდი მირიან ბუკიას, საბურთა-



ლოსკენ წაუვლით, საუბარი ჩამოვარდა გერმანელების წინსვლაზე. ვთქვა: თუ ომი წაუვავთ, საქართველოში შეიძლება რუსებსა და ქართველებს შორის დავა შეიქნეს, რადგან ზოგიერთი ფიქრობს საქართველო არაგულწრფელად ეკიდება ომს, მიაჩნიათ თბილისში ომი არც იგრძნობაო. რეკლუცია ქართველებმა მოახდინეს, სსრკ-ს ხათვეში ქართველია და შეიძლება იფიქროს ქართველებმა განგებ წააგვს ომი. სწორედ ეს გამოიწვევს ეროვნულ შუღლს.

ბუკია დამეთანხმა: ეს უკმაყოფილება შეიმჩნევა, როცა აქ რუსები ჩამოდიანო!

ხაკმაოდ საინტერესო მოსაზრება გამოუთქვამს ბართლომეს. ეს არ იყო ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული. არც ბუკიას დაუბრალებია უსაშველო რამ...

უფრო მეტი ბართლომეზე მის თანასოფელელ მათითამიელს (დაბად. 1886) უთქვამს ჩონხატაურში დაკითხვაზე (1942. 12. IX): მტრულადაა განწყობილი, უკმაყოფილო ელემენტია, თქვა: თუ მოსკოვს აიღებენ ეს არაა დამარცხება, დიდი ტერიტორია აქვს რუსეთს, თუ ოდესას აიღებენ — შავ ზღვაზე გაბატონდებიან და ომს აუცილებლად მოიგებენო.

საბრალდებლო დასკვნა ბართლომესათვის დახვრეტას მოითხოვდა, მე-რე, ისე როგორც შეიღს, მასაც 5 წელი გადასახლება მიუსაჯეს. მაგრამ გადასახლებაშივე 1943 წ. 11 ივლისს გარდაიცვალა ორთაჭალის ციხეში.

ციხეში, დაკითხვების (11. VIII; 12. IX; 8. XI) დამამცირებლობამ და დამახულობამ (ვინ იცის, იქნებ ფიზიკურმა ზემოქმედებამაც!) 60 წლის კაცი მოინელა.

● მოხე ივანეს ძე გოგიბერიძე (1897-1949. 10. X.) — ფილოსოფიის დოქტორი, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი 1930 წლიდან, ავტორი შრომებისა: „ინსტიტუტის რელატივი-

ზის თეორია“ (1924), „სპინოზა“ (1927), „მატერიალიზმი და დიალექტიკის პრობლემების განვითარება მარქსამდე“ (1928), „მეცნიერება და რელიგია“ (1929), „ლენინი, როგორც ფილოსოფოსი“ (1930), დაარსებიდან (1924) 1932 წლამდე ქართველ მწერალთა უპირველესი და უმნიშვნელოვანესი ჟურნალის „მნათობის“ პასუხისმგებელი მდივანი და ამდენად ქართული მწერლობის განვითარების მრავალწლიანი მონაკვეთის აქტიური მოღვაწე — დააბათიმრეს 1924 წლის 4 აგვისტოს.

45 წლის ასაკში, შევიძლება ითქვას, ახალგაზრდა ცაცქ, შემოქმედებითი მუშაობის ზენიტში მყოფი მოწყვეტეს ვველაფერს და როგორც გერმანოფილს (გასაკვირი არაა, რომ ამაში დაედოთ ბრალი, ის ხომ ბერლინისა და მარბურგის უნივერსიტეტში ფილოსოფიას ეუფლებოდა), და-მძებ დაბათიმრესებულს ათი წელი მიუსაჯეს.

მის დაბათიმრებაში ბრალი მიუძღვის მოსეს ერთ-ერთ უნივერსიტეტელ მოწაფეს, რომელსაც შინსახკომში მიუტანია მოსეს სურათი, გადაღებული კარლ კაუცკის ქალიშვილთან.

მოსეს ახლო ნაცნობობა ქონია ამ ოჯახთან, ხოლო „რენეგატ კაუცკისთან“ შეგობრობა საშინელ მკრეხელობად ითვლებოდა საბჭოთა კავშირში.

მოსესაც წინ დაუხვდა მ. ბუკიასთან ნასაუბრები (ფ. 432, 465) — საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ლაპარაკობდაო (ამაზე მ. გოგიბერიძე იტყვის: კი შელაპარაკებოდა ბუკია, მაგრამ მე ყურადღებას არ ვაქცევდი, ჩვეულებრივ მოლაყებდ უკვლავი. ფ. 506) და 1937 წ. 9 მარტს დავით კონსტანტინეს ძე წერეთლის მიერ დაკითხვაზე ვინ იცის რა წამების ფასად თქმული: მოსე საბჭოთა ხელისუფლების ოსტატურად შენიღბული მტერია, ქობილისის მენშევიკურ სათადარიგო არალეგალურ ცენტრში შედიო.

საბრალდებო დასკვნაში მ. გოგიბერიძეზე ნათქვამია: ახალგაზრდა სოციალ-დემოკრატთა ყოფილი ხელმძ-

ღვანელია, ურთიერთობა პქონდა კ. კა-
უცკის ოჯახთან, მას პირადად იცნობ-
და, დაკავშირებული იყო ქმნსქვიკურ
ემიგრანტულ ხელმძღვანელობასთან, გე-
რმანოფილიალიაო.

მ. გოგიბერიძემ ასე ახსნა თავისი
გერმანოფილობა: „კითხვაზე — რით
იყო გამოწვეული ჩემი აღფრთოვანება
გერმანული იარაღის სიძლიერით და
მოწონებით დამოკიდებულება გერმან-
იზმის ე. ი. ფაშისტური გერმანიის
წარმატებებზე ევროპის კონტინენტ-
ზე — ვალიარებ, ეს იყო ჩემი დიდი შე-
ცდომა, თუ გნებავთ პოლიტიკური
თვალსაზრისითაც... რამ გამოიწვია
იგი? ვალიარებ, რომ იმ მომენტში
ჩემს გერმანოფილობაში წაიშალა სა-
ზღვარი გერმანული ხალხის ნამდვილ
ინტერესებსა და ფაშისტის შორის“
(ფ. 518). „მე ვთქვი, გამოდის რომ ფა-
შისტური გერმანიის თავდასხმა საბ-
ჭოთა კავშირზე ისტორიულად შეიძ-
ლებოდა ავეცილებინა ბურჟუაზიული
დემოკრატიული გერმანიის შენარჩუ-
ნებით მის მთავრობაში სოციალ-დე-
მოკრატების მონაწილეობით... მე ისე-
თი აზრიც კი გამოვთქვი, თუ გინდათ,
საჭირო იყო ხელოვნურად ხელი შეე-
ვეწყო გერმანიის სოციალ-დემოკრა-
ტებისათვის, რომ დაგვეუსტებინა კა-
პიტალისტური გარემოცვა და ამასთან
დაკავშირებით მე გავიხსენე და მოვი-
ტანე ჩემი სიტყვების დასადასტურებ-
ლად ერთხელ კარლ რადეის მიერ
თქმული ფრთიანი ფრაზა, „გერმანიის
სოციალ-დემოკრატია ჩვენ გვერდნი-
ბოდა, ჩვენ კი — მას“. მე დაუუშვი
კომინტერნის ზაზის კრიტიკა და ამა-
ში გეთანხმებით, თუცა პირდაპირ
ამაზე არაფერი მილაპარაკნია“ (ფ.
519).

საინტერესო მოსაზრებაა გერმანია-
ში ფაშისტის მოხელის თავიდან აცი-
ლების შესაძლებლობის ხელიდან გაშ-
ვების თაობაზე. მაგრამ საბჭოთა კავ-
შირში მხოლოდ ის იყო სწორი, რა-
ხაც 1924-მდე ლენინი, 1953-მდე სტა-
ლინი, 1964-მდე ხრუშჩოვი, 1984-მდე
კი ზრეცნევი იტყვოდა. ამდენად, კიდევ

კარგი, რომ იმ წუთშივე არ დახურო-
ტეს მ. გოგიბერიძე — როგორ ბედავ
და სტალინის საგარეო პოლიტიკის
სისწორეში ეჭვი შეგაქვსო.

გოგიბერიძე ციმბირში გადასახ-
ლეს. გადასახლების ადგილის, იქური
ყოფა-ცხოვრებისა და მ. გოგიბერი-
ძის დასახსნათებლად მოგაქვს მოკ-
ლე ამონაწერები მისი წერილებიდან ი.
შვერელიძისადმი („განთიადი“, 1993.
№ 5-6):

„ეს დონსკოი ისეთი დაქცეული ქვე-
ყანაა, რომ აქ კარტოფილის მეტი
არაფერი არ მოდის“.

„ჩვენთან უსაშველო „შმონი“ (ჩხრე-
კა, ი. მ.) იყო, წერილები, რაც კი სა-
ხეს, „ოსპეს“ — 2. XI. 47.

„ცოტა დაგრჩა, თვეები, წახვალ,
გზას დაგილოცავ“ — I. III. 47.

„სოსო ჩემო, გოგიბერიძეს შავი ბე-
დი აქვს. 1942 წელს უნივერსიტეტი-
დან „წაყვანილი“, წელს ყველა სახლ-
ში ბრუნდება, შალვა (სიხარულიძე,
ი. მ.), როგორც ვიცი, 25 ივნისს აპი-
რებს, მხოლოდ ჩემი ბედაა ასეთი კრუ-
ლი“.

მოსე გოგიბერიძემ მხოლოდ 1949
წლამდე გაუძლო გადასახლებულთა
ცხოვრების სიმძიმეს — ამ წელს ქ.
აქტობისისკში გარდაიცვალა.

1952 წელს იოსებ მეგრელიძის რჩე-
ვით მოსეს დამ ჩამოასვენა ძმის ძეღე-
ბი. პატარა მოთუთიებული ყუთი ცო-
ტა ხანს სარდაფში დადგეს, რომ ახ-
ლობლები გამოთხოვებოდნენ. ამ ამბა-
ვმა გაჟონა, ამიტომ სისხამ დილით
მოსეს დამ, ვითომ ყვევილებს რგავდა,
დედამისს გულზე დაასვენა მოსეს ნე-
შტი. შემდეგ, 1955 წელს, როცა პო-
ლიტიკური ცხოვრების ამინდი ცოტა-
თი უკეთესობისაკენ შეიცვალა, ი.
მეგრელიძის თაოსნობით, ზაქარია კე-
ცხოველისა და ვიქტორ კუპრადის დახ-
მარებით ვაკეშივე, მოღვაწეთა პანთე-
ონში გადმოასვენეს.

რეაბილიტაციის შემდეგ (19) გამო-
ვიდა მ. გოგიბერიძის „რუსთაველი,
პეტრიწი, პრელუდები“ (1961). ამ
წიგნის შესამე თავი გადასახლებაში,

ქ. აქტიუბისკეში დაიწერა. იქიდან ავტორმა ი. მეგრელიძეს გადაუგზავნა, რომელმაც გადასახლებიდან ნამოიტანა და ამ წიგნში შეტანილი გამოსცა თავისი წინასიტყვაობით და შენიშვნებით.

მ. გოგიბერიძის რჩეული ფილოსოფიური თხზულებები თავმოყრილია 1970-1978 წლებში გამოსული ოთხ ტომში. აქაც მეოთხე ტომი ი. მეგრელიძემ შეადგინა. მისივე აქტიური მონაწილეობით მოსეს მშობლიურ სოფელ ქვენობანში (ჩოხატაურის რაიონი) შეიქმნა მ. გოგიბერიძის სახლ-მუზეუმი.

ზემოთ ნათქვამი იყო, რომ ა. რაფაევამ ნართულად თანამშრომლობა შესთავაზა მასთან კაბინეტში შეყრილ მ. ზანდუკელს, ე. ტატიშვილს, ი. მეგრელიძეს და მ. გოგიბერიძეს. ეს შინსახკომისათვის ჩვეულებრივი ამბავი იყო. ამის გამო ის არ წითლდებოდა. ახლა შინსახკომის ამ სფეროში მოღვაწეობის კიდევ ერთ მაგალითზე მოვახსენებთ.



უნივერსიტეტულ პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად 1942 წელს გივი რაფაენის ძე გაჩეილაძემ (1914-1974) დააპატიმრეს.

ახლგაზრდა, 28 წლის კაცს უკვე გამოცემული ჰქონდა თარგმანთა რამდენიმე წიგნი: „უცხოელი და რუსი პოეტები“ (1937), კ. ლონგფელოს „მაიაკატას სიმღერა“ (1938), „ინგლისელი პოეტები“ (სწორედ დააპატიმრების წელს გამოვიდა), აგრეთვე, ნაშრომები ლიტერატურათმცოდნეობიდან: „ბაირონი“ (1938), „თანამედროვე ინგლისის ბურჟუაზიული რომანის ძირითადი საკითხები გოლსუორთის „ფორსაიტების ქრონიკებში“ (1941).

ჯერ კიდევ 1939 წელს იბარებენ შინსახკომში და ი. ნიბლაძე თხოვს მასალებს მოგვეცი ოთარ ჯინორიაშვილ (მამამისი 1924 წელს პარტიული კომიტეტის წევრი იყო და მისი შვი-

ლი არ შეიძლება სანდო საბჭოთა ადამიანი იყოს, თქვენ კი მეგობრები ხართ, შენ არაფერს დაგეშავებთ).

რა გავრძელება ჰქონდა ამას? მხოლოდ ის ვიცით შინსახკომიდან დაბრუნებულმა გივიმ მიატოვა უნივერსიტეტის ასპირანტურა და ასპინძაში წავიდა ინგლისური ენის მასწავლებლად. ამბობენ იფიქრა 2-3 წელს ვიქნები, გლახა საქმეს ავიცილებო...

შინსახკომის საზიზღარი მეთოდების გასაენობად ისიც უნდა ითქვას, რომ მაშინვე დაუბარებიათ ი. ჯინორია და ახლა იმისთვის უთქვამთ: შენი უახლოესი მეგობარი გ. გაჩეილაძე დახვეწულთში გაქცევას აპირებს. სამზრეთ საზღვრებს მიუახლოვდა. მასზე მახალები მოგვაწოდეთ.

არც აქ ვიცით, რა გავრძელება ჰქონდა ამ ამბავს.

გივი 1942 წელს დააპატიმრეს – საზღვარგარეთ გაპარვა ვინდოდაო. იქნებ მათ წინადადებაზე თავის არიდება არ აპატიეს. მაგრამ ის მალე, 1943 წელს გაათავისუფლეს. მისი მახალები საგანგებო სათათბიროში აღარ გაუგზავნიან, მას კი ყველასთან დღაპარაკება ეშინოდაო.

ამის შემდეგ გ. გაჩეილაძემ თარგმანთა მრავალი წიგნი გამოსცა. მისი „რჩეული თარგმანები“ კი 1981 წელს გამოვიდა.

ლიტერატურათმცოდნეობაშიც ბევრს მუშაობდა. „უილიამ შექსპირისა“ (1964) და „შექსპირიდან გოლსუორთამდე“ (1967) პერიოდის ინგლისურ მწერლობას იკვლევდა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მთარგმნელობითი პრაქტიკით დაგროვებული გამოცდილებისა და ამ საქმის თეორიული საფუძვლების კვლევის შედეგად შექმნილი ცნობილი ნაშრომი „მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხები“ (1959).

გარდაცვალებით კი უდროოდ ვარდაიცვალა და, როგორც ი. მეგრელიძემ ბრძანა, ეპვი არაა, გივის სიცოცხლე „შინსახკომთან ურთიერთობამ და მი-

სი ციხის საკნებში განცილებულ-გადატანილმა შეუმოკლა“.

გვინდა შეითხველის ყურადღება მივაქციოთ შინსახკომის ცხოვრების კიდევ ერთ „წვრილმანზე“, რომელიც საგულისხმოდ მიგვანინა.

ერთხელ დაკითხვისას გამოძიებულს თავისთვის კატლენტი ამოუტანია, იოსებ მგერელიძეც მიუპატიჟნია. თუმცა შიოდა, იოსებს უარი უთქვამს: კატლენტი ვერ გამაკვირვებს, ლენინგრადში მეცნიერებათა აკადემიაში ვმუშაობდი, კარგი მომარაგება გექონდა, თვით კიროვთან მისადილია. აი, სამ ღერ პაპიროსს თუ მომცემთ, კარგი იქნება, მე არ ვეწევი, მაგრამ ჩემს საკანში კაცი კვდება (გოგოლაძე იყო, დამფუძნებელი კრების წევრი), გუშინ მატყლი შეახვია და მოსწიაო...

გამომძიებელმა მისცა პაპიროსი.

მეორეჯერ ა. რაფაევამ იოსებს წინ დაუდო ქაღალდი, რომელზეც ტექსტს ხელი დააფარა და მარტო ხელმოწერა აჩვენა: აი, ეს გამხელსო. სინამდვილეში, როგორც ი. მგერელიძე ამბობს, განცხადების ტექსტში სულ სხვა რამ ეწერა.

მორიგი საზიზღრობა, შინსახკომის ნახელავი: იმ 23-კაციან ჯგუფში რომელთან ერთად მ. გოგიბერიძე და მამა-შვილი მგერელიძეები დააპატიმრეს,

კიდევ ერთი მამა-შვილი, გრიგოლ და ფარნაოზ მაისურაძეები იყვნენ. შვილი აიძულეს მამის წინააღმდეგ ეთქვა: ანტისაბჭოურად შზრდიდა, განსაკუთრებით გაბოროტდა, როცა ჩემი ძმა ავთანდილი ფრონტზე უგზოუკვლოდ დაიკარგა. როცა გერმანელები საბჭოეთს ამიერკავკასიას ჩამოჭრიან, ან საქართველოს მოადგებიან, საქართველოში საბჭოების მოსასპობად აქტიურად უნდა გამოვიდეთო. მე დავაკვირდი და მიზეხვი – მამაჩემს, თედორაძეს და სხვებს არალეგალური ორგანიზაცია ჰქონდათო... (ფ. 398).

როგორც ეთქვით, ამ ხუთეულიდან ბედმა ყველაზე ხანგრძლივი სიცოცხლე პროფესორ ი. მგერელიძეს არგუნა და ის, ნაფოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობასთან ერთად, თავის მასწავლებელ მეცნიერთა თუ საერთოდ ქართული მეცნიერებისა და კულტურის მოამაგეთა ღვაწლის შესწავლა-გამომხეურებასთან ერთად, იმათ თავგადასავალსაც გვაცნობს, ვისთანაც სამუდამოდ დააკავშირა საპატიმროების საკნებსა და ვადასახლების ადგილებში გადატანილმა უმძიმესმა დღეებმა.

ეს მას საპატიო მოვალეობად მიანიჭა დაღუპულთა ხსოვნისა და შთამომავლობის სამსჯავროს წინაშე.

მწერლის პროზის ქართული

გრიგოლ აბაშიძე ქართველი ერის მძიმე წარსულის მეტატიანაა. წარსულს თანამედროვე სამრეკლოდან უცქერის. სამი რომანი, პოემები და ჩინებული ლექსები უძღვნა ისტორიულ თემებს. მის ისტორიულ რომანებში წარმოსახულია რწმენა და საქმე, — რწმენაში გაცხადებული საქმე და საქმეში გაცხადებული რწმენა. „პირველი პროზაული ნაწარმოები „ღაშარელა“ საქართველოს ისტორიამ შთაძაგონა“, — ამბობს იგი, — „ღაშარელას მოკლე „დიდი ღამე“ და აი, წარსულში ჩემი მოგზაურობა ჯერჯერობით მთავრდება მეცამეტე საუკუნის ქართული ქრონიკის უკანასკნელი, მესამე წიგნით, რომელსაც „ცოტნე ან ქართველთა დაცემა და ამაღლება“ ვუწოდებ“. ამ თხზულებებში ბევრი რამაა წარმოსახული, ნახულიცა და უნახაიც. შეფასებულიცა და შეუფასებელიც, მაგრამ მე ამჯერად მხოლოდ ორ საკითხზე შევჩერდები. ის, თუ რაა გადმოცემული, დანახულ-შეფასებული, მეორე ის, თუ როგორაა ყოველივე ეს ზორცშესხმული მხატვრულ ენაში.

მწერლის ისტორიული რომანის უმთავრესი იდეაა მშვიდობის მარადიულობის მხატვრული გააზრება და სიკეთის წარმოსახვა მარკირებულ სახეებში. აქ მარადიული მშვიდობა გაცხადებულია როგორც სიკეთე. მწერალი თესავს სიკეთეს და ღრმად სწამს სიბრძ-

ნე ბიბლიური შეგონების „ინც სიკეთის კეთება იცის და არ აკეთებს, ეს ცოდად ეთვლება მას“, „საქმით მართლდება კაცი და არა მხოლოდ რწმენით“, „როგორც სხეულია მკვდარი სულის ვარეშე ისევე რწმენაც მკვდარია საქმეთა ვარეშე“. ავტორის ისტორიული რომანების პერსონაჟები ერთგულად ემსახურებიან ამ იდეებს და მამაცურად იღუპებიან. იაკობ მოციქული ამბობს: „რწმენაც, თუ საქმენი არ გააჩნია, თავისთავად მკვდარია. მაგრამ იტყვის ვინმე: „შენ გაქვს რწმენა, მე კი მაქვს საქმენი“. მაჩვენე შენი რწმენა საქმეთა ვარეშე და გიჩვენებ ჩემს რწმენას ჩემი საქმეებისაგან“. მწერალს სჯერა მისი გმირებისა, სწამს მათი მოქმედების შეფარდება დროსა და სივრცესთან და ეს რწმენა განხორციელებულია საქმეებით.

გრიგოლ აბაშიძემ შექმნა მეცამეტე საუკუნის შავსხელი ისტორიის მხატვრული მატრიანე. შეურჩია მას თავისი ენა და სტილი, იცხოვრა თავისი გმირების ცხოვრებით. „თითქმის ოცი წელიწადი ვცხოვრობდი მეცამეტე საუკუნის საქართველოს ცხოვრებით“; „აზლა, როცა ჩემი „ქრონიკის“ უკანასკნელი წიგნიც დასრულდა და მკითხველთან ვასაუბრებუა მომინდა იმის გამო, თუ როგორ და რა ხელმძღვანელი პრინციპებით ვმუშაობდი ისტორიულ მასალაზე, ჩემდაუნებურად, ისევე „ქართლის



ცხოვრების“ ტყვეობაში აღმოვჩნდი“, — ამბობს იგი „ცოტნეს“ ბოლოს დართულ აღსარებაში, რომელიც მწერლის შემოქმედებითი ლაბორატორიის გასაღებია. საოცარი, ამჟამადაც ჭკუის სასწავლო სიმართლეა აქ ნათქვამი: „ზოგჯერ საქართველოს დაცემაში მისსავე შვილებსაც მიუძღოდათ ხოლმე წილი და ქართლის ცხოვრების ფურცლებზე არა ერთი ძლიერი ადამიანი გვხვდება, რომელსაც პირადი ბედნიერებისათვის სამშობლოს კეთილდღეობა უნაცვლებია, მაგრამ ეს ზომ მარტო ქართველთა უბედურება არ იყო“. მემატინე გვიჩვენებს ამის მხატვრულ სახეებს და სამართლიანად დაასკვნის: „მაგრამ თითოეული ერის წარსულში იყო მოვლენები და იყვნენ ადამიანები, რომლებსაც მიუხედავად იმისა, რომ ჩვენგან შორს არიან, დღესაც შესწევთ ძალა, გავლენა მოახდინონ ჩვენზე“. ჭეშმარიტად!

გრიგოლ აბაშიძის ისტორიული რომანები ვერდნობა უმდიდრეს ისტორიულ და ლიტერატურულ წყაროებს, რომელთა შორის ძირითადია „ქართლის ცხოვრება“, ქართული ცივილიზაციის უბრწყინვალესი მატინე. უალტერნატივოა ამ კოლექტიური ნაშრომის ავტორისეული შეფასება: „ქართლის ცხოვრება“ ქართული კულტურის მონუმენტური ძეგლია, რომელიც თავისი მნიშვნელობით უსწორდება ჩვენი ხალხის გენიით შექმნილი წარსულის ყველაზე დიდ ქმნილებებს. უფრო მეტიც, იგი არის მსოფლიო ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი ძეგლი, რომელსაც ყოველგვარი შეღავათის გარეშე ეკუთვნის თავისი ღირსეული ადგილი მსოფლიოს ხალხთა მატინეების გვერდით“.

გრიგოლ აბაშიძემ ისტორიულ რომანებს შეურჩია კოლორიტული ენა, რომელშიაც ფენებადაა დალაგებული წარსული, ისტორიული მოვლენები შეფარდებულია თანამედროვეობის ვნებათაღელვასთან. აქ გამოყვანილი არაა ძველი და ახალი. იკვანძება წარსული თა-

ნამედროვეობასა და თანამედროვეობა წარსულში. გიორგი მერჩულეს ბრწყინვალე ენა საოცარი სიზუსტით ასახავს ეპოქას და „გრიგოლ ზანთელის ცხოვრებას“, უეჭველია, ცხოველი ინტერესით კითხულობდნენ X საუკუნეში. მაგრამ წაიკითხავდა კი ვინმე ხალხით „ოთარაანთ ქერის“, ილიას იგი გიორგი მერჩულის ენით რომ დაეწერა? ის, რაც მორგებული და მშვენიერია ერთი ეპოქისათვის, მოურგებელია მეორე ეპოქისათვის. ეს პარადოქსი თითქოს გამართლებული ჩანს ჩვენი მაგალითის შეფარდებისას. მაგრამ ხელოვნება, როგორც მშვენიება, და ენა, როგორც ამ ხელოვნების ნიშნობრივი გამოხატულება, ცალ-ცალკე ფენომენებია. მშვენიერება თავისთავად ისეთი მარადიული და მყარი ფენომენია, ეპოქის სუსხი რომ ვერ ცვლის. რაფაელის მადონა მშვენიერი იყო, არის და მარად დარჩება. ფარაონთა სფინქსები იყო და არის მშვენიერების გამოხატულებანი და მათ არასოდეს არ მოშორდება ეს ზედგამოჭრილი ეპითეტი, მაგრამ ენობრივი ფასეულობანი ამ რიგის მოვლენები არ არიან და სხვაგვარ გააზრებას საჭიროებენ. ენობრივი სამოსელი ეპოქის ნორმირებულ სუნთქვას უნდა შეუფარდდეს. სამოსელი საკუთრივ ეპოქის ატრიბუტიცაა და თავად ეპოქაც. ამიტომ ისტორიული მოვლენა და პერსონაჟის თავგადასავლის ენობრივი ვარსი ეპოქის სულიერ ფასეულობათა საზომებს უნდა ექვემდებარებოდეს. გრიგოლ აბაშიძე სამართლიანად ამბობს: „ახლა რომ ფრანგმა მწერალმა პროვანსელი ტრუბადურების ცხოვრების რომანი დაწეროს, არავის გაუკვირდება, მაგრამ ეს რომანი რომ ძველი ფრანგულით დაწეროს, მას არავითარი გამართლება არ ექნება და არც მკითხველი ეყოლება“.

ამ უდავო ჭეშმარიტებას ჩვენი ავტორი იცავს თეორიულადაც და აზორციელებს პრაქტიკულადაც. მისი ისტორიული რომანების ენა ღრმად თანამედროვეა. თანამედროვე გრამატიკა საკვირველი სინატიფით ასახავს გარდა-

სული ეპოქების ენობრივ სამოსელს. მწერალმა კარგად უწყის, რომ ენა, რომელიც ხალხის მიერაა შექმნილი, მეტნაკლებად იცვლება. „ზოგთა ენა არსებითად გამოიცვალა, ზოგის ორ ისტორიულ პერიოდად, ორ ნაკვეთად გაიყო და განწადა ამა თუ იმ ხალხის ძველი და ახალი ენა (მაგალითად, ძველი და ახალი ფრანგული, ძველი და ახალი სომხური და სხვ)... მაგრამ უკვე მკვლარ, ხმარებიდან გამოხულ (ან ნაკლებ მოსახმარ) ენაზე ჯერ არც ერთ კლასიკოსს არ უწერია და, თუ ვინმეს მსგავსი რამ უცდია, მხოლოდ სპორტული ინტერესით. პირიქით, დიდი მწერლების მოხდენილი რეფორმა სამწერლო ენის ცოცხალ, ხალხურ მეტყველებასთან დაახლოებასაც გულისხმობდა“. ეს შეხედულება მეცნიერულად უდავო და დასაბუთებულია, რასაც, ბუნებრივია, ეფუძნება ავტორის კონცეფცია ისტორიული რომანის ენობრივი სამოსლის სპეციფიკის შესახებ. თუ მწერალს სურს, რომ მისმა თხზულებამ მოიგოს მკითხველის გული, სწორედ ამ თვალსაზრისს უნდა იცავდეს. ისტორიული რომანების ავტორები ყოველთვის ფიქრობდნენ თავიანთი თხზულებების ენაზე და მათი უდიდესი უმეტესობის ერთსულთავენი პასუხი დასმულ მწვავე საკითხზე ნათელი იყო: გარდასულ ეპოქათა მოქმედი პირების ალაპარაკება თანამედროვე ენით. ეს გახლდათ ერთადერთი ჭეშმარიტი პოზიტიური პასუხი, რასაც იძლეოდნენ არა მარტო ქართველი ავტორები, არამედ ისტორიული რომანების შემოქმედნი საერთოდ. დამაჯერებელია ვრ. აბაშიძის დასკვნა: „ძველ ან მკვლარ ენაზე წერა რომ ისტორიული რომანის ავტორისათვის საუაღდებულო ყოფილიყო, როგორ დაეწერა თავის ენაზე ფლობერს კართაგენელი გმირის ცხოვრება, ან ჰენრიხ მანს საფრანკეთის მეფის ჰანრი მეოთხის რომანი, ან თუნდაც თომას მანს ბიბლიური პატრიარქის იოხების ეპოპეა?“ მე დავუმატებდი: როგორ დაეწერა ილიას „დიმი-

ტრი თავდადებული“, აკაკის „თორნიკე ერისთავი“, ვასილ ბარნოვს — თავისი ისტორიული რომანები, კონსტანტინე გამსახურდიას — „დიდოსტატის მარჯვენა“ და „დავით აღმაშენებელი“, შალვა დადიანს — „უბედური რუსი“, ლევან გოთუას — „გმირთა ვარამი“, რევაზ ჯაფარიძეს — „მძიმე ჯვარი“? განა „გარდასულ ეპოქათა ენით“ ამ ბრწყინვალე თხზულებათა დაწერა რომ მოხერხებულაიყო, შეძლებდა კი ვინმე მათ წაკითხვას? პირველ რიგში, ეს თავად გრიგოლ აბაშიძის ისტორიულ რომანებზე შეგვეძლო გვეთქვა. პირიქით. ჩვენი ავტორი ერთგული გახლავთ საკუთარი პრინციპული პოზიციისა, რომლის საყრდენი თვალსაზრისია თემის სხვადასხვაობა — ენის (თანამედროვე ენის) ერთობა. ამ ჭეშმარიტების ერთ-ერთ მყარ არგუმენტად ავტორს თხზულების სხვა ენაზე თარგმანი მიაჩნია. მართლაც, თარგმანი ხომ მხოლოდ თანამედროვე და არა ძველ (ან მკვლარ) ენაზე ზორციელდება! გვეჭირდება კი თარგმანი მკვლარ ენაზე? გასაზიარებელია ვრ. აბაშიძის დებულება: „ისტორიული რომანის წერისას აღებული ეპოქის ენობრივ ფორმებით მეტისმეტად გატაცება რომ ფუნქციას მოკლებულია, ეს ნაწარმოების უცხო ენაზე თარგმნისას უპირატესად გეცემა თვალში. მთარგმნელი იძულებულია ძველი ენით დაწერილი პასაჟები, ჩვეულებრივ თანამედროვე ენაზე გადმოიტანოს და ცოცხალი სამეტყველო ენით თარგმნოს. ქართულ ენას ამ მხრივ განსაკუთრებული მდგომარეობა აქვს და ისტორიული ნაწარმოების შექმნისას ქართველ რომანისტს ცოტა შეღავათი ეძლევა. ამ შეღავათის ის სასწაული განაპირობებს, რომ ძველი ქართული ჩვენთვის ჯერ კიდევ მისაწვდომია და რუსთაველის ენა დღემდე მეტნაკლებად ყველა ქართველი მკითხველისათვის გასაგებია“. ამ საყოველთაოდ მისაღები და დასაბუთებული კონცეფციის მიხედვითაა სწორედ შეთხზული ავტორის ისტორიული რომანები. ამიტომ სავე-

ბით ნათელია ვრ. აბაშიძის დასკვნა: „ხომ ყოველად გაუმართლებელი ანაქრონიზმი იქნებოდა, დღეს რომ ვისმეს ცურტაველის ან მერწულესა და, თუნდაც, რუსთაველის ენით რომანები ეწერა?“

როგორც ვხედავთ, ვრ. აბაშიძემ ისტორიული რომანების ენის შესახებ შექმნა საეხებით თანამედროვე თეორიული კონცეფცია, რომელიც თავისი შინაარსითა და შორს ვამიზნული პერსპექტივით საყოველთაოდ მისაღები ორიენტირია ისტორიულ თხზულებათა ავტორების პრაქტიკისთვის. ამ კონცეფციის ძირითად დებულებათა დასაბუთება ავტორმა მოგვცა „ცოტნეს“ ბოლხინტიფიკაციაში. ამიტომ ჩემი წარმოდგენით, ვრ. აბაშიძე არის არა მარტო ჩვეულებრივი ავტორი ისტორიული რომანებისა, არამედ საისტორიო რომანების მხატვრული ენის თეორეტიკოსიც.

აქ არ შეიძლება არ გავიხსენო ვრ. აბაშიძის ერთი შესანიშნავი ლექსი „როცა შორსა ვარ“, რომელიც, შეიძლება ითქვას, ერთგვარი პრემბულაა მისი ისტორიული რომანებისა. ეძღვნება იგი სწორედ იმ ეპოქებს, მის ისტორიულ რომანებში რომაა აღწერილი. პოეტი შეცქერის ლუკრში გამოფენილ მსოფლიო კლასიკური ხელოვნების შედეგებს და გული სწყევტა იმის გამო, რომ მათ შორის არაა ქართველ მხატვართა ქმნილებანი, საერთოდ არ ჩანან ქართველი მხატვრები. ხელოვნების უნიკალური ძეგლებით აღტაცებულ პოეტს შური აღრჩობს, იმ ეპოქებში ქართულმა გენიამ თუ რატომ ვერ შექმნა ისეთი საკაცობრიო მნიშვნელობის ტილოები, რომლებიც აქ გამოფენის ღირსნი იქნებოდნენ. მას ამის გამართლებელი პასუხიცა აქვს: ამისთვის ქართულ გენიას არ ეცალაო, იყო ომები, ლაშქრობები, გაუთავებელი ხისხლის ღერა, ვის ჰქონდა დრო, ეფიქრა და ეხატაო! „შურით შეიქცერი ღუვრის დარბაზებს, უფიცრად ვტოვებ ცრემლებმომდგარი, მე მათი განძი რო-

დი მბრახებს, მათი სწორედ განაოცარი“; „მაგრამ ღმერთკაცებს მე რას ვამადლი, მუედრო ცხოვრებაც ბელი ყოფილა“, „შურით ვიგონებ მათ დღეთა ნათელს, შთავონებაში მათ მიმცხოვნებას... რა იქნებოდა, ჰქონდათ მათებრ ქართველ მხატვრებსაც წყნარი ცხოვრება! რა იქნებოდა, მტრის მრისხანება არ დასტყდომოდათ თავზე მუხადა, მწუხრის სერობა, ცისკრის ხარება მაღალ კედლებზე მათაც ეხატათ!“ ავტორი წუხს და ეს წუხილი მწარე სიტყვებითაა გამოთქმული: ამის დრო ქართველ ხელოვანთ არ ჰქონდათ, ხმლით იცავდნენ ქვეყანას: „მაგრამ რა ეუთხრა იმ შავბნელ დღეთა, იმ ქარიშხლიან დროთა, დუხჭირთა, როცა სამშობლოს მხატვრებზე მეტად ხმალის მომქმევეი კაცი უჭირდა“. ამ გასაოცარ სიტყვებს ამბობს ავტორი, რომელიც წვდება „ქართლის ცხოვრების ქრონიკებში“ აღწერილ კომპარების და ქართული ხელოვნების განვითარების გზა-ჯვარედინებზე მსჯელობს. სწორედ ასე იყო: სამშობლოს დასაცავად ამდგარ ხალხთან ერთად მხატვრებსაც ხელში იარაღი ეჭირათ და შემოქმედებითი შრომისათვის არ ეცალათ. „ცრემლით ვიგონებ იმ ქართველ მხატვრებს, უცხო შედეგებს როცა შეეცქერიო“, „ეგვლახ, რომ ხატვა თქვენ არ გაცალესო! ვაი, რომ მღერა თქვენ არ დაგცალდათო!“ „და მიკვირს, როცა თქვენს ნაღაწს ვხედავ, რაც ხატეთ, ან ის როგორ შესძელითო!“

ეს ეპიზოდი იმის საილუსტრაციოდ გავიხსენე, თუ რა ქართული ამკობს ავტორი ავი ისტორიის უკუღმართობას და იმ ფრესკებს, ჩვენამდის მაინც რომ მოაღწევს.

თავად გრამატიკის მსახური ვახლავართ და, მკრეხელობად ნუ ჩამომართმევთ, თუ მწერლის მხატვრულ შემკვიდრუობას, უწინარეს ყოვლისა, გრამატიკის სამრეკლოდან ეუცქერი. ამავე დროს ვთვლი, რომ მწერალი გრამატიკის ტყვეობაში არ უნდა მოექცეს და „გრამატიკის უღელი“ არ უნდა დაიდ-

გას. ილია და აკაკი ანტონის გრამატიკის ტყვეობაში რომ დარჩენილიყვნენ და სქოლასტიკური გრამატიკის არტაბებიდან არ განთავისუფლებულიყვნენ, ახალი ქართული სალიტერატურო ენის აღორძინებასა და ხალხში დამკვიდრებას სათავეს ვერ დაუდებდნენ. მხატვრული სიტყვის ოსტატი ერთგვარად ენის გრამატიკული კანონების დამცველი და ამდენად, გრამატიკოსიცაა, რადგან პრაქტიკულად ფლობს სამწერლო ენას და ღარაჯად უღვას მის ნორმებს. აკი დიონისე თრაკიელი ჯერ კიდევ III საუკუნეში ჩვენს ერამდის თვლიდა, რომ „გრამატიკა უმთავრესად იმის ცოდნაა, თუ რას ამბობენ პოეტები და პროზაიკოსები“. სწორედ ამიტომ ალექსანდრიულმა სკოლამ გრამატიკა ხელოვნების დარგად გამოაცხადა: „გრამატიკა არის ხელოვნება, რომელიც ეხება იმას, თუ რა არის ნათქვამი პოეტთა და პროზაიკოსთა მიერ“. მაგრამ ყოველივე ეს იყო ძალიან ადრე, გრამატიკის, როგორც მეცნიერების, შექმნის საწყის საფეხურებზე. შემდეგ გრამატიკა ჩამოყალიბდა ენის მოძღვრებად, რომელიც სწავლობს სიტყვებსა და წინადადებებს, მათ ფორმებს, წინადადებაში სიტყვის სემანტიკასა და განლაგების წესებს. ამასთან ყველა გრამატიკოსს მიაჩნდა, რომ მარტო გრამატიკული კანონების გახეპირება, გნებავთ, პრაქტიკულად ცოდნა ენას ვერ შევასწავლის. ქართველი გრამატიკოსი, პ. კვიციანიძე, 1888 წელს ამბობდა: „მარტოკა გრამატიკის ფორმების შეთვისება ენას ვერ შევასწავლით. ამისთანის საჭიროა სამაგალითო მწერლების კითხვა და გადაკითხვა, ცოცხალი საუბრის დაკვირვება, საკუთარი ვარჯიშობა“.

აღბათ თითო-ორილამ მწერალი თუ შეძლებს ქართული ენის ნორმატიული გრამატიკის კურსის ჩატარებას საუნივერსიტეტო პროგრამის შესატყვისად, მაგრამ მათი თხზულებები დაწერილია გრამატიკული ნორმების მტკიცედ დაცვით. როგორ ხდება ეს ხასწა-

ული? სრულიად მარტივად. ერთდროულად ენის გრამატიკული კანონების გახეპირება და ამ კანონთა მოქმედებაზე ლოგიკური მსჯელობა, რაც ერთობ ძნელია, მიერ — საღაპარაკო ენის პრაქტიკულად ცოდნა და საკომუნიკაციო აქტის აღსრულება, რაც ბუნებრივი პროცესია ადამიანთა ერთობლიობაში. აქ ყველაზე მეტად და მკაფიოდ შეღავნდება რეალიზში ფილოსოფოსთა შეგონებისა, რომ პრაქტიკა ჭეშმარიტების კრიტიკური შიდა.

მწერალი დედაენის პრაგმატიკოსია, ყურს უღებებს მას ხალხის სჯაბაასში, კარგად უწყის, თუ სად, რა, როგორ თქვას და წეროს. ამბობს და წერს: უსწავლელი ქვაზე დაჯდა, ქვას ქვა დაემატაო. არასოდეს წამოცდება: ქვაზე ქვა დაემატაო. აქ გრამატიკა მოქმედებს. ენის კანონი, გრამატიკული კანონი შეთვისებულია არა ზეპირი ფორმულის სახით, არამედ ორგანულად, პრაგმატულად.

გრ. აბაშიძის მხატვრულ თხზულებათა ენა — ესაა ჭეშმარიტი ქართული სალიტერატურო ენა ცხოვრებაში, გრამატიკა პრაქტიკაში. მწერალი არა მარტო იმორჩილებს სიტყვას, როგორც ენის უპირველეს ერთეულსა და საშენ მასალას, არამედ მას უძებნის ოპტიმალურ პოზიციას გამონათქვამთა უსახსრულო იერარქიაში, მისი გამოშახველობის საშუალებათა ყველა ნიუანსი გამოაქვს სამხეობზე. მწერლის ენა პრაქტიკული გრამატიკის ზეიშია. ზატოუნად თუ ეიტყვიო, გრამატიკაა ცხოვრებაში.

გრ. აბაშიძის ქართული ერთიანი და განუყოფელია წყობილი სიტყვაობასა და სადასიტყვაობაშიც, დრამატურებასა და პუბლიკაციაშიც. ძნელად იპოვნის კაცი ასეთ მრავალმხრივ შემოქმედს. რა განაპირობებს ამას, რა არის ამის უმთავრესი წყარო? რა უწყობს ხელს მწერლის ენის ხალხურ მიმზიდველობას? ვალაკტიონის აღთქმას თუ დავესხებებით — „ნიჭი, ძამიკო, ნიჭი!“ ვრიგოლ აბაშიძეს მამაზეციერმა დაანათლა



სწორედ ეს ნიჭი. მწერლის თხზულებებიდან თვალნათლივ ჩანს ზღვარი სიტყვასა და წინადადებას შორის, მეტყველების ამ ორი განუყოფელი ელემენტის სემანტიკური სტრუქტურა, ერთობა, სხვაობა და მთლიანობა. სიტყვა აქ ენის ნომინატორი ერთეულია, წინადადება კი — წართქმითი და უკუთქმითი მოვალეობის პრედიკატული სისტემა. მწერლის ლექსებში, პოემებში, რომანებში, დრამატულსა და პუბლიცისტურ ნაწერებში წინადადება მტკიცედაა შეკრული, შეიცავს სიტყვას, როგორც ენის საკომუნიკაციო ნიშანთა სისტემას, უძებნის მისი სემანტიკის გამომვლავნების ყოველგვარ საშუალებას. სიტყვა აქ იმ შეუცვლელი აგურის ტოლფარდია, რომელიც ზუროთმოძღვრულ დეტალშია ჩაშენებული როგორც ჩუქურთმის განუყოფელი ელემენტი, რის გადაადგილება არღვევს არქიტექტურულ მთლიანობასა და სიმყარეს, იწვევს შინაარსის მოდიფიკაციას და მისი ამორიდება დეტალიდან არღვევს განპირობებულ შინაარსს და მთელ ნაკებობასაც დამსხვრევით ეშუქრება.

გრამატიკა აღგებრაა ენისა, მაგრამ არა უსავნო სახეპირო აღგებრა, არამედ ენის კანონების შემოქმედებით ვაზრება და მათი პრაგმენტულად გამოყენება. გრივოლ აბაშიძის მხატვრული ენა ამის უღავო მაგალითია.

მწერლის ენის ფორმოპლივი ელემენტების აღწერისას წარმოინდება მისი ერთგულება ტრადიციისადმი და ნოვატორობაც: გრივოლ აბაშიძის მხატვრული ენა ორივე მათგანის მაჩვენებელია. ნაცნობი მასალითა და საშუალებებით მას უცნობ საშუაროში შევყავართ, სადაც იშლება ენობრივ გამოხატულებათა არსებითად თავისებური და თვითმყოფი მოდელების შეუზღუდავი მოქმედების ახპარეზი. აქ პირველ რიგში ჩანს თავისებურად ვაზრებული მიმართებანი სახელსა და ზმნას შორის, ზმნური ფორმების მიმართებანი სუბსტანტიურ, ადიექტურ თუ ადვერბულ

ელემენტებთან, მისამართ თუ მიუპარათავ ერთეულებთან, სინტაგმური კვანძების იმ სტრუქტურებთან, რაც პროდუქტიულია ავტორის მონოლოგებისა და დიალოგების სისტემაში. სამწუხაროდ, ეს აქტუალური საკითხები ქართულ ენათმეცნიერებაში, ცალკე მწერლის ენასთან დაკავშირებით, არა თუ არ გაშუქებულა, არც კი დასმულა. ჩვენი ენათმეცნიერება განვითარდა და განუზომლად დიდ წარმატებებსაც მიაღწია ისე, რომ, გამოინაკლის გარდა, თავი აარიდა მწერლის ენის თავსამტვრევ პრობლემებზე მსჯელობას.

მწერლის ენა, ფართო გაგებით, სალიტერატურო ენაა — განსტოება საერთო ენისა, რომელსაც ქმნის ინდივიდი და არა ხალხი. საერთო ენასა და მის კანონებს ხალხი უღვამს სულს, რასაც ვერ ვიტყვით მწერლის ენაზე. მწერლის ენა ინდივიდუალური ნიშან-თვისებების მატარებელია, სტილის სარბიელია, ეფუძნება საერთო ენას, საზრდოობს მისი ლექსიკითა და სტრუქტურით, უფროა დახვეწილ-დაწმენილი. პიროვნებას ან კოლექტივს შეუძლია საერთო ენის შესწავლა და დახასიათება, მისი კანონების პორიზონტების დადგენა და დალაგება, მაგრამ ცალკე პიროვნება ვერ შექმნის ენას. ბ. პელინსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ფილოლოგოსები მხოლოდ აღმოაჩენენ ენის კანონებს და სისტემაში მოჰყავთ ისინი“, „რაც შეეხება მწერლებს, მათ კანონთა შესაბამისად შეუძლიათ შექმნან ნაწარმოები“. ქართული სალიტერატურო ენა, როგორც ლინგვისტური ფენომენი, მისი ფონეტიკა, ლექსიკა, სტრუქტურა, ისტორია კარგადაა შესწავლილი და ამის შესახებ მოგვეპოვება საკმარისად მდიდარი სპეციალური ლიტერატურა, ვაქვს გაუბედავი ცდები ზოგი მწერლის ენისა და სტილის შესწავლისაც, მაგრამ ზოგადი თეორია მწერლის ენისა და სტილის შესახებ ჩვენში არ დამუშავებულა, შეიძლება ითქვას, ჩასახვის პროცესშია. რა თქმა უნდა, ამ მოკლე

სტატიით სათავე ვერ დაედება ამ დიდ საქმეს. მაგრამ, მჯერა, მცირე დაკვირვებანი გრ. აბაშიძის პროზის ენაზე, რაღაც წვლილს შეიტანს ფრიად მნიშვნელოვან საქმეში. აქაც ყურადღება გამახვილებულია არა ყველა, არამედ ზოგიერთ თავისებურებაზე, რომელიც ვკანკენებს გამოჩენილი მწერლის ღვაწლის პარამეტრებს სალიტერატურო ქართულის განვითარებაში.

პროზა მონოლოგისა და დიალოგის უკიდევანო ასპარეზია. აქ ავტორი ესაუბრება ან თავის თავს (ეს უფრო მონოლოგში ხდება), ანდა — სხვას (ეს კი დიალოგში!). მონოლოგად წარმოიღვინება გაბმული მეტყველება თავისთავად, სურათისა თუ მოვლენის აღწერა, პერსონაჟთა დანახიათება, ავტორის დამოუკიდებელი მსჯელობა. ერთი სიტყვით, ყოველგვარი პროზაიზმი. აქ ავტორი საგანსა და მოვლენას უცქერის უშუალოდ, სხვა პირის ჩაურევლად ტონი ამბავსებულციკა და დამუშავულიც, ინტონაცია — ზომიერი. მონოლოგებით სავსეა „ლაშარელა“, „დიდი დამე“, „ცოტნე“, „ყორნალიც“. ბევრი მწერლის პროზაული თხზულება ერთიან მონოლოგს შეიცავს. მონოლოგებით განსაკუთრებით მდიდარია ნოველა, მოთხრობა, რომანი, დრამა. გრ. აბაშიძის რომანებში მონოლოგებს ზოგჯერ მთელი გვერდები უჭირავს. მხოლოდ რამდენიმე ტიპობრივი ნიმუში. „ლაშარელაში“ იკითხება: „იმედნეული ვარ, რომ ვძლევე მტერთა და განუადღიერებ სამეფოსა ჩემსა. პაპა ჩემი, დიდი დავით შინ და გარეთ მტრებით იყო გარემორტყმული. მან გონებითა და მკლავით დაიპყრნა ყოველი საქართველო და დაამხო მტერნი თვისნი, ხოლო მე, დიდი თამარის შვილს, შეიღთავ სამთავროს უცილობლად მფლობელს, არა მმართველს წუწუნე, ვითარცა სიფქალსა ვისმესა შეუძლოსა“; „დიდი დამეში“: „და-დამდა, ბნელი, უმთვარო დამე დადგა. მძე-ბი ახალციხელები მტრის ბანაკს თვალს არ ამორებდნენ, ამიოდ ცდილობდნენ

წყვედიადში რაიმეს გარჩევას. სიბნელეში არაფერი ჩანდა, მაგრამ ხმაურისა და ჩიჩქოლის, ცხენების ქიხინისა და ცეცხლის მიხედვით უფრო იმის ფიქრი შეიძლებოდა, რომ მტრის ბანაკს კი არ აკლდებოდა, ემატებოდა, ჯარი კი არსად მიდიოდა, წინა ზახისაკენ მოძრაობდა“; „ცოტნეში“: „სულ არ გყვარებივარ, თორემ მარტო არ დამტოვებდი. ხომ მეუბნებოდი, უშენოდ არსად წავალო. რატომ წაჰყვევი ანგელოსებს, მე და დედა თუ არ შეგეცოდეთ, უსინათლო მამა მაინც რატომ არ შეგებრალა?! რომ იცოდე, რა უბედურია! შენი წასვლის მიზეზად თავის თავს თელის და სიცოცხლე მოძულე-ბული აქვს. სულ იმას ვმისობ, თავს არაფერი აუტეხოს, მარტოდ არსად ვუშვებ და არ ვმორდები. ერთხელ იმ დროს მივუსწარი, თოკში რომ აპირებდა თავის გაყოფას. ერთხელაც დედამ ვიღაცასთან ჩუმიად ნაყიდი საწამლავი უპოვა. ხომ ასე თავმოძულებულია მამა, მაგრამ მე მაინც თან მივება“... „ყორნალიში“: „ცრემლმომღვარი თვალი გაბრაზებულმა გავაყოლე სიშორეში გამქრალ შავ მანქანას და გულში წყველა ვთქვი ცხოვრების მავ ნებიერის, კმაყოფილად მდიმარი დედაკაცისა და ბედნიერებით ყელთამდე სავსე ქმრის მისამართით. ჩემი უიღბლობის მიზეზად რატომღაც მხოლოდ ის ჩავთვალე და გულით ვნატრობდი, სადმე ოდესმე პირისპირ შემხედროდა და ვაჟკაცურად გაესწორებოდა“... ბოლოს, ერთი მოკლე ამონაწერი კიდევ: „ადამიანი ყველაზე დიდი სულიერი აფეთქების დროსაც ადამიანად რჩება. სულიერ აფეთქებასაც თავისი გარკვეული დრო აქვს და როცა იგი უმადლეს წერტილს აღწევს, შემდეგ ბუნებრივად იწყება ცეცხლის განვლება, უკიდურესი დამაბუ-ღობის თანდათან შესუსტება და მოშე-ეება. დრო ყველაფრის მკურნალია. ის, რაც ქარიშხლისაგან მსხვერვას გადარჩება ხოლომე, თავის ბუნებრივ მდგომარეობას ნელ-ნელა უბრუნდება და ისევ ცხოვრების იმ წესს ეგუება, რომელსაც

საქართველოში
განმანათლებლები

ადრე იყო შენვეული და, რომლიდანაც დროებით ამოავლო უჩვეულოდ მძლავრმა ბიძგმა თუ შერყევამ. დრომ თავისი კენა. ამბობებული ადამიანის რისხვისთვის მიუწველომელმა ღმერთმა გაიმარჯვა — შერვილმა თავი ვერ მოიკლა და უბედური სიცოცხლე გრძელდებოდა“.

მონოლოგებში დალაგებულია ავტორის ან პერსონაჟების თვალთ დანახული საგნები და მოვლენები, შეფასებულია მათი გარეგანი და შინაგანი ნიშანთვისებები, გამოკვეთილია ავტორის ინდივიდუალური სახე. ყოველივე ეს კი მკითხველს ამზადებს დიალოგის შესახებდრად. დიალოგი, როგორც თხრობის უშუალო შემადგენელი, რაღა თქმა უნდა, უფრო მრავალფეროვანია, ვიდრე მონოლოგი, გამოიყოფა იმდენი დიალოგური სტრუქტურა, რამდენიც ურთიერთსაუბარს სჭირდება. არც მონოლოგია ერთფეროვანი, რადგან პირად შთაბეჭდილებებს განაზოგადებს. მონოლოგი უპირისპირდება დიალოგს, რომელიც უპირატესად კითხვა-პასუხს გულისხმობს და ორი მისაუბრის შეხედულებათა პოზიციას ან პოზიციას აღაგებს ენობრივი საშუალებებით. თვალში საცემი ხდება სტრუქტურული მოდელების განუსაზღვრელობა, კითხვითი, ემოციური და თხრობითი კომპონენტების პარმონიული შეხამებანი.

ცნობილია, რომ ქართული მხატვრული თხრობის ხალხური სტილის მონოლოგურ და დიალოგურ სტრუქტურებს სული ჩაუდგეს ილია ჭავჭავაძემ და მისმა სკოლამ. XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულმა სადასიტყვაობამ ჩამოაყალიბა მონოლოგური და დიალოგური მეტყველების ახალი სტრუქტურული სისტემა, რომელიც დამკვიდრდა მწერლობასა და ეურნალისტიკაში და შემკვიდრებით გადმოცა XX საუკუნეს. ილიასა და „ივერიის“ ტრადიციებს იცავდნენ აკაკი, ვაჟა, ნიკო ნიკოლაძე, იაკობ გოგებაშვილი, გიორგი წერეთელი, ალექსანდრე ყაზბეგი, ლავრენტი არდაზანი, ეგნატე ნინო-

შვილი, დავით კლდიაშვილი, ვინიკ ჯორჯაძე, კიტა აბაშიძე, ნიკო ლომოური, სოფრომ მგალობლიშვილი, ეკატერინე გაბაშვილი, შიო არაგვისპირელი, ზოგიერთი „კვალელები“ მღვთმარე საუკუნის პირველი წლებიდან კეს გზა შემოქმედებითად განაგრძეს მწერლობაში ვახილ ბარნოვმა, მიხეილ ჯავახიშვილმა, ნიკო ლორთქიფანიძემ, კონსტანტინე გამსახურდიამ, ვალაკტიონ ტაბიძემ, მეცნიერებაში — ივანე ჯავახიშვილმა, პაველ ინგოროვამ, კორნელი კეკელიძემ, აკაკი შანიძემ, გიორგი აბულედიანმა, დიმიტრი უზნაძემ, გერონტი ქიქოძემ, გრიგოლ რობაქიძემ, ვახტანგ კოტეტიშვილმა და თაობებმა, რომელთა მხატვრული ენა და მეცნიერული სტილი ყველა განზომილებით ქართველი ერისა და ლედაინის განვითარების უღელტეხილების სულიერ მოთხოვნილებათა ამსახველია.

გრიგოლ აბაშიძე ადგას ამ გარკვეულ გზას და თავისი წვლილი შეაქვს სალიტერატურო ქართულის შემდგომ მხატვრულ სრულყოფაში. უწინარეს ყოვლისა იგი კომპინირებული დიალოგის ერთ ბრწყინვალე მტკიფრავია.

ავტორისვეული დიალოგებიდან გამოიყოფა სამი ძირითადი ტიპი — პრედიკატული, კითხვა-პასუხიანი და მიმართვიანი. თითოეულ მათგანს საკუთარი სპეციფიკა აქვს. ა) პრედიკატული დიალოგი. აქ რეგულატორია პრედიკატი, რომელიც უპირატესად გამონათქვამის ბოლო პოზიციას იკავებს, სუბიექტი წინაა წამოწყული. ასეთი კომპინაციები ტექსტში გაბატონებულია და ირკვევა, რომ ის ქართული დიალოგის უდრესად მნიშვნელოვანი სტილური ნიუანსია. აი, ტიპობრივი ნიმუშები: „ — ეს რას ნიშნავს? — ქალაქში ჭირი გაჩნდა, მეფეც ბატონო. — შეწუხებული სახით მოახსენა მანდატურთუზუცესმა. — როდის? რატომ ადრე არ მომხსენდა? — ხუთი დღის ამაზვია, ჯერ რამდენიმეს შევეყარა, ექიმები მოტყუედნენ, იოლი ეგონათ. უკანასკნელ დღეებში მთელ ქალაქს მო-

ედო, სასწეულოები აივსო. სწორედ დღეს უნდა მოგვეხსენებინა („ლაშარელა“); „- გარნისში ალაქმა გვიშველა, სასწაული მოგვივლინა! ეს თავაი ხულტანსაც ბევრჯერ უბრძანებია. - აქაც ალაქი გვიშველის! შველა მხოლოდ ალაქს შეუძლია!“ („დიდი ღამე“); „- შენ ხაღლა უნდა გაიპარო, ჩემო ანგელოსო, შენც ომში უნდა წახვიდე? - არა, მე თამარის კარზე დავრჩები, დედოფლის აძალაში. - ოო, ეს ცუდად როდი განვიზრახავთ, მაგრამ მე რას მიბირებთ? მე არ წამიყვანთ? - შენა? შენზე არ გვიფიქრია... ვეტყვი და შენც წავიყვანო. აბა უშენოდ როგორ წავალთ... ცოდეა ხარ. - მარტო როგორ გავძლებ უთქვენოდ... აბა, ახტი, გენაცვალე, ჩაიცვით და ცოტნე მოვტყნობო“ („ცოტნე“)... ბ) კითხვა-პასუხიანი დიალოგი. ესაა ნამდვილი დიალოგი, განპირობებული კომუნიკაციის მოთხოვნებით. ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულება, რის უპირველესი საშუალება ენაა, მიღიანად დიალოგზეა აგებული, კითხვა-პასუხს გულისხმობს. მონოლოგი სტატიკაა, დიალოგი - დინამიკა. ორატორის მონოლოგი მსმენელთან ურთიერთობას ვარაუდობს. ინდივიდი, ვთქვათ, ტყეში წასული მონადირე, ფიქრობს და ამ ფიქრს, ენობრივი გამოსახულება აქვს. ფიქრი ყოველთვის გულისხმობს სავანს, დამოკიდებულებას საფიქრალთან. ამიტომ ფიქრი უფრო დიალოგია, ვიდრე მონოლოგი, რადგან საფიქრალ სუბიექტს ითვალისწინებს. ფიქრი და ოცნება ენობრივი გამოსახულების გარეშე წარმოუდგენელია. ფიქრი და ოცნება შეიცავს ყველა იმ კომპონენტს, რასაც სამეტყველო აქტი იტევს. კითხვითი წინადადება ტექსტში მეტყველების (წერისაც) დესიგნატია - მისი ვარაუდოვანი კომპონენტი. ვრ. აბაშიძის თხზულებებში დიალოგური კითხვითი წინადადება ორი სახისაა. ერთია კითხვითისიტყვიანი („რა მოხდა? მონგოლები ხომ არ გამოჩნდნენ? ტიპისა), მეორე - უკითხვითისიტყვაო (მოგწონს? ტიპისა). „-

ლუხუმში ხად არი? - კალოზე გახლავით, ორი დღეა შინ არ მობრუნებულა. - ჯანზე ხომ კარგად არი, ნაჭრილობები ხომ არ აწუხებს? - მეფე როდის წაბრძანდება ხანადიროდ? - ამ დილით ინება. - ამაღლა დიდი ახლავს? - არა, უცებ გადაწვევითა წასვლა... - ახლა ხად მიბრძანდება ხელმწიფე? ღამის გათევას ხად აბირებს? - ღამეს, ალბათ, მინდორში გაათევს. - მინდორში?“ („ლაშარელა“); „- ნალხია, გმინავს? - გასტეხა სინრუმე ახალციხელმა. - არა, არ მმინავს, ფიქრს რასმე ვფიქრობ. - მაინც რას ფიქრობ? - რომელი ვყარე და ვარსკვლავი ეჩხრიკე, შფოთიანი მეფობა ელის ჩვენს ხელმწიფეს“ (იქვე)... გ) მიმართვიანი დიალოგი. მიმართვას დიალოგში განკერძოებული ადგილი უჭირავს, წინადადების წვერებს გრამატიკულად ვერ უკაემირდება და სინტაქსურ მიმართვას მხოლოდ მისსავე მსახლერელთან ამყარებს. ამიტომ მისი პოზიცია მყარი არაა, ან უსწრებს გამონათქვამს, ან მოსდევს ან მოქცეულია მასში. სამივე სტრუქტურა ბუნებრივად ფლერს მწერლის თხზულებებში. ა) უსწრებს გამონათქვამს: „- დედა, რა ამბავია?“ („ლაშარელა“), „- მათე, კარი გააღე, ვიღაც აკაკუნებს! („დიდი ღამე“), „- თავადო, გემუდარები, უკან გაბრუნდე“ („ცოტნე“), „- მამა, ერთი სათხოვარი მაქვს“ („ყორნალი“)... ბ) მოსდევს გამონათქვამს: „- ავად ხომ არა ხარ, ბაღლი?“ („ლაშარელა), „- კარგი დაი გყოლია, ოსტატო“ („დიდი ღამე“), „- ალბათ ეს იყო განგება და ბედისწერა, ჩემო ცოტნე?“ („ცოტნე“), „- ფული მოგიტანე, ალექსანდრე“ („ყორნალი“)... გ) მოქცეულია გამონათქვამში: „- არა, მართალს ვამბობს, ძია ლუხუმ, ორი კვირის წინათ დავკარგე ალაზანზე“ („ლაშარელა“), „- ერთ მკირფასი თვლის პატრონი ყოფილხარ, ოსტატო, და იმის სათხოვნელად ვარ მოსული“ („დიდი ღამე“), „- ჩემი ბრალი არ არის, დედა, შენ თვითონ მითხარი, ტოლებს აჰყვი და გაერთეო“ („ცოტნე“),

„— შენც ხომ არ ჯდები, ბიჭო, ჯორზე, თავს ხომ არ მჭრი საქვეყნოდ?“ (ყო-რნალი)...

მწერლის თხზულებებში ხშირად გაი-ელევებს ხოლმე ტრადიციის რემინსცენციები, რაც ტექსტს მხატვრულ სი-ლაღეს კმატებს და ადვილსამახსოვროდ აქცევს. ისინი ჩუქურთმებივითაა ჩარ-თული აქა-იქ და თხრობას ბუნებრივობის ელფერს აძლევენ. „ცოტნეში“ საუბა-რია სამამაცო ზნეთა და ნიჭთა მნიშვნე-ლობაზე უფლისწულის აღზრდაში. მო-ძღვარი შევირდს ჩააგონებს სამამაცო ზნეთა შეთვისების საჭიროებას. „მეტი ზრუნვა გვმართებს იმისათვის, რათა ცოტნემ სამამაცო ზნე უკეთ შეითვი-სოსო“, „რაკი მე თვითონ აღარ შემო-ძლია, ამაში შენ უწინამძღვრე ბატო-ნიშვილს, ვიცი სამამაცო ზნეთა მეცნიე-რიც ხარ და თუ დატვირდა, ვაჟკაცი-ბაშიც ტოლს არავის დაუღებ“. მწერ-ლის მსჯელობა სამამაცო ზნეთა თაო-ბაზე ჩვენ წარმოდგენაში გააცოცხლებს შეჭირვებული როსტევეანის წუხილს „ვეფხისტყაოსნიდან“: „კაცი არ არის მიღვანცა საბრძანებელი ჩვენია, რომე მას ჩემგან ესწავლნეს სამამაცენი ზნენია“. მწერლის სიტყვები ეხმაურება ეპოქას, როცა სამამაცო ზნენი იხწავ-ლებოდა. ავტორი იმავე რომანში ერთ-გან აღწერს ცხენოსნობასა და ბურთაო-ბას: „კიდეე ერთი წუთი და მოედანზე ცხენოსნები გამოვიდნენ. პაერში ბურ-თი ავარდა და კახელები ცხენდაცხენ მიე-ტივნენ. ხელმარჯვედ სცემდნენ ჩოგანს, ცხენიდან ხტებოდნენ, უზანგებზე ეკი-დებოდნენ“. ამ სტრაქონების კითხვისას კაცის ცნობიერებაში გაცოცხლდება რუსთაველის სიტყვები: „ხელმარჯვედ სცემდეს ჩოგანსა, იხმაროს დიდი გმი-რობა“. ასევე საუბარი კარვის კალთასა („კარვის კალთა ასწიაო“, „კარვის კა-ლთა დაეშვა და უმაღლე დაფარა ტან-ბრვე ვაჟკაცის ლანდებიო“) და ნარდის მღერაზე („ომი ნარდის მღერას ჰგა-ვსო“), რასაც „დიდ ლამეში“ ვცნობით, შოთას პოემის სათანადო ადგილებს გაგვახსენებს ხოლმე. ავტორი ერთგან

აღწერს უთვისტომო მხატვრობის ხარისხ-დან გადმოვარდნის მძიმე სცენას და გადმოგვცემს: „მკურნალი მთავარს ჩუ-რნულით რაღაცას ეუბნებოდა. იმ ჩურჩ-ულიდან კანტიკუნტად ესმოდა ცოტნეს „წამალს რაღა შეუძლია შიგანი ჩაქე-ული აქვსო“. ამ ადგილის გაცნობისას მკითხველის წარმოდგენაში გაიელვებს ილიას მიერ „ოთარაანთ ქვრივში“ აღწე-რილი ეპიზოდი ზენიდან გიორგის ჩამო-ვარდნის შესახებ: „ტყუილი წამება-ლა იქნება უბედურისა, სჯობია უწვალე-ლად მიაბაროს სული, — მიუგო ღმეტ-რემ, — ამაღამ დიდი საქმეა, თუ გაატანა, შიგანური ხულ შენგრული აქვს“. „და-რკვეთის მთვარეში“ გაისმის მომაკვლა-ვი გიორგის აღსარება: ხად მოგწვდებო-დი ცაში, მნათობო“. ავტორის ერთ მონოლოგში ლაპარაკია ხაშხაშით და-თრობაზე: „ცოტა ხაშხაში მომერია აღ-ბათ, გახსოვს, აღრეც ვეტანებოდი. ჩვენ, ისმაილიტები, ხაშხაშით ვთვრებით და ამიტომ ხაშხაშთანებსაც ვეწოდებენ“. ეს სიტყვები წარმოშობს აკაკის „ბაში-აჩუკის“ სათანადო პასაჟის რემინსცენ-ციებს. „ცოტნეში“ ხალხური ამირა-ნიანის მოტივების გახსენება მკითხ-ველს გაახსენებს ცნობილ ამბებს: „კა-კასიონის მაღალ კლდეზე მიჯაჭვუ-ლი ცოტნე თაყჩაქინდრული თვლემს“. კასიონის მაღალ კლდეზე მიჯაჭვუ-ლი გმირი ახლა იმას ფიქრობს, სულ გაილევა თუ არა ეს ჯაჭვი“. გაწვე-ტამდე კიდეე ბევრი უკლია ჯაჭვს. ამა-სობაში დიდი ზუთშაბათიც დადგება, მჭედლები ვრდემლზე უროს დასცე-ბენ და ჯაჭვი ისევ გაივსება, გამსხვი-ლდება და გამოთლდება“; „კლდეზე მი-ჯაჭვული მიხედა, არწივი მოფრენილა მისი ღვიძლის საკორტნად“.

ამდაგვარი რემინისცენციები ავტორის სხვა თხზულებებშიაც გვხვდება, რითაც უფრო შთაბეჭდავად განიცდება აღწე-რილი პასაჟები. ავტორის თხრობა არ-ის დინჯი, ზომიერი, არ იგრძნობა პა-ნეგირიკული ზედმეტობა, არც მოჭა-რბებული ქება ან ძაგება, თუმცა მწე-

რალი არც ერთისა და არც მეორისათვის, საჭიროებისამებრ, „საღებავებს“ არ იშურებს.

უნდა აღინიშნოს ვრ. აბაშიძის თხზულებათა ლექსიკის კიდევ ერთი თავისებურება, რაც მას თვითმყოფობის იერსახეს უმტკიცებს. ისტორიულ რომანებში გაცოცხლებულია წარმართული და ხალხის ხსოვნაში შემორჩენილი იშვიათი ანთროპონიმები. აქ ოსტატურადაა გამოკვეთილი თითოეული პერსონაჟის ინდივიდუალური სახე და ხასიათი. მოქმედებებთან ერთად ისინი სახელებითაც გამოირჩევიან. მწერალმა აღადგინა არაერთი დავიწყებული საკუთარი სახელი და გვერდში ამოუყენა თანამედროვე სახელებს. ისტორიულ პირობა (დავით, თამარ, გიორგი, ლაშა, რუსუდანი, იოანე) პარალელურად პერსონაჟთა საკუთარ სახელებად რომანებში გვხვდება: „ლაშარელაში“ — აუაგ, ბაკურ, ბექა, ბიბლა, ბოცო, გონი, დემეტრე, ევარსლანი, ვარამ, ვანე, თამთა, თორღვა, თურმანი, ლილე, ლუხუმი, მამუკა, საბა, უთურგა, ქეთევანი, შიო, ცაგო, ციციხო, ზოხიტა; „დიდ ლამეში“ — აუაგ, გონი, დემეტრე, ევარსლანი, ვარამ, ვანე, თამთა, თურმანი, ლელა, მათე, მამუკა, მემინი, პავლია, შანშე, შიო; „ცოტნეში“ — აბიათარ, აუაგ, ასპანსია, ბადრადინი, ბადრი, ბათო (ყენი), ბექა, ბეწინა, ბიჩუ (ნიონი), გოგუტა, გრიგოლ, ევარსლანი, ეფემია, ვარამ, ვარდანი, ვატა, თორღვა, იელიანი, კახაბერი, კირიონი, კრავაი, ნათელა, ოტია, სარგის, ტოტია, უნა, ყვარყვარე, შანშე, შერგილ, ჩაღატა (ნიონი), ცაბო, ციციხო, ცოტნე, ტუკუ, ხეიჩა, ჯიქური... ზოგი აქ დასახელებული ანთროპონიმით მონათლული პერსონაჟი მონაწილეობს სამივე რომანში. მაგ., აუაგ, ევარსლანი, ვარამ, როგორც პერსონაჟის

საკუთარი სახელები, მეორდება სამივე თხზულებაში, დემეტრე, თურმანი, შიო — „ლაშარელასა“ და „დიდ ლამეში“, თორღვა — „ლაშარელასა“ და „ცოტნეში“. რაც შეეხება „ყორნალს“, მასში წარმართული ანთროპონიმები აღარაა, ყველა პერსონაჟი თანამედროვე ხმარების სახელს ატარებს: აბეხლომ, ალექსანდრე, ანდრო, ბაბო, ველა, ეთერ, ეკა, ელისო, ვალერი, ვალიკო, ვახტანგ, ვენერა, ზურაბ, თამაზ, თეო, იასონ, ივლითი, იონა, ლადო, ლევანი, ლია, მარო, ნანული, ნატო, ოთარ, პარმენ, რაფეხი, სალომე, სპირიდონ, სოსო, სოფიო, ტერენტი, ტიტე, უმანგი, ქეთიხო, შუქრი, შოთა, ციციო...

ვრ. აბაშიძის მხატვრული ენა მანკებელია წინადადებათა ხალხური სიმბუბუქისა და სინატიფისა, აზრის სინათლისა. აქ გვემაზომიერადაა განლაგებული სუბსტანციური და პრედიკატული ერთეულები ანუ ატრიბუტული და მართული სიტყვათშეერთებანი, ასე ბუნებრივად რომ აღიქმება როგორც მონოლოგებში, ისე დიალოგებში, და კონსტრუქციულია მწერლის ენის ინდივიდუალური მოდელი. არ მოიძებნება ქართული წინადადების ისეთი სტრუქტურული სახეობა, რომლის ეკვივალენტები რეალიზებული არ იყოს ვრ. აბაშიძის თხზულებებში. მარტო ამ ნაწარმოებთა ენის მასალაზე შეიძლება შედგეს მთელ თანამედროვე ქართულის პრაგმატული გრამატიკა თავისი ყველა განზომილებით. შეიძლება კაცი დაეჭვდეს თითო-ორი წინადადების აუთენტიკურობაში, მაგრამ ეს მწერლის ენას ჩრდილს ოდნავადაც კი როგორ მიაყენებს. მის მხატვრულ მეკვიდრეობაში სალიტერატურო ქართულის ძალმოსილება და სრული შესაძლებლობაა წარმოსახული.

6060 მახორვაშვილი

ბიბლიური სიმბოლოები იაკობ სურტაველის „შუშანიკის ნაშეგავში“

„შუშანიკის წამება“, როგორც ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები, საეკლესიო მწერლობის ნიმუშს წარმოადგენს და არა მარტო სულისკვეთებით, არამედ ლექსიკითა და სტილისტურა საშუალებებითაც ბიბლიის ტექსტს უახლოვდება. თხზულებაში უხვად გვხვდება ცალკეული სიტყვები, ფრაზეოლოგიური ერთეულები, მთელი ფრაგმენტები (ე. წ. „ციტატები“), რომლებიც მოხმობილია წმინდა წიგნებიდან. ამ მხრივ საკვლევი მასალა პირობითად შეიძლება ორ ჯგუფად გაიყოს: 1. ბიბლიურ-რელიგიური სიმბოლიკა და 2. ბიბლიის სხვადასხვა წიგნებიდან ამოღებული პარაფრაზირებული ფრაგმენტები. ჩვენს მიზანს მათი პირველწყაროსთან შეჯვრება წარმოადგენს.

ცხადია, ეს დაყოფა პირობითია, ვინაიდან ბიბლიური სიმბოლო უფრო ხშირად გვხვდება ჩართული კონტექსტში, რომლის პირველწყაროც წმინდა წიგნებია, მათი ამ გარემოსაგან კერძოდ გაშუქება არ ივარგებდა. ვითვალისწინებთ რა აღნიშნულ გარემოებას მოცემულ ეტაპზე შექვერდებით იმ ფრაგმენტებზე, რომელთა პირველწყაროებიც მითითებულია სპეციალურ ლიტერატურაში და წინამდებარე გამოკვლევაში აღარ შევ-

ებუბით ბიბლიური სიმბოლოების გამოყენების სხვა შემთხვევებს.

წმინდა წიგნებიდან მიღებული სიბრძნე ერთგვარი კონდენსირებული სახით გადადის იაკობ ბუცეის თხზულებაში.



სპარსეთის მეფის კარად მყოფი ვარსკენი მიუახლოვდა ქართლის საზღვრებს. მის მიერ მივლენილმა დესპანმა კრძალვით მოიკითხა დედოფალი. შუშანიკი „ვითარცა წინაქაისწარმეტყველი“ შეაგებებს მას უსიამოვნო მოლოდინით ნახაზრდობე პახუხს: „უკუეთუ სულითა ცხოველ არს იგი, ცოცხალმცა ხართ იგიცა და შენცა. უკუეთუ სულითა მოკუდარ ხართ, მოკითხვად ვეკ შენი შენდავე მოიქეცინ“.

ეს ფრაზა ბიბლიური მუხლის გარდათქმავა. მათეს სახარების მეათე თავში ქრისტე სამოციქულოდ გამზადებულ თორმეტ მოწაფეს მოძღვრავს: მოკითხეთ ის სახლი, რომელშიაც შეხვალთ „და თუ ღირს იყოს სახლი იგი, მოვედინ მშულობად იგი თქუენი მას ზედა; უკუეთუ არა ღირს იყოს, მშუვილობად იგი თქუენი თქუენდავე მოიქეცინ“ (მათე X, 13).

თავისებურად სახე იცვალა სახარებ-
ისეულმა მუხლმა, ანუ დედოფლის სი-
ტყვებში (ცხადია, ვკვლისხმობთ სახა-
რებასთან მიმართებაში) შეეცაგულენ
ერთმანეთს ზნეობრიობის თვალსაზრი-
სით მკვეთრად დაპირისპირებული „მო-
ციკითხავი“ და „მოსაკითხი“ მხარეები:
თუკი სახარებაში „მოსაკითხი“ მხარის
ღირსება იყო დასაქვევებული, „წამებაში“
„მოციკითხავისა“ ხავეჭო. ერთის მხრივ
„მოციკულთ“ თხზულებაში ჩაენაცვლა
ვარსკენის „დესპანის“, მეორეს მხრივ
„სახლს“ ჩაენაცვლა შუშანიკი. ამ საინ-
ტერესო „გადანაცვლებაში“ დამატებითი
ნიუანსი შეიტანა დედოფლის ფრაზაში.
სახარებაში ნათქვამია: თუ უღირსი კუ-
თილად მოციკითხეთ, უკანვე დაგიბრუნ-
დებათო. „წამებაში“ — თუ კუთილი უღი-
რსმა მოციკითხა, უკანვე დაუბრუნდებაო.
კუთილი და ბოროტი რომ არ იგუებენ
ერთმანეთს ასე სხვადასხვაგვარად, სხვა-
დასხვა კუთხით არის მოწოდებული სა-
ხარებასა და „წამებაში“.

ვარდა ამისა, თხზულებაში აქცენტი-
რებული შუშანიკის წინასწარგანჭვრეტ-
ის უნარი, გარკვეულწილად სახარებასა-
ც ეხმიანება, ვინაიდან იქ მოციკულთა
ზნეობრივ სიფხიზღეზეც ხაზგასმითაა
საუბარი: „რომელსა ქალაქსა ანუ დაბა-
სა შეჰხვიდეთ, გამოიკითხეთ, ვინ ღირს
იყოს, მუნ დაადგეოთ, ვიდრე გამოს-
ლვადმდე“ (მათე X, 11). მხოლოდ აქაც
სხვაობენ თხზულებისა და სახარების
ტექსტები, მოციკულებს უნდა გამოიკი-
თხათ, ვინ იყო ღირსეული, შუშანიკი კი
თავად მიხვდა ყოველივეს. ფიზიკლად
ყოფნის მოთხოვნამ იაკობთან უფრო
ღრმა მისტიური შინაარსი შეიძინა,
ანუ უფრო სულიერ პლანში გადაინაც-
ვლა (შუშანიკისათვის ჯერ არავის შე-
უტყობინებია ვარსკენის ღალატის შეს-
ახებ, მან სულიერი თვალთ დაინახა
მომხდარი). მეორეს მხრივ, ეს არ არის
„ჩვეულებრივი“ წინასწარმეტყველება.
შუშანიკი ვარსკენის სულიერი დაცემის
მოწმე იყო და მისთვის ძნელი წარმოსა-
დგენი არ უნდა ყოფილიყო მეუღლის

ღალატი. (აქვე უნდა ითქვას, რომ ამ
მომენტიდან ვარსკენი მისთვის არარაო-
ბად იქცა, რადგან შუასაუკუნებრივი
მსოფლალქმა ბოროტებას, როგორც
ასეთს, არ გაიაზრებს როგორც სუბსტა-
ნციას. ეს სიკეთის ესთეტიკის ფუძემდ-
ებლური პრინციპია).

გასათვალისწინებელია ერთი საგულ-
ისხმო ვარემოებაც: ერთის მხრივ, შუშა-
ნიკი ზედება, რომ ვარსკენმა უარყო ჭე-
შმარიტი ღმერთი, მაგრამ ბოლომდე არ
არის დარწმუნებული, თითქოს არ სურს
დაიჯეროს, ეჭვით კითხულობს მაინც.
მეორეს მხრივ, უფალი აფრთხილებს
მოწაფეებს: გამოიკითხეთ, ვინ არის
ღირსეული და მასთან დადექითო. მიუ-
ხედავად ამ სიფრთხილისა, მაინც საეჭ-
ვოა, ღირსი იქნება „სახლი“ თუ არა
მათი მოციკითხვისა. მოციკულებმა ფაქტი-
ურად უნდა გაარკვიონ ღირსება „სახლ-
ისა“ (უნდა გამოიკითხონ) და სულიერ
პლანში ამის დასტური იქნება უფლისა-
გან. შუშანიკი სულიერ პლანში არკვევს
(ანუ „წინასწარგანჭვრეტს“) „მოცი-
კითხვის“ ღირსებას და ელის ფაქტის
დადასტურებას დესპანისაგან. ფიზიკუ-
რი და სულიერი პლანი აქაც შეეცაგულა
ერთმანეთს.

ორივე ფრაგმენტი რომ შევაჯეროთ,
სხვისი სიტყვაც საეჭვო გამოდის და
საკუთარი გულისთქმაც. ორივე შემთხ-
ვევაში საბოლოოდ თავად და მხოლოდ
უფალი გასცემს პასუხს ღირსეულსაც
და უღირსსაც. გარკვეული პარალელის
გავლება აქაც შეიძლება სახარებასა და
თხზულებას შორის.

პავლოვარფმა მზა სახარებისეულ სქე-
მაში ოსტატურად ჩასვა შუშანიკის სათ-
ქმელი.

ვარსკენის ღალატით თავზარდაცემუ-
ლმა შუშანიკმა დაუტყვა ტამარი თხნი“
და წმინდა სულიერ სივრცეს — ეკლეს-
იას მიშურა. „სამნი იგი ძენი მისნი და

ერთი ასული“ წარადგინა საკურთხეველ-ის წინაშე და ასე ღოცულობდა და ამბობდა: „უფალო ღმერთო, შენნი მოცემულნი არიან და შენ დაიცვენ ესენი, განათლებულნი წმიდისაგან ემბაზისა მადლითა სულისა წმიდისაგან, ყოფად ერთ სამწყვსო ერთისა მწყევლისა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა“.

სახარებაშია: „და სხუანიცა ცხოვარნი მიდგან, რომელნი არა არიან ამის ეზომხანი, ივინიცა ჯერ-არიან ჩემდა მოყვანებად, და ჯმისა ჩემისაჲ ისმინონ და იყვნენ ერთ სამწყვსო და ერთ მწყევს“ (იოანე X, 16).

სახარებისეული გამოთქმა ორგანულად ერწყმის შუშანიკის ფრაზას. მას ისე ზუსტად, ოსტატურად აქვს შერჩეული ადგილი ტექსტში, რომ სხვაგვარად იგი ძნელი წარმოსადგენი ხდება. ობლიობა ქრისტიანთა და „მწყევსი“, როგორც უფალი ჩუენი — ბიბლიური „სამწყვსო“, როგორც მრევლი, ერთსიმბოლოებია. ხუცესმა ისე განმარტა „მწყევსის“ სიმბოლური მნიშვნელობა („ერთისა მწყევსისა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა“), როგორც თავად უფალმა განუმარტა თავის მსმენელებს. სახარების მოცემულ ეპიზოდში უფალი ამბობს: „რომელი არა შეჰვალს კარით ეზოსა ცხოვართასა, არამედ სხვთ კერძო შეჰვალს, იგი მძარავი არს და ავაზაკი“ (იოანე X, 1), შემდეგ განმარტავს: „მე ვარ კარი ცხოვართა“ (იოანე 7). „მე ვარ მწყევსი კეთილი (იოანე. X. II). მხოლოდ ის, რაც შორი-შორს იყო სახარებაში თხზულებაში ერთ ფრაზაშია კონცენტრირებული.

„ღუაწლსა დიდსა შესვლად ხარ, დედოფალო, ვერძალე სარწმუნოებასა ქრისტესსა, ნუ უკუე მტერმან ვითარცა სრსკლმან სამოვარი პოოს შენ თანა“ — მას შერე, რაც იაკობმა შეიტყო ვარსკქენის დღლატი და დედოფლის წახვლა სა-

ხაზლიდან, ეს ხუცესის პირველი სიტყვებია, მიმართული შუშანიკისადმი. ამ ადგილს ნაწილობრივ შეესაბამება ორი მუხლი პავლე მოციქულის ერთ-ერთი ეპისტოლედან: „ხოლო ბილწთა მათ და ცუდთა ჳმათა განეშორე: რამეთუ უმეტეს წარმატნიან უმჯგულოებითა, და სიტყუამან მათმან, ვითარცა სრსკლმან, სამოვარი ჳპოვოს. რომელ არიან ჳმენოს და ფილიტოს“ (2 ტიმ. II 16, 17).

ფრაგმენტები წმინდა ტექსტებიდან არა მხოლოდ მხატვრული, არუ ესთეტიკური ზემოქმედების გასაძლიერებლად არის ხოლმე მოხმობილი ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებში. ყოველ მეტაფორასიმბოლოს, შედარებას ჳქონდა ღრმა კავშირი მედიევეალურ მსოფლგაგებასთან, აზროვნების წესთან. შუასაუკუნეებრივი მსოფლდექმა კეთილსა და ბოროტს იცნობიერებდა შესაბამისად მშვენიერისა და მძახნეჯის ფორმით. ქრისტიანული თვალთახედვით „კეთილი“ არ შეიძლებოდა უღამაზო ყოფილიყო, უკვე იმიტომ, რომ იყო „კეთილი“, მშვენიერიც იყო. და პირიქით, „ბოროტი“, როგორც უღამაზო, ისე გაიაზრებოდა. ამაში მდგომარეობს ე. წ. სიკეთის ესთეტიკა, რომელსაც მოლიანად იზიარებს იმ ეპოქის ხელოვნება. იაკობ კურტაველის სახისმეტყველებაც ამ პრინციპებზეა აგებული. ამიტომ აქვს თხზულებაში ყოველ სიტყვას განსაკუთრებული აზრობრივი დატვირთვა.

ეპისტოლედან თითქმის სიტყვა-სიტყვით ამოღებული ფრაგმენტის წყარო ადვილად ამოსაცნობი უნდა ყოფილიყო დედოფლისათვის. შუშანიკი რომ მიუხედებოდა მოძღვარს სათქმელს, ისიც ვგაფიქრებინებს, რომ მოგვიანებით, XVI თავში უკვე თავად მოწამის სიტყვებში ვიპოვოთ ანალოგიას ამავე ეპისტოლედან. ხუცესს, რასაკვირველია, შეეძლო შუშანიკისათვის შეეხსენებინა: „ბილწთა მათ და ცუდთა ჳმათ განეშორე“ (2 ტიმ. II, 16), მაგრამ საეჭვოა ეს შეხსენება დასჭირვებოდა და სდომნოდა. ჩუენი აზრით, კონკრეტულ ეპის-



ტოლზე თავისებური მითითებით, იაკობს მისი გამსჭვალავი იდეა უფრო სურდა შეეხსენებინა და წინ წამოეწია უთქმელად, მაგრამ საგულისხმოდ. ეპისტოლეს ფართო კონტექსტი ზუსტად ესადაგება იაკობის საგულეებელ სათქმელს და ამდენადაა საყურადღებო ჩვენს შემთხვევაში.

პაველ მოციქული აღნიშნავს ტიმოთეს უპირფერო რწმენას, შეახსენებს: „განაცხოველოს გზებით ნიჭი ღმრთისა (2 ტიმ. I, 6) რადგან არ მოგვცა ჩვენ ღმერთმა სული მოშიშებისა, არამედ ძლიერების, სიყვარულის და თავდაპყრისა (2 ტიმ. I, 7). მამ სუ გრცხვენია უფლის ჩვენის მოწმობისა, ... არამედ დაითმინე ბოროტი სახარებისათვის, ღმრთის ძალისამებრ (2 ტიმ. I, 8)... მიხდით მაცოცხლებელ სიტყვას, რომელიც გესმა ჩემგან ქრისტე იესოში სიყვარულითა და რწმენით (2 ტიმ. I, 13). შეინახე კეთილი შენავედრი სული წმიდით, რომელიც მკვიდრობს ჩვენში (2 ტიმ. I, 14). მამ, გაძლიერდი, შეილო ჩემო, ქრისტე იესოს მადლით (2 ტიმ. II, 1), მამ დაითმინე ჭირო, როგორც იესო ქრისტეს კეთილმა მეომარმა (2 ტიმ. II, 3). არცერთი მეომარი არ იკრავს ზღუფებს ცხოვრებისეული საქმით, რათა თავი მოაწონოს მხედართმთავარს (2 ტიმ. II, 4). და თუ ვინმე ომობს, ვერ გახდება ვირგვინის ღირსი, თუკი არარჯულიერად ომობს (2 ტიმ. II, 5). გაიხსენე იესო ქრისტე (2 ტიმ. II, 8), ... რომლისთვისაც ვეწნები, თვით ბორკილებამდე, მაგრამ ღმერთის სიტყვას ვერ დაადებ ბორკილს (2 ტიმ. II, 9) (ეპისტოლე მოიცავს არა მარტო იაკობის სათქმელს, არამედ ეხმაურება „ბორკილების“ ეპიზოდსაც, რომელიც მოგვიანებით გვხვდება ტექსტში (X, 22)), სარწმუნოა სიტყვა: თუკი მასთან ერთად მოგვკვდით, მასთან ერთად ვიცოცხლებთ“ (2 ტიმ. II, 11). (ადგილები „პაველ მოციქულის მეორე ეპისტოლედან ტიმოთეს მიმართ“ ციტირებულია: ბიბლია, საქართველოს

საპატრიარქო, თბილისი, 1989 წ.).

ამგვარად მიემართება ცურტაველის ტექსტი ეპისტოლეს კონკრეტულ ფრაგმენტს. ავტორი საკუთარი და ბიბლიური აზრის კონტაძინაციის შედეგად აღწევს სასურველ რეზულტატს: უკავშირებს, აბავს სათქმელს ეპისტოლეს შინაარსს და შედეგად მეტ დატვირთვასა და სიღრმეს სძენს საკუთარ სიტყვებს.



იაკობისა და შუშანიკის პირველი დიპლომა თბზულების ერთ-ერთი ყველაზე დრამატული და ფარული ქვეტექსტებით საინტერესო ეპიზოდთაგანია. იაკობი მიმართავს შუშანიკს: „ვიითარ გვეულების, მითხარ მე, რაითა უწყოდი და აღწერო შრომაი შენი“. ხოლო დელოფალი კითხვითვე მიუგებს პასუხს: „რაისა მკითხავ ამას?“

იოანეს სახარების 18 თავში იესოს შეპყრობისა და გასამართლების ეპიზოდია მოთხრობილი. მღვდელთმთავარს წარუდგინეს პყრობილი იესო. კაიაფას კითხვაზე, მოწაფეებისა და მოძღვრების შესახებ, იესო მიუგებს პასუხად: „მე განცხადებულად ვეტყოლე სოფელსა და მე მარადის ვასწავებდ შესაკრებელსა და ტამარსა შინა, სადა ყოველნი პურიანი შეკრბიან, ხოლო ფარულად არარას ვეტყოლე მათ. რაისა მკითხავ მე? მკითხე მათ, რომელთა ესმოდა, რასა ვასწავებდ მათ. ამა ამით იციან, რასა-იგი ვეტყოლე მათ“ (იოანე XVIII, 20.21).

სახარების ციტირებული მონაკვეთის გათვალისწინებით შესამდებელი ხდება შუშანიკის ფრაზის ქვეტექსტის მიგნება. (მკვლევართა აზრი მოცემული ციტატის ბიბლიური წარმომავლობის შესახებ არაერთგვაროვანია: ერთნი ფიქრობენ, რომ ფრაზას აქვს კავშირი სახარებასთან (ი. აბულაძე, იაკობ ცურტაველი,



მარტილობაი შუშანიკისი, ტფილ., 1938, გვ. 9), ხოლო სხვანი ფრაზის სი-
მარტივის გამო ამ კავშირს გამოირიცხა-
ვენ (ზ. ალექსიძე, წიგნში: Яков Цурта-
вели, Мученичество Шушаник, Тб.,
1978, გვ. 31; რ. სირაძე, წიგნში: Иаков
Цуртавели, Мученичество Шушаник, Тб.,
1978, გვ. 54). დედოფალი ამკარად მო-
ქმედებდა და არც მოქმედების მიზეზი
დაუფარავს ვინმესათვის. მითუფრო
ზუცესისათვის ძნელი მისახვედრი არ
უნდა ყოფილიყო მისი სულიერი მდგო-
მარეობა. ნათელი იყო, შუშანიკს გაცნო-
ბიერებული ჰქონდა, რომ ამ გადაწყვე-
ტილების მიღების შედეგად მას დიდი
განსაცდელი ელოდა წინ და მზად უნდა
ყოფილიყო უდიდესი შინაგანი ძალის-
ხმევა და შეუვალობა გამოეჩინა.

განა ვერ მიუხედა შუშანიკი მოძღვ-
არს, აზრი ხომ ასე მარტივად იყო თქმუ-
ლი. იქნებ სწორედ ამანაც დააფიქრა
დედოფალი. არავისში არ იწვევდა ეჭვს,
რომ შუშანიკს სასახლის დატოვება ძვი-
რად დაუჯდებოდა და სიმტკიცე მართებ-
და ბოროტისათვის წინაღობად. (დი-
ალოგის პირველი ნაწილიც ამის
უტყუარი დასტურია). ამიტომაც ჩაეკი-
თხა იგი მოძღვარს: რატომ შეკითხები,
(ფრაზის პიპოთეზური გაგრძელება სახ-
არების ანალოგიურად შესაძლებელია
ასეთი ყოფილიყო!) განა თავად უკეთ არ
უწყითო!

ჰავიოგრაფმა მარტივად მიაღწია
სასურველ შედეგს, იმასთან ერთად,
რაც ფრაზამ მოიტანა წმინდა წერილი-
დან, მასში საკუთარი სათქმელიც ჩაღო.

რამეთუ მასმის მე პავლეს მოციქულ-
ისაგან: „არა დამონებულ არს ძმამი გინა
დაი, არამედ განეყენნ“.

ციტატა პავლე მოციქულის ეპისტო-
ლედან წარმოადგენს ბიბლიური მუხლ-
ის თავისებურ ინტერპრეტაციას, რომე-
ლიც მხოლოდ თხზულების ფართო კონ-
ტექსტის გათვალისწინებით ხდება მი-
საღები და გასაგები. იგი ამოღებულია
პავლე მოციქულის პირველი ეპისტოლე-
დან კორინთელთა მიმართ. ეპისტოლეს
მეშვიდე თავში საუბარია იმაზე, თუ
როგორ უნდა მოგვარდეს ურთიერთობა
კაცსა და ქალს შორის ქრისტიანული
მორალის შესაბამისად. ერთი შეხვედ-
ით, ეპისტოლეში თხზულებისაგან სრუ-
ლიად საპირისპირო მოწოდება ვლერს:
„და დედაკაცსა თუ ესუას ქმარი ურწმუ-
ნოა, და მას ჯერ — უჩნდეს ყოფამ მის-
თანა, ნუ დაუტყვევს ქმარსა მას. რამეთუ
განწმინდების ქმარი იგი ურწმუნო ცო-
ლისა მისგან მორწმუნისა, და განწმინდ-
ების ცოლი იგი ურწმუნო ქმრისა მის-
გან მორწმუნისა. უკუეთუ არა, შეიღნი-
მცა თქუენნი არა-წმიდა იყუნეს, ხოლო
აწ წმიდა არიან. ხოლო უკუეთუ ურწმუ-
ნი იგი განეყენებოდის, განეყენნ, არა
დამონებულ-არს ძმამი იგი გინა დაი¹ იგი
ესე-ვითართა მით; რამეთუ მშულობსა
გეწოდნა ჩუენ ღმერთმან“ (1 კორ. VII,
13-15). ანუ: მორწმუნე ცოლი ნუ გაეყ-
რება თავის ქმარს, მხოლოდ თუკი ურწ-
მუნომ მოინდომა, გაეყაროსო. შუშანიკი
მორწმუნე მეუღლეა, პირდაპირი გაგებ-
ით მას არ ეგების გაყრა მეუღლესთან.

მაგრამ გავიხსენოთ, თუ რაზეა საუბა-
რი თხზულების დასაწყისში: და უკეთუ-
რებისა მის სახისა ქმრისა მისისაგან
მარადის გულს ეტყუნ და ვეადრები
ყოველთავე ლოცვის ყოფად მისთვის, რა-
თამცა ცვალა იგი ღმერთმან სახისა მი-
სგან უგუნურებისა და იქმნამცა გონიე-

1 „ძმა“ და „და“ ბიბლიაში ხშირად
იხმარება არა პირდაპირი მნიშვნელობ-
ით, არამედ, როგორც „სულიერი დისა“
და „სულიერი ძმის“ ხინონიში.

იაკობისა და შუშანიკის დიალოგი
გრძელდება. ზუცევი კვლავ აფრთხილ-
ებს დედოფალს: „მწარე გონებაი აქუს
მას, გუემასა და ტანჯვასა დიდსა შეგაგ-
დოს შუნ“. ამაზე შუშანიკი უპასუხებს:
„უმჯობეს არს ჩემდა ჰელთა მისთაგან
სიკუდილი, ვიდრე ჩემი და მისი შეკრე-
ბაი და წარწყმეღაი სულისა ჩემისაი:

რებასა ქრისტესსა“. (აგრეთვე: „კაცნო ბრძენო, თქვენ კეთილად იტყვით, გარნა ნუ დაგიჯერებთ, თუმა მე მისი ცოლადღა ვიყავ. მეგონა მე, ვითარმედ იგი ჩემდა მოვაქციო და ღმერთი ჭეშმარიტი აღიაროს, და აწ მე მაიძულებთ ამას ყოფად! ნუ იყოფინ ესე ჩემდა!“).

შუშანიკს არ დაუკლია ლოცვა-ვედრება, რათა „ურწმუნო ქმარი მორწმუნე ცოლისაგან განწმენდილიყო“. მაგრამ ამოდღა დაშერა იგი:

„რამეთუ რატამს წარდგა იგი წინაშე სპარსთა მეფისა, არა თუ პატივისა მოღებისათჳს, არამედ ძღუნად თავსა თჳისსა შესწირვიდა მეფისა მის მიმართ უვარის ყოფითა ჭეშმარიტისა ღმრთისათა და თავუანის სცემდა ცეცხლსა, რამეთუ ყოვლით კერძოვე თავი თჳისი ქრისტესგან განაგდო. ხოლო საწყალობელი ესე ცოლსა ითხოვდა სპარსთა მეფისაგან, რამათჳცა სათნო ვყო მეფესა, და ესრეთ ეტყოდა, ვითარმედ „რომელი იგი ბუნებითი ცოლი არს და შეილნი, იგინიცა ესრევე მოვაქციენ შენსა შვეულსა, ვითარცა ესე მე“.

შუშანიკმა ყოველი ღონე იხმარა მეუღლის მოსაქცევად. ვერაფერს გახდა. ახლა კი ვარსკენს მისი გამაზღვანება განუზრახავს. საკუთარი რწმენა რომ დაეცვა, დედოფალს სხვა არაფერი დარჩენოდა გარდა იმისა, მეუღლეს ვანრიდებოდა, რათა ამ გაბედული ნაბიჯით ემოწმებინა ქრისტესათვის. ეს იყო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება ქრისტიანული მორალის თვალსაზრისით. ამდენად, დედოფლისათვის მოცქელების სიტყვები სიტუაციისდა შესაბამისად გააზრება და ყოველივეს გათვალისწინებით ეურტყველის მიერ ბიბლიური ფრაზის მოკვეთა კონტექსტიდან და თხზულების კონტექსტში გადმონერგვა აღარ მოგვეჩვენება ალოგიკურად. ეპისტოლეში ნათქვამია: „არამედ ვწჳლა მოიქცეს ისე, როგორც განუწესა ღმერთმა, და როგორც იგი იხმო უფალმა“... (კორ. VII, 17).

როგორც უკვე ვთქვით, საკუთარი მხატვრული რეალობის შესაქმნელად პა-

ვიოგრაფი მოხერხებულად იყენებს ბიბლიურ ციტატას, სვამს მას სასურველ კონტექსტში, ახალ გარემოში იგი ღებულობს სხვაგვარ დატვირთვას და წმინდანის სასარგებლოდ აქედრდება.



ვარსკენის პირველი მცდელობა, დაებრუნებინა შუშანიკი სასახლეში, უშედეგოდ დამთავრდა. ახლა მან იგივე მიზნით დედოფალთან ჯოჯიკი, მისი ცოლი და სახლის ეპისკოპოსი მიაქვლინა. „მრავალბა დასაჯერებელსა სიტყუასა ეტყოდეს“ ისინი შუშანიკს, მხოლოდ ვერაფერს გახდნენ. „ხოლო ჯოჯიკ ვვედრებოდა და ეტყოდა: „დაი ჩუენი ხარ შენ, ნუ წარსწყმედ სახლსა ამას სადედოფლოსა“. ცნობილია, რომ შუშანიკი არაშუშა პიტახმის კარზე იზრდებოდა. „უწვი, ვითარმედ დაი ვარ და ერთგან განზრდილინი“ — პასუხობს შუშანიკი ჯოჯიკს. საერაულოა, რომ ვარდა პირდაპირი მნიშვნელობისა ამ უბრალო ფრაზაში ბიბლიური კონტექსტიცაა ნაგულისხმევი. მკვლევარები მიიჩნევენ, რომ ეს ადგილი ბიბლიიდანაა ამოღებული: „და აკურთხეს რებეკა, დაი მათი, და პრქუეს: დაი ჩუენი ხარ შენ, იყავ ათასეულად ბევრეულთა და დაიმკვიდროს ნათესაჳმან შენმან ქალაქები მტერთაი“ (დაბ. XXIV, 60). დაბადების ამ თავში აბრაამი თავისი ქვეყნიდან მისი მის ისაკისათვის სახლთუხუცესს ცოლის მოყვანას აპარებს. ღვთის განგებით მორჩილი აბრაამის ძმისშვილს, რებეკას მიაგნებს. უამბობს მის მამასა და ძმას ყოველივეს, რაც გადახდა და ნებართვას სთხოვს მათ მიჰკვაროს ცოლად რებეკა ისაკს. თანხმობას მიიღებს, მხოლოდ ათი დღე მაინც ითხოვს ქალის ნათესავებმა რებეკას სახლში განერება. მაგრამ მორჩილს დაუფოვნებლივ სურს პატრონის სიტყვის აღსრულება. მამინ: „და მოუწოდეს რებეკას და პრქუეს; წარბზდგა კაცისა ამის თანა? ხოლო მან თქუა:



წარედგ. და წარგზავნეს რებეკა, დამათი, და ზითევი მისი და მონაი იგი აბრაჰამისი და მისთანანი ყოველნი“ (დაბ. XXIV, 58-59).

რებეკამ სხვას არაფერს ათხოვა ყური და წაჰყვა მორჩილს თავის მომავალ მუღლესთან. ჯოჯიკიც მუღლესთან დაბრუნებას სთხოვდა შუშანიკს. მხოლოდ რებეკას გადაწყვეტილება უფლისათვის სასურველი ზაქმე იყო, შუშანიკის ვარსკენთან მიბრუნება კი პირიქით. ამდენად, თუკი სურდა ცურტაველს ჯოჯიკის ფრაზა ბიბლიურ კონტექსტთან დაკავშირებინა, ჯოჯიკის თხოვნას ეს ანალოგია არ სძენს დამაჯერებლობას, მხოლოდ ზედაპირული კავშირია სახეზე. სადავოა, სურდა თუ არა ჰაგიოგრაფს ეთქვა იმაზე მეტი, რაც თქვა. მაგრამ, თუ მაინც დაუშვებთ ბიბლიურ პირველწყაროსთან უფრო ღრმა კავშირის არსებობას, ამ შემთხვევაშიც ღვთის სიტყვა წამებულის სახარებელიც მოწმობს.

ვარსკენის მიერ ნაკვეთ შუშანიკთან გაჭირვებით შეაღწევს ზუცესი. „და ვიხილე ტარივი იგი ქრისტესი შუენიერად ვითარცა სძალი შემკული საკრველთა მათგან“ — აღმოხდება მას. ამ მონაკვეთში ფიქსირდება გავლენა იოანე ღვთისმეტყველის ესქატოლოგიური გამოცხადების ერთი მუხლისა: „და მე, იოანე, ვიხილე ქალაქი იგი წმიდა იერუსალიმი ახალი, გარდამომავალი ზეციით ღმერთისაგან, განმზადებულ ვითარცა სძალი, შემკული ქმრისა მიმართ თჳსისა“.

„ქრისტე, როგორც ზეციური სასიძო, და მოწამებრივი აღსასრული, როგორც ღვთაებრივი ქორწინების აქტი, ფართოდ გავრცელებული მოტივია ქრისტეიანულ მწერლობაში. სულიერი სრულყოფის ქრისტეიანობამდელი გზა ადამიანის ღვთაებრივ არსს მოიაზრებდა ხოლმე ღვთაებრივი სასიძოს სახით. თვითშემეცნების გზაზე შემდგარი პიროვნება

„სძლად“ იყო სიმბოლურად გააზრებული. ადამიანის სულის ეს სწრაფვა საკუთარი ღვთაებრივი არსისაკენ სატრფიალო დიალოგის სახეს იღებს „ქებათა ქებაში“. ღვთაებრივი ქორწინება დასტურდება ძველი აღთქმის სხვა წიგნებშიც. ახალმა აღთქმამ ლოგოსის იმპულსს დაუკავშირა ადამიანის თვითშემეცნება. ეს კი საფუძველი გახდა ღვთაებრივ სასიძოდ უშუალოდ ქრისტეს წარმოდგენისა (მათე IX, 15, XXV, 10)“. (მანანა ვიგინიეშვილი, იაკობ ზუცესის „შუშანიკის წამება“; აღმანახში: საუნჯე, №6, 1978, გვ. 231).

ქრისტეს „სძალი“ რომელმაც სიხარულით დასთმო ამქვეყნიური დიდების მდინარეებელი ძვირფასი სამკაულები, „საკრველთაგანა“ შემკული. ბორკილები მისი სულიერი დიდების ატრიბუტად იქცა. კონკრეტულმა დეტალმა სიმბოლურ-ალეგორიული ფუნქცია შეასრულა.

ქრისტეს „ტარივმა“ (X, 10), როგორც მსხვერპლის სიმბოლომ, „კრავთან“ შედარებით (VI, 20), დამატებითი ნიუანსი შემოიტანა ტექსტში.

შუშანიკმა განსჭვრიტა ვარსკენის მზაკრული ჩანაფიქრი და სასახლეში დაბრუნებაზე კვლავ უარი განაცხადა. „მავანმა“ მოუწონა ლელოფალს ეს საქციელი. ხოლო შუშანიკმა უპასუხა: „და შენ ღმერთი ძილსა შინა ნუ გგონივს, რომელმან განუშადნის სიტყუანი პირსა კაცისასა, რამეთუ იტყვს თუთ უფალი: „შე მიუგო სიტყუაი თქვენ წილ“.

ეს ფრაგმენტი მთლიანობაში წარმოადგენს ბიბლიის რამდენიმე მუხლის პარაფრაზირებას: „ნუ მისცემ შეძვრად ფერპსა შენსა, არცა პრულეს მცველსა შენსა. აპა არა პრულეს, არცა დიძინოს მცველმან ისრაელისამან“ (ფსალმ. CXX, 3-4), „რამეთუ სულმან წმიდამან. ვასწავოს თქუნ მას ჭამსა შინა, რა იგი

მსოფლიო“ (ლუკა XII, 12)¹.

„იტყვს თვით უფალი“ – ვკითხულობთ ტექსტში და, ცხადია, მოკვლით მომდევნო ფრაზას გადმოღებულს სახარებიდან სიტყვა-სიტყვით (საიდან, თუ არა სახარებიდან შეიძლება დაემოწმებინა უფლის სიტყვები ჰაგიოგრაფს) ანუ „ციტატას“. არსებობს ყველა პირობა, შინაარსობრივი თუ ფორმალური, იმისა, რომ თანამედროვე მკითხველი განწყობილიყო ციტატის მიხედვად. იგი ელის ციტატას თანამედროვე მნიშვნელობით. მხოლოდ იმ ეპოქის მხატვრული აზროვნება მას სხვაგვარად პასუხობს. ვარდა ამისა, შემოქმედებითი პროცესი თავისთავად გულსხმობს რეალობის მხატვრულად გადააზრებას, „სიზუსტე“ თავისებურად ესმის და არც მოეთხოვება. აქ „ციტატა“ სიზუსტის იმ გაგებით, რომელიც ტერმინშია ჩადებული და როგორც იცის დღეს ფუნქციონირებს თანამედროვე სპეციალურ ლიტერატურაში (იხ. მოკლე ლიტერატურული ლექსიკონი, მ. 1975, ტ. VIII, გვ. 402), ფეხს ვერ მოიკიდებდა. იგი მწიგნობრობის განვითარების საგრძნობლად გვიანდელი პროდუქტია. ამოინად, ზოგადად მხატვრულ ლიტერატურაში „ციტატა“ არაპოპულარული მოვლენაა და თუკი ტერმინს ვხმარობთ მხატვრულ ნაწარმოებთან მიმართებაში, მხოლოდ ცნობილი უზუსტობის შეგნებული დაშვებით.

¹ აგრეთვე: „და რაჟამს მივცნენ თუმცნუ პზრუნავთ, ვითარ ანუ რასა იტყოდეთ. რამეთუ მოვიცეს თქუენ მას ჟამსა შინა, რასა იგი იტყოდეთ. რამეთუ არა თქუენ იყუნეთ მეტყუენნი, არამედ სული მამისა თქუენისა, რომელი იტყოდეს თქუენ შორის“ (მათე X 19-20).

„და რაჟამს მივადიანენ თქუენ მივემად მათდა, სუ წინასწარ „იტყჳს თჳით ზრუნავთ, ნუცა იწურითთ, რასა იტყოდეთ, არამედ, რა იგი მოვეცეს თქუენ მას ჟამსა შინა, მას იტყოდეთ; რამეთუ არა თქუენ ზართ მეტყუენნი, არამედ სული წმიდა“ (მარკ. XIII 11).

სახარების „თავად სიტყვად“ იც კი საიდუმლოდ“ (ბიბლიის ლათინური თარგმანის, „ვეულგატის“ ავტორის, იერონიმის სიტყვებია (საუბარია წმინდა წერილის თარგმანის შესახებ). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბიბლიის სხვა ნაწილებს თავად იერონიმი თარგმნიდა „არა სიტყვას სიტყვით, არამედ აზრს აზრით“) მიანდათ იმ ეპოქაში, რომელშიც ქმნიდა ცურტაველი თავის თხზულებას. მიუხედავად ბიბლიური წიგნების უდიდესი ავტორიტეტისა, „შუშანიკის წამებაში“ ბიბლიიდან ტექსტის ციტირება ფაქტიურად არ ხდება, ხდება პარაფრაზირება. წმინდა წიგნების ავტორიტეტზე აღნიშნული გარემოება არამც და არამც უარყოფითად არ მეტყველებს, არამედ მხატვრული აზროვნების სპეციფიკურ ფორმებზე მიუთითებს.

„სულმან წმიდამან გასწავოსო“ – ამბობს ლუკას სახარება, ცურტაველთან კი „მე მიუგოო სიტყუაი თქუენ წილ“ – „იტყვს თვით უფალი“.

მათესა და მარკოზის სახარებაშიც მეორდება იგივე აზრი. ვნახოთ, იქ თუ მაინც ეთანხმება თხზულების ფრაზა ევანგელიურს. მათესთან: „რამეთუ არა თქუენ იყუნეთ მეტყუენნი, არამედ სული მამისა თქუენისა, რომელი იტყოდეს თქუენ შორის“ (მათე X, 19-20). მარკოზთან: „რა იგი მოვეცეს თქუენ მას ჟამსა შინა, მას იტყოდეთ, რამეთუ არა თქუენ ზართ მეტყუენნი, არამედ სული წმიდა“ (მარკ. XIII, 11).

„სული წმიდა“ – იმეორებს მარკოზის სახარება; „სული მამისა თქუენისა“ – ამბობს მათესი. აქაც ხაზგასმით „სულზა“ საუბარი (არა კერძოდ „უფაღზე“. მაგრამ მამა ღმერთი, ძე და სული წმინდა – წმინდა სამება – ხომ ერთია. სახარების მიხედვით უფალი ამბობს: სული წმინდა გასწავლით, რა თქვათო, ხოლო შუშანიკის ფრაზაში უფალი ამბობს: მე თავად მიუვებ პასუხსო. ცალკე საკითხია, თუ რა არის ამ განსხვავების მიზეზი. ცხადია ერთი, ცურტაველის ფრაზა არ შეიცავს თეოლოგიური

თვალსაზრისით პრინციპულ უზუსტობას.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ, თუ ზედმიწევნით ზუსტნი ვიქნებით, მოცემული ფრაზა, უკვე მითითებულ ლუკას სახარებიდან არა ერთი, არამედ ორი მუხლი უდევს საფუძვლად, იგი მათ თავისებურ კონტამინაციას წარმოადგენს.

„და ოდეს შეგიყუანნენ თქვენ შესაკრებელთა, და წინაშე მთავართა და პელმწიფეთა, ნუ ჰხრუნავთ, ვითარ, ანუ რა სიტუა მიუვოთ, ანუ რა ჰსთქუათ; რამეთუ სულმან წმიდამან გასწავოს თქვენ მას ეამხა შინა რა იგი ჰსთქუათ“ (ლუკა XII, 11-12).

საკვებით ნათელია, რომ „საბჭების მიგება“ მოდის მე-11 მუხლიდან.

დადგა მეშვიდე წელი შუშანიკის მარტივლობისა. „დაუცხრომლად შრომათა“ გამო წმინდანი დასწულდა. დაწყებულ სხულს „მატლი“ დაესია. „რომელ იგი აღიღო კელით თქითა და მიწუნებდა მე და კმადლობდა ღმერთსა“ — ამბობს იაკობი გულისტკივილით. „ხუიცხ, ნუ მიძიე ვინც ესე, რამეთუ მუნ იგი მატლი უდიდეს არს და არა მოკულების“ — პასუხობს წმინდანი ხუცესის გულისტკივას.

საეციალურ ლიტურგურაში ამ ადგილის წყაროდ მარკოზის სახარებას მიუთითებენ: „ხადა იგი მატლი მათი არა მოაკლდების, და იცეხლი არა დაჰმრტების“ (მარკ. IX, 44).

იმქვეყნიური „მატლი“ — ღვთის მიერ ცოდვილთა სახჯელად მოვლინებულ ტანჯვის სიმბოლოა, რომელიც სახარებაში ძველი აღთქმის სახეობრივი სისტემიდანაა გადმოწერვილი და თუ თხზულების ტექსტს ყურადღებით დავაკვირდებით, მოცემულ შემთხვევაში, ჩვენ აზრით, უკანასკნელის გავლენაც ვახათვალისწინებელია: „და განვიდნენ და იზილონ ძუალები კაცთა გარდამავალთა ჩემდამო, რამეთუ მატლი მათი არა დაესრულოს, და იცეხლი მათი არა და-

მრტეს, და იყუნენ სახილველ ყოველსა ზორცისა“ (ეხაი LXVI, 24). მაგრამ აქ უწინარესად ყურადღებია ის გარემოება, რომ, მართალია, ფორმალურად კავშირი ძველ აღთქმასთან თვალში საცემია, შინაარსობრივად (კონტექსტურად) კავშირი ახალ აღთქმასთან უდავოდ უფრო ღრმაა.

ცხადია, სიმბოლო გარკვეული იდეის გაფორმებაში ღებულობს მონაწილეობას და მაშინაც კი, როდესაც იგი უცხო კონტექსტში ჯდება (და მით უფრო, როდესაც ზდება ანალოგიურში) მიუთითებს იმ ზოგად პირველად არსზე, რომელიც თავდაპირველად შეიძინა.

უფალი ბრძანებს — სჯობს სხულს მოაკლდეს ასოთაგან ერთ-ერთი, ვიდრე ცოდვითა გამო სამუდამოდ დაისაჯოს და ეწამოს სული. სასჯელის ამქვეყნად მოხდის შესაძლებლობა, განწმენდის იმედი კაცობრიობას ქრისტემ ამქვეყნიურ ტივილებზე გამარჯვებით მოუტანა. ეს გახლდათ ის ახალი, რაც ახალ აღთქმას მოჰქონდა — გოლგოთაზე დანთხეული ღმერთის სისხლით გამოხდილი ხსნა ადამიანისათვის.

განსაზივლევი ფრაზის საზღვრებს როგორც კი გავიდებით და გაეისხენებთ, რომ შუშანიკის სიტყვებს წინ უძღვის მისი სხულის უძიძიესი მღვთმარების აღწერა, ნათელი ხდება თხზულების თანხვედრა მარკოზის სახარების ანალოგიურ მონაკვეთთან.

უოჯიკმა ვაიგო, რომ შუშანიკი უკანასკნელ ოლეში იყო და ცოდვითა მონაწილეთა მოიწადინა. ვახლა წმინდანს და მოიციოთხა იგი. მარტივლმა უპასუხა: „ეთილ ვარ, ვითარ ღმერთსა უნებ, არამედ ყოველთა წარსავალსა მას ვახსა შეცა წარვალ“.

უკანასკნელი წინადადება („არამედ ყოველთა წარსავალსა მას ვახსა შეცა წარვალ“) ეხმიანება ორ ფრაგმენტს „ძველი აღთქმიდან“.

„ხოლო მივალ გზასა ჩემსა, ვითარცა ყოველნი, რომელ არიან ქუეყანასა ზედა და სცნათ გულითა თქუენითა, რამეთუ არა დააკლდა სიტყუაჲ ერთი ყოველთაგან სიტყუათა, რომელნი თქუნა უფალმან ღმერთმან ჩუენმან თქუენდამო. ყოველი მოიწია თქუენდა, ერთიცა არა დააკლდა მათგანი“ (იესო XXIII, 14). — ეუბნება იესო ნავეს ძე მთელს ისრაელს; „მე მივალ გზასა ყოველთა კაცთასა, ზოლო შენ განმღიერდი და იყავ მამაკაც ძლიერ“ (3 მეფ. II, 2). — მიმართავს დავით მეფე თავის შვილს ხოლომონს.

სახულიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ ყოველი ადამიანი, შესაძლოა გაუცნობიერებლადაც კი, მისწრაფვის უკვდავებისაკენ — ხულიერი სიმშვიდისაკენ. ამქვეყნიური ცხოვრების არსსაც ქრისტიანული მსოფლმხედველობა ამ დებულებიდან გამომდინარე მოიხატრებს. ადამიანი „წუთისოფლის წესისამებრ“ ტოვებს ამ ქვეყანას, მორწმუნისათვის ეს ახალი გზის დასაწყისია.

წყნარი მთლიანი აღსასრულისა, სიმშვიდე და სულიერი წონასწორობა, რომელსაც სიკვდილის შიშის დათრგუნით იმკიდრებს წმინდანი, საშუალებას აძლევს მას თავისუფლად ჩაჩხედოს სიკეთილს თვალეში. იგივე მოტივი ეღივს ბიბლიაშიც.

შუშანიკი თავს კარგად გრძნობს, იხე, როგორც ნებას უფალს, მან იცის, იწურება სიციცხლის უკანასკნელი დღეები. მაგრამ მისი სიკვდილი მხოლოდ „გარდაცვალებაა“. მან შესძლო თვით-შემკიცების გზაზე სულიერი თავისუფლებისათვის მიეღწია. იგი „უფალია“ საკუთარი თავისა. საკუთარი ბედი მან საკუთარ ნებას დაუმორჩილა და აღსასრულსაც ამ რწმენით ელის. წმინდანმა კარგად იცის, ყველა გაივლის სიკვდილის კარებს, მაგრამ ეშინოდეთ უნდა მხოლოდ მათ, ვისაც მოუნანიებელი და მიუტკეპელი ცოდვა მიუძღვის ღვთის წინაშე. წმინდანისათვის კი ვარდაცვალება ზიარებაა უკვდავებასთან. დასაწყისია უდიდესი ნეტარებისა.

იაკობი, როგორც ყოველთგვარს უღობს“, იძონძებს იდეას, რომელსაც მხატვრული თვალსაზრისით აფორმებს თავად. შუშანიკის სიტყვები, მოკლებული ყოველგვარ „ათეტიკურობასა“ და „არტისტიზმს“, სიკვდილის შიშის ძლევისა და სულიერი სიმშვიდის მოპოების გამოხატულებაა. ბუნებრივობა წმინდანის ფრაზისა მისი შეუღამაზებელ გულწრფელობაშია, სისადავესა და სიღრმეში.



დაღვა წმინდანის აღსასრულის ეამი. შუშანიკმა მოუხმო ეპისკოპოსს აფოცს, მადლობა გადაუხადა თანადგომისათვის და დალოცა: „უკუეთუ ღირს რაიმე ვარ უკანასკნელი ესე შეათერთმეტე მოქმედი ვენაქისაჲ, იყვნით ყოველნი კურთხეულ უკუნისამდე ეამთა“.

შუშანიკის სიმტიციე, მისი ურყევი ნება, ძლიერი ხულის მუშაობის შედეგია. იგი საკუთარ თავს უწოდებს „მეათერთმეტე მოქმედს ვენაქისას“, ეს სიმბოლური გამოხატულებაა ღვთის სამსახურში ჩამდგარი გმირის მოკრძალებული დეაქლისა; მომდინარეობს, რასაკვირველია, სახარებიდან, როგორც ფრაზეოლოგიური ერთეული ჩამოყალიბდა მის წიაღში, მაგრამ იმ ერთიანი სახით, ფორმით, როგორდაც ვარდაისახა სახარებისეული იდეა სიმბოლურ გამოთქმად (ფრაზეოლოგიზმად) ის არ არის წმინდა წერილში (გამლილია სხვადასხვა მუხლებში). გამოთქმა ხშირად გამოიყენება ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში და მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ისეთ სახე-სიმბოლოებთან ერთად, როგორიცაა „სასძლო ქრისტმისი“ და სხვ. ნაწარმოების სახეობრივ სისტემაში, სადაც ბიბლიური მეტაფორა-სიმბოლოები თავისებურადაა ათვისებული და გადააზრებული ჰაგიოგრაფის მიერ.

იმისათვის, რომ ნათელი იყოს შუშანიკის ფრაზის აზრი მკითხველისათვის (ან უფრო სწორად მსენელისათვის, ვინაიდან თხზულება პირველ რიგში მრე-

ვლის წინაშე საკითხავად იყო გამიზნული), სიმბოლოთა აზრი რომ გაიხსნას, უკველად საჭიროა სულ მცირე 16 მუხლის ცოდნა მათეს სახარების მეოცე თავიდან, ანუ მთელი იგავისა „ვენახის მუშაკებზე და მათ საზღურზე“. ეს გარემოება მეტად საგულისხმოა იმდენად, რამდენადაც იმდროინდელი საზოგადოების ბიბლიის საკმაოდ კარგ ცოდნაზე მიუთითებს. თანამედროვე მკითხველთა უმეტესი ნაწილი ვერ იამაყებს იმგვარ-ვე ცოდნით.



წმინდანის ნეშტი საბატოლ დაკრძალვას მისთვის წინასწარ განინებულ ადგილას. „და მას დაჰესა ანგელოზთა სახედ ღამე იგი განვათით და დავითის ქნარით მით ყოვლად ძლიერსა ღმერთსა და ძესა მისსა უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა ვადიდებდით. რომელი ყოვლითა ყოველთა მიმართ შემძლებელ არს და განამკნინის მაჰანიცა და დედანიცა და თხსთა მათ თხსი იგი ძლიერებისა ძლეუაჲ მიჰმადლის ყოველთა, რომელნი ეძიებენ მას ერთითა გულითა“ — ამბობს იაკობი.

სპეციალისტები ფიქრობენ, რომ ფრაზა: „რომელი ყოვლითა ყოველთა მიმართ შემძლებელ არს“, პავლე მოციქულის ეპისტოლედან ერთ-ერთი მუხლის პარაფრაზია: „და განყოფანი შეწყენათარი არიან, და იგივე თავადი ღმერთი არს, რომელი შეიქმს ყოველსა ყოველთა შორის“ (1 კორ. XII, 6).

თხზულებაშია: „რომელი ყოვლითა ყოველთა მიმართ შემძლებელ არს“. ეპისტოლეში: — „რომელი შეიქმს ყოველსა ყოველთა შორის“. ამ ორ ფრაზას განასხვავებს რამდენიმე ნიუანსი, ეპისტოლეშია: „შეიქმს“, თხზულებაში: „შემძლებელ არს“. „ქმნასა“ და „შემძლებას“ შორის არსებობს ლოგიკური კავშირი: თუ ასრულებს, ე. ი. შეუძლია კიდევ, მაგრამ „შემძლება“ ყოველთვის არ განაიბრობებს, არ გულისხმობს „ქმედებას“. „შეიქმს“ და „შემძლებელ არს“

სხვადასხვა ლექსიკური ერთეულებია, რომლებიც სემანტიკურად სხვადასხვა დატვირთვის ატარებენ. მაგრამ შინაარსობრივად გარკვეულ შემთხვევებში ისინი შესაძლოა ერთმანეთს უკავშირდებოდნენ, ერთი და იგივე აზრის ზორცმსხმას ემსახურებოდნენ. ეს შესაძლებლობა კარგადაა გამოყენებული იაკობ ზუცესის მიერ. იაკობმა ჯერ ზოგადად თქვა, ყველაფრის გაკეთება ძალუძსო უფალს ყველასათვის და შემდეგ უკვე, ამ ყველაფრიდან, ანუ განუსაზღვრელი ყოვლის-შემძლებობიდან, ცალკეული გამოარჩია: იგი გაამზნევებს მაათაც და ღედათაც, ყველას, ვინც ეძიებს მას და შეაძლებინებს მათ, სულიერი „სიმღიერით“ ნებისმიერი სხვა „ძლიერება“ დაამღევიონ. ე. ი. ზაზგასმულია ქრისტიანული იმპულსის ძლევაძობილება, სულიერების აღმატებული მნიშვნელობა განსაცდელის ფაშს, უკეთურებასთან ბრძოლის ფაშს. ეს უმნიშვნელოვანესი ასპექტია, მაგრამ ერთ-ერთია იმ ფართო სპექტრიდან, რომელსაც მთლიანად მოიცავს ფრაზა ეპისტოლედან.



ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა, მოწოდებული „ემოწმებინა ქრისტესათვის“, უშუალოდ მიემართებოდა ბიბლიის ტექსტს. ბიბლია იყო არა მარტო იდეური საყრდენი აღმსარებლობითი ლიტერატურისა. მზატვრულად გაიაზრებოდა ბიბლიის სახეობრივი სისტემა, უცვლელად გადადიოდა ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში ბიბლიური სახე-სიმბოლოები. ჰაგიოგრაფის შრომა ღვთაებრივი სიბრძნის გაცნობიერებასა და ათეისებას ემსახურებოდა. მხოლოდ ეს საქმე უდიდეს პასუხისმგებლობასთან იყო დაკავშირებული. ვაეიხსენოთ ე. წ. „ტრილინგვისტური“ თეორია, რომლის მიხედვითაც ბიბლია მხოლოდ სამ ენაზე (ებრაულად, ბერძნულად და ლათინურად) შეიძლებოდა არსებულიყო. ვაეიხსენოთ, თუ რა სირთულეების წინაშე დადგა ქრისტიანული სამყარო, როცა სა-

ქმე შეეხო ბიბლიის ეროვნულ ენებზე თარგმნას. ღვთის სიტყვაში დაუნჯებულ-ლი უზენაესი სიბრძნე განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვდა მათგან, ვინც შეპყდავდა ამ საქმეს.

როგორც კვლევის პროცესში დადასტურდა, „შუშანიის წამებაში“ არის ადგილები, გადმოღებული ბიბლიიდან, ავტორის მხატვრული მიზანდასახულობისდა შესაბამისად სახეცვლილი, მაგრამ თხზულებაში ფაქტიურად არ არის არც ერთი „ციტატა“ თანამედროვე მნიშვნელობით. ამ საკითხზე მხველობა იმითაც რთულდება, რომ „წამებისა“ და მის პარალელურად სავარაუდოდ არსებული ბიბლიური წიგნების ტექსტებმა ჩვენამდე მხოლოდ გვიანდელ ხელნაწერებში მოაღწია. ზედმიწევნით ზუსტად

არც თხზულების ორგინალური ტექსტია ცნობილი და არც ბიბლიის ის ქართული თარგმანები, რომლებითაც, სავარაუდოა, სარგებლობდა ჰაგიოგრაფი. მაგრამ სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ „წამების“ ტექსტში და ბიბლიის უძველეს თარგმანებში არსებითად დაცულია მათი პირველადი სახე. ამ გარემოებამ რამდენადმე გავვიადვია შექმნილი წინააღმდეგობის დაძლევა.

თხზულება შუშანიის სულიერი ძლიერების მანიფესტაციაა. იმ დრამატულ სიტუაციაში, რომელშიც შუშანიკი აღმოჩნდა, მის სიტყვებში მეტია ბიბლიური სიმბოლოებსა და პარაფრაზებში აფლერებული ღვთაებრივი სიბრძნე, ვიდრე უბრალოდ პათეტიკა.

ლიტერატურული ზღაპრის შესახებ

როგორც არაერთხელ აღინიშნა სპეციალურ პუბლიკაციებში, ლიტერატურული ზღაპარი ითვლება ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ჟანრად უახლესი დროის მთელ რიგ ლიტერატურულ ჟანრებს შორის. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ლიტერატურულმა ზღაპარმა ჯერ კიდევ ვერ მოიპოვა სრულად თავისი „თეორიული სტატუსი“. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში გამოჩნდა აღნიშნულ პრობლემებთან დაკავშირებული არაერთი ნაშრომი, დარჩა საკითხები (ლიტერატურული ზღაპრის სპეციფიკა, მისი ადგილი სხვა ჟანრთა სისტემაში, განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპები, ლიტერატურული ზღაპრის დამოკიდებულება ხალხურ ზღაპართან და სხვა მრავალი), რომელთაც საწინააღმდეგო კვალიფიკაცია მიიღეს ან საერთოდ ჩრდილში აღმოჩნდნენ.

როგორც ლიტერატურისმცოდნეობით, ასევე მთარგმნელობითი თვალსაზრისით ლიტერატურული ზღაპრის ჟანრისა და მისი სხვა ენებზე თარგმნის პრობლემების შესწავლა თანამედროვე მეცნიერებისათვის მეტად აქტუალურია. ეფექტობთ, ყოველივე ეს მომავალ ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევის საგნადაც უნდა იქცეს.

ამჯერად განვიხილავთ ლიტერატურული ზღაპრის წარმოშობასა და მისი

განვითარების ზოგიერთ ეტაპს დასავლეთ ევროპაში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთში. ჩვენს მიერ განსახილველი ჟანრის განვითარება საშუალებას გვაძლევს გავარკვიოთ ერთის მხრივ ის, რომ ლიტერატურული ზღაპარი სხვადასხვა ეროვნულ ლიტერატურებში სხვადასხვა დროს წარმოიშობა, ხოლო მეორეს მხრივ კი, შეიმჩნევა ლიტერატურული ზღაპრის „მიგრაციისაკენ“ ლტოლვა (გავიხსენოთ ლიტერატურული ზღაპრის ბედი იტალიურ, ფრანგულ, გერმანულ და სხვა ლიტერატურებში). საგულისხმოა ისიც, რომ ხშირად იცვლებოდა ლიტერატურული ზღაპრისადმი დამოკიდებულება ამა თუ იმ ეპოქის კულტურულ კონტექსტში, ასევე იცვლებოდა ლიტერატურული ზღაპრის დამოკიდებულება ხალხურ ზღაპართანაც.

ევროპული ლიტერატურული ზღაპრის პირველი ნიმუშები თავს იჩენს იტალიაში, ქვეყანაში, რომელმაც ამ ჟანრს გზა გაუხსნა ნოველისტური თხრობის ლიტერატურული ტრადიციების მეშვეობით.

უპირველესად უნდა აღინიშნოს XVI-ს ის იტალიელი მოღვაწეთა, ლიტერატურული ზღაპრის ფუძემდებელთა — ჯოვანა ფრანჩესკო სტრამპაროლას და ჯამბატისტა ბაზილეს ნაწარმოებები. ლიტერატურული ზღაპრის თვალსაზრისით

ნო წინამორბედად მოგვევლინა სტრაპაროლას ციკლი „სასიამოვნო ღამეები“. უნდა აღინიშნოს, რომ სტრაპაროლამ უკვე არსებული ეს ანონიმური ხასიათის ზღაპრები გააერთიანა და შეაგროვა საპორტო ქალაქ ვენეციაში, რაც შეეხება ბაზილეს „პენტამერონს“ — ეს ღირებულების მქონე პირველი ევროპული ნაწარმოებია ლიტერატურული ზღაპრის სფეროში. ბაზილემ თავის ნაწარმოებში აერთიანებს ყოველგვარ ფოლკლორულ ელემენტს ორიგინალურ, აქამდე არარსებულ ფორმად. ამ ნაწარმოებებმა დიდი გავლენა იქონია ჩვენთვის საინტერესო ქანრის შემდგომ განვითარებაზე. იტალიაში ამ მაგალითს სხვა ავტორებმაც მიბაძეს და შეიქმნა ბრენტანოს „რეინის ზღაპრები“, კარლო გოცისა და პომპეო სარნელის შესანიშნავი ზღაპრები. ლიტერატურული ზღაპარი, როგორც ერთგვარი ნოველა ამის მერე თითქმის უკვალოდ ქრება ორი საუკუნის მანძილზე იტალიური ლიტერატურიდან, ვიდრე არ დაიწერება კარლო კოლოდის „პინოქიოს თავგადასავალი“, ავტორს დიდი პოპულარობა, რომ მოუტანა, ზოლოთვით „პინოქიო“ კი ერთ-ერთ უსაყვარლეს წიგნად იქცა მთელს დედამიწაზე.

XVII საუკუნე მეტად ნაყოფიერი იყო ფრანგული ლიტერატურული ზღაპრის განრისხათვის, ზოლო მის კლასიკოსად იქცა ცნობილი მწერალი და სამეფო კარის მოხელე შარლ პერო. „პეროს დიდ დამსახურებას წარმოადგენს ის, რომ მან ზღაპარი ლიტერატურის ფაქტად აქცია და შეიფარა იგი ლიტერატურულ ქანრთა სისტემაში“ — აღნიშნავს თავის ევროპული ლიტერატურული ზღაპრისადმი მიძღვნილ ვრცელ მონოგრაფიაში გერმანელი მეცნიერი, ლიტერატურისმცოდნე უ. კლოცი. ვველასათვის ცნობილია შ. პეროს ზღაპრთა კრებული „ღუღანეში ბატის ზღაპრები ანუ გარდასულ დროთა დამრიგებლური ამბები და ზღაპრები“, რომლის რვავე სიუჟეტი პერომ ფოლკლორული

წყაროებიდან აიღო.

1697 წ. გამოქვეყნდა შემდეგი კრებული სახელწოდებით „ისტორიები, ანუ დამრთველური ამბები წარსულიდან“. ამის შემდეგ ფრანგმა მწერალმა გამოსცა ცხრა ზღაპარი, რომელთა შორის რვა ზალხურია, ერთი კი ავტორისეული. პეროს კრებულის გამოქვეყნებთან ერთად იქმნება უხვი პროდუქცია ე. წ. ზღაპრებისა ფერებზე — მარი კატრინ დოლნუა („ზღაპრები ფერიაზე“), შარლოტა დე ლა ფორსი („ზღაპრები ქალბატონ დეს... მოტივებზე“), ანრიეტა-გიული დიუ მიურა („ზღაპრები ფერიაზე“). ამ ქალბატონებს XVIII საუკუნეშიც ჰყავდათ მიმდევრები, რომელთა ნაწარმოებებშიც პეროს ირონიული ინტონაციის გამოძახილი ფლერდა. მაგრამ მალე ჩიხში მოექცა მთელი ეს ჯანრი ფრანგულ ლიტერატურაში. თუმცა შემდგომში ფრანგულ ლიტერატურულ ქანრს ბიძგი განახლებისა და ახალი სიცოცხლისაკენ მისცა შორეული ქვეყნიდან შემოსულმა ნაწარმოებმა, კერძოდ, ანტუან ვალანისეულმა გადმოცემამ „ათას ერთი ღამისა“. ეს თავისუფალი, ნაწილობრივ ადაპტირებული თარგმანი 1704—1717 წლებში 12 ტომად გამოქვეყნდა. ვალანის ამ უდიდეს შრომას კვალდაკვალ მოჰყვა ევროპის მთელ რივ ქვეყნებში თარგმანები თურქული და სპარსული ენებიდან. ლიტერატურული ზღაპარი ქანრობრივად „ათას ერთ ღამეს“ წააგავდა. მრავალი ავტორის ვატაცება აღმოსავლეთით იმით იყო გამოწვეული, რომ მათ ზღაპრებში „სწორედ ყოველდღიური ცხოვრებისაგან განცალკევება ესაჭიროებოდათ. ლიტერატურული ზღაპრის ავტორთა განსაკუთრებით მეორე და მესამე თობამ (კვილუსი, დიუკლო, კრებიონი, გუანოტი) გამოიყენა აღმოსავლური ეზოტიკა თავიანთ ნაწარმოებებში.

რაც შეეხება XIX საუკუნეს, ლიტერატურული ზღაპრის ქანრში საფრანგეთში მოღვაწეობდნენ ე. ზანდი, ე. ლაბულე. ე. ზანდმა ზალხური ზღაპრების შეგროვებითა და ნაწერით დაიწყო,

ხოლო ბონაპარტისტული გადატრიალების შემდეგ ლიტერატურულ ზღაპარს მიმართა. კლასიკურ ფორმას ლიტერატურულმა ზღაპარმა მიაღწია მეცნიერის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის ე. ლაბულეს შემოქმედებაში. მან მიმართა უცხო ხალხთა ფოლკლორს (სერბიულს, თურქულს, იტალიურს). ლაბულეს ზღაპრები უდიდო მახვილგონიერებითა და ღრმა აზროვნებით გამოირჩევა.

გერმანულ საზღაპრო შემოქმედებაზე მსჯელობის დროს არ შეიძლება გვერდი აუუაროთ პრუსიის აკადემიის აკადემიკოსების საქვეყნოდ ცნობილი ძმების ვილჰელმ და იაკობ გრიმების სამეცნიერო მოღვაწეობას, რომელთაც საფუძველი ჩაუყარეს გერმანული ხალხური ზღაპრების საყოველთაო შეგროვებას. ცნობილია გრიმების „საოჯახო და საბავშვო ზღაპრები“. ხოლო პირველი გერმანელი ავტორი, რომელმაც ლიტერატურული ზღაპრის შექმნა გადაწყვიტა, იყო კრისტოფ მარტინ ვილანდი. ვილანდი თავის შემოქმედებაში ძირითადად ავითარებდა და განავრძობდა ხაზს, რომელიც დაიწყო ზღაპრებით ფერაბზე. იგი პეროსა და იტალიელებისაგან განსხვავებით, შესაძლოა, გერმანულ ხალხურ ზღაპრებს არც იცნობდა, ალბათ, იმით უნდა აიხსნას ეს ფაქტი, რომ თავის მოთხრობებში საოცრებებზე იგი არ ხარვეზობდა ხალხური ზღაპრების მასალით. ლიტერატურული ზღაპრის ფანრს მიუძღვნა ნაწილი შემოქმედებითი მოღვაწეობისა ვოლფმა. მისი სამივე ზღაპარი ჩართულია შემდეგ ნაწარმოებებში: „ახალი პარისი“ — ავტობიოგრაფიაში — „პოეზია და სინამდვილე“ (1811); „ახალი მელუდინა“ — რომანში „ვილჰელმ მაისტრის განსწავლის წლებში“ (1821) და „ზღაპარი“ ნოველითა ციკლში „გერმანელი ემიგრანტების საუბრები“ (1795).

ამ ზღაპრებმა მნიშვნელოვნად გააფართოვეს ლიტერატურული ზღაპრის გამოხატვის არეალი.

სრულიად ახალი ფერადობა შეიძინა ლიტერატურულმა ზღაპარმა ფრიდრიხ ფონ შარდენბერის შემოქმედებაში. ნოვალისი (ამ ლიტერატურული ფსევდონიმით არის ცნობილი იგი) ლიტერატურულ ზღაპარს უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, ვიდრე ხალხურ ფანრს, რომელსაც ავტორები ლიტერატურულად ამუშავებდნენ. ნოვალისი ზღაპარს საერთოდ „პოეზიის კანონად“ მიიხსენიდა.

XVIII ს-ის დასასრული და XIX-ის დასაწყისი ევროპულ ლიტერატურაში აღინიშნა ახალი მიმართულების რომანტიზმის დაბადებით. რომანტიკოსებმა მიმართეს გრძნობათა სამყაროს და აღამიანის ბუნებას; ისინი ამადლებულს მხოლოდ ისტორიის საგმირო პერიოდებსა და გამოხატონში პოეზობდნენ. ამიტომაც რომანტიზმის ეპოქაში ფართო გამოხატულება პოეზია ზღაპრის ფანრმა. გერმანულმა რომანტიკოსებმა ზღაპარში უსაზღვრო ფანტაზია, პოეტური სული, სიკეთე და მხატვრული ღირსებები აღმოაჩინეს. რომანტიკოსებმა მალაღ ხელისუფლებას გაუტოლეს ზღაპარი, რომელიც მათ საშუალებას აძლევდათ ეთქვათ საკუთარი სიტყვა სინამდვილეზე.

გერმანული რომანტიზმის ერთ-ერთი წარმომადგენელი, ლუდვიგ ტიკი თავის ტრაგიკულ ზღაპრებში აღწერდა ბუნებას. ზღაპრებს წერდნენ აგრეთვე რომანტიკოსები — დე ლა მონტ ფუკე, კარლ ვილჰელმ ხამეს კონტესა. სწორედ ამ დროს იქმნება კარლ ბრენტანოს „იტალიური ზღაპრები“ და „რეინის ზღაპრები“. ერნსტ თეოდორ ამადეუს პოფმანის ზღაპრების განსხვავებული ნიშანია „ყოველდღიურობა“, რომელშიც ზღება უჩვეულო ამბები. თავის ნაწარმოებებში — „ოქროს ქოთანა“ და „ცინობერად წოდებული პატარა ცახისი“ — პოფმანი ჩუული ირონიით იფენებს ფანტასტიკურ ელიმენტებს ჩუულეზბრევ ყოველდღიურ მოვლენებთან მიმართებაში. განსაკუთრებული ადგილი კი გერმანულ რომანტიკოსთა შორის, რომელმაც გა-

მორჩეული წვლილი შეიტანა ლიტერატურული ზღაპრის ჟანრის განვითარებაში, მიეკუთვნება ვიღველმ ჰაუფს. ამ მალალი ერულიციის მქონე ადამიანმა სულ 25 წლის ცხოვრების მანძილზე შესძლო შექმნა მსოფლიო ლიტერატურის მნიშვნელოვანი ნაწარმოებები სხვადასხვა ჟანრში, განსაკუთრებით, ლიტერატურული ზღაპრის ჟანრში. ცნობილი კრებული „ალმანახი 1826 წელზე“ შეიცავს ზღაპრის სამ ციკლს, რომელიც შექმნილია როგორც აღმოსავლურ, ასევე ევროპულ მოტივებზე. თანდათან ლიტერატურული ზღაპრის ჟანრმა სკანდინავიაში გადაინაცვლა. „ღანიის, შვეციის და შვედურენოვანი ფინეთის სკანდინავური ლიტერატურული ზღაპარი — უნიკალური მოვლენა მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში“, — წერს თავის ნაშრომში „სკანდინავური ლიტერატურული ზღაპარი“ ლ. ბრაუდუ. მართლაც, XIX ს-ში პირველი ადგილი ამ ჟანრის ნაწარმოებების რიცხვით დანიასა და ნორვეგიას უჭირავს. მათ შესძინეს მსოფლიო ლიტერატურას ისეთი სიტყვის ოსტატები, როგორებიც არიან პ. კ. ანდერსენი და ასბიორსენი, ხოლო მომდევნო წლებში — კარლ ვეალდი და ჩვენი თანამედროვე დანიელი მწერალი — ოლე ლუნ კირკგორი, ნორვეგიელები — იუნას ლი და რუგინე ნურმანი. შვედურენოვანმა ფინეთმა — ტოპელიუსი (XIX ს.) და იანსონი (XX ს.). XIX — ს-ის შვეცია შესამჩნევად ჩამორჩებოდა სკანდინავიის ბევრ ქვეყანას, თუმცა საუკუნის მიჯნაზე იგი საკმაოდ წინ წაიდა ამ თვალსაზრისით, რაც ამ ქვეყანაში ნეორომატიზმის განვითარებით აიხსნება. ლიტერატურულ ზღაპარს საკმაო ადგილი დაუთმეს შვედური ლიტერატურის ცნობილმა კლასიკოსებმა ა. სტრინდბერგმა, ს. ლაგერლოფმა, ი. ბერგმანმა — XIX საუკუნეში; ნიუბლუმში, ბესკოვი, ვრანერი და სხვები მოღვაწეობდნენ XX ს-ში, რომ აღარაფერი არ თქვათ ა. ლინდგრენის შემოქმედებაზე. XIX ს-ის 40-50-იანი წლებისათვის

ლიტერატურული ზღაპარი შვეციაში ე. წ. „პრაველსართულიანი სახლებს“ ზღაპრებით იცვლება. ამ ზღაპრებში მოქმედება თანამედროვე ურბანისტულ გარემოშია გადმოტანილი. თავისებურ ჯგუფს ქმნიან ავტორები — ვალენგრენი და დანიელსონი, რომელთა ზღაპრები პაროდიაა თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაზე.

XIX ს-ის დასასრულის და XX ს-ის დასაწყისში დანიურმა ლიტერატურულმა ზღაპარმა უდიდეს პოპულარობას მიაღწია. ვეელასათვის საყვარელ საკითხავ წიგნებად იქცა ანდერსენის ზღაპრები. პ. კ. ანდერსენმა სხვა სკანდინავიელ მწერალთა მსგავსად ერთ-ერთმა პირველმა ევროპაში სათავეები სწორედ ხალხურ ცრადიციასა და ფოლკლორულ ზღაპრებში ჰპოვა, უბრატესად სწორედ მათ საფუძველზე აგებდა იგი ლიტერატურულ ზღაპრებს.

ანდერსენი სკანდინავიური ფოლკლორულ — ეთნოგრაფიულ მასალაში პოულობდა სიუჟეტებსა და მოტივებს საკუთარი შემოქმედებისათვის. ანდერსენის ლიტერატურული ზღაპარი თვისობრივად ახალი მოვლენაა ამ ჟანრში. იგი არ ჰგავს არც გერმანულ და არც სხვა დანიურ ზღაპრებს. მის მიერ შექმნილი ლიტერატურული ზღაპრები მკვეთრად განსხვავდება ძმები გრიმებისა და სკანდინავიელ ფილოლოგ — მკვლევართა მიერ მოპოვებული მასალებიდან.

ანდერსენმა გამოაქვეყნა ლიტერატურული ზღაპრების ოთხი კრებული. „ზღაპრები, მოთხრობილი ბავშვებისათვის“ (1834—1841), „ახალი ზღაპრები“ (1844—1848), „ისტორიები“ (1852—1855), „ახალი ზღაპრები და ისტორიები“ (1885—1872). ანდერსენის ზღაპრები იმდენად უნივერსალური და საინტერესოა, რომ მათ დიდი გავლენა იქონიეს ჟანრის განვითარებაზე ევროპულ და განსაკუთრებით სკანდინავიურ ლიტერატურაში თითქმის დღევანდელ დღემდე.

XIX-ის ბოლოს და XX ს-ის დასა-

წყისში ლიტერატურულმა ზღაპარმა დიდი განვითარება ვერ ჰყოლია. ცნობილია კ. ევალდის შემოქმედება, რომელიც ანდერსენის ტრადიციების გამგრძელებელი იყო. საინტერესო ავტორად შეიძლება მივიჩნიოთ ოლე ლუნ კირკგორი, რომელიც თვითონ უკეთესდა ილუსტრაციებს საკუთარ ზღაპრებს. 1890-1915 წლებში შვედურ ზღაპრულ ლიტერატურაში მოღვაწეობდნენ ა. სტრინდბერგი, ს. ლაგერლოფი, ა. ბერგმანი (იგი 35 საბავშვო წიგნის ავტორია) და მრავალი სხვა.

ინგლისურმა ლიტერატურამ საკმაოდ გვიან მიმართა ლიტერატურული ზღაპრის ფანრს. ეს მოხდა XIX ს-ის მეორე ნახევარში, თუმცა მანამდე ხალხური ზღაპრით დაინტერესებულნი იყვნენ ბრიტანეთის ცნობილი მწერლები და პოეტები.

პირველი ბიძგი ლიტერატურული ზღაპრით გატაცებისა მოვიდა გერმანიიდან, როდესაც 1791 წ. გაჩნდა მუხუმის ნაწარმოებთა ბეკფორდისეული თარგმანები, ხოლო შემდგომ ამას მოჰყვა ტიკის, ფუკეს, შამისოსა და პოფმანის ზღაპრები. 1839 წ. კეტლინ სინკლერი აქვეყნებს თავის არანეულებრივ ზღაპარს, ხოლო 1865 წ. ლიუის კროლი გამოინდება თავისი შესანიშნავი ზღაპრით — „ალიხა საოცრებათა ქვეყანაში“.

XIX ს-ის მეორე ნახევარში თავიანთ ნაწარმოებებს ქმნიან ლიტერატურული ზღაპრის ფანრში ფ. ბრაუნე და ჯ. მაკდონალდი. ლიტერატურულ ზღაპართან დაკავშირებული იყო აგრეთვე ო. უაილდი, რომელსაც უდავოდ დახვეწილი და ლამაზი ზღაპრები მიუძღვნა მომზადებულ მკითხველს. XIX — ს-ში ჩვენს მიერ საინტერესო ფანრს მიუძღვნა რამოდენიმე ზღაპარი ჩ. დიკენსმაც. მან შექმნა ცნობილი „საშობაო მოთხრობები“, რომელთაც გამოხმაურება ჰპოვეს ინგლისში. XX ს-ში ამ ფანრში მოღვაწეობდნენ ა. მილნი და უ. დელამარი, აგრეთვე ნესბითი და ბარი. სწორედ ამ პერიოდს მიეკუთვნება

პ. ტრავერსის „მერი პოპინსის“ გამოცემა. XX ს-ის დასაწყისის ლიტერატურული ზღაპარი ინგლისში უფრო სოციალურ ფსიქოლოგიური ხასიათისა და იგი აბსურდიზმის გამომატველია. ხოლო ანიმალისტური ზღაპრების ტრადიციებს აგრძელებდნენ ლოფტინგი, ატლი, ფარჯინი, ბელი, ბისეტი, ბონდი და სხვები.

ამერიკული ლიტერატურული ზღაპარი მხოლოდ XX ს-ში ჩამოყალიბდა. აქ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ლაიმენ ფრენკ ბაუმს, რომელმაც ამერიკელთა შორის სიცოცხლეშივე დიდი პოპულარობა მოიპოვა. იგი ცნობილია ზღაპრების უზარმაზარი ციკლით ჯადოქარ ოზზე, რომლის შექმნასაც თავისი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი მიუძღვნა. ლიტერატურული ზღაპრები შექმნეს აგრეთვე საინტერესო ამერიკელმა მწერლებმა და იუმორისტებმა კ. სენდბერგმა, ჯ. თერბერმა, ე. უაიტმა და სხვებმა.

რუსული ზღაპრის ლიტერატურული ისტორია იწყება XVIII ს-ის მეორე ნახევარში, როდესაც ერთერთმა ფოლკლორის პოპულარიზატორმა, მიხეილ ჩულკოვმა ხალხური სიმღერები და ანდაზები გამოაქვეყნა, ხოლო მოგვიანებით მას სახელი გაუთქვა წიგნმა „დამცინავი, ანუ სლოვენური ზღაპრები“ (1766-1768წ.). ეს წიგნი უფრო გასართობი ხასიათისა იყო. XVIII ს-ის ბოლოს, კერძოდ, 1780-1783 წლებში ვახილი ლევინი აქვეყნებს „რუსულ ზღაპრებს“. ეს ჯადოსნური სატირული ხასიათის ზღაპრები უდიდესი პოპულარობით სარგებლობდნენ, რადგან გარდა ევროპული და აღმოსავლური წყაროებისა, ლევინმა გამოიყენა რუსული საგმირო თქმულებანიც, რომელიც მან დაამუშავა.

1780-1790 წლებში გამოქვეყნდა კრებულები, შედგენილი მ. ჩულკოვის, ვ. ლევინის, მ. პოპოვის, პ. ტიმოფეევისა და სხვა ლიტერატორთა მიერ, რომლებიც „რუსული“, „სლავური“,

„უძველესი“ ზღაპართა სახელწოდებებს ატარებდნენ.

ამ კრებულთა მნიშვნელობა ძალზედ დიდი იყო, ვინაიდან მათ XVIII ს-ის ბოლოს პოპულარიზაცია გაუწიეს თითქმის ყველა გავრცელებულ ზღაპრულ სიუჟეტს. სწორედ ამ კრებულებით დაიწყო ზღაპრული სტიქიის შეღწევა ლიტერატურაში. XIX - ს-ის დასაწყისში ეპოსის გამოკვეთილი ნიშნებით გამოირჩეოდნენ თარგმნილი ზღაპრები. ამ მხრივ საინტერესოა ევროპული ზღაპრის მთარგმნელის ა. ზონტაგის შემოქმედება. 1825 წ. ზონტაგმა თარგმნა შ. პეროს რამოდენიმე ზღაპარი. XIX - ს-ის მეორე ნახევარში რომანტიზმის ეპოქამ დიდი გავლენა იქონია ლიტერატურული ზღაპრის ეპოსის განვითარებაზე. ამ პერიოდის რუსული რომანტიკული ლიტერატურა ვითარდებოდა გერმანული ლიტერატურისა და ფილოსოფიის გავლენით. სწორედ 20-30-იან წლებში დასავლეთ - ევროპული ლიტერატურით გატაცებამ გამოიწვია ცნობილი გერმანელი მწერლის ჰოფმანის შემოქმედებით დაინტერესება. ჰოფმანის მოტივებს მრავალი მწერალი იყენებდა თავის ნაწარმოებებში. ერთ-ერთი მათგანი გახლდათ ანტონ პოგორელსკი, რომელმაც 1829 წ. გამოაქვეყნა ზღაპარი ბავშვებისათვის - „შავი ქათამი, ანუ მიწისქვეშა ბინადრები“. იგივე მოტივები იგრძნობა ბულგარინისა და კირეევსკის ზღაპრებშიც (ერთგვარი გაორების, რეალურისა და ჯადოსნური სამყაროს გაერთიანების პრინციპი). 30-იან წლებში ო. სომოვი და ვ. დალი აგებენ თავიანთ ზღაპრებს ფოლკლორულ მასალაზე. სწორედ ამ ზღაპრების ახალი სტილისტური ხერხებით ჩაყარა საფუძველი ე. წ. ზღაპრულ პროზას, რომელიც შემდგომ ასახვას ნ. ლესკოვის, ალ. რემიზოვის, პ. ბაჟოვის ზღაპრებში კპოევებს. ზღაპრებს ქმნიდნენ პოლევოი და ოდოევსკიც. XIX ს-ის მეორე ნახევარში ზღაპარის მიმართა კანტოვკა იერუსოვმა,

ბოლო შემდგომში შესანიშნავმა რუსმა პროზაიკოსმა - ს. აკსაკოვმა. თავის ახალ აყვავებას ლიტერატურული ზღაპარი აღწევს ათეული წლების შემდგომ რუსული ლიტერატურის კლასიკოსის ნ. სალტიკოვ შჩედრინის შემოქმედებაში. 80-იან წლებში შექმნილი მისი ზღაპრები - ესაა სოციალ-ფილოსოფიური ფანტასტიკა, კროტკესზე დაფუძნებული. უნდა აღინიშნოს შჩედრინის ზღაპრების გავლენა ეპოსის შემდგომ განვითარებაზე კოროლენკოს, ტიხომიროვის, სტეპანიაკ - კრაჟინსკის და სხვათა შემოქმედებაზე. XIX ს-ის ბოლო ათასწლეულებში ჩნდება გარშინის, ვაგნერის, კოროლენკოს და სხვათა ლიტერატურული ზღაპრები.

XX ს-ის დასაწყისში რუსეთში შეინიშნება ლიტერატურული ზღაპრის ტრანსფორმაცია. იგი სულ უფრო და უფრო სცილდება ხალხურ ზღაპარს, იქნის სხვა ჟანრების სპეციფიკასა და მისი სტრუქტურა ფართოვდება. ამ მხრივ საინტერესოა დ. ანდრეევის სიმბოლურ-ფილოსოფიური ზღაპრული პროზა, ფ. სოლოგუბის ამავე ტიპის ზღაპრები. ზღაპრის ეპოსში მოღვაწეობდნენ აგრეთვე ი. ოლშა და ნ. ნოსოვი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ა. ტოლსტოის შემოქმედება და მისი ცნობილი „ბურატინოს თავგადასავალი“, რომელიც ავტორმა კ. კოდლის „პინოქიოს თავგადასავლის“ საფუძველზე შექმნა. მოგვიანებით ა. გაიდარი და ლ. ლავინი ქმნიან ლიტერატურულ ზღაპრებს. ყველაასათვის ცნობილია კ. ჩუკოვსკის მშვენიერი ზღაპრები.

ამგვარად, ლიტერატურული ზღაპრის ჩამოყალიბების მოკლე მიმოხილვა დასავლეთ ევროპაში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთში საშუალებას გვაძლევს თვალყური ვადევნოთ მკვიდრეობითობასა და ტრანსფორმაციას ლიტერატურული ზღაპრისას, რომლის საუკეთესო ნიმუშები მოწმობენ იმას, რომ იგი ჭეშმარიტად მზატურულ ლიტერატურას წარმოადგენს.

პირობი ნაღარკიშვილი

ქართული სოფელი

სარეცენზიო ნაშრომის („ქართული სოფელი ფეოდალიზმის ხანაში (VI-XVIII სს.)“ სტრუქტურა და შინაგანი ორგანიზაცია. თბ. „მეცნიერება“, 1992 წ.) ავტორი დერმისა გოგოლაძე გამოცდილი ისტორიკოსია. იგივე უნდა ითქვას წიგნის რედაქტორისა და რეცენზენტების შესახებ (შესაბამისად: ქველი ჩხატარაიშვილი, ანრი ბოგვერაძე, შოთა ზადრაძე).

არ არის საიდუმლო, რომ ქართული სოფლის შესწავლის დონე მის მნიშვნელოვნებას შესაბამისად ჩამორჩება. მართებული წარმოდგენა რომ ეიქონოთ წარმოებით ურთიერთობათა ფეოდალური ტიპის ქართულ ვარიანტზე, ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაზე, დეტალურად უნდა იქნას შესწავლილი ქართული სასოფლო თემის სტრუქტურა და შინაგანი ორგანიზაცია, მისი სამოხელეო წყობა და სამართლებრივი სტატუსი. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ ფეოდალურ ქვეყანაში მისი წარჩინებული საზოგადოების ქონების შედგენილობა და შესაძლებლობის ფარგლებში ქვეყნის მთელი კერძო ქონების სტრუქტურის წარმოჩენა მთელი ეკონომიური სისტემის სპეციფიკის გაჩვენებაშიც დაგვხმარდება.

მოგვსწენებთ, უძრავი და მოძრავი ქონების თანფარდობა შუა საუკუნეებში ცვალებადი იყო. გვიანფეოდალურ ხანაშიც, ყოველ შემთხვევაში, როგორც ქვეყნებში, უძრავ ქონებას ეკირა გაბატონებული მდგომარეობა კერძო ქონებათა მსიგეში. ადგილ-მამული ითვლებოდა უმთავრეს ქონებად. ფეოდალურ ევროპაში გავრცელებული იურიდიული აფორიზმის მიხედვით მოძრავი ნივთები იაფ ნივთებად ფასდებოდა. ყოველ შემთხვევაში იქ, სადაც სოფელი ქალაქზე ბატონობდა, უძრავი ქონება — ადგილ-მამულის სახით როგორც ქვეყნის მთავარ სიმდიდრე-ფასეულობას, ასევე საზოგადოებრივ ურთიერ-

ობათა განვითარების ერთგვარ შემანელებელ ფაქტორსაც წარმოადგენდა. კერძო ქონების სტრუქტურაში მოძრავი ქონების მნიშვნელობის ზრდა და განსაკუთრებით კი ფულადი სიმდიდრის დაგროვება ხელს უშარათავს, ხელს უწყობს სოციალურ-ეკონომიურ პროგრესს.

ასე რომ, სოფლის, თემის დიდი მნიშვნელობის უარყოფა ფეოდალურ საქართველოში შეუძლებელია, მაგრამ არც მისი გაიდევლება იქნებოდა მართებული.

ქართული ანდაზა ამბობს: „მეფე გაიწერეს — თემს შეეხვეწე, თემი გაიწერეს — გადაიხვეწეო“. ხალხი ხედავდა იმ დიდ როლს, რასაც თემი ასრულებდა მის ცხოვრებაში. ამიტომ საესებთ ბუნებრივია, რომ სარეცენზიო ნაშრომის პირველი თავი ეძღვნება ძველი ქართული თემის ტერიტორიული ერთეულებისა და „თემის“ ცნების გარკვევის საკითხს.

ცალკე პარაგრაფებში განხილულია ქვესაკითხები: 1) „თემი“, 2) ძველი ქართული „ერთობის“ (კომუნის) ტერმინის საკითხისათვის, 3) ძველი ქართული სასოფლო-ტერიტორიულ დასახლებათა ტიპები VI-XII საუკუნეებში.

წიგნში ცალკე თავი ეთმობა ქართული სოფლის სოციალურ სურათს და მის რელიგიურ სახეს VI-XII საუკუნეებში. აქვე ცალკე პარაგრაფებში წარმოჩენილია ქართული სოფლის საიდგილმანულო სოციალური სურათი VI-XII საუკუნეებში და ქართული თემის რელიგიური სახე.

სარეცენზიო ნაშრომის შესამე და ცენტრალური თავი ეხება ქართული სოფლის სამოხელეო წყობას VI-XIII საუკუნეებში (სტრუქტურა და შინაგანი ორგანიზაცია), სადაც განხილულია საკითხები: 1. სოფლის უფროსი ხელისუფლის სახელწოდებანი. 2. სოფლის მამასახლისის არჩევა-დანიშნვის საკითხი, 3. სასოფლო

თემის ხელისუფლის — მამასახლისის ფუნქციები. 4. სოფლის მამასახლისის პრავილეგებები და სარგო. 5. ხელისანი. 6. გზირი. 7. მერყე. 8. მწიწკიკელი. 9. სასოფლო თემის შინაგანი ორგანიზაცია. 10. სასოფლო თემის სასულიერო ორგანიზაცია.

წიგნის მეოთხე თავი ეხება ქართულ სადგომამებლო ერთობას, ხოლო მეხუთე — ქართული სასოფლო თემის სამართლებრივ სტატუსს. ამასთან დაკავშირებით ავტორი ცალკე განიხილავს ბარის რეგიონებსა და საქართველოს შთიანეთში არსებულ ვითარებას.

დ. გოგოლაძე საკმაო სისრულით განიხილავს ძველ ქართულ ტერიტორიულ ერთეულებს: დაბას, ხეხს, სახლს, ქვეყანას, თემს, აგრეთვე ძველ ქართულ „ერთობის“ (კომუნის) გამომატველ ტერმინებს.

აქვე შევნიშნავთ, რომ სარეცენზით ავტორის უკრადღებთ მიღმა დარჩა XIV ს. ძველის, ბევრ მანდატურათუცესის სამართლის წიგნის 49-ე მუხლი, სადაც ნახსენებია „ალაგისა და გვარის წესი“. ხსენებული საკანონმდებლო ძეგლადან შეიძლება დაეასკვნათ, რომ კანონმდებლისათვის წესი ისე შეეფარდება სამართალს, როგორც კერძო — ზოგადს. „წესი“ აქ ჩვეულებას, კერძოდ სამართლებრივი შენაჩის წეს-ჩვეულებას ნიშნავს. ილია აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონის მიხედვით, რომელიც XII საუკუნემდე მასალებს ასახავს, წესი ნიშნავდა რიგს, კანონს, განაწესს, ელემენტს, სჯულს და ა. შ.

ზემოხსენებულ სამართლის წიგნში ვკითხულობთ: „ბუნების ალაგისა და გვარის წესი, რომე უმკროსსა მამულოვნებით ვაიყუანებუნ, თუ ცოლსა შეირთავს, — იგი წესია, სამართალი არა.“

სახეუცესიკოც ამაღ წესი არის, რომე თვით მოსულს პირითა და მბადებელი „დაბადებასა“ შიგან დასწერს.

წესი რამე დადებული ძნელად მოიწლებს, შუანი არას უმართლებიან“. მოტიანილ მუხლში ისტორიკოსისათვის საინტერესოა გამოთქმა „ალაგისა და გვარის წესი“. ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნის რუსულ ენაზე შთარგმნელებმა ვ. დონდუამ და ი. დოლიძემ „ალაგისა და გვარის წესი“ გაიგეს, როგორც „ადგილობრივი ჩვეულება“, ხოლო „წესი“ სხვა შემთხვევაში გაიგეს, როგორც „პრავილი“, ვექტორბოთ, რომ „ალაგისა და გვარის წესის“ ხსენებული თარგმანი უფრო თავასუფლო თარგმანია, პერიფრაზა და ამიტომ მისი დაზუსტება უპრობანია.

საქმე ისაა, რომ როდესაც კანონმდებელი „ალაგისა და გვარის წესზე“ ლაპარაკობს, რა თქმა უნდა, ადგილობრივ იურიდიულ შინაარსის წეს-ჩვეულებებზე მიგვანიშნებს, მაგრამ ადგილობრივი სამართლებრივი ნორმების შიგნით განასხვავებს „წესს“, რომელიც დამახასიათებელი

ლია მოცემული მიკროტერიტორიულ ერთეულისათვის — „ალაგისათვის“. არ არის გამორიცხული, რომ „ალაგი“-ს ქვეშ იგულისხმებოდეს სამეზობლო-ტერიტორიული თემი, ჩვეულებრივი, კლასობრივი, ცვალებადი საზოგადოების სოფელი. „ალაგ“-ში ერთიგორის გვერდით ცხოვრობდა სხვადასხვა გვარის ხალხი. „ალაგი“ — სოფელი უცვე აღარ იყო მხოლოდ ნათესაური ტიპის დასახლება. ხსენებულ „ალაგს“ აერთიანებს საერთო ქვეყის წესი ე. წ. „ალაგის წესი“. რაც შეეხება „გვარის წესს“ — ეს უკანასკნელი დამახასიათებელი იყო მხოლოდ ერთი გვარით დასახლებული სოფლისათვის. ბექა მანდატურათუცესის სამართალი მხარს უჭერს მოსახრებას იმის შესახებ, რომ „გვარი“ ძველ საქართველოში სასოფლო კომუნის აღმნიშვნელი ტერმინი უნდა ყოფილიყო. შესაძლოა, რომ „გვარი“ XIII-XIV საუკუნეების მესხეთში ნიშნავდა ერთი გვარით დასახლებულ სოფელს, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო გარკვეული, სხვებისაგან განსხვავებული წეს-ჩვეულება.

„ალაგ“-ი ძველი ქართლის დონეზე ნიშნავდა მიწის ნაკვეთს, ბილკს, ვიწრო ტერიტორიულ ერთეულს. ალაგი მიწის ნაკვეთს ნიშნავს გარკვეულ ბუერთაინისძის ტიპიკონის ქართულ რედაქციაში.

კანონმდებელი ანგარიშს უწყევდა როგორც „ალაგის წესს“, ასევე „გვარის წესსაც“... მაგრამ მან შვენიერად უწყევდა, რომ სამართალი განსხვავდება ალაგისა და გვარის წესისაგან.

„გვარის წესის“ ხანგრძლივად გატანის ანარეკლი ჩანს ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნის 103-ე მუხლში, სადაც ნათქვამია, რომ „ციციშვილების მეტში ზერისა და ხობაბუნის საფუროსო არგისაში არ არის — იმათი ძველობით, ფიცით გაუტანიათ“ და ამისთვის დარჩომილა-ო“.

„ალაგ“-ი რომ აღმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული უნდა ყოფილიყო, ამის გამოხატულებაა ვახტანგ მეექვსის განკარგულებით შედგენილ სამართლის წიგნთა კრებულში შესული ე. წ. ბერძნული სამართლის წიგნის 111-ე მუხლში, სადაც იხსენიება „ალაგის უფროსი“. უკეთეს ანდერძის წიგნზედა იმ ალაგის უფროსის ბეჭედი არ იქნეს-ო“ — ვკითხულობთ ხსენებულ სამართლის წიგნში.

ვფიქრობთ, რომ ძველ საქართველოში „ალაგი“ ტერმინითაც აღინიშნებოდა სასოფლო ტერიტორიული ერთეული. ვფიქრობთ, „გვარის წესი“, როგორც ნათესაური კავშირისათვის დამახასიათებელი წეს-ჩვეულება, დაახლოებით იმას ნიშნავდა, რასაც ძველ რომში „გენტლიციუმ იუსს“ უწოდებდნენ.

„წესი“, როგორც ჩანს, ერთ-ერთი უძველესი ქართული სოციალური ტერმინი იყო. მცდარია შეხედულება, რომ ის ქართულში სომხურიდან

იყოს შემოსული. დიდი სომეხი მეცნიერი, ლანგისტი აკარინი აღიარებს, რომ „წყის“ ქართული სიტყვაა და ქართულიდან არის შესული სომხურში.*

ძველი ქართული, ფეოდალური ხანის სოფელში „ალაგის წესი“ და „გვარის წესი“ უპირისპირდებოდნენ ჯერ ერთმანეთს და მერმედ თვით სამართალსაც, როგორც სრულიად სახელმწიფოებრივი ნების გამოხატულებს. თანდათან რა თქმა უნდა, „ალაგის წესი“ და „გვარის წესი“ ჯერ ერთმანეთს შეერწყა და ბოლოს საერთო ხალხურ ჩვეულებებს და სამართლის ნორმებს ჩაენაცვლა. აქედ. ნ. ბერძენიშვილმა გამოთქვა მისაზრება, რომ უძველეს ხანაში „გორა სოციალური ერთობა იყო“. აქედან გამომდინარე „გორა“ უნდა ყოფილიყო გვაროვნული კომუნის ცენტრის გამოხატველი ტერმინი, რასაც სარეწვინო ნაშრომის ავტორიც იზიარებს. (გვ. 22) მაგრამ მეორე მხრივ შეაკრ სექტიურ პოზიციასზე დგება, როდესაც აცხადებს, რომ არქაულ-გვაროვნული ეპოქის რაიმე დამადასტურებელი წერილობითი წყარო არც ქართული და არც უცხოური ჩვენ არ გვაგვჩინია. (გვ. 23) ჩვენ კი გვგონია, რომ „გვარი“ და „გვარის წესი“ ფიქსირებული XIV საუკუნის სამართლის წიგნში, თავისი ფესვებით, თუნდაც მეტისმეტად შორეული ფესვებით, სწორედ „გორას“ უკავშირდება და მისგან არის აღმოცენებული.

ბეჭა მანდატურთუხუცესის სამართლის წიგნმა თავისი „გვარისა და ალაგის წესით“ შემოგვიჩინა არქაულ-გვაროვნული და ადრეკლასობრივი საზოგადოების წაიღიდან მომდინარე და ჩვენამდე მოწოდებული ფასეული ინფორმაცია.

ფსიქოლოგი აგრეთვე ძველ ქართულ იურიდიულ საბუთებში შემონახული სამართლებრივი გამოთქმა — „წყლის გზა“. დ. გოგოლაძის ნაშრომში თითქმის ამოწურავად და მართებულად არის გამოქვეყნებული საწყლო ურთიერთობა ქართულ ფეოდალურ სოფელში, მაგრამ ავტორის გამოჩენია „წყლის გზის“ რეალური შინაარსი და დახასიათება. აღმოსავლეთ საქართველოში ხალხური ჩვეულებით სამართლის ნორმები აწესრიგდებდნენ სამსებელ და სარწყავი წყლის გამოყენებას და დაცვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. ამ ნორმების ნაწილი მოგვიჩინებით ვადადის წერილობით საკანონმდებლო ძეგლებში, ხოლო ნაწილი კვლავ განაგრძობდა მოქმედებას, როგორც ჩვეულებრივი სამართლის ნორმა ასინაებოდა ქართულ იურიდიულ საბუთებში.

აღნიშნავთ, რომ ახალი დროის კანონმდებლობამ უხედა ისარგებლა ძველი რომის სამოქალაქო სამართლის ნორმებით, მაგრამ თითქმის არაფერი არ გაიზარა ძველი რომის წყლის

კანონმდებლობის არსენალში, მაგრამ გაიზარა კი რომის სამართლის პრინციპი, რომ წყალი მის ბუნებრივ მდინარეებში, მდინარი წყალი — „აქვა პროფელუენს“ არ შეიძლება იყოს საკუთრების ობიექტი, საკუთრების საგანი.

წყლის კოდექსი, როგორც დამოუკიდებელი სამართლის წიგნი, არ არსებობდა არც ძველ ბაბილონში, არც ძველ სპარსეთში, არც საქართველოში. მაგრამ წყლის სარგებლობასთან დაკავშირებულ ნორმებს შეიცავდა, როგორც დაუწერელი ჩვეულებითი სამართალი, ასევე ნაწილობრივ ზოგადი სამართლის წიგნი.

პირველი წყლის კოდექსი ვენეციაში XVI საუკუნეში შედგა მაგრამ წყლის სამართალი, როგორც ზეპირი, დაუწერელი კოდექსი, როგორც მოქმედ სამართლებრივ ნორმათა სისტემა, არსებობდა მრავალ ხალხში, მათ შორის — საქართველოშიც.

ქართულ „ნასყიდობის წიგნებში“ და ზოგჯერ სხვა საბუთებშიც ვხვდებით გამოთქმას — „წყლის გზა“, რომელიც გარკვეული სამართლებრივი ენებაა, მაგრამ, სამწუხაროდ, არ არის ასახული ქართული ენციკლოპედიის ფურცლებზე.

ერთ, 1719 წლით დათარიღებულ „ნასყიდობის წიგნში“, ნათქვამია, რომ მიუღველზე ვადადის უფლება „წყლის გზაზე“ — „როგორც კვლავ წყალს საითყენაც უვლია, ისევ იქით უნდა იღინოს“...

„წყლის გზა“-ში ზოგან ბანის წყლის გზა იტელისხება. ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნის 169-ე მუხლის მიხედვით წყალი სახელმწიფო საკუთრებად იყო გამოცხადებული. ე. ი. საქართველოში რომის სამართლის შემოსუნებული პრინციპი იყო გაზიარებული. აქედან გამომდინარე, გასაგებია, რომ საწყლო ურთიერთობაში სახელმწიფო ერეოდა. იგი უპირატესად მაინც, თუ შთიანად არა, საქარო სამართლით იყო მოწყობილი. „წყალი ასრე, რომე, სადაც ხელმწიფე წყლისა და რუს ვატანას მოინდომებს, ქვეყნის შენებასა და პურის მოსავლისათვის იქს, რომე კოდის პური არ დააკლდეს. და სადაც ეპრიაუნების, რუს თავს ვერავინ დაუშლოს. სადაც რე მოხდეს, ვენაბი თუ ზოდალხნი, რაც დახედების, გასჭრის და ვატარებს. რომელ სოფელსაც უბოძებს და დაჩემებს იმ წყალს, ერთი მეორეს ვერ შეეცილებს“ (170-ე მუხლი). მაშასადამე რუს, წყალს, თავისი გზა ერეებოდა. ამ შემთხვევაში კერძო შესავთობ, რომლის მიწაზეც უნდა გაეყო წყლის გზას, მის გაყვანას წინ ვერ აღუდგებოდა. მართალია, წყალი, როგორც მდინარე, მის ბუნებრივ დინებაში სახელმწიფო საკუთრებად ითვლებოდა, მაგრამ რუს სარწყავი წყალი შეიძლება გაყოფილიყო მშენებ შორის. „რუს სარწყავი წყალს, როგორც მამულს, გაყოფენ ძნა“... ასეთი შემყიდრება დღესაც აქტუა-

* ამ ცნობის მოწოდებისთვის მადლობას მოვასწენებთ პროფ. ზ. ალექსიძეს.



ლურია. სასმელი და სარწყავი წყლის გზა დი-
უბრულებლად უნდა გავიდეს იქ, სადაც ეს
გაერთიანდეს და ეკოლოგიურად უფრო მიზან-
შეწყონილი იქნება. წყლის გზის ცნება ახლებურ-
ად უნდა ჩამოყალიბდეს. იქნებ მიზანშეწონილი
იყოს, რომ ბანის წყლის გზის ცნებას შევლი-
ოთ, მაგრამ სასმელი და სარწყავი წყლის გზის
საერთო კი შეიძლება საკანონმდებლო მსჯელო-
ბის საითხი გადეს.

დ. გოგოლაძის ნაშრომში კარგად არის ნა-
ვრეხები მამასახლისის თანამდებობის რეალური
შინაარსი და მისი ევოლუცია, სოფლის მამასა-
ხლის პრივილეგიები და სარგო. განსაკუთრე-
ბული გულისუფრით არის წარმოდგენილი სა-
სოფლო თემის შინაგანი სასამართლო და სა-
სულიერო ორგანიზაცია, მართებულად არის ახ-
სნილი ქართული სასოფლო თემების ფისკალურ
უჭრადებულ გადაქცევა, მაგრამ სასოფლო სა-
ზოგადოებებს შენარჩუნებული ქონებით ძველი
ტრადიციული თვითმმართველობის რიგი ფუნ-
ქციებიც. თვით სასოფლო თემები გამოდის
მოსარჩლისა და მოპასუხის როლში. სასოფლო
თემებს შორის სამართლებრივი ურთიერთობა,
მათი სამართლებრივი პაექრობა უნდა უფი-
ლიყო ნაყოფიერი საფუძველი სამეზობლო თე-
მებისათვის დამახასიათებელი „ალგის წესი“
წარმოშობისათვის. ... თემთა შორის ურთიერ-
ობის წიაღში უნდა წარმოშობილიყო „წესი“,
იგივე „რიგი“, იგივე „წესრიგი“ ანუ „წეს-ჩვე-
ულება“, როგორც წინარესამართალი, რომელ-
ღაცე პოლიტიკური სტრუქტურების ზემოქმე-
დებით ან სამართლად გადაიქცეოდა ან კიდევ
დიდი ხნის განმავლობაში სამართლის ნორმათა
გვერდით აგრძელებდა თანარსებობას. სწორედ
ეს საფუძველი ანუ „გვარის წესი“ და „აღ-
იგის წესი“ როგორც ტერიტორიულ-მეზობლო-
ლური თემებისათვის დამახასიათებელი „რიგი“
და „კერი“ იყო სოფლის როგორც სამართალ-
განვითარების ფაქტორის მაჩვენებელი. მაგრამ
ფეოდალური საქართველოს უბედურება იმაში
მდგომარეობდა, რომ მეცამეტე საუკუნის ოცი-
ანი წლებიდან მოყოლებული მისი სოციალურ-
ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული
განვითარება შეფერხდა, რის გამოც აქ ქალა-
ქებმა ვერ შეასრულეს ის პროგრესული რო-
ლი, რაც დასავლეთ ევროპაში. ამიტომ საქარ-
თველოში სოფელი ბატონობდა ქალაქზე. ბა-
ტონ-უშობა ქალაქსაც გადაეღო. „ქალაქის პა-
ერს“ საქართველოში იმ ზომით ამიტომ არ მო-
ქონდა თავისუფლება ადამიანისათვის, როგორც
დასავლეთ ევროპაში. იქნებ, საჭირო იყო ამ
გარემოებისათვის უფრადლებების მიქცევა და იმ
ფაქტის აღნიშვნაც, რომ სოფელმა გარყვეუ-
ლად შეიძლება კიდევაც შეაფარბა თავისი ტრად-
იციული ინსტიტუტების მეშვეობით გვიანფე-
ოდალური საზოგადოების წარმოშობა საქარ-
თველოში? თუ ასე არ იყო, ისიც გარყვევით

უნდა ითქვას, რომ დ. გოგოლაძის უთუოდ სა-
ჭირო და კეთილსინდისიერად შესრულებული
ნაშრომი უთუოდ მოიგებდა, თუ მასში ადით-
წესების ნაცვლად ჩვეულებებს ან ჩვეულებითი
სამართლის ნორმებს ვიხმარდით. როგორც ეს
დღეს მიღებულია, „ადით“ ასე თუ ისე მუს-
ლიმური ქვეყნებისათვის დამახასიათებელი ჩვე-
ულებითი სამართლის ნორმების აღმნიშვნელ
ტერმინად ითვლება. ანდენად „ადითობრივ სა-
მართალს“ ჩვეულებითი სამართალი აქრებდა.
ნაშრომში „სახელმწიფო სამართალი“ იხმა-
რება სახელმწიფოსმიერი კანონების აღმნიშვნელ-
ად. სახელმწიფო სამართალი კი ნიშნავს იმას,
რასაც რუსული „გოსუდარსტვენოე პრაკა“.
ნაშრომში ზოგან „უფლებრივი მხარე“ წერია
და იგულისხმება კი „სამართლებრივი მხარე“.
გამოთქმა „აწუობდას“ ჯობდა ხელს აძლევდა.
„ალოდაღურს“ — ალოღური და ა. შ.
ნაშრომში მართებულად არის აღნიშნული,
რომ XI-XII საუკუნეებთან ფეოდალური წყო-
ბილების დამატრულამდე ქართული სოფელი
უკვე ბატონყმური სახისაა (ზოგიერთი მაღალ-
მთიანი რეგიონის გამოკლებით). ქართული ფე-
ოდალიზმისათვის დამახასიათებელი იყო საბა-
ტონო მურწანობის არსებობა მისთვის დამახა-
სიათებელი დანდებით თუ უარყოფითი მხარე-
ებით. იქნებ ურიგო არ იქნებოდა ავტორის ქა-
რთული სოფელი მოკლედ მიიწე შედარებინა
აღმოსავლური ფეოდალიზმის ქვეყნების — იტა-
ლიის ან თურქეთის სოფელთან ან თუნდაც ამი-
ერკავკასიის მუსლიმური ქვეყნების სოფელთან.
საინტერესო იქნებოდა იმის ჩვენებაც, თუ
რა როლს ასრულებდა საქართველოში მეცამე-
ლე-ფეოდალი როგორც სასოფლო-სამეურნეო
წარმოების ორგანიზატორი... ჩვენ ჩვენი ფეო-
დალების უარყოფითი თვისებების აღნიშვნასთან
ერთად რაღაც დადებითიც უნდა შევამჩნიოთ
მათში... თუ ფეოდალებს რაიმე, ისტორიული
აუცილებლობით განპირობებული პროგრესული
ფუნქციები არ ექნებოდათ, საქეოა, რომ მათ
საუკუნეების განმავლობაში გაეძლიოთ ისტო-
რიული ქართველებისათვის. ქართულ ფეოდა-
ლურ სოფელსაც ქონდა თავისი პროგრესული
მისია, რომელიც ისტორიული აუცილებლობის
დალით იყო აღბეჭდილი. მაგრამ დროთა განმა-
ვლობაში ფეოდალური ურთიერთობებით შექე-
რებული სოფელი დრომოქმული ხდება. ქარ-
თული სოფელი ისევე როგორც მთელი ბუ-
ნებრივი, ისტორიული და სულიერი სამყარო,
პროცესი იყო. ის ვითარდებოდა. მაგრამ გა-
სარკვევია, რა მიმართულებით? პასუხი უნდა
გაეცეს კითხვას — ისტორიული აუცილებლო-
ბის ვზით მივიღოდა ის თუ არა?
ქართული სოფლის ისტორია წარმოადგენს
იმ პრინციპის განვითარებას, რომლის შინაარ-
სსაც წარმოადგენს გლეხის პიროვნების თავი-
სუფლებების შეგნება...



ის მასალები, რომელიც გააზრებული და მოხმობილია დ. გოგოლაძის ნაშრომში, გვიჩვენებს, რომ უნდა შესწორდეს მოსაზრება, — მიწათმოქმედებაში მთავარი როლი ბუნებას ეკუთვნის, ზოლო სუბიექტის, ადამიანის მოქმედებას და მოხერხებულობის გამოვლენის სფერო აქ მეკეთრად შეზღუდულია. ნაშრომიდან ისიც ჩანს, რომ საქართველოში გეოგრაფიული ვარემო გარკვეულ ვაულებას ახდენდა ანა მართო ადამიანთა ფსიქოლოგიაზე, არამედ მათ საქარმოთ საქმიანობაზედაც და ამ უკანასკნელის მეშვეობით სოციალურ ურთიერთობებზეც.

მაგრამ მხოლოდ გეოგრაფიული ვარემო არ განაპირობებდა გლეხი კაცის ისტორიას.

ჩანს, მართალი იყო ის შეკვლევარი, რომელიც წერდა, რომ გეოგრაფიული ვარემო ერთიანობაშია ზალზის სულთან. დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ დ. გოგოლაძის ნაშრომი კარგი შენაძენია ჩვენი შეცნოებებისათვის, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ავტორი მომავალში გაავრცელებს გლეხობის და ქართული სოფლის ისტორიას უკვე XIX საუკუნის ქრონოლოგიურ ჩარჩოებში.

შურნალ „მნათობის“ 1995 წლის ნომრების შინაარსი

ბიბლია — ძველი აღთქმა. № 1-2, 3-4, 5-6

70 — „მნათობი“ — 70

- გრიგოლ აბაშიძე — ცოცხლობს და იბრძვის. № 1-2
- გიორგი ნატროშვილი — არამართო ტკბილ ხმათათვის. № 1-2
- ელგუჯა მალრაძე — საამაფო ჟურნალი. № 1-2
- გურამ ფანჯიკიძე — ერის საკეთილდღეოდ. № 1-2
- რევაზ ჯაფარიძე — 70 წლის „მნათობი“. № 1-2
- ოთარ ჭვლიძე — თავისუფალი, ერთიანი და ძალმოსილი საქართველოს
დროშით. № 1-2
- გურამ გვერდნითელი — წინმავალი. № 1-2
- გენო კალანდია — ხავანე ნათლისა. № 1-2
- ტარიელ ჭანტურია — ჩვენ თვითონ უნდა მივიღოთ მოლოცვა. № 1-2
- გოვი გვეგუჭკორი — ქართული მწერლობის სარკე. № 1-2
- ემზარ კვიციანი — ქართული მწერლობის დედაბოძი. № 1-2
- დავით მჭედლური — ღირსების გრძნობით. № 1-2
- ნუგზარ შატაძე — მიჯნა. № 1-2
- ვახტანგ ხარჩილავა — ტაძარი. № 1-2
- გივი სულაკაური — მინდა, ისევ მოჩანდეს. № 1-2
- ნოდარ ბაქრაძე — მილოცვა. № 1-2



მოთხრობები, რომანები, პიესა

- ბატიაშვილი ნელი – სოფელი. მოთხრობა. № 1–2
 ხულაპერიძე ლადო – ცხადსიზმარიანა. ნაწილი მეორე. № 5–6
 ხულაკაური არჩილ – თბილისური ჩანახატები. № 5–6
 ხულაკაური გიგი – საბრალლო რეპტილია. პიესა. № 3–4
 რურუა ილია – თუში. ნოველა. № 3–4
 ქირია ჯემალ – კიბე იაკობისი, რომანი. № 5–6
 ჯაფარიძე რევაზ – მხეველი უფლისა, რომანი. № 1–2,3–4

ლექსები

- აბრამიშვილი მარი – ლექსები. № 1–2
 ბაქრაძე ნოდარ – ლექსები. № 1–2
 ეკიზაშვილი გიორგი – ლექსები. № 1–2
 კვიციანიშვილი ემზარ – ლექსები. № 3–4
 ხულაკაური გიგი – უსათაურო ლექსი. № 1–2
 ცეცხლაძე შამუკა – ლექსები. № 1–2
 შამათავა ომარ – ლექსები. № 5–6
 ჩარკვიანი ჯანსუღ – ლექსები. № 3–4
 ჩხენკელი თამაზ – ლექსები. № 5–6
 ჩხეტიანი თემურ – ლექსები. № 5–6
 ხეთაგური შშია – ლექსები. № 1–2
 ჯავახიძე ვახტანგ – ლექსები. № 5–6
 ჯანელიძე ჯანო – ლექსები. № 3–4

კრიტიკა, კულტურისტიკა

- ბერიძე მაია – ბოროტების ზეიმი ხანმოკლეა. № 5–6
 ბოლქვაძე გივი – ისევ ვარდისუბნის მრგვალი ეკლესიის შესახებ. № 1–2
 გორგაძე გრიგოლ – მიხეილ წერეთელი და ასირიოლოგია. № 3–4
 ერაძე ლეილა – „მე მტკივა შენი დაღუწილი სხეული...“. № 5–6
 კეშელავა თენგიზ – სპარსული პროზის მშვენება. № 1–2
 კოკორიძე დავით – სამცხე-ჯავახეთის ისტორიის ზოგიერთი საკითხის განმარტებისათვის. № 3–4
 შვერელაძე დარეჯან – პეტრე კურცხალა. № 5–6

ბასილ მელიქიშვილის ეპისტოლარული შემკვიდრებიდან (პუბლიკაციები მის მიერ)

ილ ლანიშაშვილის). № 3-4

შერკვილაძე გიორგი – ანტიქრისტიანული – ანტიეროვნული. № 3-4

ნინიძე შაია – „ვეტრფი და ვეტრფი სულ ერთი ვარსკვლავია“. № 5-6

ხეუსურეთი უნდა აღორძინდეს – ავტორთა ჯგუფი. № 1-2

ხინთიბიძე აკაკი – „მას გახელილი დარჩა თვალები“. № 5-6





●
 აბალინი რუსთაველის ქ. № 28

●
 ტელეფონები: შო. რედაქტორის — 99-51-01,
 შო. რედაქტორის მოადგილის 99-91-00, პ/შპ
 მღვინის 99-91-00, და განყოფილებებს —
 99-91-00.

გადაეცა ასაწყობად 3. 08. 95 წ., ხელმოწერი-
 ლია დასაბეჭდად 28.12. 95 წ., ასაწყობის ზომა
 71/4 X 12, ქაღალდის ფორმატი 70 X 108. ფი-
 ზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნა-
 ბეჭდი ფურცელი 15,5. საილრ.-საგამომცემლო
 თაბაბი 16,8. ტირაჟი 700. შეკვეთა 1026.
 ვერნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“.
 კოსტავას ქ. № 14.

1-96

ნ 659/2

96-6

საქართველო
საგარეო ურთიერთობების
მინისტრო

შპს-ის მართვის საბჭოს და მისი თავმჯდომარის

0640560

76128